კვირის პალიტრა

№ 12 (473) ◆ 22 – 28 მარტი. 2004 წ. ◆ ფასი 50 თეთრი ◆ დაარსებულია 1995 წ.

„არ მინდა ჩემი როლი გავაზვიადო“

გვ.7

„ძველი ხელისუფლება ისე ჩქმალავდა ამ პრობლემას, როგორც შუბს ხალთაში“

ბათუმში ჩემი ყოფნის დროსაც ბატონ ასლანს რამდენიმე ისეთი ინფორმაცია მიაწოდეს, რაც ჩვენი წყაროებით სულ სხვაგვარად იყო. როდესაც ვითარება ასე დაძაბულია, ხშირად, როგორც ერთ, ისე მეორე მხარეს დაუზუსტებელ ან გაზვიადებულ ინფორმაციებს აწვდიან...

მახსოვს მიშას ხმა, როდესაც ტელეფონით ველაპარაკე — ძალზე შეშფოთებული და შეწუხებული იყო...

...დემოკრატებისაგან მეტი მხარდაჭერის იმედი მქონდა, მაგრამ...

გვაქვს თუ არა სახელმწიფო იდეოლოგია?!

ექსპერტების თვალსაზრისი

ჩვენი ზოგი ოფიცერი გერმანიაში იღებს განათლებას, ზოგი კი ამერიკასა და თურქეთში. ასეთი ჯარი მთლიანი ორგანიზმი ვერ იქნება... ჯარს თავი დავანებოთ. ჩვენი კანონმდებლობა გერმანულ, ამერიკულ და რუსულ მოდელებზეა დაყრდნობილი. ფაქტობრივად, ყველა სტილის კანონები გვაქვს. ხშირად ამის გამო ჩვენი კანონმდებლობა ეფექტიანად ველარ მუშაობს.

გვ.5,12

„ჩვენ, ქართველები, პატრიოტები ვართ, მაგრამ არ გვაქვს სახელმწიფოებრივი პატრიოტიზმი“(!)



რა ვალდებულებები „ავიკიდეთ“ რევოლუციის მერე?!

დიდი ქვეყნები ყოველთვის ცდილობენ, პატარა ქვეყნებს თავიანთი ინტერესები მოახვიონ თავზე

უცხოური ორგანიზაციები და ფონდები ვერ ეგუებიან ეროვნული წარმოების განვითარებას.

ახალგაზრდა პრეზიდენტსა და მის გუნდს უნდა ჰქონდეს ნებისყოფა და სითამამე, რომ ხელი აუქნიოს „ჩვენი კეთილმოსურნე“ ორგანიზაციების ისეთ რეკომენდაციებს, რომლებიც დამღუპველია ჩვენი ქვეყნისთვის.

გვ.6,12

საქართველოში „ბეწვის ხიდზე“ გაიარა — „კვირის პალიტრის“ თვალით დანახული სინამდვილე

გვ.11,27

„გაყალბებით წამოგვასხდნენ თავზე და დღემდე ყვლეფენ აჭარას“

„ამხელა კაცი ჩვენსავით ჯიბეგამოფხეკილი ხომ არ იქნება?!..“

თითქმის მთელი სამი დღის განმავლობაში კატათაგვობანას ვთამაშობდით მე და ჩემი „კოლეგა“. თუ სარფში ჩემს უიღბლო მოგზაურობას არ ჩავთვლით, სხვა მხრივ აგენტს მუშაობაში ჩვენთვის ხელი არ (ვერ) შეუშლია. პირიქით, იქით დავტყუე ინფორმაცია. თუმცა, რამის დატყუება და მოტყუება არც იყო საჭირო...

„დოქსოპულო, შენ დედა გყაავს?“

ამაზრზენი სცენა — ნუთუ, ეს კაცი ადამიანია?! ...ბატონო სამართალდამცველებო, გეშინოდეთ ასეთი „მონდომებული“ ვაითანამშრომლებისა!

გვ.5

„არასოდეს გავხდები ხელისუფლების კულუარებში შექმნილი ოპოზიცია“

„მიმაჩნია, რომ ის დამარცხებული სულაც არ არის“ გვ.6

სახელოვანი წინაპარი შესაძლოა ზოგისთვის წნეხი და დაბრკოლება იყოს, მაგრამ მე ეს კომპლექსი არ მაწუხებს. ჩემი წინაპრების გამო სიამაყისა და პასუხისმგებლობის გრძნობა მაქვს. პასუხისმგებლობა ადამიანისთვის აუცილებელი თვისებაა.

გააკეთეთ პროგნოზი და...

მოიგეთ დიდი ფერადი ტელევიზორი

გვ.7

არჩევნები-2004

საარჩევნო პროგრამის პრიორიტეტები

7

ედპ - ტრადიციონალისტები

გვ.17

„მეც არ მომეწონა ეკლესიაზე მანქანის დაჯახება...“

გვ.22

„შოუმენის“ ახალ ამპლუაში

კვირაში ერთხელ ვიქნები ეთერში... დანარჩენს კი თავად განსჯით თქვენ და მაყურებელი.

რას წერენ ჩვენზე:

მიხეილ სააკაშვილი: „მე ხელქვეითებთან შუამავალი არ მჭირდება...“

კომერსანტ რუ

პარიზი საქართველოს თავის ელჩს „უძღვნის“...

გვ.14

ფიგარო

აბაშიძე ხანჯალს ლესავს?!

სტრანა რუ

მშვიდობიან არჩევნებს გისურვებთ!

თავისას არ იშლის

უკვე არა მარტო თბილისში იქნება აჭარის წარმომადგენლობა, არამედ საქართველოს პრეზიდენტსაც თავისი წარმომადგენლები ეყოლება აჭარაში. მიხეილ სააკაშვილისა და ასლან აბაშიძის შეთანხმებით, აჭარის ლიდერი უფლებას იტოვებს მოიწონოს ან უარყოს პრეზიდენტის სპეციალური წარმომადგენლები ბათუმის პორტში და სარფის საბაჟოზე. აბაშიძე სკანდალურ განცხადებას აკეთებს ვანო მერაბიშვილის წარდგენილ კანდიდატებზე. მისი თქმით, ერთ-ერთი მათგანი მკვლელობაშია ეჭვმიტანილი. უშიშროების საბჭოს მდივანი ამ განცხადებას შეცდომას უწოდებს. თუმცა აჭარის ლიდერი თავისას არ იშლის: „ხელისუფლება აჭარისკენ თითს იმიტომ იშვერს, რომ ქვეყანაში არსებული კორუფცია დამალონ. ეს არის ბანდიტიზმი. ვანო მერაბიშვილს ტყუილად ჰგონია, რომ მათი ხალხი აქ ჩვენ გარეშე დაიშვება. გვაქვს ინფორმაცია, რომ ერთ-ერთი მათი წარმომადგენელი მკვლელობაშია ეჭვმიტანილი. ახლა მის საქმეს ვსწავლობთ და არ დავუშვებთ აჭარაში ახალ დაპირისპირებას." ვანო მერაბიშვილი ამასთან დაკავშირებით აცხადებს, რომ თუ ასლან აბაშიძე თავის ეჭვს დაამტკიცებს, იგი ბოდიშს მოიხდის. მერაბიშვილის წარდგენილი დავით ახალაია სარფის საბაჟოს გააკონტროლებს, ვასილ სანოძე კი ბათუმის პორტს. პრეზიდენტის სპეციალური წარმომადგენლები ბათუმში უკვე ჩავიდნენ და მოვალეობის შესრულებას დღეიდან შეუდგებიან. ასლან აბაშიძესთან შეხვედრას ისინი უახლოეს დღეებში გეგმავენ.

აჭარაში ოპოზიციაზე ზეწოლა გრძელდება

„პრეზიდენტ სააკაშვილსა და აჭარის ლიდერს, ასლან აბაშიძეს შორის 18 მარტს მიღწეული შეთანხმების მიუხედავად, აჭარის შინაგან საქმეთა მინისტრის, ჯემალ გოგიტიძის ძმა ემირო გოგიტიძე და სამჯერ ნასამართლევი ვაჟა მჟავანაძე გაერთიანებული ოპოზიციური მოძრაობა „ჩვენი აჭარის" აქტივისტებზე ზეწოლას განაგრძობენ და ფიზიკური განადგურებით ემუქრებიან", აცხადებენ „ჩვენი აჭარის" წარმომადგენლები.

„ჩვენი აჭარის" ბათუმის ორგანიზაციის ერთ-ერთი ლიდერის, ჯუმბერ ჭყონიას თქმით, ქობულეთში ყოფნისას, მას ავტომატით შეიარაღებული ემირო გოგიტიძე და კრიმინალური წარსულის მქონე ვაჟა მჟავანაძე დაადგნენ თავს და ოპოზიციური საქმიანობის შეწყვეტა მოსთხოვეს, წინააღმდეგ შემთხვევაში, ფიზიკური განადგურებით დაემუქრნენ. ჯუმბერ ჭყონია, რომელმაც ერთი წლის წინ თავისი სურვილით დატოვა ქობულეთის პოლიციის სამძებრო განყოფილების უფროსის მოადგილის თანამდებობა, დარწმუნებულია, რომ ემირო გოგიტიძე და ვაჟა მჟავანაძე აჭარის შინაგან საქმეთა მინისტრის, ჯემალ გოგიტიძის მხარდაჭერითა და უშუალო დავალებით მოქმედებენ. ჭყონია არჩევნებამდე, არჩევნების დღეს, 28 მარტს და შემდეგაც დასახელებულ პირთა მხრიდან ფიზიკური განადგურების მიზნით თავდასხმას არ გამორიცხავს და აცხადებს, რომ შესაბამისი ორგანოების მიერ მისი ლიკვიდაციის გადაწყვეტილების შესახებ ყოფილმა თანამშრომლებმა აცნობეს.

სააკაშვილმა მუსლიმანებს დღესასწაული მიულოცა

აჭარაში მშვიდობის დამყარებისა და ევროპაში წარმატებული ვოიაჟის შემდეგ პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა ქვემო ქართლის მკვიდრ აზერბაიჯანელებს ეროვნულ-რელიგიური დღესასწაული ნოვრუზ-ბაირამი, ანუ მუსლიმანური ახალი წელი მიულოცა. სააკაშვილმა ტრადიცია არც მარნეულში დაარღვია და სამხედრო ნაწილის მონახულებისას ჯარისკაცებთან ერთად ისადილა. მანამდე კი პრეზიდენტმა აზერბაიჯანელებს მათ ენაზე მისალმების შემდეგ უთხრა, რომ მას სურს უფრო კარგად იცოდეს აზერბაიჯანული ენა, ისევე, როგორც უნდა, რომ აზერბაიჯანელები ფლობდნენ ქართულს. „თქვენ ამ ქვეყნის მოქალაქეები ხართ. ამის უკეთ შესაცნობად კი საჭიროა იცოდეთ ქართული ენა", — განუმარტა სააკაშვილმა თავის მოქალაქეებს.

ძირს იმუნიტეტი

„ნაციონალური მოძრაობისა" და „დემოკრატების" საარჩევნო ბლოკის წევრებმა დეპუტატის იმუნიტეტზე უარი განაცხადეს. მათ საქართველოს პრეზიდენტის წინაშე საზეიმო ვითარებაში ხელი მოაწერეს განცხადებას იმის შესახებ, რომ ახალი მოწვევის პარლამენტის პირველივე სხდომაზე შესაბამის საკონსტიტუციო ცვლილებებს დაუჭერენ მხარს.

აღნიშნული ცვლილებებით შეიზღუდება პარლამენტის წევრის იმუნიტეტი და სისხლის სამართლის დანაშაულის ნიშნების არსებობის შემთხვევაში, დეპუტატი, ისევე როგორც ნებისმიერი მოქალაქე, სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიეცემა.

როგორც ფიცის ტექსტშია აღნიშნული, „ნაციონალური მოძრაობა-დემოკრატები", აცნობიერებენ რა საკუთარ პასუხისმგებლობას ქვეყნისა და ამომრჩევლის წინაშე, თვლიან, რომ საქართველოში „ვარდების რევოლუციის" შემდეგ შექმნილი ვითარება სრულიად განსაკუთრებულ ვალდებულებას აკისრებს თითოეულ მათგანს".

ბლოკის წევრთა განცხადებით, ახალმა პარლამენტმა მოქმედ კანონმდებლობაში უნდა შეიტანოს რადიკალური ცვლილებები, რომლებიც საქართველოს გამთლიანებისა და განვითარებისთვის პრეზიდენტის კურსის მხარდაჭერას უზრუნველყოფს.

დოკუმენტში, ასევე, აღნიშნულია: „დაუშვებელია, რომ შეუძლებელი იყოს პარლამენტის წევრის სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიცემა, დეპუტატი შეუზღუდავი იმუნიტეტით სარგებლობდეს და საპარლამენტო იმუნიტეტი პრაქტიკულად დაუსჯელობის გარანტიად იყოს ქცეული".

როგორც ფიცის დადების ცერემონიალზე საქართველოს პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა განაცხადა, „ახალ პარლამენტში აღარ იქნებიან კრიმინალები, დაიშლება ლოზუნგი „ბანდიტებო, პარლამენტში გავერთიანდეთ".

განცხადებას საარჩევნო ბლოკის 188-ვე წევრმა მოაწერა ხელი.

სასამართლო პროცესი საპყრობილეში

სასამართლო პროცესზე, რომელიც უსაფრთხოების მიზნით სასჯელაღსრულებითი დეპარტამენტის მე-5 საპყრობილეში გაიმართა, ბასილ მკალავიშვილის მრევლის 8 დაკავებულ წევრს წინასწარი პატიმრობა ძალაში დაუტოვეს. საპყრობილეში გამართულმა დახურულმა პროცესმა მკალავიშვილის მომხრეთა პროტესტი გამოიწვია. ისინი პროცესის ღიად წარმართვასფ და დაკავებულების გათავისუფლებას მოითხოვდნენ. დაკავებულთა ადვოკატების თქმით, სასამართლომ არაობიექტური გადაწყვეტილება გამოიტანა. არასამთავრობო ორგანიზაციის „ყოფილი პოლიტპატიმრები" თავმჯდომარე ნანა კაკაბაძე მიიჩნევს, რომ უკანონოდ გასამართლებულები უკანონოდ დაკავებულებიც არიან. „ეს ნამდვილი ანგარიშსწორებაა რელიგიური ნიშნით", — აცხადებს ნანა კაკაბაძე. ბასილ მკალავიშვილისა და სხვა დაკავებულების სასამართლო პროცესი წინასწარი სამთვიანი პატიმრობის გაუქმების შესახებ 22 მარტს გაიმართება. ძალოვნები ამისათვის საგანგებო მობილიზებას აპირებენ, რომ მკალავიშვილის მხარდამჭერთა საპროტესტო აქცია უმართავ პროცესში არ გადაიზარდოს.

ნადარეიშვილის მემკვიდრე

აფხაზეთის უმაღლეს საბჭოს ახალი თავმჯდომარე ჰყავს. თამაზ ნადარეიშვილის მემკვიდრე თემურ მჟავია დარწმუნებულია, რომ საქართველოს პრეზიდენტი და მისი გუნდი აფხაზეთის პრობლემას მოაგვარებს, რომლის გადაწყვეტაზე შევარდნაძის ხელისუფლებას „რეალურად არც უფიქრია" და ამ პოლიტიკურად მნიშვნელოვანი თანამდებობის დაკავებას სწორედ ამიტომ დათანხმდა.

მისივე შეფასებით, აფხაზეთის გახლეჩილი საზოგადოების გაერთიანების შესაძლებლობა რეალურად არსებობს და „ამ შანსს ხელისუფლება აუცილებლად გამოიყენებს".

მისი მტკიცებით, აფხაზეთის უმაღლეს საბჭოში დაგეგმილი სერიოზული რეორგანიზაციის მიუხედავად, აფხაზეთის ლეგიტიმური ხელისუფლების სტრუქტურებში მოსამსახურე არც ერთი თანამშრომელი არ დაკარგავს სამუშაო ადგილს. ამავდროულად, მჟავიას თქმით, სულ მალე საზოგადოება „ახალ და საინტერესო სახეებს გაიცნობს, რომლებიც საქართველოს ხელისუფლებასთან ერთად ტერიტორიულ მთლიანობასთან დაკავშირებული პრობლემების მოგვარებაზე იზრუნებენ".

ვის რამდენი ხელფასი ექნება

უკვე ცნობილი ხდება, რომ ქართველი ჩინოსნების ხელფასებისთვის საერთაშორისო ორგანიზაციები მხოლოდ მიმდინარე წელს 12 მლნ დოლარს გაიღებენ. პრეზიდენტი, პრემიერ-მინისტრი, პარლამენტისა და უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარეები ყოველთვიურად 1.500 დოლარს მიიღებენ; პრეზიდენტის ადმინისტრაციის უფროსსა და უშიშროების საბჭოს თავმჯდომარეს კი 1.200 დოლარი დაენიშნებათ. პრეზიდენტის სამდივნოს უფროსს და ეკონომიკური საბჭოს ხელმძღვანელს 1000-1000 დოლარი ექნებათ. 4 სახელმწიფო მინისტრი ყოველთვიურად ბიუჯეტიდან გამოწერილი ხელფასის გარდა, დამატებით 1.200 დოლარს მიიღებს, ამდენივე გამოიყო დანარჩენ 15 მინისტრზეც. მათი 60 მოადგილე კი 700-700 დოლარს დასჯერდება.

შს მინისტრის პირადი შემადგენლობის 600 თანამშრომელზე ყოველთვიურად 200-200 დოლარი გამოიყოფა, ირაკლი ოქრუაშვილს კი 1.200 დოლარი დაენიშნება. პროკურატურის 100 შერჩეული გამომძიებელი კი 700-700 დოლარს მიიღებს.

როგორც ხედავთ, ჩვენი ხელისუფლების წარმომადგენლები მიზერულ ხელფასზე აღარ იცხოვრებენ. ვიმედოვნებთ, კორუფციასთან ბრძოლას უპირველესად საკუთარ თავს გამოუცხადებენ, რათა უახლოეს მომავალში შესაძლებელი გახდეს არა მარტო მათი, არამედ პენსიონერებისა და სხვა დასაქმებული მოქალაქეების შემოსავლების გაზრდა.

პროკურატურამ საგადასახადოსთვის მოიცალა

როგორც ჩანს, ახლა საგადასახადო დეპარტამენტის ჩინოსნების დაკავების ჯერი დადგა. აქციზურ მარკებთან დაკავშირებით აღძრული სისხლის სამართლის საქმე ალბათ არა მარტო ყოფილ, არამედ მოქმედ ჩინოსნებსაც შეიწირავს.

ამ ეტაპზე ეჭვმიტანილის სტატუსი აქვთ საბაჟო დეპარტამენტის უფროსს, ლევან ქისტაურსა და საგადასახადო დეპარტამენტის ყოფილ ხელმძღვანელს, იასე ზაუტაშვილს, რომლის ბინიდან ჩხრეკის დროს სამართალდამცველებმა ორი ცეცხლსასროლი იარაღი ამოიღეს.

გამომძიებლების მტკიცებით, ზაუტაშვილმა პროკურატურაში გამოძახების უწყება ჩაიბარა, თუმცა, იგი დაკითხვაზე არ გამოცხადებულა. კულუარული ინფორმაციით, მან უკვე დატოვა საქართველო და მასზე ძებნის გამოცხადების შემთხვევაში, ზაუტაშვილის დაკავება შესაძლოა ინტერპოლის საშუალებით მოხდეს. პროკურატურა ქისტაურსა და ზაუტაშვილს სახელმწიფოს კუთვნილი 900 ათასი ლარის მიტაცებაში და 5 მლნ ლარის ღირებულების აღურიცხავი სიგარეტის სავაჭრო ქსელში რეალიზაციის გამო ედავება. უკვე დაკავებულები არიან საგადასახადო დეპარტამენტის უფროსის ყოფილი მოადგილე ლევან კიკნაძე და აქციზური მარკების სამსახურის უფროსის მოადგილე გიორგი ბეროზაშვილი.

ორივე მათგანს უკვე შეეფარდა წინასწარი სამთვიანი პატიმრობა.

გაერო უკმაყოფილოა

გაეროს ადამიანის უფლებათა დაცვის სოხუმის ოფისი აფხაზეთის ტერიტორიაზე ადამიანის უფლებების დაცვის მხრივ არსებულ მდგომარეობას არადამაკმაყოფილებლად, ხოლო გალის რაიონში „არასაიმედოდ და არამყარად" აფასებს.

საქართველოში გაეროს გენერალური მდივნის სპეცწარმომადგენლის მოადგილის, გაეროს სოხუმის ოფისის ხელმძღვანელის როზა ოტუმბაევას განცხადებით, მიუხედავად იმისა, რომ გაერომ აფხაზეთის შესახებ მიღებული 5 რეზოლუციით აფხაზურ მხარეს ქალაქ გალში გაეროს ადამიანის უფლებების დაცვის ოფისის გახსნისათვის ხელშეწყობა დააკისრა, სოხუმის ხელისუფლება „უსაფრთხოების პირობების არარსებობის ფორმალური მიზეზით" ოფისის გახსნას მეექვსე წელია აყოვნებს.

როზა ოტუმბაევას განცხადებით, აფხაზეთის ტერიტორიაზე მოქმედ საერთაშორისო ორგანიზაციებს, მათ შორის გაეროს, არასოდეს ულიარებიათ ლეგიტიმურად აფხაზეთში ჩატარებული სხვადასხვა დონის არჩევნები და ასევე არ აღიარებენ 13 მარტს აფხაზეთში ჩატარებული ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების შედეგებს.

„არჩევნების დღეს თავად ვიმყოფებოდი გალის რაიონში და შემიძლია ერთმნიშვნელოვნად ვთქვა, რომ იქ არჩევნები პრაქტიკულად არ ჩატარებულა", — განაცხადა ოტუმბაევამ გაეროს თბილისის ოფისში გამართულ ბრიფინგზე.

იმის გათვალისწინებით, რომ საერთაშორისო ორგანიზაციები აქტიურად მუშაობენ სოხუმის ხელისუფლებასთან, მან იმედი გამოთქვა, რომ გალში გაეროს ოფისის გახსნისა და გაეროს სამოქალაქო პოლიციელთა ამოქმედების გადაწყვეტილებას აფხაზური მხარე ჟენევაში მიღწეული შეთანხმების შესაბამისად აუცილებლად შეასრულებს.

აპიაციიდან იზოლატორში

მთაწმინდა-კრწანისის რაიონული სასამართლოს გადაწყვეტილებით, საჰაერო ადმინისტრაციის ყოფილ უფროსს, ზურაბ ჭანკოტაძეს წინასწარი სამთვიანი პატიმრობა შეეფარდა.

პროურატურა მას რეგულირების საფასურის ხელოვნურად გაზრდის საფუძველზე, ბიუჯეტისთვის 734.609 ლარის დამალვას ედავება.

საჰაერო ადმინისტრაციის ყოფილმა უფროსმა ზურაბ ჭანკოტაძემ ჟურნალისტებთან კომენტარი მხოლოდ სასამართლოს გადაწყვეტილების გამოცხადების წინ გააკეთა. მისი თქმით, იგი თავს დამნაშავედ არ ცნობს.

როგორც პროკურორმა ემზარ ღარიბაშვილმა განაცხადა, ჭანკოტაძეს მძიმე დანაშაულის ჩადენაში ედება ბრალი, ბრალდებას ჰქონდა იმის საფუძველი, რომ მისთვის წინასწარი სამთვიანი პატიმრობა მოეთხოვა.

სისხლის სამართლის საქმეს საქართველოს გენპროკურატურა იძიებს.

იაკობიძეს იმუნიტეტი ვერ დაიცავს

ჭიათურის მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატის, სერგო იაკობიძის ადგილსამყოფელი დღემდე გასაიდუმლოებულია. როგორც ჩანს, გენერალურ პროკურატურას მასთან თანამშრომლობის იმედი გადაეწურა და ცენტრალურ საარჩევნო კომისიას იაკობიძისთვის იმუნიტეტის მოხსნის შუამდგომლობით მიმართა, რაზეც თანხმობა მიიღო.

იაკობიძის მიმართ სისხლის სამართლის საქმე მიმდინარე წლის იანვარში აღიძრა. პირველ ეტაპზე საფოსტო ბანკის მმართველს სასამართლო გადაწყვეტილების შეუსრულებლობაში ადანაშაულებდნენ. საქმის აღძვრიდან სამი თვის შემდეგ გენერალურმა პროკურატურამ იაკობიძის ბრალდება კიდევ ორი მუხლით „გაამდიდრა". მას ბრალად ედება ზუგდიდსა და წალენჯიხაში დევნილთა შემწეობის, დაახლოებით 758 ათასი ლარის მითვისება და უკანონო სამეწარმეო საქმიანობა. მიუხედავად იმისა, რომ იაკობიძეს იმუნიტეტი მოუხსნეს, ჭიაბერაშვილის თქმით, შალიკიანისაგან განსხვავებით მას კლასიკური გაგებით იმუნიტეტი არ ჰქონია. ამიტომ ცესკო მის საარჩევნო რეგისტრაციას არ შეხებია და აქედან გამომდინარე, იაკობიძეს უფლება აქვს უკვე მეოთხედ იყაროს კენჭი ჭიათურაში. თუ პროკურატურამ მომავალ მაჟორიტარულ არჩევნებამდე მისი დაკავება ვერ შეძლო, შესაძლოა იაკობიძე დეპუტატი გახდეს და მისი იმუნიტეტის მოხსნის პროცედურაც შესაბამისად გართულდება.

პოლიცია ფინანსურის გვეყოლება

საწარმოებში საფინანსო დარღვევებსა და ეკონომიკურ დანაშაულს ამიერიდან ფინანსური პოლიცია გამოავლენს. როგორც უწყების მესვეურები აცხადებენ, ეს უწყება ბიზნესის დასაცავად არის შექმნილი. თუმცა, საფინანსო-ეკონომიკური დანაშაულის გამოვლენის შემთხვევაში ბიზნესმენები უმკაცრესად დაისჯებიან.

საწარმოებში მისულმა ფინანსური პოლიციის თანამშრომელმა მოწმობა და სპეციალური ჟეტონი უნდა წარადგინოს. გადამხდელი კი ვალდებულია, პოლიციელს საჭირო დოკუმენტაცია წარუდგინოს და მის ყველა კანონიერ მოთხოვნას დაემორჩილოს. წინააღმდეგ შემთხვევაში, პოლიცია უფლებამოსილია იძულების წესი გამოიყენოს. ფინანსური პოლიციის თანამშრომელთა მხრიდან კანონის დარღვევის ფაქტების გამოსავლენად სატელეფონო ცხელი ხაზი იმუშავებს.

ქუთაისის საკრებულოს თავმჯდომარე გაუჩინარდა

ქუთაისის პროკურატურის მიერ 19 მარტს დაკავებული ქალაქის საკრებულოს თავმჯდომარე, „ახალი მემარჯვენეების" წევრი დავით ბენიძე გაურკვეველ ვითარებაში გაუჩინარდა. ბენიძის წინააღმდეგ სისხლის სამართლის საქმეა აღძრული, თუმცა ძებნილად ის ჯერ არ გამოუცხადებიათ.

მომხდართან დაკავშირებით უკვე დაიკითხნენ დავით გამყრელიძე, დავით საგანელიძე, ქუთაისის საკრებულოს წევრი გოგა ასათიანი და სხვა პირები, რომელთაც ბენიძის კაბინეტის ჩხრეკისას პროკურატურის თანამშრომლებისთვის ხელის შეშლა ედებათ ბრალად.

ინციდენტთან დაკავშირებით პროკურორს სისხლის სამართლის საქმე არ აღუძრავს. ამის მოტივად ის გარემოება სახელდება, რომ „ახალ მემარჯვენეებთან" ერთად ჩხრეკისას კაბინეტში „უამრავი ჟურნალისტი და ცნობისმოყვარეც შეიჭრა".

პროკურატურა დავით ბენიძეს 362 ათასი ლარის გაფლანგვას ედავება. ძალოვნების განცხადებით, მის კაბინეტში თითქოს 0.12 გ ჰეროინიც აღმოაჩინეს. ქუთაისში ხმები დადის, რომ ბენიძეს მიმალვაში თვითონ სამართალდამცველები დაეხმარნენ. რამდენიმე წლის წინ ის თითქმის არ მალავდა კავშირს ცნობილ ავტორიტეტთან, ტარიელ ონიანთან.

მინისტრიც ახალი, შენობაც ახალი

სალომე ზურაბიშვილი პირველი ქართველია, რომელსაც პრეზიდენტმა სააკაშვილმა ორმაგი მოქალაქეობის დამადასტურებელი პასპორტის მიღების უფლება მისცა. საფრანგეთისა და საქართველოს მოქალაქე ქალბატონი უკვე ოფიციალურად დაინიშნა საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრად.

ქვეყანას არა მარტო ახალი მინისტრი ეყოლება, არამედ საგარეო საქმეთა სამინისტროც ახალ შენობაში გადავა. იგი ბინას დაიდებს მტკვრის მარჯვენა სანაპიროზე მდებარე ნავთობის საერთაშორისო კორპორაციის შენობაში.

საქართველოს საპატრიარქოს განცხადება

სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ილია II-ის ლოცვა-კურთხევით საპატრიარქოს ახალგაზრდული ცენტრი „ძლევაი" საქართველოს სამოციქულო ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენის დღის აღსანიშნავად აწყობს ლოცვით მსვლელობას საპატრიარქოდან — სვეტიცხოვლის ტაძრის მიმართულებით.

მსვლელობა დაიწყება ამა წლის 25 მარტს, დილის 9 საათზე, საპატრიარქოდან. მსვლელობაში მონაწილეობის მიღება შეუძლია ნებისმიერ მსურველს.

დაწვრილებითი ინფორმაციისთვის დაგვიკავშირდით: 98-73-00; 899 74-35-47; 877 45-12-85.

საქართველოს საპატრიარქოს ახალგაზრდული ცენტრი „ძლევაი"

ეს იყო სააკაშვილის გამარჯვება ანგარიშით 2:1

არაჯანსაღია ის ძალა, სადაც აზრთა სხვადასხვაობა და პლურალიზმი არ არის და მისი ყველა წარმომადგენელი „ხელმძღვანელი ამხანაგების" ნება-სურვილსა თუ იდეებს ტოტალური მორჩილებით იზიარებს. შიდაფრაქციული კონკურენცია — ერთიანობის შენარჩუნების პირობით, საპარლამენტო მუშაობას იმავე მმართველი პარტიისა და, ზოგადად ქვეყნისთვის, საკმაოდ ნაყოფიერს გახდის. არა მგონია, თავად სააკაშვილს სურდეს ისეთი მორჩილი უმრავლესობის ყოლა პარლამენტში, რომელიც ამა თუ იმ საკითხს ალმის აწევ-დაწევით მიიღებს.

იმუნიტეტი დეპუტატს წვრილფეხა ჩინოსნებისაგან იცავს, რიგითი გამომძიებელი იქნება ის თუ პროკურორი

გასული კვირა საქართველოსთვის პოლიტიკურად უაღრესად დაძაბული გამოდგა როგორც საშინაო, ისე საერთაშორისო თვალსაზრისით. აჭარის მმართველ პოლიტიკურ ძალასთან და მის ლიდერთან მიმართებაში იმდენად ნათელი გახდა ყველაფერი, რომ ვფიქრობთ, მათ სახელმწიფოებრივ-პოლიტიკურ შეხედულებებსა თუ ორიენტაციაზე სჯა-ბაასი გაზეთში ადგილის მოცდენა იქნება. ჩვენი მხრივ, ზედმეტია იმ მდგომარეობაზე ლაპარაკიც, რომელშიც ახალმა ხელისუფლებამ, რბილად რომ ვთქვათ, ცუდად დაგეგმილი პოლიტიკური სვლითა თუ ოპერაციით ჩაიგდო თავი. ერთს კი ვიტყვით: თბილისიდან ნამღერი დითირამბების მიუხედავად, აბაშიძე-სააკაშვილის — ცენტრისა და რეგიონის — ურთიერთობაში განზოგადებულმა დაპირისპირებამ კიდევ ერთხელ, ნათლად დაადასტურა, რომ რუსეთი საქართველოს კვლავაც სათავისო გემრიელ ლუკმად მიიჩნევს(?) და მისი ხელიდან გაშვება მოსკოვის რეაქციული პოლიტიკური წრეებისთვის მეტად ძნელი შესაგუებელი იქნება. „რეაქციული" კი თავისთავად იმას გულისხმობს, რომ ჩვენს ჩრდილოელ მეზობელ ქვეყანაში სხვაგვარი, ჯანსაღი პოლიტიკური წრეებიც უნდა არსებობდეს...

ჩოლოქთან განვითარებულმა მოვლენებმა მოახლოებული საპარლამენტო არჩევნები უკანა პლანზე გადასწია. ქართველი პოლიტიკოსები ან ასლან აბაშიძეს განაქიქებდნენ, ან მიხეილ სააკაშვილის საქციელს გმობდნენ — გააჩნია, ვინ რა „პლატფორმაზე" იდგა. თუმცა, განურჩევლად, ყველა მათგანი, უპირველესად, მშვიდობასა და ძმათა შორის სისხლის ღვრის თავიდან აცილებაზე ლაპარაკობდა. კონფლიქტის მშვიდობიანად მოსაგვარებლად ზრუნავდნენ საერთაშორისო ორგანიზაციები თუ დასავლეთის მეგობრულად განწყობილი სახელმწიფოებიც. ასე რომ, აღარც 5%-იანი ბარიერი გახსენებია ვინმეს და აღარც სუსტი საპარლამენტო ოპოზიცია. თუ იმასაც გავითვალისწინებთ, რომ 2 ნოემბრის არჩევნებისგან განსხვავებით, პოლიტიკოსებს და მათ გაერთიანებებს ამომრჩევლებისთვის ამჯერად კალთები არ დაუხევიათ და აქტიური კამპანიის გაშლას არც ბოლო, მომდევნო კვირაში აპირებენ, როგორც ჩანს, საკმაოდ უინტერესო საპარლამენტო სესიები გველის — აღარც ჭიდაობა იქნება, აღარც მუშტი-კრივი და აღარც ლანძღვა-გინება. ყველა გადაწყვეტილებას ტაშის გრიალით მიიღებენ. თუმცა, თუ საპარლამენტო სიების გამო მმართველ პარტიაში გამოკვეთილ დაპირისპირებებს გავითვალისწინებთ, შესაძლოა, არც მთლად ასე იყოს საქმე და „ციხე შიგნიდან გატყდეს" — სხვა საქმეა, სასარგებლო იქნება თუ საზიანო ციხის ამგვარი გატეხვა ქართული პოლიტიკისა და, ზოგადად, სახელმწიფოებრიობისათვის...

გასული კვირის ბოლოს პრეზიდენტმა კიდევ ერთი მნიშვნელოვანი განცხადება გააკეთა სადეპუტატო იმუნიტეტის მოხსნასთან დაკავშირებით. აქაც ორჭოფული ვითარება იქმნება — ერთი მხრივ, პარლამენტი სავაჭრო პალატას და კრიმინალების თავშესაფარ ბუდეს აღარ დაემსგავსება, მეორე მხრივ, ისეთ სიტუაციაში, როდესაც „ლურჯი მარშრუტკა" ყველას კარს შეიძლება მიადგეს, იმუნიტეტის მოხსნამ დეპუტატების ორატორულ ხელოვნებაზე, ოპოზიციური აზრის გამოთქმის თვალსაზრისით, შესაძლოა ცუდად იმოქმედოს. მით უმეტეს, რომ, ძველი ინერციით, პარლამენტში ისეთი ხალხი ალბათ მაინც მრავლად იქნება, ეს შენობა მართლაც თავშესაფრად რომ აქვთ წარმოდგენილი...

პარლამენტში არავინ არ „ფუჭდება". იქ უკვე გამზადებული და ჩამოყალიბებული დამნაშავეები მიდიან სწორედ იმისთვის, რომ თავის დანაშაულებრივ წარსულზე პასუხი არ აგონ. ალბათ ამაზე გარკვეული, ოფიციალური პასუხისმგებლობა უკვე ფრაქციებისა თუ პარტიების ხელმძღვანელებმა უნდა ითავონ — თუ ვინ ხვდება მათი პარტიული სიის მეშვეობით ქვეყნის უმაღლეს საკანონმდებლო ორგანოში. აქვე მეორე საკითხიც არის — როდესაც იმუნიტეტზეა ლაპარაკი, საზოგადოებას ექმნება შთაბეჭდილება, რომ იმუნიტეტის მქონე ადამიანი, ამ შემთხვევაში დეპუტატი, სრულიად თავისუფალია ყოველგვარი პასუხისმგებლობისგან. არადა ასე ნამდვილად არ არის

ქართულ რეალობაში არსებულ ამ და სხვა მნიშვნელოვან საკითხებზე იურისტი **დათო უსუფაშვილი** გვესაუბრება:

— ოპოზიციასა და მმართველ ძალაზე ლაპარაკისას, უპირველესად, უნდა გავითვალისწინოთ, რომ 28 მარტის არჩევნები, პრაქტიკულად, 2 ნოემბრის არჩევნების გაგრძელება, მისი მეორე ეტაპი გახლავთ. ანუ, დღეს შექმნილ ვითარებაში სუსტი ოპოზიციისა და გაძლიერებული ხელისუფლების კლასიკური, პოლიტიკური მაგალითი არანაირად არ გვაქვს. 2 ნოემბრის მოვლენები სწორედ იმან გამოიწვია, რომ შევარდნაძის ხელისუფლების რეიტინგი უკიდურესად დაბალი იყო, მმართველობის ბოლო პერიოდში კი საერთოდ, ნულის ტოლი გახდა. სხვა საუბრისა და ანალიზის თემაა ის ფაქტი, რატომ გახდა ამის შედეგად ოპოზიციიდან სააკაშვილისა და ბურჯანაძის ფრთა ხალხში ყველაზე პოპულარული, რამაც მათი ხელისუფლებაში მოსვლა განაპირობა. ასეა თუ ისე, ერთი რამ ფაქტია — ყოფილი სახელისუფლებო პარტიების ოპოზიციაში გადაბარგება, უპირველესად, პოლიტიკურად თავის გადარჩენის მცდელობაა და, ამდენად, უფრო თვითმიზანი, ვიდრე რეალური და ჯანსაღი ოპოზიციონერობა. ეს დღეს არსებული ოპოზიციური სპექტრის ერთი სეგმენტი გახლავთ. რაც შეეხება სხვა პარტიებს, მათი მდგომარეობაც არც ისე სახარბიელოა და, პრინციპში, ყველაფერი ისევ 2 ნოემბერს უკავშირდება. რეიტინგის თვალსაზრისით, მათთვის შესაძლოა, საბედისწერო გამოდგეს ის ყოყმანი და მერყევი პოზიცია, რაც რევოლუციის დღეებში ხელისუფლებისა და ხალხის მიმართ დაიკავეს თუ ვერ დაიკავეს. ამა თუ იმ მიზეზით გაურკვევლობისა და ყოყმანის პრობლემა დღეს ოპოზიციაში მყოფ ყველა ამ პარტიას და პოლიტიკოსს აქვს. ყოველ შემთხვევაში, ფაქტია, რომ მანამდე დაკავებული უაღრესად კრიტიკული პოზიციის მიუხედავად, მემარჯვენეებს ხელისუფლების მიმართ კონკრეტული და მკვეთრი პოზიციის დაფიქსირება ნოემბრის მოვლენების დროს აშკარად გაუჭირდათ; სხვა მოტივითა და მიზეზებით, ასეთივე მდგომარეობაში იყო ნათელაშვილიც და ასეთივე დღეშია კაკო ასათიანიც, რომელიც ჯერ რევოლუციურ ძალებთან მოიაზრებოდა და მათ გვერდით იდგა, შემდეგ კი მოულოდნელად, მათ მიმართ მკვეთრად კრიტიკული პოზიცია დაიკავა. ასეთი მკვეთრი „მოძრაობები", მათი გამომწვევი მიზეზებისგან დამოუკიდებლად, საზოგადოების მხრიდან მაინცდამაინც დადებითად არ ფასდება. რაც შეეხება კოკო გამსახურდიას „თავისუფლებას", ვფიქრობ, აქ უფრო მისი წარმომავლობის ფაქტორი მოქმედებს და არა განვლილი თვეების, ან თუნდაც წლებისა. ამდენად, ამ პარტიის პოზიცია ქართულ პოლიტიკაში სრულიად არაპროგნოზირებადია და ხვალ, შესაძლოა, კარდინალურად შეიცვალოს; ისევე, როგორც არაპროგნოზირებადია მისი ძალებიც პარლამენტში — შესაძლოა, ხმათა სერიოზული რაოდენობა მიიღოს ან სულაც პარლამენტს გარეთ აღმოჩნდეს. რაც შეეხება „აღორძინებას", მანამდეც და, მით უმეტეს, განვლილ კვირაში განვითარებული მოვლენების შემდეგ, მისი მდგომარეობა უაღრესად მძიმე იქნება — რასაკვირველია, თუ არჩევნებში ამ პარტიის მხრიდან ტრადიციულ „მანიპულაციებს" არ ექნება ადგილი. თუმცა, ვფიქრობ, ეს ადრინდელზე გაცილებით ნაკლებად მოხდება.

ამ პირობებისა და სიტუაციის გათვალისწინებით, პოლიტიკური ამინდის შესაქმნელად ალბათ ძალიან მცირე მნიშვნელობა ექნება, რა რაოდენობით მოხვდება რომელიმე ზემოთ ნახსენები პოლიტიკური გაერთიანება პარლამენტში. ალბათ რეალური ოპოზიცია ისევ მმართველი პარტიის შიგნით უნდა აღმოცენდეს...

— ანუ, უკანასკნელ პერიოდში გაჩენილი ერთგვარი წინააღმდეგობა თუ განხეთქილებები ნაციონალურ მოძრაობასა და გაერთიანებულ დემოკრატებს შორის შესაძლოა, სახელმწიფოებრიობისთვის სასარგებლოც აღმოჩნდეს?

— ვფიქრობ, რომ ასეა. არაჯანსაღია ის ძალა, სადაც აზრთა სხვადასხვაობა და პლურალიზმი არ არის და მისი ყველა წარმომადგენელი „ხელმძღვანელი ამხანაგების" ნება-სურვილსა თუ იდეებს ტოტალური მორჩილებით იზიარებს. შიდაფრაქციული კონკურენცია — ერთიანობის შენარჩუნების პირობით, საპარლამენტო მუშაობას, იმავე მმართველი პარტიისა და, ზოგადად ქვეყნისთვის, საკმაოდ ნაყოფიერს გახდის. არა მგონია, თავად სააკაშვილს სურდეს ისეთი მორჩილი უმრავლესობის ყოლა პარლამენტში, რომელიც ამა თუ იმ საკითხს ალმის აწევ-დაწევით მიიღებს. რასაკვირველია, იქნება ერთი აზრი, გარკვეულ გლობალურ, პრინციპულ საკითხებზე, მაგრამ იქნება კამათი და საკმაოდ მწვავე დებატებიც, რაც იმ დახშული სივრცის გახსნის საწინდარი გახდება, ჯერ გამსახურდიას, შემდეგ შევარდნაძის მმართველობის პერიოდში რომ ჩამოყალიბდა და განმტკიცდა, როგორც საპარლამენტო უმრავლესობის აუცილებელი ფუნქცია-მოვალეობა.

— ერთგვარად, სწორედ საპარლამენტო ოპოზიციის არსებობას უკავშირდება სადეპუტატო იმუნიტეტის საკითხიც, რასთან დაკავშირებითაც სააკაშვილმა თავისი პოზიცია ერთმნიშვნელოვნად დააფიქსირა — პირველივე საპარლამენტო სხდომა სრულიად გააუქმებს საკუთარ იმუნიტეტს. 2 ნოემბრამდე ეს საკითხი თითქოსდა ეჭვისა და მსჯელობის საბაბიც არ უნდა გამხდარიყო. მაგრამ დღევანდელ სიტუაციაში გენერალურმა პროკურატურამ ნებისმიერი დეპუტატი შეიძლება წარსულში ჩადენილ უკანონობაში „გამოიჭიროს"...

— სამწუხაროდ, ამ საკითხს პოლიტიკოსებიც და ანალიტიკოსებიც ძალიან ზედაპირულად უდგებიან. არადა სადეპუტატო იმუნიტეტი უაღრესად მნიშვნელოვანი საკითხი გახლავთ და პარლამენტარიზმის საფუძვლად შეიძლება ჩაითვალოს. აქ დემოკრატიის ორი მთავარი პრინციპი ეჯახება ერთმანეთს — ერთი მხრივ, ადამიანები, გვარიშვილობისა თუ თანამდებობის მიუხედავად, კანონის წინაშე თანაბრად უნდა აგებდნენ პასუხს, მეორე მხრივ კი, თუნდაც კანონის უზენაესობის პირობებში, დაცული უნდა იყოს უმცირესობის უფლებები და უსაფრთხოება, რაც პლურალიზმის არსებობისთვის აუცილებელია. ვფიქრობ, არც ერთი და არც მეორე უკიდურესობა სარგებელს არ მოგვიტანს. არ ვიცი, დღევანდელ საქართველოში თუ არის რამე კიდევ ისე სახელგატეხილი, როგორც პარლამენტია. ამის ნათელი დადასტურებაა შევარდნაძის მიერ ჩატარებული რეფერენდუმის შედეგებიც — მოსახლეობა ერთსულოვნად დათანხმდა პარლამენტართა რაოდენობის შემცირებაზე ისე, რომ ამის მიზეზი და საჭიროება მეცნიერულად მისთვის არავის დაუსაბუთებია. მეორე მხრივ, ისიც ფაქტია, რომ პარლამენტში არავინ არ „ფუჭდება". იქ უკვე გამზადებული და ჩამოყალიბებული დამნაშავეები მიდიან სწორედ იმისთვის, რომ თავის დანაშაულებრივ წარსულზე პასუხი არ აგონ. ალბათ ამაზე გარკვეული, ოფიციალური პასუხისმგებლობა უკვე ფრაქციებისა თუ პარტიების ხელმძღვანელებმა უნდა ითავონ — თუ ვინ ხვდება მათი პარტიული სიის მეშვეობით ქვეყნის უმაღლეს საკანონმდებლო ორგანოში. აქვე მეორე საკითხიც არის — როდესაც იმუნიტეტზეა ლაპარაკი, საზოგადოებას ექმნება შთაბეჭდილება, რომ იმუნიტეტის მქონე ადამიანი, ამ შემთხვევაში დეპუტატი, სრულიად თავისუფალია ყოველგვარი პასუხისმგებლობისგან. არადა ასე ნამდვილად არ არის — ჩვეულებრივი მოქალაქის პასუხისმგებლობისგან დეპუტატს მხოლოდ ერთი საფეხური განასხვავებს — მისი სისხლის სამართლის პასუხისგებაში მისაცემად საპარლამენტო უმრავლესობის თანხმობაა საჭირო. თუ მმართველ პარტიას ვინმეს მიმართ პოლიტიკური ანგარიშსწორება ექნება ჩაფიქრებული, როგორღაც მის წინააღმდეგ ხმათა უმრავლესობის მოგროვებას და იმუნიტეტის პირობებში მის დასჯასაც მოახერხებს. მით უმეტეს, რომ უახლოეს წარსულში, ჩვენი საზოგადოების ცხოვრების წესიდან გამომდინარე, დანაშაულის პოვნა მაინცდამაინც ძნელი არ იქნება. მაგრამ მეორე მხარე ამგვარ მიდგომასაც გააჩნია — როგორც წესი, იმუნიტეტი დეპუტატს არა საპარლამენტო უმრავლესობისა და, ზოგადად, მმართველი ხელისუფლების აგრესიის ტოტალური გამოხატვისგან იცავს, არამედ წვრილფეხა ჩინოსნებისგან, რიგითი გამომძიებელი იქნება ის თუ პროკურორი. ბუნებრივია, რომ აგრესიის გამოხატვას, ამა თუ იმ პირის მიმართ, ხელისუფლება სწორედ ამ ადამიანების მეშვეობით შეეცდება. საპარლამენტო სხდომაზე იმუნიტეტის გაუქმება კი ნებისმიერი საბაბის შემთხვევაში საზოგადოებრივი მსჯელობის საგანი გახდება — შესაბამისად, გახდება სხვადასხვა ვარაუდისა თუ ეჭვის გამოთქმის მიზეზიც. სწორედ ამიტომ მიმაჩნია, რომ იმუნიტეტი არ არის ის საკითხი, რომლის არსებობა-არარსებობაზე ხელაღებით შეიძლებოდეს მსჯელობა. თუმცა, ისიც უნდა ითქვას, რომ პოლიტიკური თვალსაზრისით, მმართველი ძალის მხრიდან არჩევნების წინ ასეთი განცხადების გაკეთება საკმაოდ მომგებიანი ნაბიჯია იმის ოფიციალური დეკლარირებისთვის, რომ პარლამენტში თავშესაფრის პოვნაზე აღარავინ იფიქროს. ალბათ ბევრად უფრო რეალური და მართებულიც იქნება, თუ ახალი მოწვევის პარლამენტი არა იმუნიტეტის სრულ გაუქმებაზე, არამედ მის შეზღუდვაზე იზრუნებს — თავისთავად, ეს ცნება ქართულ რეალობაშიც საჭიროა, მაგრამ არა იმ დოზით, როგორც ეს საქართველოს კანონმდებლობაშია ასახული.

— თავის დროზე მაჟორიტარი დეპუტატების მანდატის ძალაში დატოვებამ ბევრი მითქმა-მოთქმა გამოიწვია. ხომ არ შეიძლება, სააკაშვილის განცხადება, იმუნიტეტის გაუქმებასთან დაკავშირებით, სწორედ მაჟორიტარული სისტემის პარლამენტში მოხვედრილი არაჯანსაღი ძალების წინააღმდეგ იყოს მიმართული?

— სიმართლე გითხრათ, ახალი ხელისუფლებისთვის დღემდე ვერ მიპატიებია ის კომპრომისი, რაც მაჟორიტარების დატოვებაში გამოიხატა. მას უნდა გამოეყენებინა უფლება და შანსი და პროპორციული არჩევნების შედეგების გაუქმების შემდეგ მაჟორიტარული შედეგების გადახედვაზე მაინც უნდა ეზრუნა. რევოლუციის პირველ დღეებშივე ასეთ პოლიტიკურ კომპრომისს ხელისუფლების მხრიდან ალბათ ის გამართლება აქვს, რომ მას რაიონებში დასაყრდენი ძალა სჭირდებოდა — წესრიგის დამყარებისა თუ, გნებავთ, საპრეზიდენტო არჩევნების ჩატარების თვალსაზრისით. შესაძლებელია, ასეთი დახმარება მაჟორიტარებისგან ახალმა ხელისუფლებამ მიიღო კიდეც, მაგრამ ისიც ფაქტია, რომ პატიოსანთან ერთად, ამ სისტემით საქართველოს ახალი მოწვევის პარლამენტში ბევრი ოდიოზური ფიგურაც მოხვდა. არ გამოვრიცხავ, რომ იმუნიტეტის გაუქმება სწორედ ამ „ბალასტის" წინააღმდეგაც იყოს მიმართული. ნებისმიერ შემთხვევაში, იმის გათვალისწინებით, რომ ეს ერთჯერადი აქტი ვერ იქნება, საკითხს სერიოზული მიდგომა და დამუშავება სჭირდება მანამ, სანამ პარლამენტი გადაწყვეტილებას მიიღებს.

— გასულ კვირაში ცენტრის და რეგიონის დაპირისპირებამ პიკს მიაღწია, თუმცა ვნებები დროებით, მაგრამ მაინც ჩაცხრა. შეიძლება ითქვას, რომ სააკაშვილსა და აბაშიძეს შორის პოლიტიკური ბრძოლის საკმაოდ სერიოზული რაუნდი შედგა. გასულ კვირაში ისიც გამოჩნდა, რომ საჭიროების შემთხვევაში, ასლან აბაშიძე მხოლოდ პოლიტიკური ბრძოლით არ დაკმაყოფილდება და უარს არც სხვა მეთოდებზე იტყვის. მაინც, რა შეფასება შეიძლება მივცეთ ამ რაუნდის დასასრულს — ეს იყო ამერიკის, რუსეთის, აბაშიძის თუ სააკაშვილის გამარჯვება?

— მიუხედავად იმისა, რომ ანგარიშში სერიოზული სხვაობა არ არის, მაინც ვიტყოდი, რომ ეს იყო სააკაშვილის გამარჯვება ანგარიშით 2:1. ყოველ შემთხვევაში, დღეს პრეზიდენტი გაცილებით უკეთეს პოზიციაშია, ვიდრე ეს თუნდაც ათი დღის წინ იყო — აჭარაში ჩავლენ ცენტრალური ხელისუფლების მინისტრები, მოხდება ადგილობრივი სტრუქტურების გაკონტროლება თუ ამის სერიოზული მცდელობა მაინც, გაჩნდა იმედი იმისა, რომ აბაშიძეს არჩევნების ტოტალური გაყალბების საშუალება არ ექნება...

მაგრამ ამასთან ერთად, კიდევ უფრო მკაფიოდ გამოჩნდა, თუ რაზე შეიძლება იყოს წამსვლელი ასლან აბაშიძე ხელისუფლების შენარჩუნების მოტივით; ისიც ფაქტია, რომ იარაღი, რომელიც აჭარის რეგიონში მოსახლეობას დაურიგდა, ცენტრალურ ხელისუფლებას არ დაუბრუნდება — ის კვლავაც „აღორძინების" განკარგულებაში რჩება. რაც შეეხება რუსეთისა და ამერიკის დაპირისპირებას: მიხეილ სააკაშვილს საკმაოდ კარგად ვიცნობ და იოლად შემიძლია გამოვიცნო, თუ როდის არ არის ის გულწრფელი თავის განცხადებაში: მოსკოვის მიმართ სამადლობელი სიტყვის წარმოთქმისას ის უფრო პრეზიდენტი სააკაშვილი იყო, ვიდრე პიროვნება — სააკაშვილი და ეს ფაქტორი სწორედ დასავლეთის მიერ დაკავებულმა პოზიციამ განაპირობა. ამერიკის შეერთებული შტატები, სხვათა შორის, შევარდნაძესაც იმავე პირობას უყენებდა. რუსეთთან საქართველოს ურთიერთობის გამწვავება მათ დღესაც ისევე არ აძლევთ ხელს, როგორც ადრე. ამერიკასთან მეგობრული ურთიერთობა სწორედ რუსეთთან ურთიერთობის მშვიდობიანი მოგვარების გზაზე გადის. შევარდნაძეს ეს არც ერთთან გამოუვიდა და არც მეორესთან. სააკაშვილი ცდილობს, ეს პოლიტიკა გაატაროს. დრო გვიჩვენებს, რამდენად წარმატებული იქნება იგი; სხვათა შორის, დრო იმასაც გვიჩვენებს, მოგვარდება თუ არა პირველ რიგში აჭარის, უფრო სწორად კი, „აღორძინების" პრობლემა...

დაჩი გრძელიშვილი

საპარლამენტო არჩევნებს წყვდიადი ემუქრება

თქვენ, ვინც ანძებს ჭრით და ცხრილავთ!

ჯერ სტიქიისა და ზვავის ჩამოწოლის, შემდეგ კი „ანძებჭამია“ არაკაცების წყალობით, ქართულ ენერგოსისტემაში კრიზისი ისევ განახლდა. ამის გამო მთელ ქვეყანაში, მათ შორის, დედაქალაქშიც ელექტროენერგიის მიწოდების უმკაცრესი გრაფიკი დაწესდა. სავარაუდოდ, იგი შესაძლოა მთელი კვირის მანძილზე გაგრძელდეს. არ არის გამორიცხული, 28 მარტის საპარლამენტო არჩევნებიც კი წყვდიადში ჩატარდეს. მარტის დასაწყისში საქართველო-რუსეთის ენერგოსისტემის დამაკავშირებელი მაღალი ძაბვის გადამცემი ხაზი „კავკასიონი“ რუსეთის მონაკვეთზე ზვავმა დააზიანა. სისტემის მწყობრიდან გამოსვლის გამო, საქართველოს 350 მეგავატი ელექტროენერგია დააკლდა. მიუხედავად იმისა, რომ ავარიის შედეგების ლიკვიდირება მოხერხდა, ქვეყანაში ენერგოკრიზისი კვლავ გრძელდება. 300-მეგავატიანი ენერგოდეფიციტის დაბალანსება ვერ ხერხდება, რადგან 19 მარტს „კავკასიონს“ ენერგოდივერსანტებმა მიაყენეს დარტყმა. ენგურჰესზე წყლის მწვავე დეფიციტია. არც სხვა ადგილობრივი ენერგოგენერაციის ობიექტები მუშაობენ სტაბილურად. ყოველივე ამის გამო პროგნოზებს ვერავინ აკეთებს, თუ რა იქნება ხვალ, გვექნება თუ არა შუქი. სახელისუფლებო კულუარებში სათბობ-ენერგეტიკის ახალგაზრდა მინისტრს ყველა თანაუგრძნობს. თვლიან, რომ ამ პოსტზე ყოფნა დღეს სიკვდილმისჯილის სკამზე ჯდომის ტოლფასია.

თუ **ნიკა გილაურის** თითქმის სასოწარკვეთილი და ნირწამხდარი გამომეტყველებით ვიმსჯელებთ, მინისტრის „გულშემატკივართა“ დასკვნა ლოგიკასმოკლებული სულაც არ არის. საქართველოს მოსახლეობა ჩაბნელებული სახლების გამო პასუხს მაინც მინისტრისგან ითხოვს.

— ბატონო ნიკა, „კავკასიონზე“ ავარიის შედეგების აღმოფხვრას და ქვეყნის განათებას ჯერ კიდევ წინა კვირაში გვპირდებოდით, რა ხდება?

— კრიზისი გრძელდება, — სამწუხაროდ, ამის თქმა მიწევს. არც კი ვიცი, რა ვუწოდო მიზეზს, რის გამოც შეზღუდვით მოგეწოდებათ ელექტროენერგია. წალენჯიხის რაიონში სოფელ მუჟავაში „კავკასიონის“ ერთ-ერთ უზარმაზარ ანძაზე განგებ, „ნაჟოვკით“ არის გადაჭრილი რამდენიმე ტროსი, გადაჭრილი და წაქცეულია ანძა. ეს არის შეგნებულად ჩადენილი დანაშაული, მაგრამ არ მესმის, ვის წინააღმდეგ უნდა იყოს იგი მიმართული. ჩანს, ვიღაცას უნდა არჩევნები ჩაშალოს. ეს კი სახელმწიფოს წინააღმდეგ განხორციელებული საბოტაჟია.

შსს-ს უკვე ვთხოვეთ დახმარება. დამნაშავე აუცილებლად მოიძებნება. სხვანაირად გაგრძელება აღარ შეიძლება. თითო ანძასთან 10 პოლიციელს ხომ არ დავაყენებთ. კიდეც რომ დავაყენოთ, იმ თოვლსა და სიცივეში ერთ საათში ნებისმიერი სულიერი გაიყინება.

— კრიზისი რამდენ ხანს გაგრძელდება?

— სავარაუდოდ, 5 დღეს. მიმდინარეობს დაზიანებული კი არა, განადგურებული ანძის აღდგენა. ვცდილობთ, უმოკლეს ვადებში ჩავეტიოთ, მაგრამ თავს ზევით ძალა არ არის.

— „კავკასიონის“ გარდა, ელექტროენერგიის იმპორტით დეფიციტის დაბალანსება სომხეთიდან და რუსეთიდან „სალხინოს“ საშუალებით არ შეგიძლიათ?

— სომხეთიდან 150 მეგავატი შემოდიოდა. მაქსიმუმი 180-მდე შეიძლება გავზარდოთ. მეტ დატვირთვას ვერ გაუძლებს. რაც შეეხება „სალხინოს“, ახლა იქ მრიცხველებს ამონტაჟებენ. როცა მათ რუსული და ქართული მხარეები დალუქავენ, მხოლოდ ამის შემდეგ მოხერხდება 75 მეგავატი ელექტროენერგიის მიღება.

— არჩევნებისთვის შუქი იქნება?

— ეს დივერსია რომ არ მომხდარიყო, პრობლემა არც ახლა გვექნებოდა. თუ ანძებს ყოველ ფეხის ნაბიჯზე დაჭრიან, მე ვერაფერს დაგპირდებით. საქართველოს მოსახლეობას ვთხოვ, ეკონომიურად ხარჯონ ელექტროენერგია, რომ მისი გადანაწილება მოვახერხოთ.

— აფხაზებთან როგორ გაქვთ საქმე, ხომ შეთანხმდით, რომ „ენგურჰესის“ წყალსაცავში მარაგის დაზოგვის მიზნით ეკონომიას გააკეთებდნენ? როგორც ვიცით, მარტო აფხაზებს იქიდან 180 მეგავატი ელექტროენერგია მიაქვთ.

— შეთანხმების საფუძველზე ისინი 40-50 მეგავატის ეკონომიას აკეთებენ, ამით პიკის საათებში თბილისს მაქსიმალურად ვტვირთავთ.

— „ენგურჰესი“ როდის გაჩერდება?

— არ ვიცით. ამაზე ჯერ კიდევ არ არსებობს კონკრეტული გადაწყვეტილება. სპეციალისტების აზრით, ჰესის შეჩერება ტექნიკურ პრობლემებს გამოიწვევს. მარტ-აპრილის განმავლობაში შეიძლება არც გაჩერდეს, ან გაჩერება სულაც წლის ბოლოსთვის გადაიდოს (ვაი, იმ ზამთარს! — ე.ლ.).

— ხომ არ ფიქრობთ თბილსრესის სხვა ბლოკების ამუშავებას?

— მე-9 ბლოკი ამჟამად მაქსიმალურ 220 მეგავატს გამოიმუშავებს. „თბილსრესის“ დანარჩენი ბლოკების ამოქმედება კი რიგი პრობლემების გამო ჯერჯერობით, მხოლოდ სურვილების დონეზე რჩება და შეიძლება ოდესმე განხორციელდეს კიდეც...

P.S. შეგახსენებთ: „აწ გარდაცვლილ“ მე-10 ბლოკს, მე-9 ბლოკის მსგავსად, 220-250 მეგავატის გამომუშავება შეეძლო. ამ შემთხვევაში ქვეყანა ენერგოკრიზისს გადაურჩებოდა და მთელი საქართველო „კავკასიონზე“ ჩამოკიდებული აღარ იქნებოდა... და კიდევ: თქვენ, ვინც ანძებს ჭრით, ცხრილავთ ელექტროენერგიის გადამცემ ხაზებს, საქართველოში არ ცხოვრობთ, ოჯახები არა გაქვთ? როდემდე აპირებთ „ბნელში“ ცხოვრებას?

ეკა ლომიძე

ლამაზი ზღაპარი, რომელიც არ უნდა დასრულდეს

„ყველა ბავშვი შეძლებულ კაცს მოვანათვლინე, რომ ცხოვრებაში მფარველი ჰყავდეთ“

ზღაპარში ყველაფერი კარგად მთავრდება, ცხოვრებაში?! თუმცა რეალობაშიც არსებობს ზოგჯერ ზღაპარი, თუნდაც ხანმოკლე, მაგრამ მაინც... ცოტა შორიდან დავიწყებ ამ ამბავს.

ამას წინათ დედოფლისწყაროში, უნარშეზღუდულ ბავშვთა სკოლაში, მიმიწვიეს. აქ, ერთ ჭერქვეშ თავმოყრილ ათეულობით ბავშვს ცხოვრებამ ძალიან ადრე დაანახვა მკაცრი და ულმობელი სახე. ბევრი მათგანი თანდაყოლილი და შეძენილი დაავადებებით იტანჯება, ბევრიც გარკვეული მიზეზების გამო ჩამორჩება განვითარებაში. ყველა მათგანს სჭირდებოდა დახმარება. ისინი გაბნეული იყვნენ დედოფლისწყაროს რაიონის მახლობელ სოფლებში. მათი ბედი მაშინ გადაწყდა, როცა 23 წლის **ლექსო ზათიაშვილმა** გადაწყვიტა, დახმარებოდა უნარშეზღუდულ ბავშვებს და მათთვის სკოლა დაეარსებინა. უჩვეულო არაფერი მომხდარა, ოღონდ ძალიან გამიკვირდა ამ ხნის ბიჭისაგან მსგავსი დაინტერესება, მას კი ჩემი გაკვირვება უფრო გაუკვირდა:

— ასაკი რა შუაშია? მთავარია, გულმა გიკარნახოს. ამათთან ურთიერთობის შემდეგ სამყაროსაც სხვა თვალით შეხედავ. სწავლობ, რომ ადამიანების სიყვარული აუცილებელია. ამ ბავშვებს უყვართ ადამიანები, უბოროტოები, მიმნდობები არიან...

— *როგორ მოუყარეთ თავი?*

— კითხვა-კითხვით მივაგენი... ერთ ბავშვს ხატვის დიდი ნიჭი აქვს, მხედველობა კი კატასტროფულად აკლდებოდა. სასწრაფო ოპერაცია სჭირდებოდა. გავუკეთეთ ოპერაცია და სრული სიბრმავისაგან ვიხსენით. აი, ეს გიორგი ხაჩიშვილია, ხომ ხედავ, რა მძიმე მდგომარეობა აქვს: ცერებრალური დამბლა, ტეტრაპარეზი, სამშობიარო ტრავმა... ჩვეულებრივ სკოლაში დაჰყავდათ, მაგრამ გაიზარდა, მისი ხელით ტარება გაჭირდა. გიორგი სკოლის გარეშე რჩებოდა... 2001 წლიდან ჩვენს სკოლაში დადის. ვასწავლეთ კომპიუტერზე მუშაობა... გიორგიმ შეძლო და თავისი ხელით დაბეჭდა საკუთარი ლექსები...

— *არ გიჭირთ მათი მკურნალობით უზრუნველყოფა, პატრონობა?*

— საკმაოდ მოხერხებულად მოვიქეცი. გადავწყვიტე, ეს ბავშვები დედოფლისწყაროს შეძლებული ადამიანებისათვის მომენათვლინებინა. ჩამოვუარეთ თანამდებობის პირებს და ბიზნესმენებს და ნათლობაზე დავპატიჟეთ. ჩემი თანამშრომელი, ქალბატონი დალი, გამგებელთან გავგზავნეთ — ამა და ამ დღეს ნათლობა გვაქვს და გეპატიჟებითო. არ მცალიაო, უპასუხია, მაგრამ მონათვლაზე უარის თქმა რომ არ შეიძლებაო?! ჰოდა, დათქმულ დროს გამგებელიც მობრძანდა. პატარებს ნათლიები ეხმარებიან და ამბობენ, არასოდეს მოვაკლებთ მზრუნველობასო.

სკოლის შენობა ჩვეულებრივი ორსართულიანი სახლია. ბავშვები ფუსფუსით შემეგებნენ. ნახატები მიჩვენეს, მიმღერეს. გიორგი, რომელსაც დამოუკიდებლად მოძრაობა არ შეუძლია და მეტყველებაც ძალიან უჭირს, ჭკვიანი, სევდიანი თვალებით მიყურებდა. მომეჩვენა, რომ მსგავსი სევდიანი თვალები არც მენახა. დედამისმა გიორგის ლექსების წიგნი მომაწოდა. პირველივე ლექსმა თითქოს გიორგის სათქმელი მითხრა:

„ჩემო კახეთო, ლამაზო,
ჩემო საყვარელო,
ნეტავ, ფეხით მომატარა
შენი მთა და მდელო“.

სადილობის დრომ მოაწია. პატარებს ცხელი ხინკალი შემოუტანეს. ბავშვებმა მითხრეს, კვირაში ერთხელ ხინკლის დღე გვაქვსო. სიხარულით იყვნენ ანთებულები. ზოგიერთისთვის სკოლაში მირთმეული სადილი ერთადერთია, რადგან ოჯახს ძალიან უჭირს. ყველაზე მეტად მაინც საჩუქრები უხარიათ. იმ დღესაც ასე იყო. დაურიგეს ტანსაცმელი, სათამაშოები. აქ ხშირად უცხოელი სტუმრებიც

მოდიან ხელდამშვენებულები.

ერთი ამბავი მიამბეს, რომელიც ძალიან მინდა, ყველა ქართველმა იცოდეს: სკოლას თურმე გერმანელების ოჯახი ესტუმრა — მშობლები ორი ბავშვით. პატარები გაფართოებული თვალებით უყურებდნენ ავადმყოფ თანატოლებს... წასვლისას გერმანელებს პედაგოგებისათვის უთქვამთ, როცა ბავშვები ასეთ სკოლას ნახულობენ, ცხოვრებას სხვანაირად უყურებენო...

ახლა კი, იმ აზრს დავასრულებ, რომლითაც დავიწყე: ლექსო ზათიაშვილი თითქოს ზღაპრის რაინდიაო, მოვიდა და ზღაპარი აჩუქა პატარებს, ირგვლივ თითქოს კეთილი ფერიები არიან — მასწავლებლები დასტრიალებენ უნარმოკლებულ ბავშვებს. ეს არის აუცილებელი, ლამაზი ზღაპარი, რომელიც არ უნდა დასრულდეს ამ პატარებისათვის...

ტრიო „თილისმა“ სიყვარულზე მღერის

ტრიო „თილისმა“ ჯერ სულ ხუთი წლისაა, მაგრამ ასაკს რა მნიშვნელობა აქვს, მთავარია, რა შეუძლია. მას კი, გარდა იმისა, რომ მოყვარულთა ტრიოების დათვალიერებაში ზედიზედ ორჯერ, პირველი ადგილი აქვს აღებული, სხვა მადლითაც არის ცხებული. მათ შემხედვარეს მარტო ქართული სიმღერა კი არა, საქართველოც უფრო მეტად შეგიყვარდება. მე მას საჩვენებელ ტრიოს დავარქმევდი და ყველას ვურჩევდი, ახლოს გაეცნო. „თილისმას“ ხელმძღვანელმა ბატონმა **დავით კერესელიძემ** თავისი ტრიოს წევრები — ქეთი ფაილოძე და ნონა ნაჭყებია — ღვაწლმოსილ პედაგოგებთან შეხვედრაზე გაიცნო. მათ ყოველ გამოსვლას წარმატება და სიყვარული ახლავს...

დავით კერესელიძე: — ერთ დღეს, სამსახურიდან დაბრუნებულს მეუღლემ ამბავი დამახვედრა — ტელევიზიიდან დაგირეკეს, შენი სიმღერების ჩაწერა გთხოვესო. გამიხარდა, მაგრამ ვისთან ერთად უნდა ჩამეწერა! გამახსენდა ჩვენი „ტრიო“. დავურეკე გოგონებს. ნონა მაშინვე დამთანხმდა. ქეთიმ — ბოტკინი მაქვსო... გამოსავალი ისევ მე ვიპოვე. მოდი, შენთან ჩავატარებთ რეპეტიციებს, ამასობაში გამოჯანმრთელდები კიდეც-მეთქი. დავიწყეთ მუშაობა. ვისღა ახსოვდა ბოტკინი! ქეთი სიმღერ-სიმღერაში გამოჯანმრთელდა კიდეც. ჩავწერეთ ორი სიმღერა და გავაგრძელეთ რეპეტიციები.

— თუ „პატრონობთ“ ქეთისა და ნონას გასტროლებზე?

— მაგათ, ჩემ გარდა, იმდენი პატრონი გამოუჩნდებათ ხოლმე... ტრიოს რეჟისორი გოგა გეგელია და მენეჯერი გია იაქაშვილი (ნონას მეუღლე) მშვენივრად უძღვებიან მაგ საქმეს. მე მარტო გიტარის დაკვრა და სიმღერა მევალება.

— ახალ სიმღერებს როცა წერთ, განსაკუთრებულ პირობებს ითხოვთ?

— არა, რა პირობებს... ადრე, ყოველ რეპეტიციაზე, ახალ სიმღერას ვახვედრებდი. ახლა ასე ვეღარ ვიცლი. ვმუშაობ, პატარა „ერისიონელების“ ანსამბლს ვხელმძღვანელობ... ამ ბოლო დროს მაინც გამოვნახე დრო და სიმღერა დავწერე გოდერძი ჩოხელის ლექსზე. ჯერჯერობით, ეს მხოლოდ მე ვიცი. მალე კი ჩვენი ტრიოც შეასრულებს... ზოგჯერ მელოდიას დავწერ და მერე ჩემს მეუღლეს — ნინო ზედელაშვილს ვთხოვ, ტექსტი დამიწეროს. ერთი კარგი ლექსი დავაწერინე. ასე შეიქმნა „ატმის ყვავილი“. პირობებს არ ვემდურით. შევიკრიბებით ჩემთან, გამოვრთავთ ტელეფონს და ვმუშაობთ. უკეთესი პირობები რომც შეგვიქმნან, ორ დღეზე მეტს ვერ გავძლებთ, ისევ აქ მოვალთ.

ქეთი ფაილოძე: — პირველ კონცერტზე გასვლის წინ უნდა გენახათ, როგორ ვნერვიულობდი, ვკანკალებდი. დათო და ნონა მამშვიდებდნენ. სცენაზე გასვლამდე რამდენიმე წუთი იყო დარჩენილი და დათოს გიტარაზე სიმი არ გაუწყდა? კინაღამ გული გამიჩერდა. ნუ ნერვიულობ, თუ გამოცვლას ვერ მოვასწრებ, 5 სიმით დავუკრავო, — დამამშვიდა დათომ. საბედნიეროდ, მოასწრო!

ნონა ნაჭყებია: — ჩვენ უკვე თითქმის ნათესავები ვართ, ოჯახებით ვმეგობრობთ. არაჩვეულებრივი გასტროლები გვქონდა რაჭაში. დათომ, როგორც ნამდვილმა რაჭველმა, იქ გამოგვიცხადა, — ექვსი თვის წინ ახალი სიმღერა დავწერეო. ასეთ „რაჭულ სიურპრიზებს“ გვიმზადებს ხოლმე...

ტრიო „თილისმა“ ძალიან ლამაზ სიმღერებს მღერის და ძალიან ლამაზი წევრებიც ჰყავს. ოთარ რამიშვილი მას ყველაზე ლამაზ ტრიოს უწოდებს... ტრიომ შეძლო მთავარი: სიყვარულით დაიმკვიდრა თავი მუსიკის მოყვარულთა შორის.

„თილისმა“ სიყვარულზე მღერის და ამ გრძნობას კიდევ ერთხელ ახსენებს გულგაცივებულ ქვეყანას...

მოამზადა ლელა ჯიყაშვილმა

მკითხველის პრემია * მკითხველის პრემია

ეს თქვენი გაზეთია და რადგან ასეა, „კვირის პალიტრის“ ჟურნალისტებს თქვენ ანიჭებთ ყოველკვირეულ პრემიას. შეაფასეთ ამ ნომრის მასალები, აღნიშნეთ რეიტინგის ქვითარში თქვენი აზრით, ნომრის საუკეთესო ჟურნალისტური ნამუშევარი. იმ მასალის ავტორს, რომელიც ყველაზე მეტ ხმას მიიღებს თქვენგან, მკითხველის სახელით, რედაქცია პრემიას — 50 ლარს გადასცემს. გამარჯვებული ჟურნალისტის ვინაობას მომდევნო ნომერში შეიტყობთ. *რეიტინგის ქვითარი იხ. 35-ე გვერდზე.*

წინა ნომრის მკითხველის პრემიის შედეგები ასეთია:

1. **ვაჟა გავაშელი** — „საზეიმო აღლუმი დე გოლთან ერთად ქართველმა მიიღო“ — 142 ხმა
2. **ინგა ჯაყელი** — „ჩვენ, ქართველები...“ — 72
3. **დაჩი გრძელიშვილი** — „არ შეიძლება დაუსრულებლად ყველამ ყველაფერი თავის ნებაზე აკეთოს“ — 47
4. **იზო რიკაძე** — „რაკი ამ ყულფში გავყავი თავი, სხვა არჩევანი არ მაქვს“ — 28
5. **ირაკლი ალადაშვილი** — „სამხედრო თემაზე“ — 25
6-7. **ეკა ლომიძე** — „ქრისტიანობა იყო ჩვენი საფუძველი და ხერხემალი“ — 9
6-7. **ირაკლი ალადაშვილი** — „სისხლის ღვრით წააგებს ყველა!“ — 9
8. **გიგა ხირსელი** — „სპორტი“ — 8

მკითხველის სახელით პრემია — 50 ლარი გადაეცემა ჟურნალისტ **ვაჟა გავაშელს**.

„მკითხველის პრემიის“ მფლობელი 393-მა რესპონდენტმა გამოავლინა

„დოქსოპულო, შენ დედა გყავავს?“

ეს კადრები ერთ-ერთი პოლიტიკური პარტიის სარეკლამო რგოლში ვიხილეთ. ამაზრზენმა სცენამ, როდესაც ჯან-ღონით სავსე „ვაჟკაცი“ დედის ტოლ ქალბატონს მუშტებით უსწორდება, რომ ვთქვათ, აგვაღელვა-თქო, არ ვიქნებით მართლები. ძარღვებში სისხლი გაგვიყინა ამ ძალადობის აქტმა. ეს სცენა არც საგანგებოდ დადგმული და არც ხელოვნურად არის გათამაშებული. ყოველივე ეს ჩვენი ცხოვრების სამწუხარო რეალობაა.

ბრგე, ჯან-ღონით სავსე „კაცი“ (აი, „კაცი!“) ალბათ რომელიღაც ძალოვანი უწყების თანამშრომელია, რომელმაც ისე გამეტებით ჩასცხო მუშტი ქალს სახეში (ამის ფასი რა უნდა დაეშავებინა), რომ საბრალო მოცელილივით დაეცა (ეს ამბავი გლდანის ეკლესიაში, მკალავიშვილის აყვანის დროს ხდება).

ბატონო სამართალდამცველებო, გეშინოდეთ ასეთი „მონდომებული“ ვაითანამშრომლებისა! ასეთი ხალხი თქვენს უწყებებს ვერც სახელს მოუტანს და ვერც საქმეს გაუკეთებს. ნურც თქვენ დაგავიწყდებათ, რომ განსხვავებული შეხედულების მქონე ადამიანებსაც (თუნდაც შემცდარს), თავიანთი უფლებები გააჩნიათ.

აი „კაცი!“

გვაქვს თუ არა სახელმწიფო იდეოლოგია — ექსპერტების თვალსაზრისი

„ჩვენ ქართველები, პატრიოტები ვართ, მაგრამ არ გვაქვს სახელმწიფოებრივი პატრიოტიზმი“(!)

აჭარაში განვითარებული მოვლენების გამო საქართველო სერიოზული პოლიტიკური კრიზისის წინაშე აღმოჩნდა. მართალია, ყველაფერი მშვიდობიანად დასრულდა, მაგრამ მოვლენათა ანალიზს არასახარბიელო დასკვნებისკენ მივყავართ. როგორც ჩანს, ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობის აღდგენა ჯერ კიდევ შორეულ ოცნებად რჩება. თუკი აჭარის ლიდერი და მისი გარემოცვა კატასტროფად აღიქვამენ რეგიონში ცენტრალური ხელისუფლების გაძლიერების მცდელობას, ძნელი წარმოსადგენი არ არის, როგორ მოეკიდებიან თბილისის ასეთივე სურვილს აფხაზეთსა და სამხრეთში.

თუმცა, პოლიტოლოგებს თუ დავუჯერებთ, უფრო სამწუხაროა ის გარემოება, რომ ამავე კრიზისმა ქართული პოლიტიკური იდეოლოგიის სისუსტე, უფრო ზუსტად, პოლიტიკური უპრინციპობა გამოააშკარავა. პოლიტიკური იდეოლოგია სახელმწიფოს სტრატეგიული მიზნებისა და პრინციპების პრიორიტეტულობას გულისხმობს. მოკვდავთა ენაზე ეს ნიშნავს, რომ სახელმწიფოს საერთო ინტერესები ნებისმიერ შიდაპოლიტიკურ ამბიციებზე მაღლა უნდა იდგეს. დემოკრატიულ ქვეყანაში ოპოზიცია ხელისუფლებას შეიძლება ედავოს ნებისმიერ საკითხზე — იქნება ეს სოციალური მდგომარეობა თუ ქვეყნის საგარეო ურთიერთობები, მაგრამ როცა დღის წესრიგში ქვეყნის მთლიანობის საკითხი დგება, წესით და რიგით, ოპოზიციაც და ხელისუფლებაც ერთ აზრზე უნდა იდგეს. არადა, ბათუმის მოვლენებმა კარგად დაგვანახვა, რომ საქართველოში ეს ასე არ არის. სააკაშვილის ნაბიჯი ოპოზიციურმა პარტიებმა უარყოფითად შეაფასეს და აშკარა აგრესიად მონათლეს. თუმცა, თავი არავის შეუწუხებია იმის აღიარებით, რომ ნებისმიერ რეგიონში ცენტრალური ხელისუფლების გაძლიერება მთლიანად ქვეყნის გაძლიერებას ნიშნავს. ეს კი იმაზე მეტყველებს, რომ ჩვენს ქვეყანაში პოლიტიკურ ამბიციებს სახელმწიფო ინტერესები ეწირება.

საბედნიეროდ, ჩვენი წინაპრები ბევრად უფრო სახელმწიფოებრივად მოაზროვნენი აღმოჩნდნენ, ვიდრე დღევანდელი ამბიციური პოლიტიკოსები. თავის დროზე, სწორედ მათი წყალობით აღმოჩნდა აჭარა საქართველოს შემადგენლობაში. ისტორიკოსების თქმით, ეს ცხადია პროგრესული ნაბიჯი იყო, თუმცა შემდეგ ალარაფერი გაკეთებულა აჭარის დანარჩენ საქართველოსთან მთლიანად, ანუ „უავტონომიოდ“ შერწყმის საქმეში.

ვახტანგ გურული, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი: —

— რატომ გაჩნდა ავტონომიის საჭიროება, ხომ შეიძლებოდა, აჭარა პირდაპირ შემოერთებოდა ქვეყანას?

— ამას მაშინ აჭარლები არ დაეთანხმნენ. მათ ბევრი რამე აშინებდათ — სამასი წელი იყვნენ თურქეთის შემადგენლობაში, ანუ ცხოვრობდნენ განსხვავებულ სამყაროში. მართალია, ძირძველ სამშობლოს უბრუნდებოდნენ, მაგრამ მოსავლის შიში მაინც ჰქონდათ. შიშობდნენ, ხომ არ დაიწყებოდა მათ წინააღმდეგ რელიგიური დევნა, როგორი სოციალური პირობები ექნებოდათ, როგორი იქნებოდა მიწით სარგებლობის წესი.

ყოველივე ეს გაითვალისწინა საქართველოს 1921 წლის კონსტიტუციამ და აჭარას დაუკანონა ავტონომია, მაგრამ ამ კონსტიტუციას დიდხანს არ უმოქმედია. იგი დამტკიცდა 21 თებერვალს, ხოლო 25-ში უკვე ბოლშევიკური არმია შემოვიდა საქართველოში. აჭარის ავტონომიის საკითხი შემდგომში რუსეთმა და თურქეთმა განიხილეს. 1921 წლის 13 ოქტომბერს დაიდო ყარსის ხელშეკრულება, სადაც მითითებულია, რომ თურქეთი თმობს ბათუმის ოლქს მხოლოდ იმ პირობით, რომ ის მიიღებს ფართო ადმინისტრაციულ ავტონომიას. ეს ხელშეკრულება დღემდე მოქმედებს.

— ანუ თუკი ოდესმე აჭარის ავტონომიის გაუქმებაზე იქნება ლაპარაკი, ეს საერთაშორისო შეთანხმების დარღვევას გამოიწვევს? 1921 წლის შემდეგ ხომ დიდი დრო გავიდა?

— ყარსის ხელშეკრულების ძალაში ყოფნა დაადასტურა 1992 წლის 30 ივნისს შევარდნაძის ხელისუფლებამ. თბილისში ხელი მოეწერა საქართველო-თურქეთის ხელშეკრულებას, სადაც დაფიქსირდა, რომ მხარეები დაიცავენ ყველა შეთანხმებას, რომელსაც ყარსის ხელშეკრულების შემდეგ მოეწერა ხელი...

ერთი სიტყვით, აჭარაში საქართველოს იურისდიქციის ბოლომდე აღდგენა მხოლოდ პატრიოტულ სურვილებზე არ ყოფილა დამოკიდებული. საერთაშორისო სამართლის საფუძველზე, თურქეთისა და რუსეთის მთავრობებს ნებისმიერ დროს შეუძლიათ თითი დაუქნიონ საქართველოს ხელისუფლებას და ჯერ 1921 წლის შეთანხმება, შემდეგ კი შევარდნაძის დასტური შეახსენონ ამ ხელშეკრულების ძალაში ყოფნაზე.

არადა, ეს პრობლემა შეიძლებოდა კარგა ხნის წინ მოგვარებულიყო. მაგრამ სამოცდაათი წლის მანძილზე ჯერ საბჭოთა იდეოლოგიის შექმნაზე ზრუნავდნენ, საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ კი ქართული სახელმწიფო იდეოლოგია აღარავის გახსენებია. „აჭარისა და აფხაზეთის ავტონომიების გაუქმება სტალინს შეეძლო და პასუხსაც ვერავინ მოჰკითხავდა, — ამბობს „კვირის პალიტრასთან“ საუბრისას ისტორიკოსი დურმიშხან ცინცაძე, — მაგრამ პირიქით მოიქცა — 1924 წელს სამხრეთ ოსეთის ავტონომია შექმნა. არადა, 1924 წელს სამხრეთ ოსეთში სულ 4 ოსური ოჯახია დაფიქსირებული. ამას კრემლის იდეოლოგიისთვის მაშინ ხელი არ შეუშლია. მართალია, საქართველოზე მისი იურისდიქცია ვრცელდებოდა, მაგრამ ბოლომდე მორჩილებაში რომ ჰყოლოდა, ქვეყნის შიგნით შეუქმნა პოლიტიკური ერთეულები...“

როგორც ჩანს, საბჭოთა მემკვიდრეობისგან თავის დაღწევა არც ისე იოლი საქმეა. როგორც პოლიტიკურ ძალებში, ასევე მთლიანად საზოგადოებაში, ჯერ კიდევ არ არსებობს ერთიანი აზრი იმის თაობაზე, საჭიროა თუ არა ავტონომიების არსებობა სახელმწიფოში. თუმცა, პოლიტოლოგები უფრო შემაშფოთებელ პროგნოზებს გვთავაზობენ.

გია ნოდია, პოლიტოლოგი: — დავიწყოთ პრეზიდენტის აჭარაში შესვლის საკითხით. მართებული არ არის კამათი იმის თაობაზე, აქვს თუ არა საქართველოს პრეზიდენტს უფლება შევიდეს აჭარაში. პასუხი ერთმნიშვნელოვანია: რა თქმა უნდა, აქვს. ამის საწინააღმდეგო აზრის თქმა ძნელია. შეიძლება იკამათო იმ საკითხზე, თუ რამდენად მიზანშეწონილი ან ტაქტიკურად რამდენად გათვლილი იყო ასეთი ფორმით შესვლა მოცემულ მომენტში.

რაც შეეხება სახელმწიფო იდეოლოგიას, ამაზე სხვადასხვა დროს ბევრი უკამათიათ.

(გაგრძელება იხ. გვ. 12)

ჩვენი ბოგი ოფიცერი გერმანიაში იღებს განათლებას, ბოგი კი ამერიკასა და თურქეთში. ჯარს თავი დავანებოთ. ჩვენი კანონმდებლობა გერმანულ, ამერიკულ და რუსულ მოდელებზეა დაყრდნობილი. ფაქტობრივად, ყველა სტილის კანონები გვაქვს. ხშირად ამის გამო ჩვენი კანონმდებლობა ეფექტიანად ვეღარ მუშაობს. ასეთი ჯარი მთლიანი ორგანიზმი ვერ იქნება...

„მოქვეყნებს რომ არ დაეჭირათ, დუდაევს ოსები მაინც დავიჭერდით“

„რობოტას“ იმედი აქვს, რომ ფრთებს ისევ გაშლის“

*„მარეგ დუდაევი უკვე ყველასთვის ზედმეტი იყო, ამიტომაც გადაწყვიტეს მისი მოშორება. ის ახლა ციხის საავადმყოფოში ჰყავთ გადაყვანილი“ — ასე აფასებს ქართველი სამართალდამცველების მიერ ოსი კრიმინალის დაკავების ფაქტს მისი თანამემამულე, ცხინვალის ძალოვანი სტრუქტურის წარმომადგენელი **ალან კაზაევი**. იგი ხანგრძლივი ყოყმანის შემდეგ დათანხმდა ინტერვიუზე, თან ღიმილით დასძინა: — იქნებ მალე დადგეს დრო, როცა ქართველები და ოსები ისევ თავისუფლად შეეხვედრებით ერთმანეთს და სიმართლის თქმაც მალვით აღარ მოგვინევსო.*

ალან კაზაევი ქართულ-ოსური კონფლიქტის დარეგულირებას ოპტიმისტურად უყურებს, რის საბაბსაც თურმე ბოლო ხანებში ქართველი სამართალდამცველების მიერ დიდი ლიახვის ხეობაში განხორციელებული სპეცოპერაციები აძლევს:

— მარეგ დუდაევი საქართველოს შსს-ს მიერ შექმნილი კრიმინალია. მისი „ნათლიმამა“ შოთა კვირაია. დუდაევი დიდი ხნის მანძილზე წარმოადგენდა სერიოზულ ძალას, რომელსაც პოლიციის კრიმინალური სამყარო ეყრდნობოდა. ამ კაცის წყალობით ცხინვალის მხრიდან კვირის მანძილზე თბილისში 20-30 ათასი დოლარის ნარკოტიკი შემოდიოდა და მას საქართველოს შსს-ს ჩინოსანთა ქსელი ასაღებდა. დუდაევი იყო ჩამოყალიბებული მკვლელი, მას 30-მდე კაცი ჰყავს მოკლული საქართველოს ტერიტორიაზე. თავისუფლად დათარეშობდა, იმიტომ კი არა, რომ მისი დაჭერა არავის შეეძლო, — ამისთვის არც საქართველოს მხარის სანქცია იყო და არც სამხრეთ ოსეთის. ოსეთის მხარე ძალიან იყო გამწარებული დუდაევისგან, მაგრამ ქართველ კოლეგებთან შეუთანხმებლად მის ლიკვიდაციას ვერ ბედავდნენ. ქართველსაც რომ მოეკლა დუდაევი, საქართველოს პოლიციაი აუცილებლად დაიჭერდა და ცხინვალთან სიტუაციის გაფუჭებაში დაადანაშაულებდა.

— რამდენადაც ვიცი, მარეგ დუდაევს ადამიანების გატაცებებშიც დებენ ბრალს.

— რა თქმა უნდა. ოლონდ თავისებური სქემა ჰქონდა. ის უშუალოდ არ მონაწილეობდა გატაცებაში. ქართველები, ზოგჯერ ოსებთან ერთადაც იტაცებდნენ მძევლებს. მიჰყავდათ დუდაევთან. იმდენ ხანს ტოვებდა თავისთან, სანამ გამოსასყიდიდან მარეგა თავის წილს არ მიიღებდა. მის კისერზეა ბაგრატიონების პატარა გოგონას გატაცებაც. დიდი ლიახვის ხეობაში მძიმე კრიმინოგენული სიტუაციაა, ასე ალბათ დიდხანს გაგრძელდება, სანამ ხეობაში პატიოსანი ხალხი არ დაინიშნება.

— კონკრეტულად ვის გულისხმობთ?

— ოთხი თვის წინ დიდი ლიახვის ხეობის პოლიციის უფროსი, უპატიოსნესი კაცი ქართველებმა მოხსნეს, რითაც ძალიან დაინტერესებული იყენენ ცნობილი „რობოტას“ ბანდის წევრები. მის ადგილზე კი ის არამზადა დანიშნეს, რომელზედაც ცხინვალში სისხლის სამართლის საქმეა აღძრული. ყაჩაღია, ახლაც აყაჩაღებს საქართველოს მოქალაქეებს, ვინც კი ამ ტერიტორიაზე ტრანსპორტით მოძრაობს. არც ოსებს ინდობს. გახსოვთ, „რობოტას“ ბანდის აყვანისას ორი კაცი რომ გაეცალათ, ისინი თავს სწორედ ამ ხეობაში აფარებდნენ. თქვენ გააკეთეთ დასკვნა, ვინ მფარველობდა მათ. დუდაევი კი არა, იმდენია დასაჭერი ამ მხარეში, ვერ დაითვლით. ვფიქრობ, თქვენი შს ახალი მინისტრი იფიქრებს რეგიონის განმენდაზე. ეგ პოლიტიკური ფიგურაა და არა მგონია სახელის გატეხვა ერჩივნოს. ჩვენი ხელისუფლების წარმომადგენლები, რომლებსაც კრიმინალური სისხლი უდუღთ ძარღვებში, ბუნებრივია, უკმაყოფილო დარჩებიან.

ისე, მარტო ნარკოტიკებზე რომ ვლაპარაკობთ, იცით ცხინვალიდან იარაღის და ხორბლის კონტრაბანდითაც რა ფული კეთდება? ნარკოტიკების შემოტანა წყლის დინებასავითაა, რომელსაც ვერ შეაჩერებ, საგუბარში რომ მიუშვა, იქიდანაც გადმოვა. სპეცსამსახურების და სამართლადმცველების დანიშნულებაა, სათავეშივე გადაკეტონ დინება, მაგრამ ახლა ქართველები და ოსები კი არა, მთელი კავკასია რომ გავერთიანდეთ, ამას ვერ შევძლებთ. ერთადერთი, რაც შეგვიძლია, ის არის, რომ ნარკოტიკები ჩვენს ტერიტორიაზე, როგორც მილში, ისე გავატაროთ. თუ ნარკოდილერებს გავლის საშუალებას მივცემთ, ისინი აქ სხვა გზების ძებნას აღარ დაიწყებენ და ვიმეორებ, ახალგაზრდობას გადავარჩენთ. ამის გაკეთება თავიდანვე შეიძლებოდა“. საქართველო „თეთრი სიკვდილის“ დარტყმას გადაურჩებოდა, რომ არა სამართალდმცველები, ვინც მღვრიე წყალში თევზის დაჭერა გადაწყვიტა და ნარკოტიკის გასაღება თვითონვე დაიწყო საკუთარ ქვეყანაში. ასეთები ახლაც არიან და არანაირი სურვილი არ აქვთ შემოსავლის წყარო მოისპონ. ცხინვალში 1 გ ჰეროინი $30 ღირს. საქართველოში $100-ად ყიდიან. მომხმარებელი აუარებელია. ყველაზე მეტი მომხმარებელი სამეგრელოს რეგიონშია. აჭარაში კი ნარკოვაჭრობას თვითონ ავტონომიის ხელმძღვანელობაშიც მფარველობენ. თქვენმა ახალმა ხელისუფლებამ ამ ხალხს ხელი სერიოზულად შეუშალა,

— ამბობენ, ცხინვალს თავს აფარებს კობა ნარჩემაშვილიო.

— არ მსმენია. ეგ შეიძლება ერგნეთში იყოს, „რობოტას“ მფარველი იყო თავის დროზე. „რობოტაზე“ ყრიან ხმებს, კვდებაო, არ დაიჯეროთ, თავის დროს ელოდება, ფიქრობს, რომ ფრთებს ისევ გაშლის.

— ისევ დუდაევს დავუბრუნდები, სწორია, რომ ის ოსებსაც გაცდათ დაჭერილი?

— კი ბატონო. ერთი წელიწადი იჯდა ციხეში, იმიტომ რომ ძმებ თედეევებს არ მოსწონდათ. ეს ის ხალხია, ვინც კოკოითს არჩევნებში გაამარჯვებინეს. მერე ერთ-ერთი, იბრაგიმ თედეევი ჩვენი უშიშროების საბჭოს მდივანი იყო, მაგრამ შარშან განდგენენ იქიდან.

— მარეგას ძმაზე რას იტყვით?

— ერიკ დუდაევი? ო, ეგ მაგარი კრიმინალია. ეგ ჩრდილოეთ ოსეთის ხელისუფლებისგან არის ძებნილი. ახლა გორის რაიონის სოფელ არცევში იმალება. მაგასაც მალე დაიჭერენ. მარეგა თქვენებს რომ არ დაეჭირათ, ჩვენ მაინც დავიჭერდითო...

ჩვენ ვცდილობთ ქართველი სამართალდამცველებისაგან მიგვეღო ინფორმაციები ამ და სხვა საინტერესო საკითხებზე, მაგრამ გაურკვეველი მიზეზების გამო მათ ამისგან თავი შეიკავეს და არც ის დაგვიდასტურეს, რომ მარეგ დუდაევი ახლა ციხის საავადმყოფოშია გადმოყვანილი.

ეკა ლომიძე

„არასოდეს გავხდები ხელისუფლების კულუარებში შექმნილი ოპოზიცია“

„მიმაჩნია, რომ ის დამარცხებული სულაც არ არის“



კონსტანტინე გამსახურდია გარეგნობით და ხმით საოცრად ჰგავს მამას. ნელა ლაპარაკობს, დაფიქრებით და თანამოსაუბრეს აკვირდება, თითქოს აინტერესებს, — სწორად გაიგო თუ არა ჩემი ნათქვამიო. უშუალო და გულთბილი კაცის შთაბეჭდილებას ტოვებს, შეხედვისთანავე შეატყობთ, რომ ემოციური, პოეტური ბუნების ადამიანია... თბილისში ჩამოსვლისთანავე ილიასა და ვაჟას სიტყვებით დაგველაპარაკა, გაგვიმხილა, იმას ვფიქრობდი — „როგორ შევეყრები მე ჩემს ქვეყანას და როგორ შემეყრება იგი მე“-ო.

კონსტანტინე გამსახურდია საოცრად დაღლილი იყო, მაგრამ მაინც მოთმინებით „აიტანა“ ჩვენი შეკითხვები.

— რა იგრძენით, როდესაც მრავალწლიანი განშორების შემდეგ მშობლიურ მიწაზე დადგით ფეხი, რა მოგეჩვენათ შეცვლილად თქვენს აქ არყოფნაში?

— სამშობლოში დაბრუნებისას უპირველესად დიდი მონატრების გრძნობის დაკმაყოფილება და სიხარული ვიგრძენი. აეროპორტის გამოსასვლელშივე დამხვდურთაგან ისეთ ემოციებს წავაწყდი, ისე შემხვდნენ, რომ ისედაც გულაჩქროლებული საოცრად ავღელდი. ასე რომ, ჩემს დაბრუნებას დიდი განცდების გარეშე არ ჩაუვლია.

შეცვლილი ბევრი რამ არის — უპირველესად კი ის, რაც ქუჩაში გავლისას მაშინვე თვალში მოგხვდება — შენობები, გზები, ადამიანები. რუსთაველზე აღარ შეიმჩნევა ის სილაღე, როგორსაც მიჩვეული ვიყავი. ქართველებს სილაღე დაუკარგავთ და ეს მათ სიარულსა და გამოხედვაშიც იგრძნობა. თვალში საცემია ქუჩაში მოსიარულეთა (გზაზე გადასვლისას) უდისციპლინობა, მანქანების თავაწყვეტილი ქროლა. შესაძლოა ადრეც ასე იყო, მაგრამ ისეთი მოწესრიგებული ქვეყნიდან ჩამოვედი, რომ ახლა უეცრად მომხვდა თვალში.

— ბევრისგან (თქვენ მიმართ კეთილგანწყობილთაგანაც) გავიგონე — მეცნიერი კაცი პოლიტიკაში რატომ ერთვება, ეს ხომ არცთუ სუფთა საქმეა, სჯობდა სამეცნიერო და სამწერლო მოღვაწეობა გაეგრძელებინაო.

— ე.ი. გამოდის, რომ პოლიტიკაში წესიერი კაცის ადგილი არ არის. ფიქრი, — პოლიტიკა ბინძურების საქმეა და დაე, იყვნენ იქ ბინძურებიო, სადამდე მიიყვანს ქვეყანას?! ნუთუ ეს არის სახელმწიფოებრივი აზროვნება?! პოლიტიკა პატიოსანი ხალხით უნდა გაიწმინდოს. დღეს (რამდენადაც შესაძლებელია) პატიოსანი და წესიერი ხალხი უნდა მოვიდეს ყველა სფეროში... პოლიტიკაში უთუოდ ვიქნები, მაგრამ ამავდროულად არ შევწყვეტ მეცნიერულ და სამწერლო საქმიანობას. შესაძლოა ამის გაკეთება იმ მასშტაბით ველარ შევძლო, როგორც ვაკეთებდი, მაგრამ შეძლებისდაგვარად ვეცდები.

— მამათქვენის ხვედრმა არ გაგიჩინათ იმის განცდა, რომ პოლიტიკა შესაშური საქმე არ არის?

— რა თქმა უნდა, ეს ძალიან დამაფიქრებელია, მაგრამ ეს მისი ინდივიდუალური ხვედრი იყო. ვფიქრობ, ადამიანებმა დამარცხებებით უნდა ვისწავლოთ. აქ გარეგან დამარცხებას ვგულისხმობ, თორემ მიმაჩნია, რომ ის დამარცხებული სულაც არ არის. შესაძლოა, მაშინ ჩვენი საქმე გარეგნულად დამარცხდა, მაგრამ მასში აღდგომის უდიდესი ძალაა ჩადებული. მინდა იცოდეთ და ყველამ გაიგოს, — ჩვენ რევანშიზმს არ ვაპირებთ. დაე, ეს დამარცხება ჩვენთვის პოზიტიური აღმავლობის, აღორძინებისა და აღდგომის იმპულსის მომცემი გახდეს. ვიმეორებ, ჩვენი მოძრაობა არამც და არამც არ იქნება რევანშისტული, პოლიტიკაში იმ მიზნებისთვის მოვდივართ, რომელიც ჩვენს პროგრამაში ჩავწერეთ. ჩვენ საქართველოს აღმშენებლობის დაწყება გვინდა, რომლის დროც მოვიდა პოლიტიკიდან შევარდნაძისა და მისი ხელისუფლების წასვლის შემდეგ.

ჩემი სახისა და პროფილის გამოკვეთას ვინმეს გინებითა და ლანძღვით არ ვაპირებ. თუმც ეს იმას არ გულისხმობს, რომ არავის გავაკრიტიკებ. ზოგჯერ კრიტიკა საჭირო და აუცილებელიცაა, რადგან საზოგადოებრივ ატმოსფეროს აჯანსაღებს. ჩემთვის მისაღებია სახელმწიფო ინტერესებიდან გამომდინარე თემატური თანამშრომლობაც, ოპონირებაც და კრიტიკაც. ჩვენ ერთი სამშობლო გვაქვს. არ არსებობს ჩემი, თქვენი და სხვისი საქართველო. ამიტომ ყველა იმ პოლიტიკურ ძალასთან ვითანამშრომლებთ, რომლებსაც ხელები სისხლში არ აქვთ გასვრილი.

ზოგჯერ ახალი პრეზიდენტის მოქმედებების შეფასებას მთხოვენ. ჯერ უნდა დავაცადოთ, რაიმე განსაკუთრებული ნაბიჯი მას არ გადაუდგამს, რომ მის ავ-კარგზე ვიმსჯელოთ. თუმც ჩემთვის ცნობილია მიხეილ სააკაშვილის პრიორიტეტები, რაც ძირითადად ჩემთვისაც მისაღებია. თუმც კურსი ერთია, მაგრამ სხვა საკითხია, როგორ და რამდენად ხორციელდება ის. მაგალითად, როდესაც ხელისუფლება ამბობს, — ევროგაერთიანების წევრობა გვინდაო, მე მას შევეკითხებოდი — იდგმება თუ არა კონკრეტული ნაბიჯები ამ მიმართულებით?

— თქვენ ბრძანეთ, ჩაძიებას არავისზე ვაპირებო, მაგრამ ეტყობა, სხვები არ ამბობენ ამაზე უარს, ითქვა — კონსტანტინე გამსახურდია სახელოვანი მამის სახელს იყენებსო.

— არ ვიცი... ნეტავ როგორ უნდა ვიყენებდე? რა ვქნა, ბედმა ასე მარგუნა, რომ ზვიად გამსახურდიას შვილად გავჩნდი და ამის წინააღმდეგ ვერაფრს გავაკეთებ. მარტინ ლუთერის თქმისა არ იყოს — მე აქ ვდგავარ და სხვაგვარად არ ძალმიძს. ბუნებრივია, რომ ჩემი და ჩვენი მოძრაობის წარმატების საფუძველი ზვიად გამსახურდიას უკავშირდება. ეს იმ სიყვარულის გამოხატულებაა, რომელიც ხალხს აქვს ზვიად გამსახურდიას მიმართ. ვხედავ, რომ ეს სიყვარული ვერ ჩაკლეს ვერც რეპრესიებით და ვერც გაჭირვებით...

აქვე მინდა შევეხო ზვიად გამსახურდიას გადმოსვენების საკითხს. 1991-92 წლების მოვლენების შეფასება და მისი დაღუპვის გარემოებების გამოძიება ხელს არ უშლის მის გადმოსვენებას, თუკი ეს შესაძლებელია, რადგან საფლავი, პრაქტიკულად, არ არსებობს. გროზნოში არის მხოლოდ წარწეროვანი ქვა და მიჭირს გითხრათ, სად არის სასახლე. გადმოსვენება იქნება საერთო-სახალხო პატივის მიგება ზვიად გამსახურდიასათვის. ვემხრობი მის დაკრძალვას მთაწმინდის პანთეონში, რადგან მას აქვს განსაკუთრებული ეროვნული, პოლიტიკური და კულტურული სტატუსი და კიდევ იმიტომ, რომ იქ დასაფლავებულია ასეთივე განსაკუთრებული საზოგადო მოღვაწე მერაბ კოსტავა.

— როგორ გახსენდებათ მამა, მისი ნათქვამიდან რა დაგამახსოვრდათ?

— თითქმის ყოველ შაბათ-კვირას მე და მამა ერთმანეთს სიონში ვხვდებოდით. ამას წინათ სიონის ეკლესიაში ვიყავი, თვალწინ დამიდგა მამა ღვთისმშობლის ხატთან სანთლით ხელში. ამაზე უკეთეს სურათს ვერ ვიხსენებ ხოლმე...

კიდევ ერთი დღე მახსოვს... გურჯაანში ჩატარდა საარჩევნო მიტინგი. მიტინგის შემდეგ გურჯაანს გარეთ — ყორულში გავედით, სუფრა დაგვახვედრეს. როდესაც ჩემი სადღეგრძელო დაილია, მამამ მოკლედ მითხრა, — გახსოვდეს ვისი გორისა ხარო... მისი სიტყვები დღესაც ჩამესმის ყურში.

სახელოვანი წინაპარი შესაძლოა ზოგისთვის წნეხი და დაბრკოლება იყოს, მაგრამ მე ეს კომპლექსი არ მაწუხებს. ჩემი წინაპრების გამო სიამაყისა და პასუხისმგებლობის გრძნობა მაქვს. პასუხისმგებლობა ადამიანისთვის აუცილებელი თვისებაა. სამწუხაროდ, საქართველოში ისეთი დრო მოვიდა, რომ პასუხისმგებლობა ყველამ აირიდა — დაწყებული სახელმწიფოს პირველი პირით და დამთავრებული ჩვეულებრივი მოქალაქით და კარგია ეს?

— ითქვა, კონსტანტინე გამსახურდია საქართველოში იმიტომ დაბრუნდა, რომ პარლამენტში შესვლის გარანტია მისცესო.

— არანაირი გარანტია არ გვაქვს. ეს ზოგიერთი წრიდან წამოსული პიარია, თითქოს ჩვენ სახელისუფლებო წრეების მიერ შექმნილი სატელიტური ორგანიზაცია ვიყოთ. ამომრჩეველს ვარწმუნებ, რომ არასოდეს გავხდებით ხელისუფლების კულუარებში შექმნილი ოპოზიცია. ჩვენი უახლოესი ამოცანა ბარიერის გადალახვა და პარლამენტში მოხვედრაა, უფრო შორეული მიზანი კი საქართველოს გაძლიერებაა. ბარიერი რომც ვერ გადავლახოთ, პოლიტიკურ საქმიანობას მაინც არ შევწყვეტ. არც მიხეილ სააკაშვილთან მაქვს რაიმე განსაკუთრებული და ფარული კავშირი. მას ერთადერთხელ შევხვდი შვეიცარიაში 2 წლის წინ, მას შემდეგ ურთიერთობა არ გვქონია.

— რა ვითარებაში შეხვდით და რაზე ისაუბრეთ თქვენ და მიხეილ სააკაშვილმა?

— თავს შევიკავებ ამ შეხვედრის დეტალების გახსენებისგან. ჯერ თვითონ მან გაიხსენოს...

— პრეზიდენტობის ამბიცია თუ გაქვთ?

— ამ კითხვაზე სამი წლის შემდეგ გიპასუხებთ. ერთია ამბიცია და მეორე შესაძლებლობა — ვნახოთ, როგორი ვითარება იქნება მომავალი საპრეზიდენტო არჩევნებისთვის.

— რა არის თქვენი ყველაზე დიდი ნატვრა?

— იმ ამოცანების შესრულება, რისთვისაც ვარ ამქვეყნად, რისთვისაც ვარსებობ — შევასრულო ჩემი საზოგადოებრივი და პოლიტიკური მიზნები. ჩემი ნატვრა ჩემი მოყვასის მსახურებაა.

მარი ზანდუკელი

სახელოვანი წინაპარი შესაძლოა ზოგისთვის წნეხი და დაბრკოლება იყოს, მაგრამ მე ეს კომპლექსი არ მაწუხებს. ჩემი წინაპრების გამო სიამაყისა და პასუხისმგებლობის გრძნობა მაქვს. პასუხისმგებლობა ადამიანისთვის აუცილებელი თვისებაა.

რა ვალდებულებები „ავიკიდეთ“ რევოლუციის მერე?!

დიდი ქვეყნები ყოველთვის ცდილობენ, პატარა ქვეყნებს თავიანთი ინტერესები მოახვიონ თავზე

მემარჯვენე ოპოზიცია — მრეწველები და ახალი მემარჯვენეები რაკი თავს ბიზნესიდან მოსულ ხალხად მიიჩნევენ, ამბობენ, ჩვენი უნარის, ალღოსა და გამოცდილების გარეშე საკანონმდებლო ორგანოს შემოქმედებითი უნარი და პეწი დააკლდებაო. „მემარჯვენეები“ კვლავ ეროვნულობაზე აკეთებენ აქცენტს — ეროვნული აზრი, ეროვნული წარმოება ეროვნული სახელმწიფოსთვის, — ასეთია მათი მესიჯი. ვესაუბრებით მემარჯვენე ოპოზიციის ერთ-ერთ ლიდერს და საარჩევნო სიაში პირველ ნომერს, **გოგი თოფაძეს.**



— სამწუხაროდ, ბოლო 10-12 წელია, საქართველო საარჩევნო რეჟიმით ცხოვრობს. ლამის ყოველ წელიწადს არჩევნებია — ხან საპრეზიდენტო, ხან საპარლამენტო, ხანაც ადგილობრივი. ასეთი რიტმით საქმიანობა პოლიტიკური ძალებისათვის ძნელია, ჩვენ კი გარდა პოლიტიკისა, სხვა საქმითაც ვართ დაკავებული — ბიზნესმენების პარტია ვართ. ახლაც უკანასკნელ 5 თვეში მე-3 არჩევნებს ვატარებთ, ამასთან, მეტისმეტად რთულ და დაძაბულ ვითარებაში.

ახალმა ხელისუფლებამ ბევრი მოუგვარებელი პრობლემა მიიღო მემკვიდრეობით. გარდა ეკონომიკურისა, მან საკუთარ თავზე აიღო სოციალური და საკადრო პრობლემების მოგვარება, რაც წინა ხელისუფლებამ ვერ შეძლო და ათასგვარი ტყუილითა და დაპირებით ცდილობდა პასუხისმგებლობას გაქცეოდა. მემკვიდრეობით მიღებულ უმძიმეს პრობლემათაგანია ცენტრსა და რეგიონს შორის ურთიერთობა, რომელიც წინა ხელისუფლებამ უფრო გაამწვავა.

— სად და ვინ დაუშვა შეცდომა, ეს ქრონიკული პრობლემა ამ ეტაპზე რატომ გამწვავდა?

— მმართველი პარტიის ზოგიერთი ლიდერის განცხადებები, ასლან აბაშიძისკენ მიმართული მუქარა — აჭარაში ჩამოვალთ, დაგიჭერთ და გადაგასახლებთო, არ იყო სწორი. ამით დაიძაბა ვითარება, რამაც აიძულა ავტონომიის ლიდერი და მისი მომხრეები ექსტრაორდინარული ზომებისათვის მიემართათ. აჭარლები ჩვენი ღვიძლი ძმები არიან, როგორ შეიძლება მათთან მუქარით ლაპარაკი და ურთიერთობის დაძაბვა? ცუდია ისიც, რომ ქართველებს ერთმანეთთან დიალოგისთვის შუამავლების ჩარევა დაგვჭირდა.

— ითქვა, რომ ეს ინციდენტი უცხო ძალის მიერ იყო პროვოცირებული.

— საქართველოს პრობლემები ისედაც არ აკლია და კიდევ ერთის დამატება გვინდა? არასწორი იყო ეკონომიკური ბლოკადის გამოცხადებაც. ბათუმის პორტზეა დამოკიდებული ქვეყნის ექსპორტიცა და იმპორტიც. ბათუმის გვერდის ავლით გაძნელდება აზერბაიჯანში, სომხეთსა და შუა აზიაში ტვირთების გადაზიდვა. ბათუმის პორტის გაჩერებამ დაძაბა ურთიერთობა ამ ქვეყნებთან. ამასთან, ხომ არ შეიძლება უამრავი ადამიანის უმუშევრად დატოვება, რომლებიც პორტში და საბაჟოზე არიან დასაქმებულნი... მათ, რომელთა იდეაც იყო ეკონომიკური ბლოკადის შემოღება, შეცდომაში შეიყვანეს პრეზიდენტი. ეკონომიკას თავისი კანონები აქვს, მკვეთრად და გადაჭრით მოქმედება ამ საქმეში გამართლებული არ არის.

ბატონი მიხეილი აჭარაში რომ მხოლოდ პირადი დაცვით ჩასულიყო, დარწმუნებული ვარ, არაფერი მოხდებოდა. პრეზიდენტის ჩოლოქთან მისვლა და ამის გამო აურზაურის შექმნა კი, არ გამოვრიცხავ, რომ მტრული ძალის მიერ იყო პროვოცირებული.

დღეს თითქოს ბევრი მეგობარი ჰყავს საქართველოს, გვეხმარებიან, მხარში გვიდგანან, მაგრამ საკუთარ თავს თავად თუ არ ვუშველეთ, ჩვენი მშველელი არავინ იქნება. საქართველოს ყველა თავისი ინტერესებიდან გამომდინარე უყურებს, იქნება ეს საერთაშორისო ორგანიზაციები, სავალუტო ფონდი, სოროსი თუ ჩრდილოელი მეზობელი. სავალუტო ფონდმა რამდენი პრობლემა შეგვიქმნა — მილიონობით ვალი დაგვადო. ახლა სოროსის ფონდი გააქტიურდა, თანაც იმდენად, რომ საქართველოს საკადრო პოლიტიკაშიც ერევა.

კი, ბატონო, კარგია, რომ ძველი რეჟიმი შეიცვალა. შევარდნაძე უთუოდ უნდა წასულიყო, მაგრამ რა ვალდებულებები „ავიკიდეთ“ რევოლუციის მერე?! ხომ ცხადია, რომ საქართველოში მიმდინარე პროცესები უცხო ქვეყნებიდან და მათი სპეცსამსახურებიდან იმართებოდა?! ამიტომ ახალ ხელისუფლებას განსაზღვრული ვალდებულებები აქვს მათ წინაშე. მიხეილ სააკაშვილი განათლებული და ნიჭიერი კაცია, არა მგონია, საკუთარი ნებით მოექცეს ვინმეს გავლენის ქვეშ, მაგრამ ვალდებულებებს რას უზამს?

სოროსი ზოგიერთს ერთი კეთილი კაცი ჰგონია, რომლის მიზანი ჩამორჩენილი სახელმწიფოების დახმარებაა. არადა, სინამდვილეში მისი ფონდი ამ ქვეყნებში ამერიკული კაპიტალის დამკვიდრების ინსტრუმენტია. ხომ ხედავთ, სოროსი რევოლუციაში მონაწილეობას არ დასჯერდა, მინისტრებს უკვე მისი რეკომენდაციით ნიშნავენ და ხელფასსაც ის უხდის მათ. როცა ვინმე ხელფასს მაძლევს, ხომ ცხადია, რომ პირობებსაც წამომიყენებს? ახალგაზრდა პრეზიდენტსა და მის გუნდს უნდა ეყოს ნებისყოფა და სითამამე, რომ ხელი აუქნიოს „ჩვენი კეთილმოსურნე“ ორგანიზაციების ისეთ რეკომენდაციებს, რომლებიც დამღუპველია ჩვენი ქვეყნისთვის. ამას რეკომენდატებს უწოდებენ, თორემ სინამდვილეში დაჟინებული მოთხოვნაა, რომელსაც შანტაჟიც ახლავს, — თუ ასე არ მოიქცევით, კრედიტს არ მოგცემთო. პირადად ვესაუბრე ამ საკითხზე პრეზიდენტს და მითხრა, — რად მინდა ამ ფონდებთან მონური ურთიერთობა, დამოუკიდებელი პოლიტიკა უნდა გავატაროო. თუ ამის განხორციელება მართლაც შეძლო, გვერდით დავუდგებით. საქართველოს გადარჩენა დამოუკიდებელი ეკონომიკური, სოციალური, საკადრო პოლიტიკითაა შესაძლებელი. ახალ ხელისუფლებას მეტი რადიკალიზმი მართებს. ხალხმა ხელისუფლების კონკრეტული ნაბიჯები უნდა დაინახოს — თუ წინა ხელისუფლება ვერ უძლებდა ზეწოლას და ჯარის გატანის მოთხოვნაზე უარს ვერ ამბობდა, ახლები უნდა აღუდგნენ წინ ამას. შევარდნაძე წამსვლელი იყო და 3 წელზე ჰქონდა გათვლილი გეგმები. ესენი ახალგაზრდები არიან და 20 წლის პერსპექტივა მაინც უნდა დასახონ. ქვეყანას ეკონომიკური სტრატეგია სჭირდება. უნდა ჩამოვაყალიბოთ, რა გავაკეთოთ ხვალ, ზეგ, 2 წლის შემდეგ. ისიც უნდა გავითვალისწინოთ, რომელ საქმეს მოვერევით და რომელს — ვერა. დღეს წყალქვეშა ნავებსა და „მერსედესებს“ თუ ვერ გავაკეთებთ, სოფლის მეურნეობის აღორძინებასა და საკონსერვო მრეწველობის ამოქმედებას ხომ მოვახერხებთ? ჩაის და ღვინის წარმოება, რძისა და ხორცის პროდუქტების გადამამუშავებელი წარმოება ჩვენი უნდა გვქონდეს, უცხოეთიდან არ უნდა ვეზიდებოდეთ. რატომ უნდა გადიოდეს დაუმუშავებელი ხეტყე, როდესაც აქ შეიძლება სამშენებლო მასალის დამზადება და ავეჯის წარმოების განვითარება. ამ გზით ხომ ხუთჯერ მეტ შემოსავალს მივიღებთ. არაერთი პერსპექტიული დარგია, რომელი ერთი დავასახელო...

(გაგრძელება იხ. გვ. 12)

„არ მინდა ჩემი როლი გავაზვიადო“

„ძველი ხელისუფლება ისე ჩქმალავდა ამ პრობლემას, როგორც შუბს ხალთაში“

გასულ კვირას დაძაბულობა ცენტრსა და რეგიონს შორის საქმეში პარლამენტის თავმჯდომარის ჩარევამ განმუხტა. ***ნინო ბურჯანაძის*** *მანდილმა გააფთრებული მამაკაცები, ჯერ-ჯერობით, დააზავა. ცნობილია, რომ ბუნებით ეჭვიანი ასლან აბაშიძე პარლამენტის თავმჯდომარეს კარგი თვალით უყურებს და ენდობა. სწორედ ამიტომაც გადაწყვიტა პრეზიდენტმა აბაშიძის დასაწყნარებლად ამ კოზირის გამოყენება. სააკაშვილმა სწორად გათვალა, ბურჯანაძემ მშვიდობის ელჩის ფუნქციას თავი კარგად გაართვა. ნინო ბურჯანაძესთან საუბრისას უპირველესად იმით დავინტერესდით, რას ფიქრობდა, როდესაც აჭარაში წინასაომარი სიტუაციის განსამუხტავად მიდიოდა.*

— ძალიან ვღელავდი, მაგრამ ორმაგად ვინერვიულე საქართველოში დაბრუნებამდე. როდესაც შორიდან უყურებ მოვლენებს, უფრო მტკივნეულად აღიქვამ ყველაფერს. ბატონ ასლანთან შეხვედრისას კარგად მესმოდა, რამდენად ბევრი რამ იყო დამოკიდებული ჩვენს დიალოგზე, რათა შემდეგ პრეზიდენტისა და ასლან აბაშიძის შეხვედრა მოხერხებულიყო. მიხარია, რომ პოზიტიური წვლილი შევიტანე პრობლემის მოგვარებაში.

ბატონ ასლანს ბათუმში გამგზავრებამდე ვესაუბრე ტელეფონით — ისეთი შთაბეჭდილება შემექმნა, რომ ის ზოგიერთ დათმობაზე წასასვლელად მზად იყო და ძალზე კარგად ესმოდა ისიც, თუ რა შეიძლებოდა მოჰყოლოდა ვითარების ზედმეტად დაძაბვას. ამიტომაც ბათუმში უიმედოდ არ წავსულვარ. თუმც ისიც არ მიფიქრია, რომ ყველა პრობლემა ერთბაშად გადაწყდებოდა. ეს შეუძლებელი იქნებოდა, რადგან ცენტრსა და რეგიონს შორის პრობლემები წლების მანძილზე გროვდებოდა და მას ღრმა ფესვები აქვს. მთავარი ისაა, რომ ვითარება უკვე განიმუხტა, დანარჩენი კი ნელ-ნელა გაირკვევა.

— თუ საიდუმლო არ არის, რაზე ისაუბრეთ თქვენ და აჭარის ავტონომიის ხელმძღვანელმა 7 საათის მანძილზე?

— ვეცადე, ბატონი ასლანი დამერწმუნებინა, რომ ცენტრალურ ხელისუფლებას არ ჰქონია აჭარაში ჯარით შეჭრის განზრახვა. ვილაპარაკეთ პრეზიდენტის გადაადგილების საკითხზეც. სავსებით ერთმნიშვნელოვნად ვიტყვი — დაუშვებელია, პრეზიდენტი ქვეყნის რომელიმე კუთხეში თავისუფლად ვერ შედიოდეს. ან თუნდაც იმას, რომ პრეზიდენტს ეუბნებოდნენ, დაცვით არ შემოხვიდე, თუ აჭარაში გინდა შემოსვლა, ასე და ასე მოიქეციო — ასე ლაპარაკი პრეზიდენტთან მიუღებელია და კარგია, რომ ეს საკითხი ნორმალურად და სწორად გადაიჭრა... ვისაუბრეთ ცენტრისა და რეგიონის უფლებამოსილებათა გამიჯვნაზე, საბიუჯეტო საკითხებზე. დიდი დრო დავუთმეთ აჭარაში არჩევნების ჩატარების თემას — წინასაარჩევნო პროცედურებისა და აგიტაციისთვის ნორმალური პირობების შექმნას. ვილაპარაკეთ სხვა საკითხებზეც. უნდა ვთქვა, რომ დიალოგში საკმაოდ პოზიტიური როლი შეასრულა გიორგი აბაშიძემ, რომელიც შეხვედრას ესწრებოდა.

— სხვათა შორის, რუსული საინფორმაციო საშუალებები აღნიშნავდნენ დაძაბულობის განმუხტვაში მოსკოვის მერის, იური ლუჟკოვის როლს. თითქოს იგი თქვენი და ასლან აბაშიძის შეხვედრას ესწრებოდა.

— იური ლუჟკოვი შეხვედრას არ დასწრებია და არც იქნებოდა მართებული მისი იქ ყოფნა. ეს იყო პარლამენტის თავმჯდომარისა და ავტონომიური რესპუბლიკის ხელმძღვანელის შეხვედრა, რომელიც ქვეყნის შიგნით შექმნილ კრიზისულ მდგომარეობას ეხებოდა და ნებისმიერი უცხო ქვეყნის წარმომადგენლის დასწრება იქ ზედმეტი იქნებოდა.

არ მინდა ჩემი როლი გავაზვიადო. მე თუ არ ვიქნებოდი, მოიძებნებოდა სხვა პირი, რომელიც პრეზიდენტის განწყობასა და სიტყვებს მიიტანდა ასლან აბაშიძემდე... ვფიქრობ, ვითარების დაძაბვა გაუგებრობამ გამოიწვია. ბათუმში ჩემი ყოფნის დროსაც ბატონ ასლანს რამდენიმე ისეთი ინფორმაცია მიაწოდეს, რაც ჩვენი წყაროებით სულ სხვაგვარად იყო. როდესაც ვითარება ასე დაძაბულია, ხშირად, როგორც ერთ, ისე მეორე მხარეს დაუზუსტებელ ან გაზვიადებულ ინფორმაციებს აწვდიან... პრეზიდენტი სამართლიანად იყო აღშფოთებული, რომ წინააღმდეგობა გაუწიეს მის გადაადგილებას, მაგრამ ამის მიუხედავად, მან ნამდვილად მნიშვნელოვანი ნაბიჯი გადადგა, როდესაც ჩავიდა აჭარაში და შეხვდა ავტონომიის ხელმძღვანელს, ვითარება ამით განიმუხტა.

— თქვენ დაუზუსტებელი და გაზვიადებული ინფორმაციები ახსენეთ. კულუარებში სხვადასხვა ვერსია გავრცელდა, სინამდვილეში, ვინ აამღვრია წყალი?

— საქართველოში არ გახლდით და დეტალები არ ვიცი. ვითარების დაძაბვის მთავარი მიზეზი ნამდვილად არ არის ბოლოდროინდელი მოვლენები და არც დღევანდელი ხელისუფლება. კრიზისის მიზეზი ის პრობლემებია, რომლებიც უკანასკნელი 10 წლის განმავლობაში გროვდებოდა და რომლებიც ოდესმე უთუოდ თავს შეგვახსენებდა. ძველი ხელისუფლება ისე ჩქმალავდა ამ პრობლემას, როგორც შუბს ხალთაში, მაგრამ ხომ ცხადი იყო, რომ ჭირი თავს არ დამალავდა. ცენტრისა და რეგიონის დასაპირისპირებლად ძალზე ნოყიერი ნიადაგი შეიქმნა და ამან თავი მაშინ იჩინა, როდესაც ცენტრმა რეგიონში კონსტიტუციური წესრიგის დამყარება განიზრახა — არჩევნების დემოკრატიულად ჩატარება და საბიუჯეტო კონტროლის აღდგენა მოითხოვა.

— ოპონენტებმა მიხეილ სააკაშვილს სისუსტედ ჩაუთვალეს ჩოლოქიდან გამობრუნება.

— ეს იყო სწორი გადაწყვეტილება — ამას სრული პასუხისმგებლობით ვაცხადებ. ვითარების გამწვავებას მან გამობრუნება არჩია. ძალისმიერი გადაადგილება კატასტროფის ტოლფასი იქნებოდა. ერთი ტყვია რომ გავარდნილიყო, მას უთუოდ მოჰყვებოდა საპასუხო და ვის უნდა ესროლა ერთმანეთისთვის?! ერთი ქვეყნის შვილებს ომი უნდა აგვეტეხა? ეს წარმოუდგენელი უგუნურება და შეცდომა იქნებოდა. სააკაშვილს ყველაფერი რომ დააბრალონ, სიმხდალეს ნამდვილად ვერ დასწამებენ. მე სწორედ მისი გაბედულების მეშინოდა. რაკი აჭარაში არ შეუშვეს, პრეზიდენტი შეურაცხყოფილად გრძნობდა თავს და შემეშინდა, ვაითუ, წინააღმდეგობას არ შეეპუოს და საზღვრისკენ წავიდეს-მეთქი. კარგია, რომ მაშინ სააკაშვილმა პირად თავმოყვარეობაზე მაღლა ქვეყნის ინტერესი და მისი სტაბილურობა დააყენა და ჩოლოქიდან გამობრუნდა. ეს იყო ერთადერთი სწორი ნაბიჯი იმ ვითარებაში.

— ზოგისთვის ეს კონფლიქტი მორიგი წინასაარჩევნო „ფანდი“ იყო.

— რას ჰქვია „ფანდი“? გამოდის, ნინო ბურჯანაძე და მიშა სააკაშვილი ნიჭიერი მსახიობები ყოფილან, რომ ასე კარგად ითამაშეს. მახსოვს მიშას გამოსვლა, მისი ხმა, როდესაც ტელეფონზე ველაპარაკე — ძალზე შეშფოთებული და შეწუხებული იყო. ის მართლაც ძალზე ნიჭიერი ადამიანია, მაგრამ არა მგონია იმ დონის მსახიობი იყოს, ასე დამაჯერებლად თამაშობდეს.

თანაც გასულ კვირას უკვე დაინიშნენ ბათუმის პორტსა და საბაჟოზე პრეზიდენტის წარმომადგენლები — ეს მნიშვნელოვანი ნაბიჯია.

— გენერალურმა პროკურორმა განაცხადა, რომ აღძრულია სისხლის სამართლის საქმეები სოსო გოგიტიძეზე, ასევე, დავით ბაკურიძეზე. თუ ამ საქმეებს მსვლელობა მიეცემა, ხომ არ გახდება ეს მორიგი დაპირისპირების მიზეზი?

— პროკურატურის საქმეებში ვერ ჩავერევი — ვერ ვიტყვი, რომელი საქმე უნდა შეწყდეს და რომელი გაგრძელდეს. თუ ვინმეზე არსებობს სერიოზული ინფორმაცია, ის უთუოდ უნდა გადამოწმდეს და გაირკვეს, დამნაშავეა ეს პირი თუ უდანაშაულო. დარწმუნებული ვარ, ბატონი გოგიტიძეც და ბაკურიძეც თავად იქნებიან დაინტერესებულნი, რომ გაირკვეს, არიან თუ არა ისინი დამნაშავენი... ისიც, რომ პროკურატურის წარმომადგენლები უკვე ჩავიდნენ აჭარაში, მნიშვნელოვანი ფაქტია.

— მინდა გკითხოთ საარჩევნო სიების შედგენისას წარმოქმნილ პრობლემებზე. თქვენ ახსენეთ ფრაზა — „ჩემი გუნდი“, მაშინ, როდესაც მიხეილ მაჭავარიანი ამტკიცებს, ჩვენ ვართ ქალბატონი ნინოს თანაგუნდელები და მათ სხვაგან რატომ ეძებსო.

— არასოდეს მითქვამს, „დემოკრატებს“ ჩემს გუნდად არ მივიჩნევ-მეთქი და მიუხედავად იმისა, რომ ჩვენ და „ნაციონალები“ წინა არჩევნებზე ცალ-ცალკე გამოვდიოდით, მათზეც არ ვიტყვი ამას. ნაციონალებიც და დემოკრატებიც თანაგუნდელები ვართ. თუმცა არიან პირები, რომლებიც ამ პარტიების წევრები არ ყოფილან, მაგრამ წინა არჩევნების დროს მოიაზრებოდნენ ნინო ბურჯანაძის გუნდის წევრებად. თუკი გაერთიანებული დემოკრატებისთვის მაშინ იყო მისაღები ბურჯანაძის გუნდის არსებობა (ამაზე ავაგეთ ნოემბრის არჩევნების კამპანია), ახლა რა მოხდა? მათ (ე. წ. ბურჯანაძის გუნდს) არაფერი შეშლიათ, რევოლუციის დაწყებამდეც და მერეც გვერდში გვედგნენ. როდესაც მათ ვუთხარი — პარლამენტში არ შევალ, რადგან არჩევნები გაყალბდა-მეთქი, დამეთანხმნენ, მიუხედავად იმისა, რომ მათგან რამდენიმე პარლამენტში გასული იყო. ამ ხალხმა იბრძოლა და თან ძალზე ღირსეულად. როდესაც ამას ვამბობ, იმას არ ვგულისხმობ, რომ პარლამენტში მათი მოყვანა ვინმეს ხარჯზე მინდოდა. წინა არჩევნების დროს ამ ხალხს ბურჯანაძე-დემოკრატების ბლოკში თავისი ადგილი ჰქონდა, ამჯერადაც ასე უნდა ყოფილიყო და ეს იქნებოდა სამართლიანი. მე და მიშა მაჭავარიანს არ უნდა დაგვჭირვებოდა ერთმანეთთან პრესით ლაპარაკი, მას არ უნდა ეთქვა — ნინო ბურჯანაძის ქმედება შანტაჟს ჰგავს, მისი გუნდის წევრები ეჭვს იწვევენო. მე ღირსეული ადამიანები შევარჩიე, ამ ხალხის შესახებ წინასწარ მქონდა შეთანხმება ბლოკის ლიდერებთან და არავისთვის ყოფილა დიდი მოულოდნელობა.

> ვითარების დაძაბვა გაუგებრობამ გამოიწვია. ბათუმში ჩემი ყოფნის დროსაც ბატონ ასლანს რამდენიმე ისეთი ინფორმაცია მიაწოდეს, რაც ჩვენი წყაროებით სულ სხვაგვარად იყო. როდესაც ვითარება ასე დაძაბულია, ხშირად, როგორც ერთ, ისე მეორე მხარეს დაუზუსტებელ ან გაზვიადებულ ინფორმაციებს აწვდიან...

— ანუ მერე შეიცვალეს აზრი?

— აღარ მინდა ამაზე ლაპარაკი. ეს უსიამოვნო ინციდენტი დღეს უკვე ამოწურულია. თუ რამე გვეწყინება მეგობრებს, უნდა ვუთხრათ ერთმანეთს. არ ვარ ისეთი ადამიანი, წყენა გულში ჩავიდო და მერე კრიტიკულ მომენტში გავუხსენო ვინმეს. სხვათა შორის, პრეზიდენტსაც ვესაუბრე და განვუმარტე, რაზეც ვიყავი განაწყენებული და იგი სავსებით გაგებით შეხვდა ჩემს პოზიციას. დარწმუნებული ვარ, ბატონი მიხეილი რომ აქ ყოფილიყო, სიას უფრო სხვა სახე ექნებოდა.

— სხვათა შორის, იმასაც ამბობენ — ბურჯანაძეს და ჟვანიას ურთიერთობა გაუცივდათ, სანამ ქალბატონი პრეზიდენტს უკეთ შეეწყოო.

— სრული უფლება მქონდა, მეტი გაგება და დათმობა გაერთიანებული დემოკრატებისგან მომეთხოვა, ვიდრე ნაციონალებისგან. ბუნებრივია, მეტი პრეტენზია მექნებოდა გაერთიანებული დემოკრატების ლიდერის, ვიდრე ნაციონალების მიმართ. დემოკრატებისგან მეტი მხარდაჭერის იმედი მქონდა, მაგრამ...

— თქვენი მეუღლის ახალი პოსტი მოგწონთ?

— ვერაფერს ვიტყვი, ამაზე არ მიფიქრია. ისე, იოლი სამსახური მას არასოდეს ჰქონია. ჯერ კიდევ პარლამენტის საგარეო საქმეთა კომიტეტის თავმჯდომარეობიდან ვიცი, რა პრობლემებიც არსებობს საზღვარზე. ჩემი მეუღლეც დიდი პასუხისმგებლობით ეკიდება ამ საქმეს და დარწმუნებული ვარ, კარგად გაართმევს თავს.

იზო რუკაძე

არჩევნები–2004

მოიგეთ დიდი ფერადი ტელევიზორი

გახსოვთ, ალბათ, 2 ნოემბრის არჩევნების შედეგების პროგნოზირებისათვის „კვირის პალიტრა“ მკითხველებს ფერადი ტელევიზორის გათამაშებას დაჰპირდა, მაშინ ამ პროექტში 5.000-მდე მკითხველმა მიიღო მონაწილეობა. სამწუხაროდ, ჩვენგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო, გათამაშება ვერ შედგა. მოგეხსენებათ ნოემბრის არჩევნების შემდგომი მოვლენები და ოფიციალური შედეგების გაუქმება.

იმედია, ამჯერად, აღარაფერი შეგვიშლის ხელს და გთავაზობთ დაპირებულ გათამაშებას.

თქვენი პროგნოზი — როგორი იქნება 28 მარტის საპარლამენტო არჩევნების საბოლოო შედეგები? მოცემული ათი გრაფა უნდა შეავსოთ პოლიტიკური პარტიების/ბლოკების დასახელებებით იმ თანმიმდევრობით, რა თანმიმდევრობითაც ისინი განლაგდებიან 28 მარტის საპარლამენტო არჩევნების შედეგებში.

რომელი პოლიტიკური პარტია/ბლოკი დაიკავებს I-X ადგილებს საპარლამენტო არჩევნებში?

ტელევიზორს იგებს ბარათი-პროგნოზი, რომელიც ზუსტად დაემთხვევა არჩევნების შედეგებს. იმ შემთხვევაში, თუ ზუსტი პროგნოზი ვერავინ გააკეთა, პრიზს მიიღებს ყველაზე მიახლოებული ვარიანტის ავტორი; ხოლო თუ რამდენიმე ზუსტი პროგნოზი აღმოჩნდება, ან იქნება რამდენიმე ერთნაირად მიახლოებული ვარიანტი, პრიზს მიიღებს ის მკითხველი, რომლის პასუხიც ბარათის ბოლოს დასმულ შეკითხვაზე — ამომრჩეველთა რამდენი პროცენტი მიიღებს მონაწილეობას 28 მარტის საპარლამენტო არჩევნებში? — ყველაზე მიახლოებული იქნება რეალურთან. **წარმატებებს გისურვებთ!**

„კვირის პალიტრის“ („სიტყვა და საქმის“) საფოსტო ყუთებში ბარათების მოთავსების ბოლო ვადაა თბილისში 24, ხოლო რაიონებში 23 მარტი. ამის შემდეგ ისინი რედაქციაში დაილუქება და გაიხსნება მხოლოდ არჩევნების ოფიციალური შედეგების გამოცხადების შემდეგ.

პოლიტიკური პროგნოზი

ადგილი	პოლიტიკური პარტია/ბლოკი
I	
II	
III	
IV	
V	
VI	
VII	
VIII	
IX	
X	

ამომრჩეველთა რამდენი პროცენტი მიიღებს მონაწილეობას 28 მარტის საპარლამენტო არჩევნებში?

____

თქვენი სახელი, გვარი

ასაკი | ტელეფონი

ქალაქი, რაიონი

ქართველები სწავლობენ ფულის გაყოფას... ბანკების ჩაურევლად

პრეზიდენტ სააკაშვილს ქობულეთში ოთხჯერ მოუწყვეს მხარდამჭერებმა დახვედრა

თბილისის ომის სინდრომმა ნოემბრის მოვლენები უსისხლოდ ჩაატარა, აფხაზეთის ომის სინდრომის წყალობით კი ჩოლოქის კრიზისი შეიარაღებულ კონფლიქტში არ გადაზრდილა

ერთკვირიანი დაძაბულობის შემდეგ საქართველომ მშვიდად ამოისუნთქა, ყოველ შემთხვევაში, მათ, რომლებსაც არ სურთ ახალი ომი და სისხლის ღვრა ქართულ მიწაზე.

18 მარტს საქართველოს პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა მაინც აისრულა წადილი — ჩოლოქის ადმინისტრაციული საზღვარი საავტომობილო კორტეჟით გადალახა და ისე ჩავიდა ბათუმში, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ლიდერთან შესახვედრად.

ბეტონის ბლოკები სამანქანო გზიდან პრეზიდენტის კორტეჟის მოახლოებამდე რამდენიმე წუთით ადრე აიღეს და თანაც იმდენი, რომ მარტო მსუბუქი მანქანები გატეხულიყვნენ.

კორტეჟს გზის ორივე მხარეს ჩამწკრივებული ასობით ადამიანი „ბაბუ, ბაბუს“ ყვირილით აცილებდა.

პრეზიდენტის კორტეჟმა ჩოლოქი შეუჩერებლად გაიარა და დიდი სისწრაფით გააგრძელა გზა ბათუმისკენ. თუმცა საკაშვილი ქობულეთში ოთხ ადგილას შეჩერდა. ის ღიმილით ხვდებოდა ვარდებითა და „მიშა-მიშას“ ძახილით შეგებებულ ხალხს. დამხვდურებს შორის აშკარად ჩანდა პრეზიდენტის მომხრე და აბაშიძის მოწინააღმდეგე ადგილობრივი მოსახლეობის განწყობა.

კორტეჟი ციხისძირის გზაზე ნიღბიანმა და ავტომატიანმა ხალხმა შუაზე გაწყვიტა, ამ სიტყვის სრული მნიშვნელობით — მათ ნაბრძანები ჰქონდათ, შეეცილებინათ პრეზიდენტის კორტეჟი, რომელიც ქობულეთიდან გამოსვლის შემდეგ 50 მანქანაზე მეტს ითვლიდა.

ბათუმიდან მოსულმა ბრძანებამ კი პირველ რიგში ჟურნალისტები აღგვაშფოთა, რადგან მიკროავტობუსებით გადაკეტილ საცობში სააკაშვილის მხარდამჭერებთან ერთად ბევრი ჟურნალისტი მოხვდა. ნახევარსაათიანი „მძიმე“ საუბრის შემდეგ ნიღბიანებმა, რომელთა უმეტესობას, ეტყობოდა, რომ ავტომატური ცეცხლსასროლი იარაღის ხმარებასთან ცოტა მწყრალად იყო, ბოლოს და ბოლოს, ბათუმისკენ მხოლოდ ჟურნალისტების მანქანები გაატარეს.

ბათუმში, მრავალსაათიანი მოლაპარაკების შემდეგ, საქართველოს პრეზიდენტი და აჭარის ლიდერი უზენაესი საბჭოს წინ მომლოდინე ჟურნალისტების (ისე, ჟურნალისტებს შორის მრავლად ირეოდნენ ადგილობრივი უშიშროების სამსახურის წარმომადგენლები, რომლებიც განსაკუთრებულ ყურადღებას თბილისიდან ჩამოსულ ჟურნალისტებს აქცევდნენ) წინაშე წარდგნენ.

ამ მრავალსაათიანი მოლაპარაკების მთავარი მიღწევა ალბათ გარკვეული კომპრომისია, თუნდაც ის, რომ ცენტრის წარმომადგენლებიც გააკონტროლებენ ბათუმის პორტსა და სარფის საბაჟოს, ანუ იმ ადგილებს, საიდანაც შემოდის უზარმაზარი შემოსავალი, რომელიც დღემდე ცენტრამდე არ აღწევდა და აბაშიძის რეჟიმის გაძლიერებას ხმარდებოდა.

რჩება შთაბეჭდილება, რომ ურთიერთდაპირისპირების მთავარი მიზეზი — ფულია! უფრო სწორად, დიდი ფული, რომელიც ჰაერივით სჭირდება ამა თუ იმ პოლიტიკურ დაჯგუფებას ქვეყნის ხელისუფლების სათავეში მოსასვლელად და დიდი ხნით დასარჩენად!

მიუხედავად ამ მწარე სიმართლისა, მაინც მისასალმებელია, რომ ქართველები, ბოლოს და ბოლოს, იწყებენ ცივილიზებული ფორმებით თამაშს, ანუ ფულის გადასანაწილებლად დაქოქილ ტანკებს ბოლო წამს მაინც აჩერებენ!

ამ ეტაპზე ცენტრმა, შეიძლება ითქვას, თავისი საქართველოს ახალგაზრდა პრეზიდენტი.

ჩოლოქის მოვლენებმა აჩვენა, რომ აბაშიძის რეჟიმს, საჭიროების შემთხვევაში, შეუძლია ხალხის მობილიზება და შეიარაღება. შეიძლება სროლის მომენტში ამ „სახალხო ლაშქრის“ ნახევარზე მეტმა იარაღი მიაგდოს და შინ გაბრუნდეს, მაგრამ აბაშიძეს მაინც რჩება განსაზღვრული რაოდენობის შეიარაღებული ფორმირებები, რომლებიც არ ემორჩილებიან ცენტრს. ისე, სხვათა შორის, ჩოლოქის კრიზისის დროს, აბაშიძე ჩოლოქიდან შეტევაზე უფრო სანაპიროდან შეტევას და პორტში გადასროლილ დესანტს უფრთხოდა, რაზეც მეტყველებდა პლაჟებზე ჩასაფრებული შეიარაღებული ხალხი.

პრეზიდენტის კორტეჟს ჩოლოქზე, მიუხედავად ყველაფრისა, მაინც გაჭიმული დახვდნენ

შეიარაღებულმა ნიღბოსნებმა ციხისძირში ჟურნალისტები პრეზიდენტს კორტეჟს ძალით ჩამოაშორეს

18 მარტს, ბათუმში, საქართველოს პრეზიდენტმა და აჭარის ლიდერმა აჭარაში არარეგისტრირებული იარაღის ამოღებასა და უკანონო ფორმირებების გაუქმებაზეც ილაპარაკეს, მაგრამ რამდენიმე დღეში ორივე მხარე თავისებურ ინტერპრეტაციას აძლევს ამ მოლაპარაკებას — ცენტრს მიაჩნია, რომ აბაშიძემ ხალხში დარიგებული იარაღი უნდა ამოიღოს და დაშალოს უკანონო შეიარაღებული რაზმები, ბათუმი კი ჯიუტობს: მანამდე არ დავშლი შეიარაღებულ ჯგუფებს, სანამ ცენტრი ფოთიდან არ გაიყვანს ასევე შეიარაღებულ კანონიერ დანაყოფებსო.

ძნელი სათქმელია, ვის გულისხმობს ბათუმი, რადგან 14 მარტს, პრეზიდენტ სააკაშვილთან ერთად ჩოლოქიდან მისული შინაგანი ჯარებისა და გულუას სახელობის რაზმის მებრძოლები დიდი ხანია დაუბრუნდნენ დისლოკაციის ადგილებს, ხოლო ფოთში მუდმივად მდგარი შინაგანი ჯარების პოლკისა და თავდაცვის სამინისტროს საზღვაო თავდაცვის ძალების იქიდან გაყვანა-არგაყვანა ნამდვილად არ არის აბაშიძის საქმე!

აირზენა

კრიზისი პროფესიონალებმა უნდა მოაგვარონ

სპეცსამსახურებში განხორციელებული საკადრო ცვლილებები საჭოჭმანოს ხდის მათ პროფესიულ დონეს!

ბრძოლა მარტო ტყესა და ველზე როდი მიმდინარეობს, ბრძოლა ეწოდება იმასაც, რასაც სახელმწიფოს წეს-წყობილების ნელ-ნელა დასუსტება მოსდევს.

საქართველოს ახალი ხელისუფლება, რომელიც მოსახლეობის დიდი მხარდაჭერით მოვიდა ქვეყნის სათავეში, განუწყვეტლივ უნდა ფიქრობდეს თავისი იმიჯის შენარჩუნებასა და ამომრჩევლისთვის მიცემული დაპირებების შესრულებაზე.

ქვეყნის სახელმწიფოებრივი უსაფრთხოების წინააღმდეგ მრავალი ფაქტორი მუშაობს, მათ შორის, თუნდ „მოურჩენელი" სათბობ-ენერგეტიკული კრიზისი, დივერსიული აქტები და, რაც ყველაზე მთავარია, არასწორი საკადრო პოლიტიკა.

განსაკუთრებით მნიშვნელოვანია სწორი საკადრო პოლიტიკის გატარება ძალოვან სტრუქტურებში და, კერძოდ, სპეცსამსახურებში.

ამ მხრივ ცოტა გაურკვეველი სიტუაციაა უშიშროების სამინისტროსთან დაკავშირებით, სადაც ხელმძღვანელ პოსტებზე ინიშნებიან ახალგაზრდები, რაც, ერთი მხრივ, მისასალმებელია, მაგრამ ისინი, ფაქტობრივად, ვერ ერკვევიან სპეცსამსახურის მუშაობის სპეციფიკაში.

არადა ახალ ხელისუფლებას ნამდვილად არა აქვს იმის დრო, ელოდოს, როდის ისწავლიან ეს ახალგაზრდები სპეცსამსახურის ანაბანას, რადგან ქვეყნის სახელმწიფოებრივ უსაფრთხოებას უკვე დღეს სჭირდება დაცვა.

ერთი მხრივ, გასაგებია, რომ ახალი ხელისუფლების სახით ახალი გუნდი მოდის, რომელმაც, ცხადია, ერთნაირად უნდა იტვირთოს ქვეყნის მართვა-გამგებლობაში მიღწეული წარმატებების სიხარულიც და დამარცხებების წუხილიც და ასევე გუნდურად უნდა აგოს პასუხი ნამოქმედარზე.

ასევე, გასაგებია კიდევ ერთი ნიუანსიც: უშიშროების სამინისტროში აუცილებლად უნდა მომხდარიყო დიდი საკადრო ცვლილება, რადგან ამ სპეცსამსახურში ნამდვილად პროფესიონალები დარჩენილიყვნენ და დაწინაურებულიყვნენ, ხოლო ახალგაზრდა და ახალი ხელისუფლების აქტიური მომხრე ახალგაზრდები, მათი ხელმძღვანელობით, არანაკლებ ერთი წლის განმავლობაში გაცნობოდნენ სპეცსამსახურის სპეციფიკას, რათა „ოტო" (ტექნიკური მომსახურების განყოფილება) ანტიტერორისტულიდან მაინც გაერჩიათ.

მაგრამ, სამწუხაროდ, ისე მოხდა, როგორც რევოლუციის შემდგომ პერიოდებს სჩვევია — მაღალ თანამდებობაზე მოვიდა ხალხი, ვისაც გამარჯვებული პარტიის დროშა ერთხელ მაინც გაუქნევია!

არადა საქართველოს სახელმწიფოებრივ უსაფრთხოებას ისე, როგორც არასდროს, სწორედ დღეს ემუქრება შემოტევა „საიდუმლო ფრონტზე". დივერსიები რკინიგზასა თუ ელექტროგადამცემ ხაზებზე შეიძლება მონაგონი გახდეს, რადგან ამ ბრძოლას გეგმავენ და ახორციელებენ უცხო ქვეყნის სპეცსამსახურებში მომუშავე მართლა მაღალი დონის პროფესიონალი კადრები.

გამუდმებულ დივერსიებს, რომელთა არათუ წინასწარ აღმოჩენის, არამედ შემდგომ გამოძიების თავი არ ექნება არაპროფესიონალებით დაკომპლექტებულ ჩვენს სპეცსამსახურებს, საბოლოოდ საქართველოს ახალი ხელისუფლებისადმი ხალხის უნდობლობა მოჰყვება — რად გვინდა ისეთი მთავრობა, რომელიც, თითოეულ მოქალაქეზე რომ არაფერი ვთქვათ, თვით ქვეყნის სახელმწიფოებრივ უსაფრთხოებას ვერ იცავსო?!

ასე რომ, მეგობრობით თუ თანაპარტიულობის ნიშნით თანამდებობის პირების, განსაკუთრებით კი, სპეცსამსახურებში დანიშვნა, საბოლოოდ ისევ მათ დამნიშვნელებს დაუბრუნდება ავად.

P.S. შესაძლოა, უშიშროების სამინისტროში მაღალ თანამდებობებზე მეტწილად არაპროფესიონალი კადრების დანიშვნას, ერთი ფარული მიზანიც ჰქონდეს — საბჭოთა სუკ-ის შთამომავალი სამსახურის დაშლა და მის მაგიერ დასავლური ტიპის სპეცსამსახურის შექმნა. ასეთი მიდგომა მაშინ იქნება გამართლებული, თუკი ეს პროცესი უსწრაფესი ტემპებით განხორციელდება და ზოგიერთი არაპროფესიონალი, რომელიც დღეს სპეცსამსახურებში მაღალ თანამდებობას იკავებს, გამოყენებული იქნება ახალ, და იმედია, პროფესიონალურ სპეცსამსახურში, მხოლოდ მისი დონის შესაფერის თანამდებობაზე.

კოსოვოში ეთნიკური წმენდა დაიწყო

ალბანელებმა კოსოვოში მართლმადიდებელი სერბების ნამდვილი კალო გამართეს, — იძულებულია, აღიაროს KFOR-ის (კოსოვოში საერთაშორისო სამშვიდობო ძალები) ხელმძღვანელობამ.

KFOR-ი, რომელიც 1999 წელს იუგოსლავიის ომის შემდეგ NATO-ს წევრი ქვეყნების სამხედრო დანაყოფებისგან შეიქმნა, ვალდებული იყო, დაეცვა კოსოვოში მცხოვრები მოსახლეობის მშვიდობა, მაგრამ იმის გამო, რომ დასავლეთი, კერძოდ, აშშ და უფრო კი გერმანია, დაინტერესებული იყო დასავლეთ ევროპაში ბოლო კომუნისტური პლაცდარმის — იუგოსლავიის — დაშლა-დანაწევრებით, მხარს იუგოსლავიის დაშლის მოსურნეებს, პირველ რიგში, კოსოვოელ ალბანელებს უჭერდა.

KFOR-ს არ ეყო ძალა, მართლმადიდებელი სერბები დაეცვა მუსლიმანი ალბანელების შეტევისგან.

1999 წელს რუსი მედესანტეების ბატალიონმა ბოსნიიდან კოსოვომდე მოულოდნელი ავანტიურისტული მარში განახორციელა და კოსოვოში თვითნებურად შეიჭრა. ამან კოსოვოელ სერბებს იმედი მისცა, რადგან რუსეთი ისტორიულად ყოველთვის სერბების ინტერესებს იცავდა. მაგრამ დღეს ეს რუსული ბატალიონი სამშობლოშია გაყვანილი, რადგან რუსეთს კოსოვოში მისი შენახვის თავი არა აქვს.

18-ათასიანი KFOR-ის სამხედრო კონტინგენტი კი რატომღაც მოუმზადებელი აღმოჩნდა ეკლესიებში თავშეფარებული მშვიდობიანი სერბი მოსახლეობის დასაცავად. მოკლულია 35 სერბი, დაჭრილია ასობით. ბოლო სამი დღის განმავლობაში მუსლიმანმა ალბანელებმა 25 მართლმადიდებლური ეკლესია გადაწვეს, მათ შორის ისეთებიც, რომლებსაც „იუნესკო" იცავდა.

ცხადია, კოსოვოელ ალბანელებს ამ მხარიდან სერბების საბოლოოდ გაყრა და კოსოვოს ალბანეთისთვის მიერთება სურთ. სერბეთის ხელისუფლება კი, თანამემამულეთა დასაცავად, NATO-ს კოვოსოში თავისი ჯარების შეყვანას სთხოვს.

მაგრამ NATO ამას არ დათანხმდება, რადგან ეს ახალი ფართომასშტაბიანი საბრძოლო მოქმედებების დაწყებას გამოიწვევს. ბელგრადს კიდევ ერთ გამოსავლად მიაჩნია სერბეთისა და ჩერნოგორიის NATO-ს პროგრამაში „პარტნიორობა მშვიდობისათვის" სასწრაფოდ ჩართვა, რათა NATO-მ უფრო მეტად დაიცვას სერბი მოსახლეობის ინტერესები კოსოვოში.

თუ როგორ განვითარდება მოვლენები, ერთი შეხედვით საქართველოდან შორს მყოფ კოსოვოში, ჩვენთვის სულერთი არ არის, რადგან იქ ამჟამად ორი ქართული სამხედრო დანაყოფი იმყოფება — თურქული ბატალიონის შემადგენლობაში მყოფი ქართული ოცეული და გერმანული კონტინგენტის ქართული ასეული. დღემდე კოსოვოში სამშვიდობო მისიით წასვლა ბევრად უფრო ნაკლებსაშიშად ითვლებოდა, ვიდრე ერაყში გამგზავრება, მაგრამ ბოლო დღეების მოვლენები ცხადყოფს, რომ უხიფათო ადგილი არსადაა.

ერაყის ომის წლისთავზე ბუში თავს იმართლებს

20 მარტს წელიწადი შესრულდა, რაც კოალიციურმა ჯარებმა ერაყის საზღვარი გადალახეს. მიუხედავად იმისა, რომ მათ სულ 25 დღე დასჭირდათ ერაყის დედაქალაქამდე მისაღწევად და ერაყის ტერიტორიის დასაპყრობად, საბრძოლო მოქმედებები მთელი წელი გრძელდება, ოღონდ პარტიზანული სახისა.

ამ ხნის განმავლობაში 586 ამერიკელი სამხედრო დაიღუპა. აქედან უმეტესი — 430 ადამიანი — სწორედ პარტიზანულმა თავდასხმებმა შეიწირა. უშუალოდ საბრძოლო მოქმედებებს, ასევე პარტიზანულ თავდასხმებსა თუ ტერორისტულ აქტებს 10 ათასამდე ერაყელი ემსხვერპლა. ერთი წლის მცდელობის მიუხედავად, პრეზიდენტ ბუშის ადმინისტრაციამ და ასობით სამხედრო დამკვირვებელმა, ვერ მიაკვლიეს მასობრივი განადგურების იარაღის, ანუ იმის, რაც ომის დაწყების საბაბი გახდა, ნიშანწყალსაც კი.

ერაყში 130-ათასიანი სამხედრო კონტინგენტის ყოლა და როტაცია აშშ-ს ძალზე ძვირი უჯდება, რაც კოზირს უგდებს ხელში რესპუბლიკელების მოწინააღმდეგე დემოკრატებს.

ნოემბრის დასაწყისში აშშ-ში საპრეზიდენტო არჩევნები უნდა გაიმართოს. პრეზიდენტ ბუშს აკრიტიკებს მთავარი მეტოქე, დემოკრატი ჯიმ კერი — მიუხედავად დაპირებისა, ბლიცკრიგი არ გამოვიდა და პარტიზანული ომი ერაყში უფრო და უფრო ღვივდება, რასაც ყოველდღიურად რამდენიმე ამერიკელი ჯარისკაცის სიცოცხლე ეწირებაო. სწორედ ერაყის თემა, უფრო სწორად კი, ბუშის ადმინისტრაციის წარუმატებელი პოლიტიკა ერაყში, იქნება ის ძირითადი არგუმენტი, რითაც დემოკრატები რესპუბლიკელებზე გამარჯვებას ეცდებიან საპრეზიდენტო არჩევნებში.

პრეზიდენტ ბუშისთვის ისიც დიდი დარტყმა იქნება, თუკი ესპანეთის ახალი მთავრობა შინ დააბრუნებს ერაყში გაგზავნილ თავის სამხედროებს. მაგრამ აშშ-ის პრეზიდენტის იმედგაცრუება მაშინ იკითხეთ, თუ ესპანეთს პოლონეთმაც მიბაძა და თავისი 2400 სამხედრო ერაყიდან გაიყვანა — ამის შესაძლებლობაზე პოლონეთის პრეზიდენტმა გასულ კვირას განაცხადა. ბუშის ერთგული ალბათ საქართველოს პრეზიდენტი სააკაშვილი დარჩება. მან ვაშინგტონში სტუმრობისას ბუშს პირობა მისცა, ქართული სამხედრო კონტინგენტი ერაყში 600 კაცამდე გაიზრდებაო.

თუმცა ერაყიდან ჩამოსულ ქართველ სამხედროთა როტაცია, უფულობისა და სხვა მიზეზების გამო, დღემდე ვერ მოხერხდა.

რუსული ბომბდამშენების „დაჭკვიანებას" ქართველი აპირებს

ერაყში ამერიკული უზუსტესი (ხშირ შემთხვევაში) „წერტილოვანი" დარტყმებით შემცბარი რუსი გენერლები ცდილობენ, სასწრაფოდ შექმნან ადეკვატური შეიარაღება საკუთარი ბომბდამშენებისთვისაც.

მაგრამ თვითმფრინავების აეროდინამიკაში მშვენივრად გაცნობიერებულ რუს კონსტრუქტორებს, როგორც წესი, არ შეუძლიათ ისეთი თანამედროვე რადიოელექტრონული მოწყობილობები დაუყენონ საბრძოლო თვითმფრინავებს, რომლებიც უზუტეს დაბომბვებს უზრუნველყოფენ.

რუსულ სამხედრო რადიოელექტრონულ ხელსაწყოებში ერთგვარი რევოლუციის მოხდენა სურს ჩვენს თანამემამულეს, ცნობილ მეცნიერს, რუსეთის ფედერაციის სამეცნიერო-საწარმოო ცენტრის „ტექნოკომპლექსის" პრეზიდენტს გივი ჯანჯღავას.

„კვირის პალიტრა" ორი წლის წინ წერდა, რომ გივი ჯანჯღავამ რუსეთის პრეზიდენტს ძალზე ორიგინალური და ეფექტური მეთოდი შესთავაზა რუსეთის საბრძოლო პოტენციალის ერთი-ორად გასაზრდელად — ამერიკელებმა იუგოსლავიასა და ავღანეთში მარჯვედ გამოიყენეს უპილოტო ფრთოსანი რაკეტები, რომლებიც ასეული კმ-ის სიშორიდანაც კი ხვდებოდნენ მიზანს. გივი ჯანჯღავას წინადადებით, რუსეთს არ უნდა ეწარმოებინა ახალი და ძვირად ღირებული ფრთოსანი რაკეტები, რათა ამერიკასთან ამ შეიარაღების სახეობაში პარიტეტი არ დაეკარგა, არამედ უკვე ჩამოწერილი ზებგერითი გამანადგურებლების (რუსეთის აეროდრომებზე რამდენიმე ათასი ასეთი, სხვადასხვა ტიპის დაკონსერვებული გამანადგურებელი ინახება), მაგალითად, МиГ-23-ის კაბინაში ჩაემონტაჟებინათ „ტექნოკომპლექსის" მიერ შექმნილი ავტოპილოტი, რომელიც ასაფეთქებელი ნივთიერებით დატვირთულ თვითმფრინავს უზუსტესად მიმართავდა მოწინააღმდეგის სამიზნისკენ.

გივი ჯანჯღავას ეს პროექტი, ძნელი სათქმელია, ხორციელდება თუ არა მისი ძალზე გასაიდუმლოების გამო, მაგრამ ცოტა ხნის წინ რუსეთმა გამოსცადა თავისი ახალი დამრტყმელი თვითმფრინავი — ზებგერითი ბომბდამშენი Су-34, რომლიდანაც გაშვებული რაკეტები თანამგზავრიდან იმართებოდა. საბორტე შეიარაღების მართვის ეს სისტემაც ჯანჯღავას „ტექნოკომპლექსშია" დამზადებული და, მისი თქმით, ოპტიკური სისტემა „პლატანის" მეოხებით, ბომბარდირება ხუთჯერ უკეთესად განხორციელდა, ვიდრე დამიზნების ძველი სისტემებით. მისივე თქმით, ახალი რუსული საბრძოლო თვითმფრინავებისთვის მისი ცენტრი ამზადებს პილოტის სპეციალურ მუზარადს, რომელზეც დამაგრებული სათვალით პილოტი მოახდენს რაკეტების დამიზნებასა და გაშვებას, ანუ საითაც პილოტი თავს მიაბრუნებს და გაიხედავს, ავტომატურად იქით მოხდება რაკეტების დამიზნება.



ამ ახალი რუსული ბომბდამშენის Су-34-ის „დაჭკვიანებას" ჩვენი თანამემამულე გივი ჯანჯღავა ცდილობს.

NATO ყოფილ საბჭოთა რესპუბლიკებში გამოჩნდა!

წელს უშუალოდ რუსეთის საზღვრებთან პირველად გამოჩნდება აშშ-ის სამხედრო ბაზები

ყინული დაიძრა! გასულ კვირას ჩრდილოატლანტიკურმა ალიანსმა ოფიციალურად განაცხადა, რომ სამხედრო ბაზებს უშუალოდ ყოფილი საბჭოთა კავშირის ტერიტორიაზე, კერძოდ, რუსეთის ფედერაციის საზღვართან განალაგებს!

17 მარტს ბრიუსელიდან ვილნიუსს შეატყობინეს, რომ NATO თავისი დაცვის ქვეშ იღებს ბალტიისპირეთის საჰაერო სივრცეს და ამისთვის ლიტვის ტერიტორიაზე თავდაპირველად 4-6 ერთეულ F-16 ტიპის ზებგერით გამანადგურებელ თვითმფრინავს განათავსებს.

რამდენიმე კვირაში ბალტიისპირეთის სამივე ყოფილ საბჭოთა რესპუბლიკას — ლატვიას, ლიტვასა და ესტონეთს — ოფიციალურად მიიღებენ ჩრდილოატლანტიკურ ალიანსში და ამიტომაც NATO-ს ხელმძღვანელობა დიდ ყურადღებას უთმობს ბალტიისპირეთის ცის გაკონტროლებას. NATO-ელი გენერლები განსაკუთრებით უფრთხიან ბალტიისპირეთის საჰაერო სივრცეში თვითმფრინავების შეჭრას ბელორუსიისა და რუსეთის მხრიდან.

თუმცა რუსეთი მარტო თავის ჩრდილოდასავლეთ საზღვრებთან როდი უნდა ელოდოს NATO-ს სამხედრო ბაზების გამოჩენას. რამდენიმე დღის წინ, ბაქოში ოფიციალურად სტუმრობისას, ევროპაში აშშ-ის ჯარების სარდლის მოადგილემ, ჩარლზ უოლდმა განაცხადა, რომ ამერიკელი სამხედრო ინსტრუქტორები გაწვრთნიან აზერბაიჯანის არმიას, სანაცვლოდ კი აზერბაიჯანის ტერიტორიაზე განთავსდებიან ამერიკული არმიის მობილური ჯგუფები, რომლებიც ოპერატიულად მოახდენენ რეაგირებას ამა თუ იმ კონფლიქტურ სიტუაციაზე.

ძირითადი მოტივი, რის გამოც პენტაგონი აზერბაიჯანში გერმანიიდან 15 ათასი სამხედროს გადასროლას აპირებს, არის ბაქოთბილისი-ჯეიჰანის ნავთობსადენის დაცვა. ამასთან, ამერიკული მხარე ოფიციალური ბაქოსგან მოითხოვს, რომ მან წლის ბოლომდე გაარკვიოს NATO-ში გაწევრებასთან დაკავშირებული საკითხები.

მანამდე კი ამერიკელი სამხედრო ექსპერტები დროს უქმად არ კარგავენ. უკვე ჩატარდა სამი აზერბაიჯანული სამხედრო აეროდრომის — კიურდამირის, ნასოსნისა და გალას — დეტალური მონიტორინგი. პენტაგონს ყველაზე მეტად ნასოსნის პირველი კლასის აეროდრომი მოეწონა და უკვე შეუდგა მის რეკონსტრუქციას.

ამ ინფორმაციიდან გამომდინარე, ლოგიკურია ვიმსჯელოთ იმის თაობაზეც, რომ ანალოგიური მიზეზით — ანუ ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ნავთობსადენის დაცვის მიზნით, პენტაგონი ეცდება, თავისი მობილური სამხედრო ჯგუფების განთავსებას ქართულ სამხედრო აეროდრომებზე, ვაზიანში, მარნეულში ან დიდ შირაქში.

და, ეს მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს პრეზიდენტმა თავისი რუსი კოლეგის გასაგონად არაერთხელ განაცხადა, — საქართველოს ტერიტორიაზე ამერიკული სამხედრო ბაზები არ განთავსდებაო. ეტყობა, ეს ჩვენი ჩრდილოელი მეზობლის დასაწყნარებლად უფრო იყო ნათქვამი, რადგან პენტაგონის საიდუმლო ჩანაფიქრში აუცილებლად იქნება სამხრეთ კავკასიაში — რუსეთის სამხრეთ და ირანის ჩრდილოეთ საზღვრებთან ფეხის მტკიცედ მოკიდება.

რუბრიკა მოამზადა ირაკლი ალადაშვილმა

ამნისტირებულთა თარეში

სიკეთისთვის სამაგიერო, ანუ ვის იმედზე ვყოფილვართ

შინაგან საქმეთა სამინისტროს განსაკუთრებულ საქმეთა გამომძიებელს, აკაკი ჯიჭონაიას, რომ იტყვიან, თავის მოსაფხანადაც არ სცალია. მისი სამუშაო ოთახი სავსეა 2 ნოემბრის საპარლამენტო არჩევნების გაყალბებული ბიულეტენებით. სამი ამდენი კიდევ მეზობელ ოთახებში აწყვია. გამოძიებისათვის განკუთვნილი დრო კი იწურება, მაგრამ იმედს არ კარგავს, რომ საქმის დამთავრებას მოასწრებს. მით უმეტეს, რომ ახლა მას მეორე გამომძიებელი, მისივე მოგვარე ჯონი ჯიჭონაიაც ეხმარება და პირობაც მოგვცა, რომ პირველად „კვირის პალიტრას“ მოაწვდის ამასთან დაკავშირებულ ექსკლუზიურ მასალას. მანამდე კი ძველ კოლეგას უარი ვერ მაკადრა და ორიოდე წლის წინ გახმაურებული ერთი საინტერესო საქმის დეტალები გამაცნო.

თემურ ნანობაშვილი (აქ და შემდგომ გვარსახელები შეცვლილია) ოდესაში გაასამართლეს 1987 წელს, მაგრამ 1990 წელს საქართველოში მოსულმა ახალმა ხელისუფლებამ რომ თავი გაიგიჟა, როგორ შეიძლება, ჩვენებურმა დამნაშავეებმა ზღვის ნოტიო, ანდა ჩრდილოეთის ცივი ჰაერი ისუნთქონო, — და ყველა წყალწაღებული აქეთ ჩამოიყვანა, თემურს ეჭვიც არ შეჰპარვია, რომ მასაც მალე დაუძახებდნენ: „ნანობაშვილი ს ვეშჩამიი“ და ასეც მოხდა. სამხედრო საბჭოს მიერ გამოშვებულმა 1992 წლის 27 თებერვლის ამნისტიამ ერთიანად დააცარიელა საქართველოს ციხეები და კოლონიები. თემური და მისთანები, უფრო სწორად, მასზე ბევრად საშიში დამნაშავეები, გარეთ გაუძახეს და ტელევიზიით თვითკმაყოფილი სახით გვაუწყეს ამ „ჰუმანური“ აქციის შესახებ. როგორც ჩანს, არავის უფიქრია, რა მოხდებოდა შემდეგ. არადა, მოხდა ის, რაც არ უნდა მომხდარიყო — რკინის გისოსებს თავდაღწეული დამნაშავეთა ვეებერთელა არმია საქართველოს „შეესია“. ერთბაშად ჩაკვდნენ ქალაქები, დაიცალა ავტომაგისტრალები, დაიხურა სავაჭრო და საყოფაცხოვრებო ობიექტები. დიდ ღლავებთან ერთად პატარა „ნესუნებმაც“ (ასე ეძახდნენ წვრილმან ქურდბაცაცებს კომუნისტები) წამოყვეს თავი და ისე გაიძარცვა ქვეყანა, რომ ფანჯრები და კარებიც კი ჩამოხსნეს ქურდებსა და მძარცველებს გადარჩენილ შენობებს. მოსაპარავი რომ აღარაფერი დარჩა, თავის „კეთილისმყოფლებს“ შეუტია ზოგიერთმა ამნისტირებულმა.

— ასეთ თავისუფლებას, მგონი ისევ ციხეში ჯდომა სჯობდა. რუსეთში ხომ არ წავსულიყავით? — ჰკითხა ერთ დღეს თემურმა თავის ყოფილ თანამზრახველს, მურად ჭანტურიძეს, რომელიც მესამე თუ მეოთხე ყაჩაღობისა და სხვა „დამსახურებისათვის“ უზენაესმა სასამართლომ განსაკუთრებით საშიშ რეციდივისტად ცნო ორიოდე წლის წინ და თხუთმეტი წლით თავისუფლების აღკვეთა შეუფარდა მკაცრი რეჟიმის კოლონიაში სასჯელის მოხდით. ახლა კი ხელისუფლებისგან შეწყალებული ისიც საკბილოს ძებნით იყო დაკავებული.

— რუსეთში ჩვენნაირებს ახლაც იჭერენ, აქ კი ხმის გამცემი არავინაა. ყოველ შემთხვევაში, ვიდრე ეს მთავრობაა, არავინ შეგვაწუხებს. ცოტა თავი გავანძრიოთ და საკბილოსაც ვიშოვით. ისე როგორ წახდება საქმე, ორი კაცი ვერ შეგვიძახოს ამხელა ქვეყანამ.

— ჰო, მაგრამ მაშინ დაუკრეფავში მოგვიწევს შესვლა. ამ დილით ერთმა ჩემმა ნაცნობმა გამომიარა და მითხრა: ბატალიონ „თეთრი არწივის“ შტაბში, რომელიც თბილისის ზღვაზეა განლაგებული, რვაასი ათასი რუბლი დევსო, მაგრამ როგორ უნდა წამოიღო, ორ კაცს ერთი იარაღი გვაქვს და ისიც ორი ვაზნით. იქ კი ავტომატიანი ხალხი ზის.

— აგერ მეორე იარაღიც... — სასტარტო პისტოლეტი დააძრო მურადმა, — მაინცდამაინც ცხვირზე თუ არ დაადე, ნამდვილისგან ვერც გაარჩევ. ის ხალხი კი მეეჭვება, ჩვენზე მაგრები იყვნენ...

საქმის მიმცემმა, ვინმე გიამ, რომელიც ეტყობა, იმავე ბატალიონის მებრძოლი იყო, მურადსა და თემურს შორიდან დაანახვა შტაბის ოთახი, მერე იქაური სიტუაციაც აღუწერა და იმ კარადის ადგილმდებარეობაც მიუთითა, რომელშიც ფული იდო. საღამომდე აკვირდებოდნენ იქაურობას ბუჩქებში ჩამალული ძმაკაცები. შებინდებისას კი ქუჩაში გამოყრილი მდგმურებივით მობუზულები მიადგნენ მითითებულ ოთახს, რომელსაც შესასვლელი იქვე გამავალი გზის მხარეს ჰქონდა და მობოდიშებით ითხოვეს, ტელეფონი გვჭირდება, ეგებ რუსთავში დაგვარეკვინოთო. ის იყო, კარი შეიკეტეს, რომ იარაღი იშიშვლეს და წამში შტაბის ოთხი მორიგე, რომელთა შორის ორი ოფიცერი იყო, ისე დაყარეს იატაკზე, არც ერთს არ გახსენებია იქვე კუთხეში მიყუდებული ტაბელური ავტომატები, რომლებიც მხოლოდ და მხოლოდ თავის დასაცავად ჰქონდათ. მერე მომხდურებმა იქვე, კუთხეში მიგდებული რეზინის საცურაო კოსტიუმი დაჭრეს და ოთხივეს ისე შეუკრეს ხელ-ფეხი, განძრევის საშუალება რომ არ ჰქონოდათ. გაუჭირდათ, მაგრამ მომცრო რკინის ძალაყინით მაინც გატეხეს რკინის კარადა, სადაც ფული ინახებოდა. ფულს ავტომატებიც ზედ მიაყოლეს და ის იყო, ოთახიდან გასვლას აპირებდნენ, კართან შეიარაღებულმა ოცეულმა ჩაიარა. კიდევ კარგი, ჩაიარა და არ გაჩერებულა. არავის შეუხედავს შტაბის ოთახში. ცოტა არ იყოს აფორიაქებული ყაჩაღები ფეხაკრეფით გამოვიდნენ ოთახიდან და სიბნელეში გაუჩინარდნენ.

ასე გადაუხადა ერთმაც და მეორემაც სამაგიერო (მოქალაქეთა ძარცვა-ყაჩაღობაზე რომ აღარაფერი ვთქვათ) სამხედრო საბჭოს მის მიერვე ამნისტირებულმა წყვილმა, რომელთაც შემდეგში ბევრი მიმდევარი გამოუჩნდა. მათ შორის ისეთებიც, აფხაზეთში, ომის დროს რომ იარაღს ჰპარავდნენ თავისიანებს და მერე მტერზე ყიდდნენ.

ორიენტაცია სამეზობლოზე

ახლა მათ იარაღიც ჰქონდათ და სახარჯო ფულიც, მაგრამ არ ჰქონდათ უმთავრესი — ინფორმაციები სარფიანი საქმეების შესახებ და ვიდრე საქმის მიმცემებს გამონახავდნენ, გადაწყვიტეს, თავიანთ შეძლებულ მეზობლებს დასხმოდნენ თავს.

— იქ, სოფელში, ერთი ჩემი მოგვარეა, რომელიც ცოტა მენათესავება კიდეც, მთელი ცხოვრება ყველითა და საქონლით ვაჭრობს. რესტორანში ისინი არ დადიან და არც „ლიმუზინები“ უდგათ ეზოში. უეჭველია, დანაზოგი ექნებათ. მაგრამ მე მიცნობენ, ამიტომ ერთი-ორი კაცი უნდა შევიამხანაგოთ... — თქვა მურადმა.

სამი კაცი მეორე დღესვე იპოვეს. პირველი, ჯაბა გოგინაშვილი, თემურის მეზობელი იყო კასპიდან. გია დაბრუნდაშვილსა და ანზორ ლომიძეს კი ორივენი კარგად იცნობდნენ კოლონიაში გატარებული წლებიდან.

ჭანტურიძეები მთაში სახლობდნენ, ოსების საზღვარზე. მურადის გამოცარიელებული სახლი დასაყაჩაღებლად განწირული მისი მოგვარისა და ნათესავის, პავლეს სახლის მოპირდაპირე მხარეს იდგა. გვიან ღამით რომ შეძვრნენ, მეორე დღეს ფეხიც არ გამოუდგამს გარეთ ბანდის არც ერთ წევრს. ვიდრე არ დარწმუნდებოდნენ, რომ პავლე შინ იყო, იქ შესვლას აზრი არ ჰქონდა. მურადის ვარაუდით, ფულის სამალავი მხოლოდ ოჯახის უფროსს უნდა სცოდნოდა. სოფელი-თქო, ვამბობთ, მაგრამ ეს ძველებურად ხალხმრავალი სოფელი აღარ იყო. ჯერ, კომუნისტების უთავობის, ახლა კი ახალი ხელისუფლების გადამკიდე აქაურები ლუკმაპურის საძებნელად თბილისს მიაწყდნენ, სოფელში სულ ათი-თორმეტი მოსახლეღა დარჩა, ისინიც იმდენად შორი-შორს სახლობდნენ, ხმასაც ძლივს აწვდენდნენ ერთმანეთს. ეტყობა, პავლე ზამთრისათვის შეშის დასამზადებლად იყო წასული რამდენიმე კაცთან ერთად და ხუთეულსაც მანამ მოუწია ლოდინი, ვიდრე შებინდებულზე სტუმრები არ გააცილა ოჯახმა. მერე კი ცოტა ადროვეს და ოთხი კაცი შეიჭრა სახლში. პავლეს გარდა, იქ მისი ჯანსუსტი ცოლი და ერთიც ათი-თორმეტი წლის შვილიშვილი დახვდათ. ფული რომ მოსთხოვეს, პავლემ ჯერ იფიქრა, მომეყურაო, ოსები ეგონა მომხდურები. იმ დროს ეს ჩვეულებრივი ამბავი იყო და გაუკვირდა — მამაცხონებულებო, თვეში სამჯერ მაინც მაწიოკებთ და რაღა მექნება, ამ ორმა ძროხამ ამდენი რა უნდა მოიწველოს, რომ ყოველ მოსვლაზე ფული დაგახვედროთო, მაგრამ როცა დარწმუნდა, ქართველებთან ჰქონდა საქმე, ხელი ჩაიქნია და უთხრა: — ეძებეთ, ბიძიკო, იქნებ მართლა არ ვიცი მე და რაღაც მართლაც არის ამ სახლში. ხელს არ შეგიშლით, აგერ მივჯდები კუთხეში ჩემთვის და დაგელოდებით.

— გვამასხარავებს ძაღლიშვილი... — გამოცრა ჯაბა გოგინაშვილმა და ჯერ მოხუცს გამეტებით ჩასცხო მუშტი კეფაში, მერე პატარა ბიჭს დაავლო მარცხენა ხელი, მარჯვენათი იქვე, ბუხრის პირას მიყუდებული ნაჯახი დაითრია, ბავშვს გაშლილი ხელი ჯორკოზე დაადებინა და იღრიალა — ან ფულს გამოიტან, ბებერო, ან ხუთივე თითს დავაყრევინებ ამ შენს უგვან ნაშიერსო. იმავე წამს ანზორ ლომიძემ ბუხრის წინ მდგარი სანავთე პავლეს მეუღლეს თავზე დააპირქვავა და ასანთი გაჰკრა. ისეთი არაადამიანური ხმით იბღავლა პავლემ, ყაჩაღებიც კი შეკრთნენ.

— კმარა! — იყვირა თემურმა და მკაცრად ანიშნა ჯაბას, ბავშვს თავი დაანებეო, თუმცა სახლის გადაქოთება არ დაუშლია ძმაკაცებისთვის. ფული რომ ვერ იპოვეს, ყველი, კვერცხი, თაფლი და ერთი ნიკოლოზის დროინდელი შაშხანა გააყოლეს ხელს.

— ბენზინის ფულიც ვერ ვიშოვეთ, ამის დედა ვატირე... — თავისთვის ბურტყუნებდა უკმაყოფილო ანზორ ლომიძე და დაფეხვილ „ნივას“ მიაჩაქჩაქებდა. ლომიძე მურად ჭანტურიძის ბოსტანში ისროდა ქვებს. სწორედ მისი იდეა იყო ეს საქმე, მაგრამ ამის ხმამაღლა თქმას ვერც ერთი ვერ ბედავდა. იცოდნენ, მწარედ მოხვდებოდათ.

მესაქონლე ბრიგადირი

მაინც ვერ მოისვენა ჯაბა გოგინაშვილმა და რაკი რამდენიმე თვის შემდეგ იმავე სოფელში მოუწია ჩასვლა, პავლე ჭანტურიძის ეზოში თავისივე შეთითხნილი წერილი გადააგდო ერთი მილიონი რუბლის მოთხოვნით, თუმცა არც აქედან გამოვიდა რამე. რაც არ ჰქონდათ, რას გასცემდნენ ჭანტურიძეები. ერთი-ორჯერ რომ ისევ ხახამშრალები დარჩნენ, მურად ჭანტურიძემ ხელი ჩაიქნია ასეთ „გადაუმოწმებელ“ ინფორმაციებზე და „ხალხში გარევის“ საბაბით ალგეთში მესაქონლეობის ფერმის ბრიგადირად მოეწყო. ღამის გასათევად ოთახიც იქვე გამოუყვეს და მას შემდეგ ბანდის ყველა „მნიშვნელოვანი შეხვედრა“ ფერმაში იმართებოდა (უცხო ადამიანების ფერმაში ტრიალი არავის უკვირდა. ფერმა კერძო პირს ეკუთვნოდა და მას ყოველდღე აკითხავდნენ რძისა და ყველის მუშტრები). აქ მოჰყავდათ საეჭვო ყოფაქცევის, ანუ დასაყაჩაღებელ ობიექტებზე სარწმუნო ინფორმაციის მქონე ქალები და საქმეც დაიძრა. ელამმა, მაგრამ ტანად მოხდენილმა თინიკომ ისე დაწვრილებით აღწერა ერთი თბილისელი მარტოხელა სომხის ბინა, კაცი იფიქრებდა, ალბათ თვითონაც იქვე ცხოვრობსო და ბინაში შეღწევის მეთოდიც თვითონვე შეიმუშავა.

გია დაბრუნდაშვილმა სომხის სადარბაზოში ფოსტის ყუთებიდან მობინადრეთა გვარები ამოიწერა და გრძელი ფურცლით ხელში მიადგნენ არტურა ეჯიბიანის ბინას. მასპინძელი სულაც არ აპირებდა კარის გაღებას. მით უმეტეს, უცხო ხალხი რომ დაინახა სათვალთვალოდან. მაგრამ როცა გარედან აუხსნეს, საჩხერელები ვართ და თქვენი სადარბაზოს წინ ღვინის სავაჭროს გახსნას ვაპირებთ, თქვენი თანხმობაცაა საჭიროო, სიხარბემ სძლია. ფულის შოვნის სურვილით ატაცებულმა იფიქრა, ამ გოიმებს წილში ჩავუჯდებიო, ისე ხელს არ მოვუწერო და ფართოდ გააღო კარი. სიხარბე ძვირად დაუჯდა არტურას. ანტიკვარიატი და სხვა ძვირფასეულობა რომ ტომრებში ჩატენეს, მერე ფული მოსთხოვეს მასპინძელს. მხდალი არტურა ისე გამწარდა, სამზარეულოს იატაკიდან, სადაც საათზე მეტხანს ეგდო, ხორცის საკეპი ნაჯახი აიღო და ისე გამეტებით მოუქნია ანზორ ლომიძეს, ამ უკანასკნელს რომ არ ემარჯვა, თავს გაუპობდა. ხელგაჭრილმა გაავებულმა ანზორმა ფეხქვეშ გაიგდო მასპინძელი. გამხეცებული ძლივს გააკავეს თავისიანებმა. უმოწყალოდ ნაცემი, თავგახეთქილი არტურა მხოლოდ მეორე დღეს მოეგო გონს...

სქელტუჩა კახპა მაყვალამ კი წინასწარ მოითხოვა გასამრჯელო ერთი „ცვეტნოი საქმისთვის“. სულ 100 დოლარად გაირკვა, რომ მაყვალას დაქალს, რომელიც პოლიციის საპასპორტო განყოფილებაში მუშაობდა, მაყვალასთვის უთქვამს — ამ ბოლო დროს ჩვენთან ფული აღარ კეთდება, ერთი ბერძენიღა შემოგვრჩა, რომელიც თავისიანებში დოლარებს კრეფს და პასპორტებს გვაკეთებინებს მათთვის, ვისაც საქართველოს დატოვება აქვს განზრახულიო. ოდისეი ერონდიდს შვილები და შვილიშვილები კი გაეხიზნა სამოქალაქო ომის ხანძარში გახვეული საქართველოდან, მაგრამ თვითონ თვისტომთა გამო შეგვიანებოდა, ვიდრე ამათაც არ გავუშვებ აქედან, ფეხს არ მოვიცვლიო, — უთქვამს და ახლა მასავით ხანდაზმულ მეუღლესთან ერთად შინ დაუხვდა ბანდიტებს. რაც წასაღები იყო, უკვე წაეღოთ მის შვილებს. ამის იმედი არც ჰქონდათ მომხდურებს, ისინი ფულს ითხოვდნენ და თანაც ისე კატეგორიულად, რომ ბევრისმნახველი ოდისეი მიხვდა, ვიღაცას რომ გაეყიდა. ფული კი მისი არ იყო, ამიტომ უარზე დადგა და ამის გამო ბევრიც მოხვდა. მერე თემურ ნანობაშვილმა ბრძანა, მაგას თავი დაანებეთ, ცოლს მიხედეთო და როცა სახეზე ბალიშაფარებულმა ქალმა საცოდავად ააფართხალა ფეხები, ქმარმა ვეღარ გაუძლო და იყვირა — თავი დაანებეთ, ფულს მოგცემთო და სარდაფში ჩაუძღვა ბანდიტებს. ხორბლით სავსე ქილაში გადაემალა ოდისეის პასპორტებისთვის მოგროვებული თხუთმეტი ათასი დოლარი. მესამე დღეს სარდაფში იპოვეს მეზობლებმა პირაკრული და ხელფეხგაკრული ცოლ-ქმარი.

„ენა ტკბილად მოუბარი“

მალე ქალებმა კიდევ ერთი „ცვეტნოი საქმე“ მოიტანეს. თბილისელ მურთაზ აბრალავას ბინა ანტიკვარებით აქვს გამოტენილი და ეტყობა, ფულიც ბლომად უნდა ჰქონდეს, რადგან გამუდმებით მშრალი ხიდის ქვეშ დაწრიალებს და მუქთად ყიდულობს ძვირფას ნივთებსო.

მურთაზი იმ საღამოს დაღლილი მივიდა შინ. მეუღლემ სადილი გაუწყო სამზარეულოში და თვითონ კი სასტუმრო ოთახში გავიდა ტელევიზორის საყურებლად. ის იყო, ოჯახის უფროსი სადილობას უნდა შესდგომოდა, რომ ცივი საგნის შეხება იგრძნო კეფასთან. იმავე წამს უბრძანეს, ხმა არ ამოიღოო და ორი კუნთმაგარი ახალგაზრდა მიუჯდა გვერდით. გრძნობდა, მესამე უკან იდგა.... იარაღით ხელში. მურთაზმა მაშინვე გააანალიზა შექმნილი ვითარება და გადაწყვიტა, თვითონვე გამოეშვა გამოსაშვები სისხლი.

— ბიჭებო, თქვენ აქ ჩემს სანახავად არ მოხვიდოდით. არაფერს დაგიკავებთ, რაც გინდათ, ის წაიღეთ. ცოტა ფულიც მაქვს, ოღონდ ხმაურს ნუ ატეხთ. მე ახლა თქვენის ნებართვით ცოლშვილს გავაფრთხილებ, რომ ხელი არ შეგიშალონ. მერე კარი მივხუროთ და დავილაპარაკოთ. მანამდე კი, რაკი სუფრაზე შემომესწარით, თითო ჭიქა უნდა დამილიოთ. ნუ გეუხერხულებათ, ფულის შოვნის ათას ერთი ხერხიდან ერთ-ერთი ყაჩაღობაცაა. აბა, ყველა ჩემსავით ნახატებით ხომ არ ივაჭრებს.

მურთაზმა ცოლს გასძახა — მეგობრები მეწვივნენ და არ შეგვაწუხოთო და ფრანგული ბრენდით გაულიცლიცა ჭიქები „სასურველ სტუმრებს“. ენაგაკრეფილი მასპინძლის გადამკიდე ჯერ სიტყვის თქმაც კი ვერ მოეხერხებინათ ბიჭებს. პირდაღებულები უსმენდნენ მის ლაქლაქს.

— ბიჭებო, სახლი სავსე მაქვს ძვირად ღირებული ტილოებით. ამაში ვაბანდებ ფულს. ამიტომ დიდი თანხა ხელზე არასდროს მაქვს, მაგრამ არც ისე გაიგოთ, რომ სულ ხელცარიელი ვიყო. აგერ, ამ კარადაში მაქვს, რაც მაქვს და თქვენი ფეშქაში იყოს. შეგიძლიათ ნახატებიც წაიღოთ, არ მენანება, მაგრამ დაბლა გვარდიელებს აქვთ ბინა დაქირავებული. ახლახან ლუდის საყიდლად გავიდნენ. საცაა დაბრუნდებიან და ნახატებით ხელში რომ გნახონ, უსიამოვნებას გადაეყრებით. თუ დამიჯერებთ, ასე სჯობია, არა და თქვენი ნებაა, მე გაგაფრთხილეთ.

ჯაბა გოგინაშვილმა და მურად ჭანტურიძემ თანხმობის ნიშნად გადახედეს ერთმანეთს. იოტისოდენა ეჭვიც არ შეჰპარვიათ მასპინძლის ნათქვამში და ისე, რომ ერთი სიტყვაც არ დასცდენიათ, გაზეთში გახვეულ რუსული ფულის შეკვრას დაავლეს ხელი. მერე გია დაბრუნდაშვილს ანიშნეს, მივდივართო და კიბეზე დაეშვნენ...

ალგეთს უახლოვდებოდნენ, როცა დაბრუნდაშვილმა დაასრულა აბრალავასგან წამოღებული წვრილი კუპიურების დათვლა და ციფრიც დაასახელა: — ათი ათასი მანეთია, არც მეტი, არც ნაკლები.

— ჯაბა, როგორ გგონია, რამდენი დოლარი იქნება ეს ფული? — გოგინაშვილს გახედა ჭანტურიძემ.

— ზუსტად ოცი დოლარი, არც მეტი, არც ნაკლები — გამოაჯავრა ჯაბამ და ჩაბჟირდა. იცინოდა, მაგრამ ეს მხოლოდ სიცილი როდი იყო, უბრალოდ, სიცილით ცდილობდა გაბითურებული კაცი განტვირთვას.

— როგორ გაგვაცურა მაგ ვაჭრუკანამ?! დამაცადოს, კიდევ ჩამივარდება ხელში! — ისე წაისისინა მურადმა, რომ აშკარა იყო, თავისივე მუქარისა თვითონაც აღარ სჯეროდა.

„დიდსა ვერ მოჰკვლენ...“

მესაქონლეობის ფერმიდან, სადაც მურად ჭანტურიძე „მუშაობდა“, ერთი იმერელი ქალბატონი ყოველდღიურად ეზიდებოდა რძეს. მურადმა უყურა, უყურა და ერთ დღესაც მალულად აედევნა ქალბატონის ფურგონს, რომელმაც სოფლიდან მოშორებით ერთ ფარღალალა სახლთან მიიყვანა. სახლისთვის აღმოსავლეთის მხრიდან მოგრძო ფიცრული მიედგათ. აქ შვიდ თუ რვა ქალს ფერმიდან მოტანილი რძიდან ყველი ამოჰყავდა. ეტყობა, დიასახლისი ყველს ყიდის და მოგებასაც ნახულობს, დაასკვნა მურადმა და ასეც იყო. მაგრამ, როცა ამ პატარა საამქროს ბანდის წევრები მიუქსია, სულ რაღაც სამასი დოლარი აღმოაჩინეს და ისიც ქალბატონის ინვალიდი მეუღლის ლეიბის ქვეშ. ნადავლის სიმწირით გამწარებულმა ბანდიტებმა ფულის ძებნაში იატაკიც კი აყარეს სახლში. მერე არც ინვალიდი დაინდეს და ისე დაუნდობლად სცემეს, საბრალო გაგიჟდა.

ამასობაში ქალები ფარდულის კედლებს აკვროდნენ და მათკენ მომართული ავტომატების შიშით ცახცახებდნენ. ბოლოს და ბოლოს, ბანდიტები დარწმუნდნენ, რომ ამ უბედურებს ფული არ ჰქონდათ და წასვლა დააპირეს, მაგრამ გია დაბრუნდაშვილმა აითრია ფეხი: — აქედან გავალთ თუ არა, ესენი ერთად აკივლდებიან და ნახევარი რაიონი დაგვიხვდება გზაშიო და ქალების ნეიტრალიზების ორიგინალური იდეა წამოაყენა: — მოდი, ამ წათხით სავსე კასრებში ჩავსვათო და დანარჩენებიც დაეთანხმნენ. ქალები ჯერ თითქოს გაუძალიანდნენ, მაგრამ საკმარისი იყო, ავტომატის საკეტების გაჩხაკუნება და ყველა ერთხმად გადაეშვა კასრებში. ბანდიტებმა კასრებს სარქვლები დაახურეს, მერე ზემოდან ქვები დააწყვეს და მარილწყალში მსხდომ ქალებს უბრძანეს, ოცი წუთის განმავლობაში თუ ვინმე მოინდომებს კასრიდან ამოძრომას, ჩვენი ერთ-ერთი ამხანაგი, რომელსაც დარაჯად გიტოვებთ, ადგილზევე გაგაცხებინებთ სულსო და იქაურობას გაეცალნენ.

სად ჰქონდათ საბრალოებს საათი? იმის შიშით, კასრებიდან ამოძრომა ადრე არ მოგვივიდესო, ოცი წუთის ნაცვლად, ბარე ორი საათიც ისხდნენ მარილწყალში და მხოლოდ შებინდებულზე გაბედეს ამოძრომა.

მომდევნო თვეებში ბანდას ფული შემოაკლდა, აღარც ქალები აკითხავდნენ. თემურ ნანობაშვილმა მისი კასპელი მეზობლის დაყაჩაღება გადაწყვიტა. ორი მანქანით მიადგნენ იმ ღამით სოფელში მცხოვრებ ჯერ კიდევ შეძლებულ, მაგრამ ფიზიკურად დაუძლურებულ ჟდანოვების ოჯახს და თითქმის ისე, რომ წინააღმდეგობაც არავის გაუწევია, ნაყაჩაღარით პირამდე აავსეს სახურავზე საგულდაგულოდ საბარგულდადგმული ორი მსუბუქი მანქანა. მერე აქაც ხელფეხგაკრული და პირაკრული დაყარეს ოჯახის წევრები და თბილისისკენ აიღეს გეზი. მაგრამ გზად ერთი მანქანა გაუფუჭდათ და ვიდრე ბუქსირით მიათრევდნენ, გათენდა კიდეც. დილაადრიან კი კასპელი პოლიციელის ყურადღება მიიქცია საგულდაგულოდ დატვირთულმა ორმა მანქანამ და ბანდიტთა ოთხეული, ანუ ჭანტურიძე, დაბრუნდაშვილი, გოგინაშვილი და ლომიძე დააკავეს.

(გაგრძელება იხ. გვ. 13)

საქართველომ „ბეწვის ხიდზე" გაიარა — „კვირის პალიტრის" თვალით დანახული სინამდვილე

ახალგაზრდა, რომელიც აჭარის შს სამინისტროს ხელმძღვანელობისგან „კვირის პალიტრის" ჟურნალისტებისთვის მოჩენილ „აგენტად" არც-თუ უსაფუძვლოდ მივიჩნიეთ (ამ რეპორტაჟის ავტორმა და ჩვენი გაზეთის სამხედრო მიმომხილველმა ირაკლი ალადაშვილმა), როგორც იქნა, დავარწმუნე, რომ ჩოლოქის საკონტროლო-გამშვებ პუნქტამდე ჩემი გაცილება აუცილებელი არ იყო. ამით სტუმარმასპინძლობას არ დავუწუნებდი. მანამდე კარგა ხანს იფიქრა, ბათუმში, სასტუმრო „ინტურისტის" ეზოში გამომშვიდობებოდა და მართლაც მარტო გავეშვი ბათუმიდან ჩოლოქამდე თუ „გავეცილებინე". დამოუკიდებლად მაინც ვერ გადაწყვიტა. განზე გადგა და მობილური ტელეფონით ხელმძღვანელობისგან დამატებითი ინსტრუქცია მიიღო. მერე მომიახლოვდა და მითხრა: „სადგურამდე მაინც გაგაცილებ. აქ რომ დაგემშვიდობო, უხერხულია. ბათუმს კარგად არ იცნობ და შეიძლება გზაც ვერ გაიგნო". რაღას ვიზამდი? ბათუმის გამოსასვლელთან, სატვირთო ნავსადგურის მოპირდაპირე მხარეს დავდექით. მალე მიკროავტობუსი გამოჩნდა, რომელიც ჩოლოქის მიმართულებით მიდიოდა. ჩემს „სტუმართმოყვარე" მასპინძელს გამოვემშვიდობე და ტრანსპორტში ჩავჯექი. გადავწყვიტე, ქობულეთში ჩავსულიყავი და ის ინფორმაცია შემემოწმებინა, რომელიც აჭარის ოპოზიციური მოძრაობა „ჩვენი აჭარის" ერთ-ერთმა ლიდერმა, თამაზ დიასამიძემ გამაცნო. ინფორმაცია ქობულეთის რამდენიმე სანატორიუმში დაბინავებულ, კბილებამდე შეიარაღებულ არაოფიციალურ ფორმირებებს შეეხებოდა. გზად ერთი ფიქრი არ მასვენებდა — რაში დასჭირდა აჭარის ხელმძღვანელობას „კვირის პალიტრის" ჟურნალისტებისთვის აგენტის მოჩენა? ჩვენ ხომ იქ მალულად და ბოროტი განზრახვით არ ჩავსულვართ. პირიქით, როდესაც რედაქციის ხელმძღვანელობამ აჭარაში ჟურნალისტების მივლინება გადაწყვიტა, წინასწარ დავუკავშირდით აჭარის შს სამინისტროს პრესმდივანს და ვაცნობეთ ჩვენი განზრახვის შესახებ. მიუხედავად ამისა, ჩავედით თუ არა, მაშინვე აშკარა მეთვალყურეობის ქვეშ აღმოვჩნდით(!). ჩვენი „მასპინძელი" აჭარის ერთ-ერთი საინფორმაციო სააგენტოს თანამშრომლად გაგვეცნო. კოლეგის გაცნობა გაგვიხარდა — გვეგონა, რეალურ ინფორმაციას მივიღებდით აჭარელი ჟურნალისტისაგან, მაგრამ ნურას უკაცრავად. პირიქით, იქით ცდილობდა გაეგო, რა ხასიათის სტატიას დავწერდით, რამდენად გავაკრიტიკებდით აჭარის ავტონომიის ხელმძღვანელობას, რა დავალება გვქონდა რედაქციისაგან და სხვ. ერთი სიტყვით, მისმა შეკითხვებმა რომ დაგვაეჭვა, ერთი პატარა ექსპერიმენტი ჩავატარეთ. როდესაც აჭარის უზენაესი საბჭოს შენობის წინ სხვა ჟურნალისტებთან ერთად ვიდექით, „მოჩენილი" მოგვშორდა. გვითხრა, რამდენიმე წუთით დაგტოვებთ, საქმე მაქვს და მალე დავბრუნდებიო. არ დავიზარე და უკან მალულად გავყევი. რამდენიმე ასეული მეტრის გავლის შემდეგ, „ჟურნალისტი" აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის შინაგან საქმეთა სამინისტროს შენობაში შევიდა. სანამ შევიდოდა, იქვე მდგომ რამდენიმე პოლიციელს დიდის ამბით მიესალმა. თუმცა მხოლოდ სამინისტროში მისი შესვლა არ იყო იმის დასტური, რომ აგენტი ბრძანდებოდა — თავი სხვა ბევრი რამითაც გამოიაშკარავა. საღამოს მის გასაგონად ვთქვი, დილაადრიან სარფში ვაპირებ გამგზავრებას, საბაჟოზე-მეთქი. ოპერატიულად რომ უმუშავია, მეორე დღესვე დავრწმუნდი — დილით, როდესაც გავემგზავრე, თითქმის სარფში ჩასული ჩემი ტაქსი გაურკვეველი წარმოშობის შეიარაღებულმა ჯგუფმა გააჩერა და მძღოლს და მგზავრს, ანუ მე, საბუთების წარდგენა გვთხოვა. მართალია, სხვა მანქანებსაც აჩერებდნენ, მაგრამ მათ მალევე უშვებდნენ. ჩემი პირადობის მოწმობა წარვადგინე. შავფორმიანმა ჩემი გვარ-სახელი გაჭირვებით რომ ამოიკითხა, სახე გაუბრწყინდა. უფროსთან მიირბინა და გახარებულმა მოახსენა (გავიგონე მისი ნათქვამი): „მევლუდ, მგონი ის ჟურნალისტია, დილის ხუთი საათიდან რომ ვყარაულობთ, ჭოო". ბუნებრივია, გზის გაგრძელების საშუალება აღარ მოგვცეს (სხვათა შორის, ჩვენ „შემმოწმებლებს" თავიანთი ვინაობა არ დაუსახელებიათ). და კიდევ, ერთხელ აგენტს, საგანგებოდ, ჩემი ბლოკნოტი და მობილური დავუტოვე, თუმცა ხედვის არიდან არ გამიშვია „კოლეგა". „თვალს მივეფარე" თუ არა, დამდულრულივით ეცა ბლოკნოტს და გამალებით დაიწყო კითხვა. მერე ტელეფონს დასწვდა და დაჟინებით უკირკიტა... დაბრუნებულმა ტელეფონი შევამოწმე. თავდაპირველად, ვერაფერი აღმოვაჩინე, მაგრამ როდესაც მობილურის მეხსიერება შევამოწმე, იქიდან უკვალოდ გამქრალიყო „ჩვენი აჭარის" ლიდერების ტელეფონის ნომრები. თითქმის მთელი სამი დღის განმავლობაში კატათაგვობანას ვთამაშობდით მე და ჩემი „კოლეგა". თუ სარფში ჩემს უიღბლო მოგზაურობას არ ჩავთვლით, სხვა მხრივ აგენტს მუშაობაში ჩვენთვის ხელი არ (ვერ) შეუშლია. პირიქით, იქით დავტყუე ინფორმაცია. თუმცა რამის დატყუება და მოტყუება არც იყო საჭირო. ჩვენ თვალწინ უამრავი შეიარაღებული მოქალაქე დადიოდა. ბევრმა ავტომატის მხარზე ხეირიანი გადაკიდებაც არ იცოდა, რომ არაფერი ვთქვათ, მის მოხმარებასა და უსაფრთხოების წესებზე. აჭარის ხელმძღვანელობა ძალიან ცდილობდა არ გახმაურებულიყო ის ფაქტი, რომ ბათუმის ცენტრალურ მოედნებზე სამიტინგოდ თავშეყრილი ხალხის ძირითადი ნაწილი აჭარის მაღალმთიანი სოფლებიდან იყო ჩამოყვანილი, ან იმ პირების ახლობელ-მეგობრები იყვნენ, რომლებიც თვითონ მეტ-ნაკლებად არიან აჭარის ხელისუფლებაში ჩაბმული და უკანონო შემოსავლების წყაროს დაშრეტისა სიკვდილივით ეშინიათ. სხვათა შორის, ის ბათუმელები, რომლებსაც ქვეყანაში მშვიდობა სურთ და არც ერთ დაჯგუფებას არ ეკუთვნიან, ამ ყველაფერს ამრეზით უყურებდნენ, მაგრამ ასლან აბაშიძის შიშით ვერაფერს ამბობენ. ისიც მართალია, რომ აჭარაში თბილისიდან მივლინებული ზოგიერთი საინფორმაციო საშუალების (ძირითადად, ტელევიზიების) წარმომადგენელი ცეცხლზე ნავთს ასხამდა და კრიტიკულ ვითარებას კიდევ უფრო ამძაფრებდა დეზინფორმაციით. თუმცა ისიც უნდა აღინიშნოს, რომ არც ზოგიერთი შეიარაღებული პირისა და მომიტინგის ქმედება იყო მოსაწონი...

„გაყალბებით წამოგვასხდნენ თავზე და დღემდე ყველეფენ აჭარას"

ბათუმის ქუჩებში ხალხი გამოფენილიყო. თითქმის ყოველ მესამე მამაკაცს იარაღი ჰქონდა. თვალს ჭრიდა სხვადასხვა სამხედროფორმიანი ახალგაზრდების სიმრავლე. ცენტრალურ მოედნებსა და გზაჯვარედინებზე მძიმე ტექნიკა იდგა. კორდონებით ჩაეკეტათ ბათუმის ცენტრალური ნაწილი, მაგრამ ფეხით მოსიარულეები თავისუფლად დადიოდნენ. მივუახლოვდით აჭარის უზენაესი საბჭოს შენობას. აქ უკვე დაწყებულიყო საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის, ნინო ბურჯანაძის, უშიშროების მინისტრ ზურაბ ადეიშვილისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მეთაურის, ასლან აბაშიძის მოლაპარაკება. შენობის წინ დაახლოებით 200-მდე ჟურნალისტსა და ფოტოკორესპონდენტს მოეყარა თავი. იქვე მოქალაქეებიც იდგნენ, მოუთმენლად ელოდნენ, რით დამთავრდებოდა მოლაპარაკება. ხალხი ცდილობდა ახლოს მისულიყო უზენაესი საბჭოს შენობასთან, მაგრამ ასობით შეიარაღებული პირი (რომელთაგანაც ზოგი აჭარის უშიშროების სპეცდანიშნულების რაზმის, ზოგი შს სამინისტროს შეიარაღებული ფორმირებისა და ზოგიც სახელმწიფო დაცვის წარმომადგენელი იყო) ამის საშუალებას არ იძლეოდა. მხოლოდ ჟურნალისტები სარგებლობდნენ ამ პრივილეგიით.

„ამხელა კაცი ჩვენსავით ჯიბეგამოფხეკილი ხომ არ იქნება?!.."

თითქმის მთელი სამი დღის განმავლობაში კატათაგვობანას ვთამაშობდით მე და ჩემი „კოლეგა". თუ სარფში ჩემს უიღბლო მოგზაურობას არ ჩავთვლით, სხვა მხრივ აგენტს მუშაობაში ჩვენთვის ხელი არ (ვერ) შეუშლია. პირიქით, იქით დავტყუე ინფორმაცია. თუმცა რამის დატყუება და მოტყუება არც იყო საჭირო. ჩვენ თვალწინ უამრავი შეიარაღებული მოქალაქე დადიოდა. ბევრმა ავტომატის მხარზე ხეირიანი გადაკიდებაც არ იცოდა, რომ არაფერი ვთქვათ, მის მოხმარებასა და უსაფრთხოების წესებზე.

ჩანდა, შეხვედრა მალე არ დასრულდებოდა, ამიტომ ქალაქში გავლა და მოქალაქეებთან გასაუბრება გადავწყვიტე. იქვე, ბულვარში გავედი და ხანში შესულ მამაკაცთა ჯგუფს მივუახლოვდი. არ დამიმალავს, ჟურნალისტი რომ ვიყავი და მათ შექმნილი სიტუაციის შეფასება ვთხოვე: „რა უნდა გითხრა, ბაბაია, ისეთი, შენ რო გაგიკვირდეს და არ იცოდე. ყველაფერი იცით ჟურნალისტებმა... ძან ცუდად მოიქცა ჩვენი ახალგაზრდა პრეზიდენტი. ქართველი კაცი, ბაბაია, როცხა ოჯახის მამაი სახლში არაა, იქ არაფრისდიდებით არ შევა. არ იყო ასლანი სახლში და რატომ მოვიდა?". „მაგას თავი გაანებე, სულეიმან, კიდო დილის ექვს საათზე რა გინდა, შე მამაცხონებულო, სტუმრად რო მოდიხარ. დამაწვინე ამ ჩემ ცასთან პაწახანი", — ჩაერთო საუბარში თეთრულვაშიანი მოხუცი. „ჩვენთან სოფელში, მაი დროს ერთი არსებაა სოფლის ორღობეებში რო დაწრწის, საცხა იქნება ფრთამოტეხილი ქათამი ვიპოვოო. მიხთი რას გეუბნები, ბიძია?! კაი კაცია ასლანი, ახლა რა ვუყოთ, პაწას კი იშოვის ფარას. აბა, ამხელა კაცი ჩვენსავით ჯიბეგამოფხეკილი ხომ არ იქნება?! ფარა უნდა ქონდეს ჯიბეში და ბანკშიც. რავა თუ იცი, თბილისში ნაკლები კორუფციაა დაა? ახალი ხალხი რომ მოვიდა მთავრობაში, იგენი პაწას არ გააკეთებენ ფულს? არ დეიჯეროთ მაი. ამაზე ჩხუბობენ ზუსტად, რო სარფში და პორტში გაკეთებული ფულებიდან წილები მიიღოს ახალმა მთავრობამ. მშივრები არიან ბაღნები და რა ქნან. ფარა უნდათ, თანაც უცბად და სულ. მასე სადაა, ჭო".

(გაგრძელება იხ. გვ. 27)

CAC სი ეი სი

Business Projecting

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „საადვოკატო-საკონსულტაციო ჯგუფი" – „LCG" (ელ-სი-ჯი)

გთავაზობთ სამართლებრივ მომსახურებას შემდეგ საკითხებში:

- სამეწარმეო-სამართლებრივი საკითხების დარეგულირება;
- კონსულტაციები და ინტერესების დაცვა საგადასახადო და საბაჟო საქმეების წარმოებისას;
- სახელშეკრულებო ურთიერთობების გაფორმება (ხელშეკრულებების პროექტების მომზადება);
- მიწასთან ან სხვა უძრავ ქონებასთან დაკავშირებული სამართლებრივი ურთიერთობების დარეგულირება;
- შრომითი-სამართლებრივი საკითხების დარეგულირება;
- აუდიტორული მომსახურება;
- უფლებების წარმოდგენა და დაცვა სასამართლოსა და სხვა სახელმწიფო ორგანოებში;
- სანოტარო მომსახურება;
- კონსულტაციები სამართლის სხვა დარგებში.

მის: ლესია უკრაინკას ქ. №3

☎ (+995 32) 92 11 60; 98 39 38 ფაქსი: (+995 32) 98 39 38

რა ვალდებულებები „ავიკიდეთ“ რევოლუციის მერე?!

(დასაწყისი იხ. გვ. 6)

ქართველები აქტიური ხალხი ვართ. თუ რუსეთში ააწყო ბიზნესი აქედან გაქცეულმა ხალხმა, აქ რატომ არ უნდა მიეცეს ნიჭისა და უნარის გამოვლენის საშუალება? თუ სახელმწიფოსგან ექნებათ ხელშეწყობა, ყველა დაბრუნდება. ამ საკითხებზე ჩვენ გვაქვს ბიზნესგეგმა.

მაგრამ რატომღაც ამ ქვეყანაში საქმისათვის ვერავინ მოიცალა, პოლიტიკურ ბატალიებს გადავყევით. ერთმანეთის ლანძღვასა და ურთიერთქიშპში საქმის საკეთებლად დრო აღარ გვრჩება. უნდა დასრულდეს ეს დაპირისპირებები, მეტი კეთილგანწყობა უნდა იყოს საზოგადოებაში. ბიუჯეტის შემავსებელ ბიზნესმენსაც მეტი პატივისცემა სჭირდება. ჩვენი კანონმდებლობა და საგადასახადო კოდექსი პირდაპირ კორუფციისკენ გიბიძგებდა — გიქმნიდა იმის წინა პირობას, რომ მაქინაციები გეკეთებინა და ბიუჯეტისთვის თანხა დაგემალა. ბიზნესმენი, რომელიც საქმეში დებს ფულს, გარანტირებული უნდა იყოს, რომ ხელს არ შეუშლიან, უნდა იცოდეს, რომ კანონი არ შეიცვლება და წარმოების გაჩერება არ მოუწევს.

უცხოური ორგანიზაციები და ფონდები ვერ ეგუებიან ეროვნული წარმოების განვითარებას. გეუბნებიან, შენ გაჩერდი, მე უნდა შემოვიტანო პროდუქტიო. ასე ვერ უნდა გვიბედავდნენ ლაპარაკს. ექსპორტით მილიარდები იშოვა ზოგმა, ჩვენ კი ჩვენი გლეხისა და მეწარმის პროდუქტს არ ვყიდულობთ. ამ 12 წლის მანძილზე მეწარმის ხელშეწყობაზე არავის უფიქრია. თუ ახალმა ხელისუფლებამაც არაფერი გააკეთა მათთვის, სატრაბახო ვარდების რევოლუციას შესაძლოა გვირილების და ტიტების რევოლუცია მოჰყვეს. ხალხი მორიგ ტყუილს ვეღარ მოითმენს, მათ უნდა დაინახონ, რომ ეკონომიკური აღმავლობის ერა იწყება.

— მოსკოვში ვიზიტისას მიხეილ სააკაშვილმა თავის დელეგაციაში შეგიყვანათ, ამის გამო დიდი მითქმა-მოთქმა იყო პოლიტიკურ კულუარებში.

— მოულოდნელად აღმოვჩნდი პრეზიდენტის დელეგაციაში. ბატონმა მიხეილმა მანამდე დამიბარა, ეკონომიკურ პრობლემებზე დაახლოებით სამსაათიანი საუბარი გვქონდა. ჩემი შეხედულებები გავუზიარე და გამიხარდა, რომ ბევრ საკითხში დამეთანხმა. მეორე დღეს შემატყობინეს — მოსკოვში პრეზიდენტს უნდა გაჰყვეო. მოსკოვის საქმიან წრეებთან, ე.წ. ოლიგარქებთან გვქონდა ორი შეხვედრა. ბევრ მათგანს ვიცნობ, სტუმრადაც მყავდნენ ბაკურიანსა და გუდაურში. მოსკოვში არაერთ საინტერესო საკითხზე ვისაუბრეთ. ჩვენთან რომ ჩამოვლენ, ბიზნესპროექტებს დავახვედრებ სოფლის მეურნეობის, ენერგეტიკის, სამთო ტურიზმის სფეროში.

დიდი ქვეყნები ყოველთვის ცდილობენ პატარა ქვეყნებს თავისი ინტერესები მოახვიონ თავზე. ჩვენ მათ ჩვენი ინტერესები უნდა დავახვედროთ, არავის უნდა (უცხოელებს ვგულისხმობ), რომ საქართველო ძლიერი და მდიდარი ქვეყანა იყოს. რაც უფრო დიდი ქვეყნის ხელდასხმული მინისტრები და თანამდებობის პირები გვეყოლება, მით ნაკლებად თავისუფლები ვიქნებით. ასეთი ჩინოვნიკი ნაკლებად იქნება ეროვნული, ის ხომ იმ ქვეყნის ზეგავლენის აგენტია, ვისგანაც ანაზღაურებას იღებს.

დასასრულ, მინდა პოლიტიკურ და ეკონომიკურ რეპრესიებსაც შევეხო. ვინც ხალხს ფული მოჰპარა, უნდა დააბრუნოს, მაგრამ არ არის აუცილებელი მათთან სისასტიკის გამოჩენა. ზოგმა შეიძლება დაყვავებითაც მოიტანოს წაღებული. რომ მეუბნებოდა შევარდნაძე — ფული დაყაჭეო, მე რა მქონდა დასაყაჭი? ახლა მან დაყაჭოს ფული, ვისაც ბიუჯეტის ნაცვლად სხვაგან მიჰქონდა „გადასახდელად“ და სანაცვლოდ ყველაფრის უფლება ჰქონდა...

რაც შეეხება არჩევნებს, წარმატების იმედი მაქვს, თუკი არჩევნები არ გაყალბდება და საერთაშორისო ორგანიზაციები არ შეეწინააღმდეგებიან ჩვენს მოსვლას პარლამენტში. სწორედ სავალუტო ფონდის წყალობით ვერ გადავლახეთ 7%-იანი ბარიერი ნოემბერში. პირდაპირ გვითხრეს, — თქვენ ექსპორტის წინააღმდეგი ხართ — ჯართისა და ხეტყის გატანა არ გინდათ ქვეყნიდანო. 26 ოქტომბერს უკვე ვიცოდით, რომ პარლამენტში ვერ მოვხვდებოდით. ულტიმატუმი წაუყენეს ხელისუფლებას — ან ესენი დარჩებიან გარეთ, ან კიდევ სესხს არ მოგცემთო.

იმედი მაქვს, ახლა აღარ იქნება ასეთი ზეწოლა ხელისუფლებაზე. საქმის მცოდნე ხალხი საჭიროა საკანონმდებლო ორგანოში და თუ გარეთ დაგვტოვებენ, ისევ ქვეყანა და ხელისუფლება წააგებს.

იზო რკაძე

გვაქვს თუ არა სახელმწიფო იდეოლოგია — ექსპერტების თვალსაზრისი

(დასაწყისი იხ. გვ. 5)

ამასთან, სახელმწიფო იდეოლოგია, როგორც რაღაც დოკუმენტი, ოფიციალურად სავალდებულო დოქტრინა, რომელიც თან ერთვის კონსტიტუციას, არც ერთ დემოკრატიულ ქვეყანაში არ არსებობს და, ჩემი აზრით, არც უნდა იყოს. მაგრამ სხვა საქმეა, როცა სახელმწიფო იდეოლოგიაზე ლაპარაკისას გულისხმობენ ისეთ დაუწერელ შეთანხმებას, თუ რა შეიძლება სახელმწიფოში და რა — არა. რა არის ის პრინციპები, რომლებზეც კამათი არ შეიძლება. ჩვენთან ჯერაც არ არის ჩამოყალიბებული ის ზოგადი პრინციპები და სტანდარტები, რომლებიც საფუძვლად უდევს პოლიტიკაზე ნებისმიერ საუბარს.

— კი ბატონო, ნუ დავარქმევთ სახელმწიფო იდეოლოგიას (თუმცა ჩემთვის გაუგებარია, მარტო კომუნისტებს შეიძლება ჰქონოდათ იდეოლოგია?!), დავარქვათ პრინციპები. რა უშლის ხელს ჩვენს პოლიტიკურ სინამდვილეში ამ პრინციპების ჩამოყალიბებას?

— უპირველესად პოლიტიკური ტრადიციების არარსებობა. უფრო სუბიექტური ფაქტორი რომ ავიღოთ — პოლიტიკური უპრინციპობა.

ყველა ქვეყანაში ოპოზიციონერი პოლიტიკოსები სათავისოდ იყენებენ ყველა იმ პრობლემას, რომელიც მთავრობას ექმნება და ამით ქულებს იწერენ. მაგრამ თუკი ეს პოლიტიკოსები გამოთქვამენ ისეთ მოსაზრებას, რაც მიუღებელია ქვეყნის ინტერესებისთვის, მათი პოლიტიკური კარიერა დასრულებულია.

დღევანდელ გერმანიაში რომელიმე პოლიტიკოსმა რომ თქვას, ჰიტლერი კარგი კაცი იყო და კარგ საქმეებსაც აკეთებდაო, ეს ამ პოლიტიკოსის პოლიტიკურ სიკვდილს ნიშნავს. იმიტომ, რომ გერმანიისთვის ჰიტლერიზმი და ფაშიზმი მიუღებელი იდეაა. ჩვენთან კი, როცა ასლან აბაშიძე სჩადის ისეთ საქციელს, რაც აშკარად მიმართულია საქართველოს დაშლისკენ და ამას თბილისში ზოგიერთი პოლიტიკოსი ტაშს უკრავს, ნიშნავს იმას, რომ ჩვენთან არ არსებობს არც ზნეობრივი და არც პოლიტიკური სტანდარტები (პრინციპები).

— ვინ უნდა იზრუნოს ამ სტანდარტების ჩამოყალიბებაზე?

— სამწუხაროდ, არ არსებობს ერთი რომელიმე ინსტანცია, რომელიც ამას გააკეთებს. ეს არის მორალური ცნობიერება. ეს მხოლოდ პოლიტიკურ იდეებს არ ეხება. იმავე დემოკრატიულ ქვეყნებში ადამიანმა შეიძლება მძიმე დანაშაული ჩაიდინოს და საზოგადოებამ იგი გარიყოს. ჩვენთან კი საამაყოა, დამნაშავეებთან მეგობრობა. იგივე ითქმის პოლიტიკაზეც. ის ხალხი, ვინც ტაშს უკრავდა ასლან აბაშიძეს, პრეტენზიას გამოთქვამს, რომ თვითონ წარმოადგენს საზოგადოების რჩეულ ნაწილს. ეს კი სახელმწიფო პრინციპებს კიდევ ერთხელ ეწინააღმდეგება.

— პოლიტიკური უპრინციპობა მხოლოდ აჭარის მიმართ არ გამოიხატება. დღეს უკვე საიდუმლო აღარ არის, რომ ჩვენი ქვეყანა სხვადასხვა სპეცსამსახურის სათარეშო ადგილად იქცა. ჩვენ კი ამის წინააღმდეგ უძლური ვართ.

— სპეცსამსახურებს უჭირთ იქ მუშაობა, სადაც არსებობს მყარი ზნეობრივი კრიტერიუმები. მაგალითად, საბჭოთა დაზვერვა კარგად მუშაობდა ამერიკაში მაშინ, როცა იქ არსებობდა ხალხი, რომელიც მარქსისტულ იდეებს თანაუგრძნობდა. როცა ეს მოიშალა, საბჭოეთს გაუჭირდა აგენტების პოვნა. ამერიკაში გაჩნდა მყარი მორალური კრიტერიუმები (პრინციპები), რომ ფულისთვის ან კლასობრივი იდეისთვის სამშობლოს ღალატი დაუშვებელია.

ჩვენს საზოგადოებაში კი, სადაც მორალური კრიტერიუმები არ არსებობს, კაცი გუშინ „სუკის“ აგენტი იყო, დღეს კი პატრიოტობაზე დებს თავს, თან თანამდებობის დასაკავებლადაც იბრძვის და ეს საზოგადოების პროტესტს არ იწვევს. მაშინ რატომ არ შეიძლება იყო ვილაცის აგენტი და ორი კაპიკი გააკეთო? რა თქმა უნდა, მორალური კრიტერიუმების არსებობა ჩვენთან ამ თვალსაზრისითაც პრობლემაა.

— პრობლემა ალბათ ისიც არის, რომ არ არსებობს ერთიანი სამხედრო დოქტრინა. ჩვენი ჯარების ნაწილს ამერიკელები წვრთნიან, ნაწილს — თურქები. ეს ქართულ ჯარს თავისებურ დაღს არ დაასვამს?

— ცხადია, პრობლემა აქაც არსებობს. ჩვენი ზოგი ოფიცერი გერმანიაში იღებს განათლებას, ზოგი კი ამერიკასა და თურქეთში. ჯარს თავი დავანებოთ. ჩვენი კანონმდებლობა გერმანულ, ამერიკულ და რუსულ მოდელებზეა დაყრდნობილი. ფაქტობრივად, ყველა სტილის კანონები გვაქვს. ხშირად ამის გამო ჩვენი კანონმდებლობა ეფექტიანად ვეღარ მუშაობს.

ერთი მხრივ, ეს პრობლემა სახელმწიფოებრივი სისუსტის შედეგია. როცა გიჭირს და გეხმარებიან, კარგია, მაგრამ, მეორე მხრივ, სახელმწიფო ვალდებულია ამ დახმარების მიღებაშიც საკუთარი კონცეფცია და პოლიტიკა გაატაროს. ასე რომ, როცა ჯარის ერთი ნაწილი ამერიკელების გაწვრთნილია, ხოლო მეორე თურქების, ასეთი ჯარი მთლიანი ორგანიზმი ვერ იქნება. თუკი ამერიკელები ასე სერიოზულად უდგებიან საქართველოში ჯარის გაწვრთნის საქმეს და გვეხმარებიან, მიზანშეწონილი იქნება სხვა ქვეყნებისგან აღარ მივიღოთ ასეთი ტიპის დახმარება. თუ ვინმეს მაინცდამაინც ჩვენი დახმარება უნდა, სხვა რამეში დაგვეხმაროს.

— მაგრამ ყველა ამ პრობლემის მოგვარება მარტო დახმარების იმედად ძნელი იქნება. უპირველესად ალბათ პატრიოტულ აღზრდას უნდა მიექცეს ყურადღება.

— პატრიოტული აღზრდა ბავშვობიდან უნდა დაიწყოს. ისიც გასათვალისწინებელია, რა სახის პატრიოტიზმს ვგულისხმობთ. ჩვენ, ქართველები, პატრიოტები ვართ, მაგრამ არ გვაქვს სახელმწიფოებრივი პატრიოტიზმი. ჩვენი ხაჭაპური და ღვინო რომ კარგია და გვიყვარს, მხოლოდ ამის პატრიოტიზმი არსებობს. ჩვენ განწყობილი ვართ სახელმწიფო წესრიგის წინააღმდეგ და ეს დაუშვებელია. სახელმწიფოს ჩვენგან დაცვა და შენახვა ესაჭიროება...

ერთი სიტყვით, სამწუხაროა, მაგრამ როცა ჩვენი ქვეყნის სახელმწიფოებრივ პრინციპებზე ვლაპარაკობთ, თავს ვერაფრით მოვიწონებთ. ქართული სპეცსამსახურების წარმომადგენლებს მიაჩნიათ, რომ ქართული პოლიტიკის პრინციპებს, უმეტესად, ისევ ქართველების ხელით ანგრევდნენ უცხო ქვეყნების სპეცსამსახურები. თუმცა, ასევე აღიარებენ, რომ ჯერ კიდევ არ არის გვიან და ხელისუფლების მტკიცე ნების გამოხატვის შემთხვევაში, ყველაფრის გამოსწორება შეიძლება.

„კვირის პალიტრას“ ესაუბრება სპეცსამსახურების ექსპერტი **დიმიტრი გლურჯიძე:** — უპირველესად სასწრაფოდ უნდა მიიღონ კანონი ლუსტრაციის შესახებ. „სუკის“ თუ სხვა საიდუმლო სამსახურების აგენტების დასჯა არავის თვითმიზანს არ წარმოადგენს, მაგრამ ეს ხალხი ერთხელ და სამუდამოდ უნდა გამოვლინდეს. როცა სპეცსამსახურების აგენტებზე ლაპარაკობენ, თვალწინ წარმოუდგებათ კბილებამდე შეიარაღებული ბოევიკები. სინამდვილეში, ეს ხალხი სავსებით მშვიდობიანად ცხოვრობს და შეიძლება სიცოცხლის მანძილზე სულ ერთხელ მოუწიოს დავალების (დავალებასაც გააჩნია) შესრულება. ამ მხრივ განსაკუთრებით „კაგებეს“ მუშაობის მეთოდები გამოირჩეოდა.

— კონკრეტულად, მაინც რა ზიანის მოტანა შეუძლია ამ ხალხს ქვეყნისთვის?

— დღეს სულ უფრო და უფრო ხშირად გაისმის კითხვა, სჭირდება თუ არა ისეთ პატარა ქვეყანას, როგორიც საქართველოა, უშიშროების ტიპის სამსახურები — იქნება ეს დაზვერვა თუ კონტრდაზვერვა. სინამდვილეში, საკითხის ამგვარად დასმა უცხოეთის სპეცსამსახურების „შემოგდებულია“. პატარა და დაუძლურებული რომ არის ქვეყანა, სწორედ მაშინ სჭირდება უშიშროების სამსახურები, რათა სახელმწიფოს იდეოლოგია როგორც ქვეყნის შიგნით, ისევე მის გარეთ, განამტკიცონ. მაგრამ ჩვენთან უცხოეთის აგენტები უფრო ეფექტიანად მუშაობენ. შევარდნაძე უშიშროების სამსახურებს არასოდეს უყურებდა სერიოზულად და პოლიტიკურ სექტორს აძლიერებდა; ანუ უცხოელების მიერ „შემოგდებული“ საკითხი აქტიური აგენტების წყალობით კარგად ამოქმედდა და საზოგადოებამ სერიოზულად დაიწყო ფიქრი ამაზე. არადა, საქართველოში სპეცსამსახურებისთვის „თავში ჩარტყმა“ ქვეყნის თვითლიკვიდაციის დასაწყისი იქნება.

— გინდათ თქვათ, რომ სახელმწიფო იდეოლოგიას სპეცსამსახურები ქმნიან?

— არა მარტო. ყველა სამსახურმა თავისი საქმე უნდა აკეთოს. აქსიომად უნდა ვაღიაროთ ერთი რამ — როცა ლაპარაკია ქვეყნის მთლიანობაზე, ამ აზრს ოპონენტი არ უნდა გამოუჩნდეს. ან თუ ეყოლება, საზოგადოებამ არასერიოზულად უნდა ჩათვალოს იგი. თავი რომ არ მოვიტყუოთ, ეს ხელის ერთი დაკვრით არ მოხდება, მაგრამ თუკი სახელმწიფოს ნება იქნება, განუხორციელებელიც არაფერია. იმედი მაქვს, ჩვენი ქვეყანა ამისკენ მიდის. გზაზე ბევრი დაბრკოლება შეგვხვდება, მაგრამ არაფერს არ უნდა შევუშინდეთ. ყველა საგანს თავისი სახელი უნდა დავარქვათ; ამ საქმეში მედიის როლი (ვგულისხმობ მოუსყიდავ მედიას) ერთ-ერთი მთავარია. მან უნდა განსაზღვროს და მიაწოდოს საზოგადოებას (რა თქმა უნდა, ხელისუფლებასთან ერთად) ქვეყნის აღმშენებლობისთვის აუცილებელი პრიორიტეტები, რათა საზოგადოებრივი აზრი ჩამოყალიბდეს ქვეყანაში და გაიმიჯნოს ერთმანეთისგან მოღალატე და მოკეთე, პატრიოტიზმი და გულგრილობა და, რაც მთავარია, ქვეყნის ერთიანობა ერთხელ და სამუდამოდ გაჯდეს ჩვენს ძვალსა და რბილში... როცა ხელისუფალი დააშავებს, იმასაც უნდა მოვკითხოთ, როცა რეგიონის მეთაურის ბრალია, მანაც უნდა იცოდეს, რომ ეს მას ასე იოლად არ შერჩება. სისხლიანი ანგარიშსწორებისკენ არავის მოვუწოდებ, მაგრამ ქვეყნის გაძლიერება ურყევი ნების გარეშე არ ხდება. რა თქმა უნდა, კარგი იქნება, თუ ყველაფერი რბილად წარიმართება; მაგრამ დროა, საქართველოში არა მარტო კრიმინალური დანაშაულისთვის, არამედ ანტისახელმწიფოებრივი ქმედებებისთვისაც აგონ პასუხი...

P.S. სამწუხაროდ, როგორც ვნახეთ, პოლიტოლოგებიც და სპეცსამსახურების ექსპერტებიც ქართული სახელმწიფოებრივი პოლიტიკის უპრინციპობაზე ლაპარაკობენ. ამის გამოსწორება ხანგრძლივი პროცესი იქნება, მაგრამ იმედია, ყველაფერი კარგად წავა და საქართველოში აღარავინ იკამათებს იმაზე, ერთიანი და განუყოფელი უნდა იყოს ქვეყანა თუ არა. თუკი შევძლებთ და საქართველოს მიზნებს ჩვენს ინტერესებზე მაღლა დავაყენებთ, ამით ძლიერ ქვეყანას შევქმნით, რითაც უპირველესად ისევ ჩვენვე მოვიგებთ.

დავით დევიძე

რას გვეტყვი, მამაო?

— ხანში შესული კაცი ვარ. ჩემი მეგობარი იელოვას აღმსარებელი გახდა და მასთან ურთიერთობა გავწყვიტე. შვილი რომ გარდაეცვალა, დაკრძალვაზეც არ მივედი. თუმცა მე მაინც სინდისი მქენჯნის. აღარ ვიცი, ამ ფიქრისგან როგორ გავთავისუფლდე, რაიმე მირჩიეთ.

— უფალი ჩვენგან მოყვასის სიყვარულს მოითხოვს და, აქედან გამომდინარე, ადამიანურ ურთიერთობებს არავისთან გვიკრძალავს. ნებისმიერი სარწმუნოების ადამიანის დახმარება და თანაგრძნობა უნდა შეგვეძლოს, მით უმეტეს, თუ გასაჭირშია. ოღონდ უნდა გვახსოვდეს, რომ ადამიანური თანაგრძნობა რელიგიურ თანაგრძნობაში არ უნდა გადაიზარდოს — იქ, სადაც ჩვენს რწმენას სხვა რწმენის გავლენა ემუქრება და დათმობა გვჭირდება, აუცილებლად მკაცრი უნდა ვიყოთ. დაწვრილებით ესაუბრეთ მოძღვარს იმის შესახებ, თუ რას განიცდით. უთხარით, რომ სული დაგიმძიმდათ. საუბრის შემდეგ აუცილებლად გაითვალისწინეთ მისი აზრი.

— ვინ იყო წმინდა თეოდორე აჭარელი და რომელ საუკუნეში მოღვაწეობდა იგი?

— წმინდა თეოდორე აჭარელი თურქებისგან ძალად გამაჰმადიანებული აჭარის შვილი გახლდათ. იგი XV ს-ის დასასრულს დაიბადა, იმ დროს, როცა თურქებმა მთელი აჭარა ძალად გაამუსლიმანეს, ხოლო ურჩებს სიკვდილით სჯიდნენ. ამიტომაც ბევრი აჭარელი იძულებით იღებდა მტრის რჯულს, თუმცა ფარულად ქრისტეს სცემდა თაყვანს. აი, ასეთი ოჯახის შვილი იყო წმინდა თეოდორეც. მას ბავშვობაშივე ოჯახის წევრებმა მალულად ასწავლეს იესოს სიყვარული. თეოდორემ,

მიუხედავად იმისა, რომ მაჰმადის უარყოფისთვის სასტიკი სასჯელი ელოდა, ქრისტიანობა მიიღო და ქალაქ იზმირის (თურქეთი, ძველი საბერძნეთის ტერიტორია) ერთ-ერთ ქრისტიანულ ტაძარს შეაფარა თავი. აქ იგი ბერად აღიკვეცა და ძმისშვილიც გააქრისტიანა. 1822 წელს წმინდანი ათონის მთაზე გაემგზავრა. იმ პერიოდში საბერძნეთი თურქ დამპყრობლებს აუჯანყდა, ათონის მთა თურქთა ალყაში აღმოჩნდა. მაჰმადის უარმყოფელი ბერი თურქებმა შეიპყრეს და სიკვდილით დასაჯეს. გვამი პირდაპირ ზღვაში გადააგდეს. წმინდა თეოდორეს მოხსენიების დღეა 1-ელი მარტი (ძვ. სტ. 17 თებერვალი).

— გთხოვთ განგვიმარტოთ, შეუძლია თუ არა მიცვალებულის სულს ცოცხლებთან კონტაქტი?

— სული ცნობიერებაა. ცნობიერების უნარი ადამიანის სულს აქვს და არა ხორცს. ცნობიერება აქვს გარდაცვლილის სულსაც და მასთან კონტაქტი ლოცვით მიიღწევა. ჩვენ ლოცვებით ვეხმარებით გარდაცვლილის სულს იმქვეყნიურ ცხოვრებაში, ასევე გარდაცვლილებიც ლოცულობენ ჩვენთვის. უდიდესი მადლი აქვს ეკლესიაში ღვთისმსახურების დროს ლოცვას მიცვალებულთა მოხსენიების დღეებში. რაც შეეხება გამოცხადებებს, ამ მოვლენას ჩვეულებრივი ადამიანები სიფრთხილით უნდა მოვეკიდოთ. ხშირად ასეთი რამ ეშმაკის ხელითაც ხდება... ჭეშმარიტი ხილვები ღვთის ნებით უპირატესად წმინდანებს აქვთ. დაუშვებელია სულებთან კონტაქტისთვის სპირიტული სეანსის ჩატარება. ასეთი რამ ბოროტი ძალების დახმარებით ხდება, რაც უფალს გვაშორებს და მიცვალებულთა სულებს აფორიაქებს.

თქვენთვის საინტერესო კითხვები მოგვაწოდეთ „კვირის პალიტრის“ ყუთების საშუალებით. მათი განლაგების შესახებ იხ. გვ. 36.

მკითხველთა შეკითხვებზე უპასუხებენ მართლმადიდებელი მამები.

ამნისტირებულთა თარეში

(დასაწყისი იხ. გვ. 10)

მხოლოდ ბანდის თავკაცი და მისი ორგანიზატორი თემურ ნანობაშვილი დაუსხლტათ პოლიციელებს. დაკავებულები ამ ბოლო, კონკრეტულ ფაქტზე გაასამართლეს და ხანგრძლივი ვადით პატიმრობაც მიუსაჯეს. თუმცა სხვა დანაშაულობებზე მათთვის არავის არაფერი უკითხავს. თექვსმეტი ყაჩაღობიდან თორმეტზე განცხადებაც კი არ იყო შესული სამართალდამცავ ორგანოებში. ის დღე კი, როცა ის ოთხეული დააკავეს, 1995 წლის 26 ივნისი იყო.

P.S. ამ ამბიდან ორი წლის შემდეგ თბილისში, მეტრომშენის დასახლებაში, პოლიციის შემოვლის ჯგუფმა გვიან ღამით დააკავა უცნობი მამაკაცი, რომელსაც ხელში შპალერის მოგრძო გრაგნილი ეჭირა, ცოტა არ იყოს, ემძიმათ პოლიციელებს. გახსნეს და შიგნით 1882 წელს გამოშვებული, სროლისთვის სავსებით ვარგისი „ბერდენკა“ აღმოაჩინეს. ეს ის თოფი იყო, ჩვენი სტატიის გმირებმა პავლე ჭანტურიძის ოჯახიდან რომ წამოიღეს. მისი ამჟამინდელი მფლობელი კი კასპის ყაჩაღობაში მონაწილე, ძებნილი თემურ ნანობაშვილი ბრძანდებოდა. ასე რომ, ბანდის მეოთხე წევრიც, უფრო სწორად, მისი თავკაციც საბრალდებო სკამზე დაჯდა, მაგრამ დაიჟინა: კი, კასპის საქმეზე პასუხს ვაგებ, ბანდაც ჩემი შექმნილია, მაგრამ ეს თოფი პაპაჩემის პაპის დანატოვარია და ძალიან გთხოვთ, სხვისი საქმე არ ამკიდოთო. აი, აქ კი გამომძიებელმა აკაკი ჯიჭონაიამ იმარჯვა და ძველი, შეჩერებული საქმიდან ამოიღო ჯაბა გოგინაშვილის მუქარის წერილი, რომლითაც ის და მისი მეგობრები პავლე ჭანტურიძეს თავისივე „ბერდენკით“ მოკვლას ჰპირდებოდნენ, თუ ფულს არ გადაიხდიდა. გოგინაშვილი თუ ვინმეს აშინებდა, ჩვენ რა შუაში ვართ, პასუხი მან და „ბერდენკის“ შემნახავმა ნანობაშვილმა აგონო, ქვა ააგდეს და თავი შეუშვირეს დაბრუნდაშვილმა და ლომიძემ. მაშინ გამომძიებელმა არტურა ეჯიბიანის ბინაში აღმოჩენილი გია დაბრუნდაშვილის ხელით შედგენილი სადარბაზოს მცხოვრებთა სია გამოაძვრინა, რომელსაც ანზორ ლომიძის სისხლის კვალი კიდევ აჩნდა და ვიდრე ექსპერტები შესაბამის დასკვნებს გასცემდნენ, ყველა ზემოჩამოთვლილი დანაშაული გაიხსნა და ორი წლის წინ გასამართლებული ოთხი ბანდიტი ხელახლა აღმოჩნდა საბრალდებო სკამზე... ამჟამად უკვე თემურ ნანობაშვილთან ერთად. სასამართლომ 15-15 წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯა თითოეულს.

ვაჟა გავაშელი



„პუტინის გარეშე ლუჟკოვი არ ჩამოვიდოდა აჭარაში“

„ხელისუფლებამ თავი დაირწმუნა, აბაშიძეს ჩემი ეშინიაო“

მაშინ, როდესაც ედპ-ტრადიციონალისტებმა პრეზიდენტის ჩოლოქთან მისვლა გააპროტესტეს, მათმა ლიდერმა ვაშინგტონში სახელმწიფო დეპარტამენტის ერთ-ერთ მაღალჩინოსანს უთხრა — ამ ინციდენტს ცუდი რამ მოჰყვებაო. როდესაც ვითარება ლამის შეიარაღებულ დაპირისპირებაში გადაიზარდა, — ამერიკელი გაოცებულა, ასეთი ზუსტი პროგნოზი როგორ გააკეთეთო. ამის მიხვედრას რა დიდი ჭკუა-გონება სჭირდებაო, ამბობს აკაკი ასათიანი, რომელსაც მიაჩნია, რომ ხელისუფლებას სწორედ მისნაირი კაცის (მოყვასის) კრიტიკა დაიცავს შეცდომებისგან და გამოაფხიზლებს.

აკაკი ასათიანთან საუბარი სწორედ გასული კვირის უმნიშვნელოვანესი მოვლენის შეფასებით დავიწყეთ:

— ჩვენ ძალიან არასერიოზულ და უპასუხისმგებლო ხალხთან გვაქვს საქმე, რომელსაც ვარდებით ქუჩა-ქუჩა სირბილი და სახელმწიფოს მართვა ერთი და იგივე ჰგონია. მათ, მგონი, ისიც კი დაიჯერეს, რევოლუცია ჩვენ მოვახდინეთო. მთელ მსოფლიოს უნდოდა, რომ საქართველოში რევოლუცია მომხდარიყო — ამერიკასაც, რუსეთსაც და ჩვენც.

გასულ კვირას ერთი წიოკი შეიქნა, შეუშვებდნენ თუ არა სააკაშვილს აჭარაში. როდესაც ქვეყანას ასეთი ექსპანსიური პრეზიდენტი ჰყავს, გარემოცვამ კი არ უნდა წააქეზოს, პირიქით, უნდა მოთოკოს. საქართველო მთელ მსოფლიოში შერცხვა — საქმეს რუსები და თურქები გვირჩევდნენ. რუსები ახლა ყველას გასაგონად ალაპარაკდნენ — ჩვენ ქართველებისა და აფხაზების გასაშველებლად კი არა, ქართველებს შორისაც მოლაპარაკებებშიც საჭირო ვყოფილვართო. რასაც ვამბობდით, ხომ გამართლდა? რომ ვთქვით, მოლაპარაკებებია საჭიროო, ერთი წივილ-კივილი ატყდა. ბოლოს ხომ მაინც ასე მოგვარდა პრობლემა? კარგია, რომ შეთანხმება შედგა, მაგრამ დროებითი შეთანხმება დროებითია, ხვალ-ზეგ შეიძლება პრობლემა ისევ წარმოიშვას. სანამ კონსტიტუციით არ განისაზღვრება, რა უფლებები და სტატუსი აქვს აჭარას და არ გაირკვევა საბიუჯეტო საკითხები, ის, თუ ადგილზე რამდენი უნდა დარჩეს და ცენტრში რამდენი გადაირიცხოს, პრობლემები სულ იქნება. ჩვენი ხელისუფლება „სახლობანას“ თამაშობს და ეს ძვირად დაუჯდება მათაც, ჩვენც და ქვეყანასაც.

ამიტომ 28 მარტს ხალხმა სწორად უნდა გააკეთოს არჩევანი. თუ არ იარსებებს ძალა, რომელიც ამ ხელისუფლების დაუფიქრებელ ნაბიჯებს წინ აღუდგება, ცუდ დღეში აღმოვჩნდებით. ნიშნს არავის ვუგებ, მაგრამ თუკი ვინმეს აბაშიძე არ უყვარს, ამას არ უნდა გადავაყოლოთ ქვეყანა. პირადი პრობლემები არც სააკაშვილთან მაქვს, არც აბაშიძესა და არც შევარდნაძესთან მქონია.

ვილი, — გადასახადები არ იქნება და ხელფასები გაორმაგდებაო — სად არის ხელფასები? დღეს ამბობენ — ამას 5 წელი მაინც დასჭირდებაო. შევარდნაძე გაცილებით ცოტა დროს ითხოვდა, ამბობდა, — 3 წელიწადში ყველაფერი კარგად იქნებაო. სააკაშვილის გამო ჟვანია სულ შარში იქნება გახვეული. არ ვიცნობ მათ შიდასამზარეულოს, მაგრამ ხმები, ჩოლოქზე სააკაშვილის მისვლის იდეა ჟვანიას ეკუთვნისო, ჩემამდეც მოვიდა. გადამწყვეტი მნიშვნელობა არ აქვს, ვისი იდეა იყო ჩოლოქზე მისვლა. თუ ეს შეცდომა იყო, ის ერთად ჩაიდინეს ჟვანიამაც და სააკაშვილმაც და ყველა მათმა მიმდევარმაც.

მინდა ბიზნესმენებთან დამოკიდებულებასაც შევეხო. თუ ოფიციალურად მათ რაღაც თანხები არ აქვთ ნაჩვენები, ხომ ვიცით, რომ „ქეშად“ აძლევდნენ ხელისუფლებას. ხელისუფლებამ ძველი ვალები უნდა აპატიოს და თავი დაანებოს მეწარმეებს, რათა ორმაგად არ მოუხდეთ გადა-

თუ ვინმე კანონს არღვევს, ის კანონის ფარგლებში უნდა მოაქციო და ამით ამოიწურება პრობლემები. დავუშვათ, შევარდნაძის ბრალია აჭარასთან გართულებული ურთიერთობა, ამ სამი თვის განმავლობაში რა უშლიდა ხელს სააკაშვილს, რომ ეს მოეგვარებინა?.. მაგრამ ეს თემა საპიაროდ არ ვარგა, სერიოზული სამუშაო და საფიქრალია... პიარისთვის კი ჩოლოქთან ერთი გავარდნაც კმაროდა. ხელისუფლებას ფიქრი ეზარება, ჩოლოქთან მიხტომ-მოხტომა და მერე გამოქცევა იოლია და მანაც ეს გზა აირჩია. ეს მთავრობა თბილისში რას აკეთებდა და ფოთში გადავიდა! ზურაბ ჟვანია დიდი ზღვაოსანივით დურბინდით რომ იდგა გემზე, რა გააკეთა? ცირკად ხომ არ უნდა ვაქციოთ ქვეყანა? თუ კატერით სეირნობა უნდოდათ, რაღა ჩვენს ხარჯზე და ჩვენი ნერვების ფასად სეირნობენ.

რუსეთში ვიზიტისას რომ თქვა სააკაშვილმა, — ბაზები პირველი რიგის საკითხი არ არისო. ხომ აღმოჩნდა, რომ ყოფილა და სწორედ ამ საკითხის მოგვარებით უნდა დაეწყო საქმიანობა. აი, ასეთი ვითარება გვაქვს და ვეჭვობ, წინ კიდევ არაერთი უსიამოვნო სიურპრიზი გველის. ან როგორ უნდა ვიცხოვროთ იმ ქვეყანაში, სადაც გაუთავებელი დაპატიმრებებია. შევარდნაძის ხელისუფლების ყველა მაღალჩინოსანი, ყველა სამსახურისა და სამინისტროს პირველი პირი და მე-2 და მე-3 პირებიც ციხეში არიან. თუ ასე გააგრძელა ხელისუფლებამ, რამდენიმე ათეული ათასი კაცი აღმოჩნდება დასაჭერი. ცხადია, დანაშაულისთვის კაცი უნდა დაისაჯოს, მაგრამ ამ გზით შევსებული ბიუჯეტი არ მინახავს. რატომღაც აღმოჩნდა, რომ დაპატიმრებულ ჩხაიძეს, ადეიშვილსა და მირცხულავას ერთნაირი თანხა — 600-600 ათასი ჰქონიათ ბიუჯეტიდან მითვისებული, მეტი არა. გჯერათ, რომ ეს ციფრი მართალია? ოფიციალურად მათ ამ თანხას ედავებიან, არაოფიციალურად კი არ ვიცი, თუმც ძალიან ცუდი ხმები დადის ამის თაობაზე.

— **რაო, რას ამბობენ?**

— ნაღდ ფულს ედავებიანო. იმედია, ეს ჭორებია და არა რეალობა. რომ გაიძახოდა სააკაშხდა. ხომ ფაქტია, რომ დღეს წარმოება უკვე შეიზღუდა. ამის განსაზღვრა სულ მარტივად შეიძლება — რესტორნების მაგალითზე. ჩემი ოფისის გადაღმა რესტორანია, მანქანების ტევა არ იყო ადრე, დღეს კი მის წინ ერთი-ორი მანქანაღა დგას. როდესაც რესტორანს მუშტარი აკლდება, ქვეყანაში ეკონომიკური პრობლემებია. ამის მოგვარებაზე უნდა ფიქრობდეს ხელისუფლება, ამის ნაცვლად კი ვხედავთ, როგორ აკეთებს სააკაშვილი სერიოზული სახით რაღაც განცხადებებს, როგორ მოგზაურობს ქვეყნის შიგნით და გარეთ და კიდევ, როგორ დაფრინავს. პუტინისთვის უაზრო მიბაძვა კარგს არაფერს მოუტანს სააკაშვილს. ის პუტინის იმედით მიადგა ჩოლოქსაც. იფიქრა, აბაშიძეს პუტინი არ დაეხმარებაო, მაგრამ გამოვიდა ამ საქმიდან რამე? როგორ გგონიათ, პუტინის გარეშე ჩამოვიდოდა აჭარაში ლუჟკოვი?

ამ დაპირისპირებით ასლან აბაშიძემ უფრო იხეირა — პოზიცია გაიმყარა და ამაში საკუთარი მოწინააღმდეგეები დაეხმარნენ. იმ იმედზე, აბაშიძე გაიქცევა, შეეშინდებაო, არ უნდა იგებოდეს პოლიტიკა. ასლან აბაშიძე არ არის ის კაცი, რომ გაიქცეს ან შეშინდეს — ეკითხათ ჩემთვის და ვეტყოდი. ხელისუფლებამ თავი დაირწმუნა, აბაშიძეს ჩემი ეშინიაო, მაგრამ აღმოჩნდა, რომ მას არ შინებია — თქვენ რომ დამაჯეროთ, ტაისონს მოერევიო და მასთან „საბოქსაოდ“ წავიდე, რა გამოვა აქედან?

— **საქართველოში ზვიად გამსახურდიას ვაჟის, კონსტანტინეს დაბრუნებასა და პოლიტიკურ პროცესებში მის ჩართვაზე რას იტყოდით?**

— მივესალმები იმ ფაქტს, რომ ზვიად გამსახურდიას უფროსი ვაჟი სამშობლოში დაბრუნდა. კონსტანტინეს ყოველთვის დიდ პატივს ვცემდი და რა საქმესაც უნდა მოჰკიდოს ხელი, წარმატებას ვუსურვებ. მასში კონკურენტს ვერ ვხედავ. მე გამსახურდიას თანამებრძოლი ვიყავი, კონსტანტინე კი მისი ვაჟია, ამიტომ ჩვენ მეტი გვაკავშირებს, ვიდრე განგვასხვავებს.

მარი ზანდუკელი

უნიკალური ვიტამინები ბავშვებისთვის

ბავშვის მოზარდი ორგანიზმის მოთხოვნილებას საჭირო მინერალებსა და ვიტამინებზე თუ არ დავაკმაყოფილებთ, ზრდადასრულებულ ორგანიზმში ამ დეფიციტის შევსება შეუძლებელი იქნება.

ბავშვებმა არ იციან, რა არგებთ, მაგრამ მათ იციან, რა მოსწონთ — ნატურალური და გემრიელი ვიტამინები ამერიკული კომპანია „შიფ“-ისგან.

2X1 — მოსწონთ ბავშვებს / სასარგებლოა ბავშვებისთვის წელიწადის ნებისმიერ დროს

მიეცით თქვენს შვილს **„ჩილდრენზ ჩივეიბლ“** და შეგიძლიათ დარწმუნებული იყოთ, რომ იგი ყველა აუცილებელ ვიტამინსა და მინერალს მიიღებს, რასაც სრულფასოვანი კვებაც კი ვერ უზრუნველყოფს!

„შიფ“-ის ვიტამინების ხარისხი დამოწმებულია GMP-ის საერთაშორისო სტანდარტების სისტემით.

თქვენ დარწმუნებულნი უნდა იყოთ მათში, ვისაც თქვენი ბავშვის ჯანმრთელობას ანდობთ!

ამერიკული კომპანია „შიფ“-ის ოფიციალური დისტრიბუტორი საქართველოში კომპანია „ჯეოვიტი“

Schiff 60

ჯეოვიტი GEOVIT

მის: ილია ჭავჭავაძის 41 (ვაკის პარკის პირდაპირ), ☎29-20-91; 899 10-99-20; 899 14-35-56

www.schiffvitamins.com

„მე ხელქვეითებთან შუამავალი არ მჭირდება...“

მიუხედავად ასლან აბაშიძის სურვილისა, საქართველოს პრეზიდენტი ბათუმში თვითმფრინავით ჩაფრენილიყო, მიხეილ სააკაშვილი 18 მარტს აჭარაში ჩოლოქიდან შევიდა, სწორედ იმ გზით, საიდანაც გასულ კვირას არ შეუშვეს. აჭარის შს მინისტრის ჯემალ გოგიტიძის გაფრთხილების მიუხედავად, ჩოლოქზე ბევრ შეიარაღებულ ხალხს არ გავატარებო, იმდენი მცველი იახლა, რამდენიც საჭიროდ მიიჩნია. ხუთშაბათს, დილაუთენია, ხიდიდან ბეტონის ბლოკები აიღეს. ჩოლოქის ხიდზე საქართველოს სახელმწიფო დროშა არ ჩანდა, თუმცა ამ „წვრილმანისთვის“ არც პრეზიდენტს და არც ძალოვნებს ყურადღება არ მიუქცევიათ. სააკაშვილი ბათუმში დიდხანს გაჩერებას არ აპირებდა — იმავე საღამოს ბრატისლავაში უნდა გაფრენილიყო საერთაშორისო ფორუმზე. მისთვის სასურველი აჭარა პრეზიდენტმა მალე იხილა — ფოთი-ქობულეთის გზაზე ხალხი სახელმწიფო დროშებითა და წითელი ვარდებით ეგებებოდა. ბათუმი ქვეყნის პრეზიდენტს ისეთი შეხვდა, როგორიც ბოლო დღეებში იყო: ავტონომიის შსს-ს შეიარაღებული თანამშრომლების კორდონებით, პოლიციის გაძლიერებული შენაერთებით, მცველების მჭიდრო რკალით, აჭარის მეთაურის რეზიდენციის გარშემო განლაგებული საცეცხლე წერტილებით და ორი მიტინგით: ერთი აჭარის ლიდერის მომხრეებისა იყო, მეორე — მისი მოწინააღმდეგეებისა. აბაშიძის რეზიდენციამდე დარჩენილი 50-ოდე მეტრი საქართველოს პრეზიდენტმა ფეხით გაიარა — აბაშიძის უშიშროების სამსახურმა კორტეჟი აღარ გაატარა. მაღალი თბილისელი სტუმრის შესახვედრად ავტონომიის მეთაური არ გამოსულა.

მიხეილ სააკაშვილისა და აბაშიძის საუბარი ოთხ საათს გაგრძელდა. მოსკოვის მერი იური ლუჟკოვი შეხვედრაში არ მონაწილეობდა. სააკაშვილმა ჟურნალისტებს აუწყა — აბაშიძესთან შეხვედრის შემდეგ მე და ლუჟკოვმა ვისაუბრეთ. სასიამოვნო მოსაუბრეაო. თუმცა ბათუმში ჩასვლამდე, გვიან ღამით, ბრიფინგზე, გაუპარსავმა და აშკარად გაღიზიანებულმა სააკაშვილმა ჟურნალისტებს განუცხადა, რომ ლუჟკოვს შუამავლად არ თვლის: — მე არ მჭირდება შუამავალი ჩემს ხელქვეითებთანო. არც ის დაუმალავს, რომ უკმაყოფილო იყო აჭარაში ზოგიერთი რუსი პარლამენტარის ვიზიტით...

პრეზიდენტთან ერთად ჟურნალისტებთან გამოსული ასლან აბაშიძე ხმას არ იღებდა. მხოლოდ სააკაშვილის ბრატისლავაში, ნატოს კონფერენციაზე გაფრენის შემდეგ მისცა მოკლე ინტერვიუ ჟურნალისტებს. საქართველოს პრეზიდენტთან შეხვედრა შეაფასა, როგორც „საჭირო“ და აღნიშნა, რომ „დასხდნენ პირისპირ და ყველა საკითხი გადაწყვიტეს“. ასლან აბაშიძემ მიხეილ სააკაშვილი დაახასიათა, როგორც „უდავოდ ძალიან ნიჭიერი, განსაკუთრებული თვისებით დაჯილდოებული ახალგაზრდა კაცი, რომელსაც ბევრჯერ გაუღიმა ფორტუნამ“.

ძნელი დასაჯერებელია, აბაშიძისა და სააკაშვილის ასეთი სწრაფი შერიგება თბილისისთვის აჭარის პრობლემის გადაწყვეტას ნიშნავდეს. ბათუმის ხელისუფლების სრულ გაკონტროლებასა და დაქვემდებარებაზე ლაპარაკი ნაადრევია.

კომერსანტ რუ

ყოფილი ფრანგი დიპლომატი — საქართველოს ახალი მინისტრი

იგი ჩვენს ენას შესანიშნავად ფლობს. თბილისში აქცენტი მხოლოდ მის ორმაგ მოქალაქეობაზე კეთდება. საქმე სალომე ზურაბიშვილის სასარგებლოდ წყდება: საფრანგეთის ელჩი საქართველოში, თანამდებობას საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის პორტფელზე ცვლის. „ფრანგია, მაგრამ ასპროცენტიანი ქართველია“, — ამბობს საქართველოს პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი. სწორედ მან მიაწოდა ეს იდეა ჟაკ შირაკს. მისი ახლობლები კი ფიქრობდნენ, რომ სააკაშვილი ამ პოსტს სხვა ემიგრანტს, მესამე თაობის წარმომადგენელ ოთარ შალიკაშვილს შესთავაზებდა (ეს უკანასკნელი ამერიკის გაერთიანებული სამხედრო შტაბების ყოფილი უფროსის ძმაა), მაგრამ პუტინს ეს არ მოეწონებოდა. სალომე საქართველოს ევროპულ სახლში გაერთიანების მომხრეა. საფრანგეთის მაღალ წრეებში სიხარულს ვერ ფარავენ — პარიზი საქართველოს თავის ელჩს „უძღვნის“, ხოლო გერმანია 20 მლნ ევროს ურიცხავს ახალ ხელისუფლებას.

დიპლომატმა სალომე ზურაბიშვილმა კარიერა რომიდან დაიწყო. 2003 წლის ოქტომბრამდე ეს შავგვრემანი, ელეგანტური და ენერგიული ქალბატონი ეროვნული თავდაცვის გაერთიანებული სამდივნოს საგარეო ურთიერთობებს ხელმძღვანელობდა. იგი სწორედ მოსკოვთან აწარმოებდა მოლაპარაკებებს საბჭოთა დროიდან დატოვებული ატომური, ქიმიური და ბიოლოგიური იარაღის განადგურებასთან დაკავშირებით დახმარების პროგრამის თაობაზე. მისი ცხოვრების მეორე მხარე კი, შედარებით არაორდინარულია: სალომეს ბებია და ბაბუა პარიზს ჩამოსულან 1921 წელს, საქართველოს სოციალ-დემოკრატიულ მთავრობასთან ერთად. იმ ხელჩართული ბრძოლის პერიოდში, რომელიც 1914 წლიდან არყევდა რეგიონს, ისინი, მთავრობასთან ერთად, გაექცნენ ბოლშევიკების მიერ „ტიფლისში“ გამოგზავნილ წითელ არმიას. თავისი ლიბერალურ-ინტელიგენტური ოჯახის ფონზე სალომე თითქოს „საბჭოთა კავშირამდელი“ ისტორიის ნაწილია. ბაბუამისი, ნიკო ნიკოლაძე, გასული საუკუნის დასაწყისში რუსეთის დუმის წევრი იყო და ფოთში, შავ ზღვაზე, ნავსადგურს ჩაუყარა საფუძველი.

მიუხედავად იმისა, რომ ამას მაინცდამაინც არ ამჟღავნებდა, საქართველოში დამოუკიდებლობის აღდგენის შემდეგ ამ დიპლომატი ქალის სულში თავი იჩინა სენტიმენტალურმა ლტოლვამ საქართველოსადმი. ამას ისიც დაერთო, რომ მისი ქართველი მეუღლე გასული წლიდან კერძო სატელევიზიო არხის, „იმედის“, წამყვანია.

„ეს ფაქტი გამოხატავს ჩვენს კეთილ ნებას, გვერდში ამოვუდგეთ საქართველოს“, — აცხადებს საფრანგეთის მთავრობა. თუმცა ყოფილი ელჩის ნაბიჯი რისკთანაა დაკავშირებული. ახალი მთავრობა პრობლემას უკვე წააწყდა — აჭარაში. სადაც ასლან აბაშიძე, რეგიონის ეს სატრაპი, რუსებში ეძებს სამხედრო დახმარებას ძალაუფლების შესანარჩუნებლად. სწორედ ეს იქნება სალომე ზურაბიშვილის პირველი მოსაგვარებელი საქმე.

ფიგარო

აბაშიძე ხანჯალს ლესავს?

საქართველო ემზადება საპარლამენტო არჩევნებისთვის, რომელიც შეიძლება თბილისისა და ბათუმის ახალი დაპირისპირების საბაბად იქცეს. ეს მაშინ მოხდება, თუ აჭარლები ახალი ქართველი პრეზიდენტის უკან მდგარ პოლიტიკურ ძალებს კი არა, აჭარის ახლანდელ ლიდერს დაუჭერენ მხარს. არჩევნების ნებისმიერმა შედეგმა შეიძლება დაქუცმაცებული საქართველოს გაერთიანებისთვის ძალისმიერი მეთოდების გამოყენებას მისცეს დასაბამი.

თბილისი-მოსკოვის მოლაპარაკებით თითქოს ყველაფერი მოგვარდა. აჭარამ საპარლამენტო არჩევნებისთვის მზადება დაიწყო. ეკონომიკური ბლოკადა მოიხსნა (ეს დაპირისპირება ქართველებს 40 მლნ დოლარი დაუჯდათ). წაგებული არავინ არის. გაიმარჯვა მეგობრობამ. მაგრამ ასეა განა? არსად თქმულა, რაზე შეთანხმდნენ სააკაშვილი და აბაშიძე, ასე უცებ რატომ დანებდა აბაშიძე პრეზიდენტს, აჭარაში რატომ ალაპარაკდნენ ახალგაზრდა პრეზიდენტის უზარმაზარ ავტორიტეტზე, მაშინ როცა გუშინაც კი, სულ სხვა ადამიანის, აბაშიძის, დიდ ავტორიტეტზე ლაპარაკობდნენ.

კონფლიქტის დროს ცხადი იყო პრეზიდენტის მიზანი — აჭარის ლიდერის ხელისუფლების დამხობა. ეს მიზანი ჯერ მიღწეული არ არის, რადგან ასლან აბაშიძე კვლავ თავის ადგილას დარჩა. ძალაუფლებაზე ნებით უარს არავინ ამბობს. თბილისი ამ ადამიანის კარიერის დასრულებას მხოლოდ მაშინ იზეიმებს, როცა აჭარის მოსახლეობა თავის ლიდერს ნდობას აღარ გამოუცხადებს. ეს კი 28 მარტის საპარლამენტო არჩევნების დროს შეიძლება მოხდეს. მაგრამ ისიც სავარაუდოა, რომ ინტრიგებში გაწაფულმა აჭარის ლიდერმა თავისი დათმობით გადაწყვიტა, ჭკუით აჯობოს ახალგაზრდა პრეზიდენტს, რომელსაც საქართველოს გაერთიანებით სურს სახელის მოხვეჭა. ამისათვის პირველი ქართველი პრეზიდენტის, ზვიად გამსახურდიას გახსენებაც კმარა, ისიც სრულიად საქართველომ აირჩია, ხოლო მერე ჩამოაგდო და გაუსწორდა კიდეც. ზვიადიც საქართველოს გაერთიანებაზე ოცნებობდა, მაგრამ სწორედ მაშინ დაიწყო ქართულ-აფხაზური ომი და ქართულ-ოსური კონფლიქტი, რომელმაც საქართველოს ფაქტობრივად მოსწყვიტა აფხაზეთი და სამხრეთ ოსეთი. ამ კუთხეებს თავისი არჩევანის სისწორის დასამ-

ტკიცებლად ხელს აძლევთ, საქართველოდან აჭარის გამოყოფა. აჭარას კი ყარსის ხელშეკრულების თანახმად, აქვს გამოყოფის საერთაშორისო პოლიტიკური უფლება. ამ ხელშეკრულების საფუძველზე რუსეთსა და თურქეთს აჭარაში თავისი ჯარების შეყვანაც შეუძლიათ. არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ საქართველო-აფხაზეთისა და საქართველო-ოსეთის კონფლიქტები რუსეთის სამხედროების ჩაურევლად არ მომხდარა. რუსეთის ჯარი დღესაც დგას აჭარაში, რომლის გაყვანას სააკაშვილი აშშ-ის ხელისშეწყობით ცდილობს. საკითხავია, ხომ არ იყენებს აბაშიძე ამ ხელშეკრულებას იარაღად — ზურგს უკან დამალულ ხანჯლად, რომელსაც ხელსაყრელ დროს იშიშვლებს.

ეს არჩევნებზე გამოჩნდება. თუ აბაშიძის ავტორიტეტი აჭარაში გაბერილია, მაშინ მას არჩევნებში გასამარჯვებლად ფალსიფიკაცია სჭირდება, თუ ნამდვილია, მაშინ შედეგების გაყალბება საქართველოს პრეზიდენტს მოუწევს. მაგრამ ნებისმიერ შემთხვევაში აჭარისა და საქართველოს მომავლისათვის გადამწყვეტი ბრძოლა 28 მარტს შედგება.

თუ აბაშიძე გაიმარჯვებს, მაშინ სააკაშვილი იძულებული გახდება, აჭარის ლიდერის დამხობა ძალოვანი მეთოდებით სცადოს. ეს აბაშიძეს ხელს გაუხსნის თავისი „ხანჯლის“ გამოსაჩენად — ის წავა გამოყოფაზე, რითაც ბოლოს მოუღებს საქართველოს პრეზიდენტს. მას მხარს დაუჭერენ აფხაზებიც და ოსებიც.

თუ აბაშიძემ ვერ გაიმარჯვა, ეს ნიშნავს, რომ ამ მარცხში მოსკოვის ხელი ურევია, რადგან რუსეთს არც ამერიკელებთან და არც სხვებთან უსიამოვნება არ უნდა. მარტო კი აბაშიძეს ბრძოლა უჭირს. შესაძლოა, სააკაშვილთან მოლაპარაკების შემდეგ ამიტომაც ჰქონდა ასეთი ნაღვლიანი სახე. თუ ეს ასეა, სააკაშვილს სტიმული ეძლევა საქართველოს გაერთიანების ახალი რაუნდების ჩასატარებლად — აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის დასაბრუნებლად. ამ შემთხვევაშიც შესაძლებელია შეიარაღებული კონფლიქტი და ამაშიც რუსეთის როლი დიდი იქნება. ამბობდნენ ხოლმე — მოსკოვმა „ჩაუშვა“ მილოშევიჩი, მოსკოვმა „ჩაუშვა“ სერბეთიო. სერბეთში აღარ არიან რუსეთის სამხედროები. „თავადის“ დამარცხების შემთხვევაში იტყვიან, — მოსკოვმა აბაშიძე და აჭარა „ჩაუშვაო“ და... აჭარაში აღარასოდეს იქნება რუსეთის ბაზები.

სტრანა.რუ

კვირის ფრაზა

ვლადიმირ ჟირინოვსკი: „რუსეთში 2008 წლის საპრეზიდენტო არჩევნებში სააკაშვილის როლს ლიბერალურ-დემოკრატიული პარტია შეასრულებს, ოღონდ ჩვენთან ვარდები და ტიტები არ უყვართ, ჩვენთან ხელკეტებს უფრო ეტანებიან“.

იტოგი №11

ლუჟკოვი „მშვიდობის მტრედად“ იქცა

მოსკოვში ჯერაც არ დამცხრალა წუხილი „ტრანსვაალ-პარკის“ ტრაგედიის გამო, გადაიწვა მანეჟი, იური ლუჟკოვი კი ბათუმში გაქანდა. პოლიტიკურ დამკვირვებლებს აოცებთ, რომ მოსკოვის მერი აჭარაში ბიზნესმენ გრიგორი ლუჩანსკისთან ერთად გაფრინდა.

მოსკოვის მერი იური ლუჟკოვი აჯანყებულ რესპუბლიკაში ფრიად უცნაური მარშრუტით ჩავიდა — მისი თვითმფრინავი თურქეთის ქალაქ ტრაბზონში დაჯდა, საიდანაც მოსკოვის დელეგაცია, რომელშიც რფ-ის დუმის დეპუტატები ვიქტორ ალქსნისი, ანდრეი სოლოვიოვი და ფრიად საეჭვო რეპუტაციის ბიზნესმენი გარი ლუჩანსკი შედიოდა, სარფის საბაჟოს გავლით მანქანებით ჩავიდნენ ბათუმში. „მე აქ საქართველოს შინაურ საქმეებში ჩასარევად არ ჩამოვსულვარ, ჩამოვედი იმისთვის, რომ მძიმე წუთებში გვერდით დავუდგე ჩემს მეგობარს და ძმას ასლან აბაშიძეს“, — განაცხადა ლუჟკოვმა. როგორც ეტყობა, მოსკოველ სტუმარს სააკაშვილისადმი ასეთი თბილი გრძნობები არა აქვს. მან მიუკიბ-მოუკიბავად თქვა, — სიტუაციის დაძაბვა თბილისის ბრალია და არა აჭარისო.

რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს წარმომადგენლის ცნობით, მოსკოვის მერის აჭარაში გამგზავრება მათთან არ იყო შეთანხმებული. ლუჟკოვის პრესმდივანმა თავისი შეფის აჭარაში ჩასვლა კერძო ვიზიტად წარმოადგინა. საიდუმლო არ არის, რომ ლუჟკოვს და აბაშიძეს ბიზნესინტერესები აერთიანებთ. მოსკოვის ფირმა „კონტი“ ბათუმში საცხოვრებელ კომპლექსს აშენებს, მოსკოვის მერიასა და აჭარლებს შორის დიდი ხანია მოლაპარაკება მიდის ბათუმის აეროპორტისა და ბათუმი-ადიგენის ავტომაგისტრალის რეკონსტრუქციაზე, განიხილება მოსკოვის ბიუჯეტიდან აჭარის ეკონომიკაში ინვესტიციების ჩადება, დაგეგმილია მოსკოვის საკონდიტრო ფაბრიკებისთვის აჭარაში თხილის მოყვანა, აჭარის ჩაისა და ხილის რუსეთისთვის მიწოდება. არაოფიციალური მონაცემებით, მოსკოვს უკვე გააჩნია საკუთრება ამ რესპუბლიკის სანაპიროზე. დაგეგმილია მოსკოველების საყვარელი ქობულეთის აღორძინებაც. ინფორმსააგენტოების ცნობით, ბათუმში ხელი უნდა მოეწეროს სანაპიროზე საცხოვრებელი კვარტალის მშენებლობას „დედაქალაქის ბიუჯეტის სახსრებით“, მოსკოვში კი აშენდება საქმიანი კომპლექსი „აჭარა“. ამის თაობაზე მოსკოვი და ბათუმი ჯერ კიდევ 2003 წელს შეთანხმდნენ. ამბობენ, ლუჟკოვს და გარი ლუჩანსკის, რომლის მთავარი „სპეციალიზაცია“ კორუმპირებულ რეჟიმებთან საშუამავლო ოპერაციებია და რომელიც აბაშიძის ეკონომიკურ მრჩევლად ითვლება, აჭარაში მსხვილი ბიზნესინტერესები აქვთ; ის დაკავშირებულია ფართომასშტაბიან მშენებლობებთან, ბათუმის პორტთან, ნავთობტერმინალთან და სხვა სფეროებთან. სწორედ ამიტომ ჩავიდნენ ისინი ასე სასწრაფოდ აჭარაში.

ბათუმში ჩასვლისთანავე მოსკოვის მერი ასლან აბაშიძეს შეხვდა. მათი საუბარი რვა საათს გაგრძელდა. მაგრამ რაზე ითათბირეს და რა დასკვნები გააკეთეს, არავინ იცის.

იზვესტია რუ

ძვირფასო მშობლებო და ჩვენო პატარებო!

კვლავ მივიღეთ თქვენი წერილები. გმადლობთ, რომ ასე აქტიურად გვეხმიანებით და მოგწონთ თქვენი გვერდი. თითოეულ ბარათს ვინახავთ და შევეცდებით, მათ შორის საუკეთესოები მომდევნო ნომრებში შემოგთავაზოთ.

ჰკითხეთ გერიოსობებს

2 წლის **სანდრო კიკნაძეს** ბაბუა უყვება ზღაპარს: „ზოოპარკში ცხოვრობდა ორი მამალი მგელი და ერთი დედალი მგელი“. სანდრომ გააწყვეტინა:

— არა, ორი მამალი მგელი და ერთი ქათამი მგელი.

***

ნათელა ბებია და პატარა **ლუკა** სადილად დასხდნენ.

დაიწყეს ინდაურის საცივისა და ღომის ჭამა. აცრემლებულმა ბავშვმა პირზე ხელი მიიფარა და ბებიას უსაყვედურა:

— ბებო, რატომ უყავი საცივს ამდენი წინაკა?

— ძალიან ცოტა ვუყავი, — იუარა ბებომ.

— ალბათ ინდაურს ჰქონდა ნაჭამი,

— დაასკვნა ბიჭმა.

***

პატარა **დათო გოგიჩაიშვილს** უზომოდ უყვარს ძაღლის ლეკვები. ერთხელ დედა ეკითხება:

— დათო, რა გინდა რომ გაგიჩინო — ძამიკო თუ დაიკო (დათოს უფროსი და ჰყავს)?

— აუუ, ლეკვი რა, — ეხვეწება დათო.

— დათო, მე ლეკვს ვერ გავაჩენ, — ეცინება დედას.

— ძაღლის საჭმელი რომ ჭამო, მაინც არ გაგიჩნდება? — ინტერესით შეეკითხა დათო.



შეიტანე კროსვორდის ბადის ცარიელ უჯრებში ნახატის შემადგენელი გამოსახულებების სახელწოდებები ვერტიკალურად და ყვითელ ჰორიზონტალურ რიგში მიიღებ შემდეგი გამოცანის პასუხს: ***„არცა ენა აქვს და არცა თვალი, ხან მოამბეა, ხან მომღერალი“.***



რომელი ნივთები სტირდება ეჩქმს?

გიყვარდეთ მტერი თქვენი

ბიბლიური მოთხრობა

ხალხი ყოველი მხრიდან მოდიოდა იესოსთან და იესოც განაგრძობდა მათ სწავლებას: „თქვენ გსმენიათ, რომ თქმულა: გიყვარდეს მოყვასი შენი და გძულდეს მტერი შენი. ხოლო მე გეუბნებით თქვენ: გიყვარდეთ თქვენი მტერნი; დალოცეთ თქვენი მაწყევარნი; კეთილი უყავით თქვენს მოძულეთ და ილოცეთ თქვენსავე მდევნელთა და შეურაცხმყოფელთათვის. რათა იყოთ თქვენ შვილნი მამის თქვენის ზეციერისა, ვისაც თავისი მზე ამოჰყავს კეთილთა და ბოროტთათვის და წვიმას უგზავნის მართალთაც და უსამართლოთაც.

თუკი გაცთუნებს შენი მარჯვენა თვალი, ამოითხარე და გადააგდე. ვინაიდან გიჯობს დაჰკარგო ერთი შენი ასოთაგანი, ვიდრე მთელი შენი სხეული ჩავარდეს გეენას. ხოლო თუ გაცთუნებს შენი მარჯვენა ხელი, მოიკვეთე და გადააგდე, ვინაიდან გიჯობს დაჰკარგო ერთი შენი ასოთაგანი, ვიდრე მთელი შენი სხეული ჩავარდეს გეენას.

ეკრძალენით სიმართლის ქმნას კაცთა წინაშე იმ მიზნით, რომ მათ დაგინახონ, თორემ ვერ მიიღებთ საზღაურს მამის თქვენის ზეციერისაგან.

და როცა გასცემთ მოწყალებას, ნუ აყვირებთ თქვენს წინაშე ბუკნაღარას, როგორც იქცევიან თვალთმაქცნი სინაგოგებსა თუ ქუჩაბანდებში, რათა განადიდოს ისინი ხალხმა. ჭეშმარიტად გეუბნებით თქვენ: მათ უკვე მიიღეს თავიანთი საზღაური. ხოლო როცა შენ გასცემ მოწყალებას, დაე, ნუ ეცოდინება შენს მარცხენა ხელს, რას აკეთებს მარჯვენა. რათა შენი მოწყალება დაფარული დარჩეს და მამამ შენმა, რომელიც ხედავს დაფარულს, მოგაგოს შენ ცხადად“.

მიიყვანე ლომი გვირგვინთან



III ანა, გამოიცანი

1) ამ თევზებიდან, რომელს აქვს წითელი წინწკლები?
ა) ხრამულს; ბ) ლოქოს; გ) კალმახს; დ) მურწას.

2) ვინ იყო ალექსანდრე მაკედონელის მასწავლებელი?
ა) სოკრატე; ბ) არისტოტელე; გ) პლატონი; დ) ჰომეროსი.

3) რა აქვს დარღვეული დალტონიკებს?
ა) მხედველობა; ბ) სმენა; გ) გემოვნება; დ) ყნოსვა.

4) ამ ქვეყნებიდან, რომელს არა აქვს პოლონეთთან სახმელეთო საზღვარი?
ა) ბელორუსიას; ბ) ლიტვას; გ) ლატვიას; დ) უკრაინას.

5) სად არის დაკრძალული დავით აღმაშენებელი?
ა) სვეტიცხოველში; ბ) ალავერდში; გ) სიონში; დ) გელათში.

6) რა თანამდებობა ეკავა გიორგი სააკაძეს ლუარსაბ II-ის კარზე?
ა) მოურავის; ბ) მეჭურჭლეთუხუცესის; გ) მანდატურთუხუცესის; დ) მწიგნობართუხუცესის.

7) რომელი რელიგიური დღესასწაული უძღვის წინ აღდგომის ბრწყინვალე დღესასწაულს?
ა) ბარბარობა; ბ) ხარება; გ) ამაღლება; დ) ფერისცვალება.

8) ამ ქვეყნებიდან, რომელშია ქრისტიანული მართლმადიდებლური სარწმუნოება?
ა) ჩინეთში; ბ) საფრანგეთში; გ) გერმანიაში; დ) საბერძნეთში.

იპოვე 10 განსხვავება

პასუხები იხილეთ 31-ე გვერდზე

გვერდი მოამზადა მაშუკა ხუციშვილმა

„კვირის პალიტრის“ „ზღაპრების სახლმა“ უკვე 50 ქართული და უცხოური ზღაპარი გამოსცა. შეამოწმეთ, არის თუ არა ყველა ზღაპარი თქვენს კოლექციაში. ის ზღაპრები, რომლებიც წაკითხული გაქვთ, აღნიშნეთ ასე: — და სია აჩვენეთ მშობლებს

1. ○ გელია და მწყერჩიტა
2. ○ ქალთევზა
3. ○ ნასარქვქია
4. ○ ძმინარე მზეთუნახავი
5. ○ კოკალე
6. ○ ირემისა
7. ○ ჩიპოლინო
8. ○ წითელქუდა
9. ○ ფიფქია და შვიდი ჯუჯა
10. ○ ხუთქუნჭულა
11. ○ პაპანაქება
12. ○ თოვლის დედოფალი
13. ○ ბრემენელი მუსიკოსები
14. ○ ალიბაბა და ორმოცი ყაჩაღი
15. ○ სამი გოჭი
16. ○ თორმეტი თვე
17. ○ სიზმარა
18. ○ პაუგლი
19. ○ ჩექმებიანი კატა
20. ○ მგელი და შვიდი თიკანი
21. ○ ნაცისცა
22. ○ ნახევარქათამა
23. ○ სამი ფორთოხალი
24. ○ გოგონა და ურჩხული
25. ○ წიქარა
26. ○ ალადინი
27. ○ ლორეგის ძწყვესი
28. ○ ძალთამაძლე
29. ○ ქოჩორა რიქე
30. ○ უშლისწული ბაყაყი
31. ○ ბულბული
32. ○ რიკი-ტიკი-ტავი
33. ○ კონია
34. ○ პატინჭი იხვის ჭუკი
35. ○ კაზა, პატარა და მელა
36. ○ ცეკოლენა
37. ○ გაუცინარი პრინცესა
38. ○ ველური გედები
39. ○ გაქვავებული სამეფო
40. ○ გოგონა და სამი დათვი
41. ○ წითელი ფეხსაცმელები
42. ○ ოქროდოებული კაზა
43. ○ ეგეონგუარე
44. ○ ოსიკუარეანი მეფე
45. ○ ბურატინოს თავგადასავალი
46. ○ ლოვი და კუკრიული
47. ○ ნასარქვქია
48. ○ ოქროდოებული გუე
49. ○ არვიცია ავგავი
50. ○ ჯუჯუი სპილენძა

ეკითი წიგნი-ზღაპარი + გასაკოთები გვერდები 1 ლარი და 20 თეთრი ღირს

ზღაპრების შეძენა შეგიძლიათ „კვირის პალიტრის“ საგაზეთო ჯიხურებში, აგრეთვე პრესის სხვა გავრცელებლებთან და წიგნის მაღაზიებში

CMYK

ზუბალაშვილების გვარი საქართველოს ისტორიაში სიკეთისა და ქველმოქმედების სიმბოლოდ ითვლება... ამ გვარს ერთადერთი მემკვიდრე დარჩა — **ანასტასია ზუბალაშვილი-კოკოჩაშვილისა**. მას გვარში ყველაზე მძიმე ცხოვრება ჰქონდა, — მაინცდამაინც მის თვალწინ ჩაიარა ზუბალაშვილთა ტრაგედიებმა. ამჟამად 88 წლის არის. ცხოვრობს დედის ძმისაგან დანატოვარ ბინაში. ამ სახლში ყველაზე ფასეული — მისივე ხელით შედგენილი წინაპართა ქველმოქმედების ნუსხაა, რომელსაც ასე იწყებს: „ღმერთმა ინება და მისცა ზუბალაშვილების გვარს იმის უნარი, გამხდარიყვნენ თავისი ქვეყნის პატრიოტები და ქველმოქმედები...“ მისი სახლის პირდაპირ ვერის ღვინის ქარხანაა, რომელშიც ზუბალაშვილები შაქარს ამზადებდნენ... ამ შაქრის გემო მხოლოდ ქალბატონ ანასტასიას ბავშვობის მოგონებებს შემორჩა. 1921 წელს ბოლშევიკურმა ხელისუფლებამ, როგორც ზაქარია ჭიჭინაძე წერდა, აღკვეთა ზუბალაშვილების სახელის ხსენება და დავიწყებას მიეცა ის, რაც ამ დიდ გვარს „მოწყალება ურიგებია, ყველა... ჩუმად, ისე რომ მარჯვენა ხელის ნამოქმედარი მარცხენასაც არ გაუგია“...

რაც ზუბალაშვილებს დაგვრჩა, ღმერთმა მშვიდობაში მოგახმაროთ!..

ვხედავ, შევარდნაძე ბაქოშია. ალიევი ეუბნება: წესია ასეთი, საელჩოს რომ ხსნი, შენობა უნდა იყიდო, მაგრამ შენ ჩემი მეგობარი ხარ, ამიტომ აქ ერთი ქართველის აშენებულ სახლს გჩუქნიო, — პაპაჩემის აშენებულ სახლზე უთხრა. გამეცინა — ვის ქონებას ვინ გააჩუქებს-მეთქი. ერთმა მითხრა, ვინ იცის, ეგ რომ მოისმინე, როგორ გაბრაზდიო. არაფერიც არ გავბრაზებულვარ. ძალიანაც მიხარია, ბაქოში, ჩემი წინაპრების სახლში საქართველოს საელჩო რომ არის. საკუთარიც რომ იყოს, ქონებას თან ხომ ვერ წავიღებდი, ქვეყანას უნდა დარჩენოდა.

გიორგისთან ერთად

— ახლანდელ დავით აღმაშენებლის გამზირზე, დიდი ფოსტა რომ არის, იქ ვცხოვრობდით. გოგონა

უპოვართა სახლი დღევანდელი ბავშვთა საავადმყოფო

ვიყავი და ამიტომაც უფრო ჩვენი სახლის აბრეშუმი დამამახსოვრდა. ყველგან აბრეშუმი ეფინა. ასეთი ქსოვილი საქართველოშიც იყიდებოდა. ჩემი დიდი ბაბუის ძმამ, სტეფანემ, დაიწყო პირველმა აბრეშუმის გზაზე სიარული — სპარსეთსა და ინდოეთში ვაჭრობა. ჩემი სათამაშოებიც მახსოვს — გერმანიიდან და საფრანგეთიდან გამოგზავნილი. პატარა „ზამშით“ შეკერილი ძროხა მყავდა. ზურგზე, ნახვრეტში, ვასხამდი რძესა და ვწველიდი. გერმანელი გადია ნამცხვრების ცხობას მასწავლიდა. მოზელდა ცომს, ვასხამდით ფორმებში და ვაცხობდით. აბა, ნახე! — ვითომ ვთამაშობდი, მაგრამ სინამდვილეში საქმეს ვსწავლობდი. 8 მოსამსახურე გვყავდა, ძიძებიცა და გუვერნანტებიც, მაგრამ ყველაფერს მასწავლიდნენ — რეცხვას, კერვას, კემსვას, სახლის დალაგებას. წავიდნენ ის მოსამსახურეები, დავრჩი მარტო და გამომადგა ეს ცოდნა. ახლაც მე ვაკეთებ ყველაფერს. ფანჯრებზე ასვლა რომ შემეძლოს, შუშებსაც გავწმენდდი... ასეთი იყო მაშინდელი აღზრდა — ძალიან ჭკვიანური! ახლა გოგონებს ისე ზრდიან, მხოლოდ მაკიაჟის კეთება და საპარიკმახეროში სიარული იციან. ეს არ ვარგა.

— **საიდან წამოვიდა თქვენი გვარი, რომელმაც ამხელა სიმდიდრე დაუტოვა ქვეყანას?**

— ჩემი წინაპრები მესხეთიდან არიან. მერე გორსა და თბილისში დასახლდნენ. იაკობი, ჩემი დიდი ბაბუის მამა, რომელმაც შაქრის ქარხანა ააგო, პირველი მრეწველი იყო საქართველოში. მან შემოიტანა ჩვენში კაპიტალიზმი. იმ შაქრის ლურჯი ყუთი მამაჩემს, დავითს, ხშირად ეჭირა ხელში. ზედ, წითელ ფონზე, თეთრი ასოებით ეწერა „ქართული შაქარი“. ამ შაქრის ფულით იაკობმა დღევანდელი ცეკავშირის შენობა რომ არის, იმ ადგილას მიწა იყიდა. ორი სახლი ააშენა — ერთი თავისთვის და ერთიც — სასტუმრო „პალასი“. თბილისის მერიამ იმ სასტუმროს დარბაზში გაუმართა ნიკოლოზ I-ს ბანკეტი. იაკობის ვაჟებმა როტშილდებისგან კასპიის ზღვაში ნავთობის კუნძული იყიდეს — ბიბი-ეიბათი. ამიტომაც ბაქოში ცხოვრობდნენ და ნავთობის რეწვას ეწეოდნენ. მამაჩემიც იქ მუშაობდა, მაგრამ თბილისში ხშირად ჩამოდიოდა. თბილისში ვიყავით მე, ჩემი ძმა ანტონი და დედა. ანტონმა სამხედრო სკოლა დაასრულა. ენები იცოდა. ამის გამო 17 წლისა ადიუტანტად აიყვანა სარდალმა ოდიშელიძემ. 6 წლის ვიყავი, როცა წითელი არმია ბაქოში შევიდა. მაშინ გადაწყვიტა ჩემმა ძმამ სამშობლოდან წასვლა. მამა ეხვეწებოდა — შვილო, სამშობლოს ნუ დატოვებო... რომ დავრჩე, ვიცი, დამხვრეტენო და... წავიდა. უბედო ბიჭი იყო ჩემი ძმა — იქ, საფრანგეთში, გერმანელებმა დახვრიტეს წინააღმდეგობის მოძრაობაში მონაწილეობისთვის. ქართველებმა ჩუმად ჩამოიტანეს ეს ამბავი. ის იყო ჩვენი გვარის უკანასკნელი გამგრძელებელი...

— **თქვენ გარდა ზუბალაშვილთაგან აღარავინ დარჩა?**

— ბედმა ასე ინება. მე უკანასკნელი შთამომავალი ვარ ამ გვარისა. ვინც რა უნდა ჩაიწეროს დოკუმენტში, სხვა ზუბალაშვილი აღარავინ იქნება! მამაჩემით შეწყდა მათი ქველმოქმედებაც. მას შემდეგ საქართველოს მეცენატები აღარ ჰყოლია. ბოლო დროს გავიგე, ვინმე ივანიშვილი გამოჩენილა. ამბობენ, სანაცვლოდ არაფერს ითხოვს, ისე ეწევა ქველმოქმედებასო. სულ იმის ლოცვაში ვარ.

— **თქვენი წინაპრების უძრავი ქონება როგორლა განაწილდა?**

— რამდენიმე სახლია საქართველოს გარეთ. მათ შორის, მოსკოვში. იქ ჩემი უფროსი ქალიშვილი ცხოვრობს. მიდიან, ეკითხებიან, ბევრ რუსს აინტერესებს ჩვენი ისტორია. თბილისში 9 სახლი დატოვეს ჩემმა წინაპრებმა, რამდენიმე — საქართველოს სხვადასხვა კუთხეში. თქვენ წარმოიდგინეთ, ბაქოს ნავთობით რამხელა ქონებას აგროვებდნენ და იქ ერთი სახლის მეტი არ აუგიათ — რასაც იშოვიდნენ, სამშობლოში გზავნიდნენ. მამაჩემი უდიდესი პატრიოტი იყო ქვეყნისა. ბოლშევიკები რომ შემოდიოდნენ, მეგობრები ეხვეწებოდნენ — წადიო, არ წავიდა. მოვკვდები საქართველოს გარეშეო. ყველაფერს ის მიამბობდა ჩემს წინაპრებზე. მე ჩემი სია მაქვს იმათი საქმიანობისა. გადაწერეთ, თუ გინდათ, მაგრამ თქვენი წერილისთვის მეტისმეტად გრძელი გამოვა. აბა, ნახეთ: თბილისის პირველი საავადმყოფოს კორპუსის აშენებისთვის 150.000 მანეთი აქვთ გაღებული, მთაწმინდის უპოვართა თავშესაფრისთვის 220.000 — იქ ახლა ბავშვთა საავადმყოფოა. უნივერსიტეტისთვის — 100.000, კონსერვატორიისთვის — 10.000. ააგეს კათოლიკური ეკლესიები, ახლანდელი მარჯანიშვილის თეატრი, კოჯრის გზაზე — უპოვართა სასადილო „სამადლო“... ზუბალაშვილების სტიპენდიანტები იყვნენ: ალექსანდრე ჯანელიძე, სარგის კაკაბაძე, ალექსანდრე ფალავა, გერონტი ქიქოძე, ლეო ქიაჩელი, პავლე ინგოროყვა...

— **თუ არ ვცდები, გასაბჭოებამდე ქართული ათასი მანეთი დღევანდელი 10.000 დოლარის ღირებულებისა იყო... ყველა ზუბალაშვილი ქველმოქმედი როგორ გამოვიდა?**

— ყველაფერს ოჯახი და გენი აძლევს დასაბამს. ძალიანაც ცდებოდნენ კომუნისტები, გენეტიკა რომ უარყვეს. ახლა უცნაურ ამბავს გეტყვით: ისნის რაიონში არსებობს ბომჟების სახლი, იქ ჩემი ქალიშვილი, თინიკო, რომელიც უნივერსიტეტში ასწავლის, დადის ხოლმე და ბომჟებს სადილს უმზადებს. ამას ბევრი ვერ გაიგებს, მე ხომ ვიცი, რომ მასში გადავიდა ზუბალაშვილების გენი, მაგრამ, სამწუხაროდ, ფული არ აქვს, რომ დიდი ქველმოქმედება გასწიოს.

— **თქვენც ხომ ზუბალაშვილი ხართ. არასოდეს გიფიქრიათ, რომ ფული თვითონაც გეშოვათ და ქველმოქმედება გაგეწიათ?**

— ხანდახან მიფიქრია. მაგისთვის საკმარისი განათლებაცა მაქვს. უნივერსიტეტის ეკონომიკური და სამედიცინო ფაკულტეტები დავასრულე... მაგრამ, იცით რა, შეგრძნება მქონდა, რომ არაფრის კეთება არ ღირდა. ჩემმა წინაპრებმა ამდენი სიკეთე ქმნეს, მაგრამ ისე შემობრუნდა დრო, თითქოს ბოროტება ეკეთებინოთ, სიკეთე უბედურებად გადაგვექცა. ბავშვობიდან სულ დამნაშავედ ვგრძნობდი თავს. რომ გაიგეს, ზუბალაშვილი ვიყავი, პიონერობიდან გამომაგდეს. მწარედ ვტიროდი. ახლა ვფიქრობ, ნეტა რა მატირებდა-მეთქი, მაგრამ მაშინ გული მეთუთქებოდა. 1921 წელს წითელი ჯარისკაცები „სამადლოში“ შეცვივდნენ, მჭადის ლობიანები ნახეს და იქ მდგარი ბიძაჩემის მარმარილოს ბიუსტი დალეწეს — ჩვენ ვშიმშილობთ და ესენი ბისკვიტებს ჭამენო. ჩემი სახლის ოთახები ნელ-ნელა მიითვისეს ბოლშევიკებმა. იცით, რა საშინელი საყურებელია ეს ბავშვისთვის? მამაჩემი მხოლოდ იმიტომ გადარჩა ცოცხალი, რომ კარგი ფინანსისტი იყო და ბანკში სჭირდებოდათ. 1924 წელს, ბიძასთან, გორში, ჩავედით მე და დედა სტუმრად. ღამე მოვიდნენ და წაიყვანეს ბიძაჩემი. მეფის არმიის პოლკოვნიკი იყო. მე და დედამ მიწაში ჩავფალით მისი ეპოლეტები და მუნდირი. ამ სახლის აივნიდან მოჩანდა სასაფლაო, სადაც აჯანყებულებს ხვრეტდნენ და ორმოებში ყრიდნენ. მიწას კარგად არ აყრიდნენ, ამიტომ ზოგიერთმა გადარჩენილმა საფლავიდან ამოძრომა მოახერხა და ხალხმა გადამალა... ბიძაჩემი მაშინ კი გამოუშვეს, მაგრამ ისევ დაიჭირეს, ყაზახეთში გადაასახლეს. იქიდან მღვდელმა ჩამოგვიტანა ამბავი, — კეთილშობილი ადამიანი იყო, დაავადდა და ჩემს ხელში დალია სულიო.

— **ამტანი ყოფილხართ...**

— როგორც ყველა ზუბალაშვილი. იმდენი რამ გადამხდა, რა მაცოცხლებს-მეთქი — გაკვირვებული ვეკითხები ჩემს თავს, მაგრამ ვისაც რამე უბედურება შეემთხვა, ყველას ვეუბნები: მიყურეთ, აიღეთ მაგალითი ჩემგან და ძლიერები იყავით! რატომ? იმიტომ, რომ სხვა არ შეაწუხოთ. ცოდვაა და უკულტურობა, როცა შენს ტკივილს სხვას ახვევ თავს. ყველას ხომ თავისი გასაჭირი აქვს, კიდევ შენი რატომ უნდა დაუმატო? ყველა თავისი გზით მიდის. ჩემი გზა ასეთი იყო. გზის ბოლოს 14 ლარი პენსია მომცა სახელმწიფომ. შვილები რომ არ ზრუნავდნენ ჩემზე, ვერც ვიცოცხლებდი. ესეც ღვთის ნება იქნებოდა. მეუბნებიან, — მთავრობას რატომ არაფერს სთხოვო. როგორ უნდა მოვთხოვო? მე არაფერი გამიკეთებია, ჩემმა წინაპრებმა აკეთეს. რა უფლება მაქვს ამ სიმდიდრეზე? მაგრამ მინდა, რომ ეს ქონება უნამუსოდ არ მოიხმარონ. მგონი, 2 წლის წინ იყო: ნანა დევდარიანმა დამიძახა საკრებულოში, ბიძაჩემის აშენებულ უპოვართა სახლში, აი, იქ ახლა ბავშვთა საავადმყოფო რომ არის, ვიღაცა მილიონერს კაზინოს გახსნა უნდოდა. მაშინ გამოვედი და ვთქვი, — იმ კაცს ამის ნება რომ მისცეთ, ზუბალაშვილების ძვლები საფლავში ამოტრიალდება-მეთქი. კიდევ კარგი, ასე არ მოხდა.

— **თქვენც კათოლიკე ხართ?**

— დიახ. მე ეკლესიამ გადამარჩინა. ჩემი წინაპრები მართლმადიდებლები იყვნენ, მაგრამ XVIII საუკუნეში რუსეთ-თურქეთის ომის დროს ორი ძმა ტყვედ ჩაუვარდა თურქებს. აძალებდნენ — გამაჰმადიანდითო, მაგრამ იქაურმა კათოლიკურმა ეკლესიამ უშველა და გამოისყიდა. იქ კათოლიკურ მონასტერში ცხოვრობდნენ. ამის გამო მიიღეს კათოლიკობა. მე ხშირად დავდივარ საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქთან. ვსაუბრობთ ჩვენს ქვეყანაზე. ის კეთილშობილი ადამიანია და ბევრ რამეს სხვანაირად უყურებს. მაგალითად, სტალინი ტრაგიკულ ადამიანად მიაჩნია და ფიქრობს, რომ მისი საფლავი საქართველოში უნდა იყოს. როცა საქართველოში ბაგრატიონები ჩამოვიდნენ, ბანკეტზე დამპატიჟა — გიორგი ბაგრატიონ-მუხრანბატონისა და მისი მეუღლის, ელენეს მონათლული ვარ. ისინი 1924 წელს წავიდნენ საქართველოდან — მაქსიმ გორკიმ უშუამდგომლა ლენინთან. მათი შთამომავლები იყვნენ ჩამოსულნი. ბევრი ვისაუბრეთ მე და ლეონიდამ. ვიტირეთ კიდეც. ყველაფერი გავიხსენეთ, — ბავშვობაში გამართული ბალმასკარადიც, სადაც მე ქართულ კაბასა და ლეჩაქში ვიყავი გამოწყობილი, ირაკლი ბაგრატიონი კი პრინცი იყო, — უჰ, რა ლამაზი პრინცი...

— **ახლა როგორლა ცხოვრობთ?**

— როგორც დროს შეეფერება. ვათბობ მხოლოდ სამზარეულოს, ვალაგებ სახლს და ჩემს ქალიშვილთან დავდივარ დასახმარებლად. მას არა სცალია და კერძებს ვუმზადებ. იქ ჩემი შვილიშვილის, გიორგის, პატარა ბიჭი მყავს — შვილთაშვილი — უფალმა ეს საჩუქარი გამომიგზავნა, მაგრამ იცით, რა, დარდი არასდროს ელევა ადამიანს, — ახლა გიორგი დამრჩა უმუშევარი. ამაზე ვწუხვარ. პროკურატურაში მუშაობდა, ახალი ტალღა მოვიდა და გაათავისუფლეს. ვეუბნები, — ბებო, ქვეყანა არეულია, იქნებ რაიმე დააშავე და იმიტომ გაგათავისუფლეს-მეთქი. მითხრა, — შენ ხომ მაინც იცი, რომ მე არავის არაფერს წავგლეჯდიო. მე კარგად ვიცი, რას ნიშნავს, როცა გეუბნებიან, — წადი, აღარ გვჭირდებიო... ლამაზი არ არის, ბებიისგან შვილიშვილის ქება, მაგრამ მაინც ვიტყვი: შრომისმოყვარე, წესიერ ადამიანებს ყველა ხელისუფლება უნდა გაუფრთხილდეს... ის ხომ დარდობს და დარდობს, მე — იმაზე მეტად. თუმცა ჩემი ქალიშვილი ამბობს, — არა უშავს, უკეთესია, სიძნელეს შეეჩვევაო.

დავით ზუბალაშვილი, ანასტასია ზუბალაშვილი-კოკოჩაშვილის მამა

— **თქვენ გვერდით ალბათ ყველა კარგად გრძნობს თავს — ასეთი მძიმე ცხოვრება გაიარეთ და არც სიკეთე დაგიკარგავთ და არც რწმენა.**

— რწმენა რომ დამკარგვოდა, ხომ გავბოროტდებოდი?.. პირიქით, მგონი, ყველასი ზედმეტად მჯერა და ხანდახან მატყუებენ კიდეც... არ შემიძლია ბოლმა გულში ჩავიტოვო, დავიტანჯები. ფული არ მიყვარს, შეიძლება იმიტომ, რომ ტკივილი მომაყენა და იმიტომაც, რომ ჭუჭყიანია. ჩვეულებრივი ადამიანი ვარ. ასე, ორი წლის წინ ტელევიზორს ვუყურებდი. ვხედავ, შევარდნაძე ბაქოშია. ალიევი ეუბნება: წესია ასეთი, საელჩოს რომ ხსნი, შენობა უნდა იყიდო, მაგრამ შენ ჩემი მეგობარი ხარ, ამიტომ აქ ერთი ქართველის აშენებულ სახლს გჩუქნიო, — პაპაჩემის აშენებულ სახლზე უთხრა. გამეცინა — ვის ქონებას ვინ გააჩუქებს-მეთქი. ერთმა მითხრა, ვინ იცის, ეგ რომ მოისმინე, როგორ გაბრაზდიო. არაფერიც არ გავბრაზებულვარ. ძალიანაც მიხარია, ბაქოში, ჩემი წინაპრების სახლში საქართველოს საელჩო რომ არის. საკუთარიც რომ იყოს, ქონებას თან ხომ ვერ წავიღებდი, ქვეყანას უნდა დარჩენოდა. ჩემი წინაპრებიც განა ქვეყნისთვის არ აშენებდნენ? რაც დარჩა, ღმერთმა მშვიდობაში მოგახმაროთ!

ეთერ ერაძე

ედპ - ცხადიკონალისტების 7 საარჩევნო პროგრამის პრიორიტეტები

ქართველი ერის არსებობა და განვითარება განუყოფლადაა დაკავშირებული ქართულ სახელმწიფოებრიობასთან. ჩვენ უნდა ავაშენოთ, როგორც ქართულ-ეროვნულ, ასევე ზოგადსაკაცობრიო ღირებულებებზე დაფუძნებული სახელმწიფო, რომელიც დაემყარება ქართული ეროვნული ტრადიციებით განსაზღვრულ საზოგადოებრივი ცხოვრების წესს.

1. ადმინისტრაციულ-ტერიტორიული მოწყობა

ა) მოქმედი სტრუქტურა.

რეგიონალური დონე — 12 ერთეული, მათგან მხოლოდ სამი: დედაქალაქი, აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკები არიან კონსტიტუციურად ფიქსირებულნი.

საშუალო დონე (რაიონი) — მოიცავს 67 რაიონს და 6 დამოუკიდებელ ქალაქს.

ქვედა დონე (ადგილობრივი თვითმმართველობა) — 164 სოფელი, 843 თემი, 49 დაბა და 55 ქალაქი, რომელშიც ირჩევა ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოები.

დღეს მოქმედი სტრუქტურა სერიოზულ პრობლემებს წარმოშობს:

1. ვერ ხერხდება უფლებამოსილებათა და რესურსების გადანაწილება.

2. ქვედა დონის ბიუჯეტები თითქმის სრულად არის დამოკიდებული ზედა დონის ბიუჯეტებზე.

3. თვითმმართველობის ორგანოებს გააჩნიათ საკითხის გადაწყვეტის უფლება, მაგრამ არ გააჩნიათ შესაბამისი შესაძლებლობები.

ბ) რეფორმის ძირითადი პრინციპები:

— მართვის სისტემის გამარტივება;

— საქართველოს ტერიტორიული მოწყობა ორ დონედ: ადგილობრივი (მუნიციპალური) და რეგიონალური (ოლქი, მხარე).

— ქვეყნის ადმინისტრაციულ-ტერიტორიული დაყოფა რეგიონული პრინციპით, სადაც რეგიონი (ოლქი, მხარე) განისაზღვრება, როგორც ადმინისტრაციულ-გეოგრაფიული, ერთიანი ისტორიულ-ეთნოგრაფიული, ეკონომიკური და სოციალური ერთეული;

— რეგიონის (მხარის, ოლქის) ხელმძღვანელს არაპირდაპირი გზით ირჩევს მოსახლეობა (რეგიონის წარმომადგენლობითი ორგანო) და მას ამტკიცებს პრეზიდენტი.

რეგიონალური პრინციპით ადმინისტრაციულ-ტერიტორიული დაყოფა ითვალისწინებს:

— რეგიონთა სოციალურ-ეკონომიკური განვითარების პირობების გათანასწორებას;

— ცენტრს, რეგიონსა და თვითმმართველობას შორის ქონების გადანაწილებას;

— კონსტიტუციით დადგენილი ერთიანი მინიმალური სოციალური სტანდარტებისა და თანასწორი სოციალური დაცვის უზრუნველყოფას;

— განსაკუთრებული სტრატეგიული მნიშვნელობის რეგიონების პრიორიტეტულ განვითარებას;

— რეგიონთა წარმომადგენლობას ცენტრალური საკანონმდებლო ხელისუფლების ზედა პალატაში;

— ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების რეალურ დამოუკიდებლობას ადგილობრივი საკითხების გადაწყვეტისას. თვითმმართველობის გაკონტროლება ხდება საკანონმდებლო და სასამართლო ორგანოებით. ურთიერთობას ცენტრალურ და ადგილობრივ ორგანოებს შორის არეგულირებს კანონი.

— მხოლოდ სასამართლო ხელისუფლება ადგენს ადგილობრივ თვითმმართველობის ორგანოთა მოქმედების მართლზომიერებას.

— მუნიციპალური წარმონაქმნის ტერიტორიად მიჩნეულია ქალაქის, დაბის ან სოფლის დასახლების, აგრეთვე მათთან მიბჯენილი საერთო სარგებლობის მიწები, რეკრეაციული ზონები, დასახლების განვითარებისათვის საჭირო მიწები, აგრეთვე მუნიციპალური წარმონაქმნის ფარგლებში არსებული სხვა მიწები საკუთრების ფორმის მიუხედავად.

თვითმმართველობის პირველი დონის ფორმები განისაზღვრება მოსახლეთა რაოდენობით და ფინანსური რესურსებით:

ქალაქი — არანაკლებ 5 000 მოსახლისა;

დაბა — არანაკლებ 3 000 მოსახლისა;

სოფელი — ირჩევს მხოლოდ საკრებულოს, რომლის თავმჯდომარეც ხდება გამგებელი (ან მხოლოდ გამგებელს მცირეკომლიანი სოფლის შემთხვევაში).

დედაქალაქი თბილისი გატოლებულია რეგიონს (მხარეს, ოლქს) და მისი პირველი დონის ადგილობრივ თვითმმართველობას წარმომადგენენ მუნიციპალური რაიონები.

თვითმმართველობის პირველ დონეზე წარმომადგენლობითი ორგანო ირჩევა მაჟორიტარული წესით, ხოლო რეგიონის დონეზე — პროპორციულად.

გ) რეგიონისა და თვითმმართველობის კომპეტენციები და საქმიანობის ფინანსური საფუძვლები:

რეგიონის კომპეტენცია — რეგიონალური განათლება; რეგიონალური ჯანდაცვა, ადგილობრივი მნიშვნელობის გზები და კომუნიკაციები, რეგიონული დასაქმების პროგრამები და ეკონომიკური პროექტები, კანონმდებლობით განსაზღვრული სხვა საკითხები;

ადგილობრივი თვითმმართველობის კომპეტენცია — მუნიციპალური და კომუნალური სამსახურები; ადგილობრივი მართლწესრიგი, ადგილობრივი მშენებლობები, თვითმმართველობის ერთეულებისა და დასახლებული პუნქტების შიგა გზები; ადგილობრივი მიწათმოწყობა და საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული სხვა საკითხები;

რეგიონებისა და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების ფინანსური დამოუკიდებლობის საფუძვლებია:

რეგიონი — საშემოსავლო გადასახადის 30%, დამატებული ღირებულების გადასახადის 15%;

თვითმმართველობას — ქონების გადასახადის 100%, დამატებული ღირებულების გადასახადის 15%; სათადარიგო ბიზნესის გადასახადი; სასტუმრო გადასახადი, რეკლამის გადასახადი, გადასახადი ადგილობრივი სიმბოლიკის გამოყენებისათვის, მიწის გადასახადი.

შენიშვნა: გარდამავალ პერიოდში აუცილებელია ცენტრალური ბიუჯეტში აკრეფილი დღგ-ს 30% (15% რეგიონს, 15% თვითმმართველობებს) და მოგების გადასახადის 30% გადანაწილდეს ცენტრალური ბიუჯეტიდან რეგიონზე და თვითმმართველობებზე მოსახლეობის რაოდენობისა და ტერრიტორიული სიდიდის მიხედვით;

დ) ცენტრალური ბიუჯეტიდან ტრანსფერტების განაწილების პრინციპი:

ტრანსფერტების განაწილება უნდა ხდებოდეს მიზნობრივად, კანონით დადგენილი ნორმების საფუძველზე და უნდა ემყარებოდეს შემდეგ პარამეტრებს:

— რეგიონის ტერიტორია და მოსახლეობა;

— რეგიონის სტრატეგიული მდებარეობა;

— ინფრასტრუქტურის განვითარების მოთხოვნები;

— მოსახლეობის დასაქმება;

— სხვა დასაბუთებული პარამეტრები; .

ადგილობრივი ბიუჯეტის შევსების ერთერთი უმნიშვნელოვანესი წყარო უნდა გახდეს მიწაზე კერძო საკუთრება. მიწა საბანკო კრედიტის უზრუნველყოფის ერთ-ერთ ძირითად სახედ უნდა იქცეს.

2. ეკონომიკა

ქართული სახელმწიფოს განვითარების მიმდინარე ეტაპზე უმნიშვნელოვანესი ამოცანა ნორმალური საინვესტიციო გარემოს შექმნა, საგადასახადო ლიბერალიზაცია და სამეწარმეო საქმიანობაში მკაცრკონტროლები ორგანოების უხეში ჩარევის აღკვეთაა. ამ ამოცანების გადაჭრა შესაძლებელია ახალი საგადასახადო კოდექსის მიღებით.

საგადასახადო კოდექსის ძირითადი პრინციპები:

დაუბეგრავი მინიმუმი — თვეში 200 ლარი; წელიწადში — 2400 ლარი.

ა) ცენტრალური გადასახადები და მათი განაკვეთები:

1. დღგ — განაკვეთი — 12%; შეღავათიანი განაკვეთი — 6%; განსაკუთრებით შეღავათიანი — 3%.

2. გადასახადი შემოსავლებიდან — ფიზიკურ პირთაგან — 8%, საწარმოთაგან — 10%.

3. სოციალური გადასახადი — მუდმივი ხელშეკრულებით დაქირავებულთათვის — 6%; დროებით ხელშეკრულებით დაქირავებულთათვის — 18%.

4. აქციზი ყველ გრადუს ალკოპოლზე — ღვინებულების 0,5%; თამბაქოზე — 40%; საწვავზე — 45%;

სამხარეო და მუნიციპალური გადასახადების განაკვეთებს განსაზღვრავენ შესაბამისი ადგილობრივი ორგანოები;

ბ) საგადასახადო ურთიერთობები და მოწვარმის დაცვის მექანიზმები:

1. საგადასახადო კონტროლი ხორციელდება მხოლოდ სასამართლოს სანქციის მიღებით;

2. საგადასახადო დეკლარაციების ფორმის გამარტივება;

3. საგადასახადო კრედიტის მექანიზმის ამოქმედება.

გ) საგადასახადო ორგანოს სტრუქტურა:

1. გადასახადების მიმღები ორგანო (ფისკალური სააგენტო) — ღებულობს ყველა საგადასახადო დოკუმენტაციას, უზრუნველყოფს გადამხდელთა დახმარებას საგადასახადო ურთიერთობებში, ანაწილებს მიღებულ გადასახადებს შესაბამის ბიუჯეტებსა და ფონდებში, აწარმოებს ფისკალურ ანალიზს, მოლაპარაკებებს ადგილობრივ ორგანოებთან მათი ბიუჯეტების შევსების თაობაზე და სხვა;

2. ფისკალური პოლიცია — აწარმოებს ანალიზს გადასახადის კონკრეტულ გადამხდელთა შესახებ, უზრუნველყოფს გადასახადის დარღვევათა კონტროლს და ა. შ.

3. საგარეო პოლიტიკური პრიორიტეტები

ბლოკ „ედპ-ტრადიციონალისტების“ ძირითად საგარეო პოლიტიკურ პრიორიტეტად რჩება საქართველოს ინტეგრირება ევროკავშირში და ჩვენი ქვეყნის გაწევრება NATO-ში. რისთვისაც აუცილებელია საქართველოს ტერიტორიიდან რუსეთის ბაზების გაყვანა და საქართველოს დსთ-დან გამოსვლა. ჩვენ ვთვლით, რომ ჩვენი ქვეყნის უსაფრთხოებისა და ეკონომიკური აყვავებისათვის აუცილებელია საქართველომ კავკასიაში დაიპყროს ლიდერი სახელმწიფოს ისტორიული ფუნქცია და გახდეს ევროპასთან ინტეგრაციის პროცესში რეგიონის მთავარი წარმართველი ძალა.

საქართველოს პარლამენტმა და აღმასრულებელმა ხელისუფლებამ უნდა უზრუნველყონ, რომ თბილისი გახდეს ზოგადკავკასიური ინსტიტუტების შექმნის ინიციატორი:

1. კავკასიის ეკონომიკური საბჭო — მის შემადგენლობაში უნდა შევიდნენ სამხრეთ კავკასიის სამივე სახელმწიფოს წარმომადგენლები. მის მუშაობაში აგრეთვე შეიძლება მონაწილეობა მიიღონ რეგიონში მოქმედმა სხვადასხვა საერთაშორისო ეკონომიკურმა სტრუქტურებმა და რეგიონის ეკონომიკური პრობლემატიკით დაინტერესებულმა ინსტიტუტებმა. საბჭოს სამდივნო განლაგებული იქნება თბილისში.

საბჭოს ფუნქციები:

— ევროპასთან ეკონომიკური ინტეგრაციის პროცესისათვის სამხრეთ კავკასიის სახელმწიფოების კანონმდებლობის ჰარმონიზაცია;

— ურთიერთხელსაყრელი და მჭიდროდ კოორდინირებული რეგიონალური ეკონომიკური პროექტების შემუშავება;

— სამხრეთ კავკასიის სახელმწიფოების მთავრობებისათვის საერთო კავკასიური ეკონომიკური სივრცის ჩამოყალიბებისათვის რეკომენდაციების შემუშავება.

2. კავკასიის კულტურული მემკვიდრეობის გადარჩენის (შესწავლის) საერთაშორისო ცენტრი — ისტორიულად თბილისს გააჩნდა კავკასიის კულტურული და საგანმანათლებლო ცენტრის ფუნქცია, რამაც თავის დროზე დიდი როლი ითამაშა ჩვენი და კავკასიის ხალხების ურთიერთკეთილგანწყობის ჩამოყალიბებაში. ამ ტრადიციის აღსადგენად აუცილებელია კავკასიის კულტურული მემკვიდრეობის გადარჩენის (ან შესწავლის) საერთაშორისო ცენტრის ჩამოყალიბება, რომლის დაფუძნებასა და საქმიანობაში აქტიური მონაწილეობა უნდა მიიღონ ჩრდილო კავკასიის რესპუბლიკების წარმომადგენლებმაც.

3. კავკასიური პარლამენტი (კავკასიის ქვეყნების საპარლამენტთაშორისო ასამბლეა) — მისი ჩამოყალიბება შორეულ პერსპექტივად, მაგრამ აუცილებლად მოგვაწონა, საქართველოს პარლამენტი გამოვიდეს სამხრეთ კავკასიის სახელმწიფოების საკანონმდებლო ორგანოების შესაბამისი სტრუქტურების (კომიტეტები და კომისიები) ერთობლივი სხდომების და შეკრებების ჩატარების ინიციატივით.

4. აფხაზეთის პრობლემა

საქართველოს წინა ხელისუფლებამ უნიათო და უპრინციპო მოქმედებების შედეგად დაკარგა უამრავი დრო და საშუალება, რათა რეალური ნაბიჯები გადაედგა კონფლიქტების დარეგულირების საქმეში.

ფაქტობრივად აფხაზეთში გაიზარდა მთელი თაობა, რომელთა შეხედულებები ქართველობაზე და ქართულ სახელმწიფოზე ფორმირდება სეპარატისტთა ლიდერების მიერ ჩამოყალიბებული იდეოლოგიური კლიშეების მიხედვით. ფაქტია, რომ სეპარატისტები რუსეთის დახმარებით მსოფლიოს უმტკიცებენ, რომ შეუძლიათ ჩვენგან დამოუკიდებლად არსებობა.

ასეთ პირობებში ერთადერთ გამოსავლად გვევლინება სახელშეკრულებო ურთიერთობების გაფორმება აფხაზეთთან, რომელიც კონსტიტუციური შეთანხმების სახით დააფიქსირებს აფხაზეთის სტატუსს საქართველოს შემადგენლობაში, ლტოლვილთა და იძულებით გადაადგილებულ პირთა უპირობო დაბრუნებასა და ეკონომიკური რეაბილიტაციის პირობებს.

აფხაზეთის პრობლემის მოგვარება და ქვეყნის უსაფრთხოების განმტკიცება მნიშვნელოვნად იქნება დამოკიდებული ძლიერი ქართული არმიის ჩამოყალიბებაზე.

5. სამხედრო რეფორმის პრიორიტეტები

1. პროფესიონალურ არმიაზე გადასვლა შემდგომ ხუთ წელინადში და სამხედრო ბიუჯეტის გაზრდა მ.შ.პ.-ის 3-4%-მდე;

2. სავალდებულო სამხედრო სამსახურის ვადის შემცირება ექვს თვემდე;

6. კულტურა და სპორტი

ჩვენი ქვეყნის ბიუჯეტიდან გამომდინარე ამ სფეროების განვითარებისათვის აუცილებელია საქველმოქმედო საქმიანობის ხელის შეწყობა. ჩვენ პარლამენტში გამოვალთ ინიციატივით, **რათა ფიზიკურ და იურიდიულ პირებს მიეცეთ უფლება საკუთარი მოგების 20% დაუბეგრავად მიმართონ აღნიშნულ სფეროებში საქველმოქმედო საქმიანობისათვის;**

კულტურის სფეროში სახელმწიფოს უპირველეს პრიორიტეტად უნიკალური კულტურული და ისტორიული მემკვიდრეობის გადარჩენა მიგვაჩნია. **ამ მიზნით აუცილებელია სახელმწიფო მიზნობრივი პროგრამების შექმნა. ყოველი კონკრეტული პროგრამის დაფინანსება ბიუჯეტში იქნება განკუთვნილი და გაკონტროლდება შესაბამისი საპარლამენტო კომიტეტის მიერ.**

დარწმუნებული ვართ, რომ გლობალიზაციის ეპოქაში, ჩვენი თვითმყოფადობის შენარჩუნებაში ქართულ ენას უმთავრესი ადგილი უჭირავს; ამ მიმართულებით ჩვენს საპარლამენტო საქმიანობაში ორი ძირითადი მიმართულება უნდა გამოიყოს:

1. საქართველოს პოლიეთნიკურ რეგიონებში ქართული ენის სახელმწიფოებრივი სტატუსის რეალურად დამკვიდრება;

2. ქართული ენის შესწავლის სახელმწიფო პროგრამის ამუშავება და პროგრამის დაფინანსების ბიუჯეტის დაცულ მუხლებში შეტანა.

7. სარწმუნოება

ჩვენი ამოცანაა, ხელი შევუწყოთ საქართველოს სამოციქულო მართლმადიდებელი ეკლესიის განმტკიცებასა და გაძლიერებას, როისთვისაც საპარლამენტო საქმიანობის დროს ვაპირებთ გამოვიდეთ შემდეგი ინიციატივებით:

1. საეკლესიო რეგისტრაციის აქტებისათვის (ქორწინება, ნათლობა, გარდაცვალება, ჯვრისწერა და ა.შ.) სრული ფასოვანი იურიდიული სტატუსის მინიჭება და მათი გათანაბრება სამოქალაქო რეგისტრაციის აქტებთან; რაც შეუწყობს ხელს საზოგადოებაში მართლმადიდებლური ეკლესიის როლის გაზრდას;

2. საქართველოს სამოციქულო მართლმადიდებელ ეკლესიასა და სახელმწიფოს შორის შეთანხმების გაფორმება ეკლესიისათვის მისი კუთვნილი ქონების დაბრუნების შესახებ;

3. საქართველოს სამოციქულო მართლმადიდებელი ეკლესიის საზღვარგარეთ დარჩენილი ისტორიული ქონების დაბრუნების სახელმწიფო საგარეო პოლიტიკის ერთ-ერთ ძირითად პრიორიტეტად გადაქცევა.

R

მამულ-დედული

მსხვილფეხა საქონლის მოვლა საგაზაფხულოდ...

გაზაფხულია. ამ დროს იწყება უმეტესწილად ხბოების მოგების „სეზონი“. სოფლის მეურნე კაცმა კარგად იცის, როგორ უნდა მოუაროს პირუტყვს, განსაკუთრებით მაკეობისა და მშობიარობის დროს. მაგრამ მკითხველთა ერთი ნაწილი, მათ შორის ახალბედა მეურნეები, როგორც ჩანს, ამ საქმეში გამოუცდელები არიან და რჩევას ჩვენგან ელიან. გთავაზობთ იმ აუცილებელ რჩევა-დარიგებებს, რაც ამ შემთხვევაში უნდა ვიცოდეთ.

მაკე ფური მშობიარობამდე მოუსვენარი ხდება, ხშირ-ხშირად იხედება უკან, წვება და დგება. თუ გაზაფხულის თბილი ამინდებია, შეიძლება ძროხამ ღია ცის ქვეშ, ბოსელთან ახლოს იმშობიაროს. თუ ეს პროცედურა წვიმიან, ცივ ამინდშია მოსალოდნელი, აუცილებელია დასუფთავებული, დათბილული ბოსელი.

ჩვეულებრივ ძროხები და კამეჩები (იშვიათი გამონაკლისის გარდა) ყოველგვარი გართულების გარეშე მშობიარობენ. მშობიარობამდე ცოტა ხნით ადრე ხდება სანაყოფე წყლის დაქცევა, შემდეგ გამოჩნდება ფეხები (უმეტესწილად წინა ფეხები), რომელთა შუაშიც მოთავსებულია ხბოს თავი. პატრონი ამ დროს სასურველია ძროხასთან ახლოს იყოს. როგორც სპეციალისტები ამბობენ, ეს თითქოს ეხმარება ფურს. დაბადებისთანავე ძროხამ უნდა გალოკოს ხბო, რაც ორთავესთვის (ფურისა და ხბოსთვის) საჭირო პროცედურაა, რადგან ლორწო, რომელსაც ძროხა მიიღებს, აადვილებს მომყოლის მოშორებას, რომელიც 7-დან 24 საათის განმავლობაში აუცილებლად უნდა მოიცილოს. ხბოს კი ლოკვის დროს სისხლის მიმოქცევა უუმჯობესდება და უფრო ხალისიანი ხდება, რაც იმაში გამოიხატება, რომ უპრობლემოდ წოვს დედის რძეს — ახალშობილი ხბოსთვის აუცილებელ სითხეს. მასში არის ყველა ის ნივთიერება, რომლებიც შემდგომში ხბოს ჯანმრთელობას უზრუნველყოფს.

თუ ფურის მშობიარობა გართულდა, რაც იმაში გამოიხატება, რომ სანაყოფე სითხე დაიქცევა და ხბო არ ჩანს, ე.ი. ნაყოფის მდებარეობა არასწორია — მოდის ან ზურგით, ან მუცლით. ამ შემთხვევაში აუცილებელია ვეტერინარის ჩარევა. ვეტერინარი ნაყოფს ხელით ასწორებს, ფეხებზე შეაბამს თოკს და ფრთხილად აბრუნებს გამოსასვლელისკენ. ძროხის ყოველი ჭინთვის დროს თოკს ქაჩავენ და ეხმარებიან მშობიარეს. ხბოს დაბადების დღეს ფურს უნდა დავალევინოთ თბილი, მარილიანი წყალი და ვაჭამოთ ყუათიანი საკვები...

ანალოგიურად მიმდინარეობს მშობიარობა კენტჩლიქოსნებშიც — ცხენი, ვირი.

რაც შეეხება მრავალნაყოფიან ცხოველებს: ღორებს, ძაღლებსა და კატებს, ისინი საერთოდ არ საჭიროებენ მიხმარებას, ყველაფერი ბუნებრივად და მარტივად მიმდინარეობს.

ტიტას სამ ბოლქვად ნაყიდი სასახლეები

ამსტერდამში, გოორას ქუჩაზე დიდხანს იყო გაკრული ქვის დაფა, რომელზეც ამოკვეთილი იყო, რომ აქ მდგარი ორი ქვის ძვირფასი სახლი 1634 წელს იყიდეს... ტიტას სამი ბოლქვით.

მანამდე ჰოლანდიელებს წარმოდგენაც არ ჰქონდათ ამ მშვენიერ ყვავილზე. აღნიშნულ წელს კი ვიღაცას შეუტანია ქვეყანაში ტიტას ბოლქვები და იქაურებიც უჩვეულო ხალისით შეუდგნენ მის მოშენებას.

ჰოლანდიას, როგორც ყვავილების ქვეყანას, უძველესი ისტორია აქვს. შემორჩენილია ძველისძველი გრავიურა, რომელზეც გამოხატულია „გუდას“ ჯიშის ტიტა და იქვე აღნიშნულია მისი ფასი — 1500 გულდენი. შროშანასებრთა ოჯახის ეს ულამაზესი წარმომადგენელი გვხვდება ჩრდილოეთ ამერიკაში, შუა და მცირე აზიაში აღმოსავლეთ იაპონიამდე. ცნობილია ველურად მზარდი 150 სახეობა, რომელთაგან ჩვენში მხოლოდ ორი იზრდება. ვისაც გსურთ, რომ კარ-მიდამო გაილამაზოთ, ან თქვენი ფანჯრის რაფები წალკოტად აქციოთ, შეიძინეთ ბოლქვები ყვავილების მაღაზიებში და დარგეთ. ტიტას ბოლქვს ქოთანში რგავენ აგვისტო-სექტემბერში. ნიადაგი მზადდება ტყის მიწის და მდინარის სილის შერევით. ქოთნის ფსკერზე დებენ კრამიტის ან აგურის ნატეხს, ჩაყრიან შიგ მიწას, ბოლქვს რგავენ ისე, რომ მისი 1/3 იყოს მიწის ზევით. ასეთ ქოთნებს ინახავენ სარდაფში, 4-5 გრადუს ტემპერატურაზე. ქოთნებს დგამენ ყუთებში და აყრიან ნოტიო მიწას დაახლოებით 5 სმ-ის სისქეზე. 1-2 თვის შემდეგ, როცა განვითარდება ფესვები და პატარა ყლორტები, ქოთნები გამოაქვთ ოთახში და უხვად რწყავენ. პირველ ხანებში ბოლქვს ქაღალდის ჩაჩი ან პატარა ქოთანი უნდა დაეხუროს, რათა საყვავილე ღერო ფოთლებზე ადრე განვითარდეს. საყვავილე ღეროს გამოჩენისთანავე ჩაჩს ხდიან. იმისათვის, რომ ბოლქვმა მომავალ წელს კიდევ განივითაროს ყვავილი, დამჭკნარი ყვავილი მოჭერით და მხოლოდ ღერო დატოვეთ. ყვავილები ზოგჯერ თესლსაც წარმოქმნიან, მაგრამ ამ დროს ბოლქვი იღუპება. ტიტას თესლით იმიტომ არ ამრავლებენ, რომ თესლიდან მიღებული მცენარეები მხოლოდ 6 წლის შემდეგ იძლევიან ყვავილებს. ბოლქვის მახლობლად წარმოიქმნება პატარა შვილეული ბოლქვები, რომლებიც მომდევნო წელს ყვავილობენ. სწორედ ამ ბოლქვებით ამრავლებენ ტიტას.

ფოთლებმიმხმარ ბოლქვებს იღებენ ქოთნებიდან, ერთი დღის განმავლობაში აშრობენ ჰაერზე, ათავსებენ რკინის ბადეშემოვლებულ ხის ჩარჩოში და ინახავენ შემოდგომამდე ისეთ ადგილას, სადაც ჰაერი მოძრაობს.

P.S. ისტორიაში ცნობილია დიდი დღესასწაული ქალაქ ჰარლემში, 1673 წელს, რომელიც მიეძღვნა შავი ტიტას გამოყვანას. ალექსანდრე დიუმას ცნობილ რომანს „შავი ტიტა“ ეს ამბავი უდევს საფუძვლად.

ხმელეთის და წყლის კუ



კუს 250-მდე სახეობა არსებობს, ზოგი მათგანი ხმელეთისაა, ზოგი წყლის. ხმელეთზე მობინადრე კუ ძირითადად მცენარეული საკვებით იკვებება, წყლისა — თევზებით და უხერხემლოებით. რამდენადაც ხმელეთის კუ ნელა მოძრაობს, წყლისა ისე „მიქრის“, როგორც ფრინველი ჰაერში. კუს სიდიდე სხვადასხვაგვარია, თუ ზოგი 1 კგ-საც ვერ იწონის, ზღვის ე.წ. მწვანე კუ 450 კგ-ს აღწევს. კუ კვერცხით მრავლდება. კვერცხის დასადებად ზღვის კუ არჩევს უდაბურ ადგილს, ნაპირზე ამოთხრის სილაში ორმოს, ჩადებს შიგ კვერცხებს და ისევ აყრის სილას. კუ ცოცხლობს 200 წლამდე. მის კვერცხს და ხორცს მაღალი კვებითი ღირებულება აქვს. ზღვის კუს, სანაპიროზე ჩასაფრებული „მონადირეები“ ელოდებიან — როდის ამოვა ზღვიდან, როდის დადებს კვერცხს, რომ ჯერ კვერცხი „მოჰპარონ“, ხოლო შემდეგ თავად კუ დაიჭირონ.

რაც შეეხება ჩვეულებრივ კუს, რომელიც ჩვენთანაც ბინადრობს, იგი მწერებსაც ანადგურებს და პატარებსაც მშვენივრადართობს. თუმცა, არ გირჩევთ კუს „ოჯახი“ თქვენს მამულ-დედულში უყურადღებოდ გაუშვათ, რადგანაც ისინი განურჩევლად შეექცევიან როგორც სარეველა, ასევე კულტურულ მცენარეებს.

უნივერსალური სასათბურე ფირები

რეკომენდებულია საქართველოს აგრონომთა მიერ

შ.პ.ს. შალი-მ **უკვე რამდენიმე წელია, რაც დანერგა საქართველოში უნივერსალური სასათბურე ფირების გამოყენება. ფირები დამზადებულია უახლესი ტექნოლოგიების გამოყენებით. წარმატებით გამოიყენება მსოფლიოს 80-ზე მეტ ქვეყანაში და მათ შორის** საქართველოშიც.

სპეციალური ფირებით კეთდება ***სასათბურე, საყვავილე, საჩითილე, სანერგე და თევზსაშენი*** **მეურნეობები. ფირები სახეობის მიხედვით არის** ***ორწლიანი და სამწლიანი მოხმარების გარანტიით.***

სპეციალური სასათბურე ფირები უნივერსალურია, რადგან ***მაქსიმალურად უზრუნველყოფს ნარგავების მრავალმხრივ დაცვას,*** **როგორც გარე კლიმატური, ისე ბუნების ექსტრემალური მოვლენებისგან, ასევე შიგნით არსებულ უარყოფითი პირობებისაგან.**

ფირი იცავს ნარგავებს:

- ***მზის მავნე გამოსხივებისაგან (ნარგავის ჩახუთვისა და დაწვისგან);***
- ***მავნე მწერებისა და ვირუსების გაჩენა-გამრავლებისგან;***
- ***ცვარისაგან და მისგან გამოწვეული სხვადასხვა დაავადებებისაგან;***
- ***ტემპერატურის მკვეთრი ცვლილებებისგან, სტრესისგან;***
- ***ძლიერი ქარებისგან (150 კმ/სთ-მდე), ყინვებისგან და მცხუნვარე მზისგან, არ იჩერებს თოვლს და ა.შ.***

80%-მდე მცირდება შხამქიმიკატების გამოყენება და ზოგ შემთხვევაში საერთოდ გამოირიცხება.

ფირების გამოყენებით გარანტირებულია უხვი საადრეო და ჯანსაღი პროდუქციის მიღება.

ვაცხადებთ ***!!! სპეციალური სასათბურე ფირების ექსკლუზიური დისტრიბუტორი საქართველოში არის*** *შპს შალი. ფირები იყიდება მხოლოდ შპს შალი-ს ოფისიდან,* ***თბილისში***

ყურადღება!!! ***საქართველოს ზოგიერთ რაიონსა და ქალაქში გამოჩნდნენ ადამიანები, რომლებიც ჩვეულებრივ სქელ ცელოფანს (რომლის მოხმარების მაქსიმალური პერიოდი არ აღემატება 4-6 თვეს) ასაღებენ შპს. შალის ფირებად და შეცდომაში შეჰყავთ მომხმარებელი.***

შპს შალი თბილისი, მარჯანიშვილის 5, III სართული ტელ: 267888; 969164; 8.99. 569195; 899 931110 ტელ/ფაქსი: 969195; ელ-ფოსტა: shali@myoffice.ge

ერთი სვეტი შეკითხვებისთვის

ხურტკმელი

— იქნებ „მამულ-დედულის“ გვერდზე ხურტკმელის შესახებაც მოგვითხროთ. ამბობენ, იგი სამკურნალოდაც გამოიყენებაო.

ზაზა სამხარაძე, გორი

— ხურტკმელი კენკროვან კულტურებში უხვმოსავლიანობით გამოირჩევა. თითოეული ბუჩქიდან შესაძლებელია 25-30 კგ ნაყოფის მიღება. მსხმოიარობს დარგვიდან მეორე-მესამე წელს. მრავლდება გადაწვენით, ბუჩქის დაყოფით და კალმით. ირგვება რიგში 1-1,5 მ-ის დაშორებით, რიგთაშორის მანძილი 3 მ უნდა იყოს. მსხმოიარე ბუჩქებს გვიან შემოდგომით აცილებენ ხმელ, დაბერებულ და ნაკლებად მსხმოიარე ტოტებს. დატოვებენ 3-4 ძლიერ ერთწლიან ამონაყრებს. ისხამს ყოველწლიურად. ნაყოფი იკრიფება მშრალ, მზიან ამინდში.

სამკურნალოდ გამოიყენება ნაყოფი, როგორც შარდმდენი, ნაღველმდენი, სუსტი გამხსნელი და ტკივილგამაყუჩებელი საშუალება. ხმარების წესი: 1 ს/კ (დაახლოებით 10 მარცვალი) ჩაყარეთ მომინანქრებულ ქვაბში, დაასხით 1 ჩ/ჭ ცხელი წყალი ადუღეთ ნელ ცეცხლზე 10 წუთს, გამოწურეთ და დალიეთ 25 მლლ 4-ჯერ დღეში კუჭ-ნაწლავის დაავადების დროს.

რომელი ვაზი დავრგო ზემო რაჭაში?

— ჩემი სოფელი ზემო რაჭაშია, შოვისკენ მიმავალ გზაზე. მთის კლიმატის გამო ვაზის ის ჯიშები, რომლებიც ბარში უხვმოსავლიანია, აქ დამწიფებას ვერ ასწრებს. მამისეულ მამულში ტალავერი „დამიბერდა“ და თითქმის აღარ იძლევა მოსავალს. გთხოვთ მირჩიოთ, ვაზის რომელი ჯიშია ყველაზე ხელსაყრელი აღნიშნულ პირობებში და იქნებ მისი მოშენების წესებიც გამაცნოთ.

გივი მეტრეველი

— ზემო რაჭაში ვენახებს ზღვის დონიდან 1000 მ-ის სიმაღლეზე ვხვდებით. ცალკეულ მიკროპირობებში შეიძლება ხარისხიანი ღვინის მიღება. ამ მხრივ განსაკუთრებით აღსანიშნავია მცვივანა, რომლისგანაც შამპანურის მასალა მიიღება. იმის გამო, რომ საგვიანო ჯიშები ვერ ასწრებენ მომწიფებას, დარგეთ საადრეო — პინო, ალიგოტე და ქართული საადრეო. თუ თქვენი ვენახი „დაბერდა“, შეიძლება მისი გაახალგაზრდავებაც. ამისთვის მას ძველ ტოტებს საგრძნობლად უმოკლებენ, სანაყოფე რქებს 3 კვირტზე უტოვებენ, ხოლო სამამულეს, როგორც წესი, 2 კვირტზე სხლავენ. შტამბზე არსებული ქერქის დაზიანებული ნაწილიააძრეთ, ძირები კარგად გაუფხვიერეთ და თითო ძირზე 2-3 ვედრო გადამწვარი ნაკელი შეიტანეთ. შეიძლება ძველი ვაზის მთლიანი გადაწვენაც, რაც მისი განახლების გარანტიას იძლევა. თქვენს ნაკვეთში გასაშენებელი სასურველი ჯიში თქვენსავე ან მეზობელ სოფელში შეარჩიეთ.

მკითხველის ფოტო

ჩემს მამულში...

გვერდი მოამზადა სწავლულმა აგრონომმა, ბიოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატმა, ფიტოთერაპევტმა ნიკოლოზ იოსებიძემ

რედაქციისაგან:

ბატონო მკითხველო! მოგვწერეთ ამ რუბრიკიდან გამომდინარე, რა გაინტერესებთ.

გთავაზობთ აგრეთვე, გაგვიზიაროთ თქვენი პირადი დაკვირვება, გამოცდილება; მოგვაწოდეთ საკუთარ მამულ-დედულში გადაღებული უცნაური, საინტერესო ფოტოები (ამ ნომერში კიდევ ერთ ფოტოს გთავაზობთ).

წერილები გამოგვიგზავნეთ „კვირის პალიტრის“ ყუთების საშუალებით და რუბრიკის მითითებით.

1 „რომეო და ჯულიეტა“ (კინორეჟისორი)
2 იტალიური სპორტული ავტომობილი
3 შეხაკრავის სახეობა
4 ავტომობილის კორპუსი
5 ლატვიელი მსახიობი ... არტმანე
6 გერმანელი ეკვილტონელი და მწერალი
7 ფარდაგების ჩანი
8 ნიტი
9 ინგლისური ლუდი
10 ... ჭავჭავაძე
11 ფრანგი მათემატიკოსი
12 პერსონაჟი სერიალისა „საიდუმლო მასალები“
13 აბუ ... იბნ სინა
14 ... მაჰმად ხანი
15 წილი საერთო საქმეში
16 გიტარის კორპუსის ნაწილი
17 მის გამო ზევსი გველად გადაიქცა
18 ფრანგ. ყურძენი
19 სპორტ. ნაწ. ფირმა
20 საგზაო მცენარე
21 კბილების ნაწილი
22 ტრაფარეტული დღიური ძალა ლუშას ნაწ.
23 სვეტლანა ტომას პერსონაჟი
24 თურმანი
25 მულტსერიალი „... და ჯერი“
26 ინდოელი ქალის სამოსი
27 ბრინჯის არაყი
28 მაღალი ტემპერატურა
29 ცაცხვი
30 მომღერალი ... მამალაძე
31 ჰექტრის 1\100
32 პატარა ნაკადული
33 მდინარე ვოლგის ტვლი სანელსაწოდი
34 მაღალი და მხარბეჭიანი
35 კბილების შანდალი
36 ადრინდელი საბელმწ. ჩინეთის ტერიტორიაზე
37 დათვის ნაშიერი
38 რუსი ფერმწერი
39 ჟანრი ანტიკურ პოეზიაში
40 ანექდოტების მეგრელი პერსონაჟი
41 4-ადგილიანი ეტლის ნაირსახეობა
42 „ჰაეროტევესტერნის“ ჟანრის ფუძემდებელი
43 გამეორების გამომხატველი თავსართი
44 სუპერკონტინენტის ნაწილი
45 ჰემინგუეი იყო კარგი მწერალი, მეთევზე და ...
46 ფულის შემტანი ბანკში
47 გამრეცხავის ქალღმერთი
48 ტროპიკული სანელებელი
49 თიხის ჭურჭელი
50 ისლანდიის მთიოლოგია მაგარ ქმა „... ფალე“
51 ლიანდაგის ნაწილი
52 „ბრძენი“ ფრინველი
53 ჩიქობავა, შვარცენეგერი
54 ზელების წამლებიდან ამოღებული ძირითადი კომპონენტი
55 „ჰამლეტის დედინაცვალი“ (პერსონაჟი)
56 მაგარ სამხელა შაქრის ლერწმისაგან
57 საქართველოს ისტორიული მხარე
58 ალმაზოვის ფილმი
59 ... დადიანი
60 შამპანის გემრიელი დეტალი
61 ფეხსაცმლის ნაწილი
62 პიონერული ცეცხლი
63 ორი წერტილა კამათელზე
64 მაიონეზელი გამოხვევა
65 უსწრაფესი მანქანების შეჯიბრი
66 საზოგადოებრივ-პოლიტიკური ჟურნალი
67 პირადი მოხმარების წვრილმანი ნივთები
68 ინდონეზიური კამეჩი

წინა სკანვორდის პასუხები: 1. ორლანდო; 2. გაზოლინი; 3. ნალა; 4. სკარლეტი; 5. სკაროსი; 6. ერა; 7. ანოა; 8. კათოლიკე; 9. თელა; 10. ლაშარი; 11. შარი; 12. რანჩო; 13. ბეკინა; 14. ნერონი; 15. სორელი; 16. ნიკო; 17. ივა; 18. საყე; 19. აისი; 20. რიკი; 21. სალტე; 22. დიელექტრიკი; 23. ათასი; 24. რო; 25. როტა; 26. ოქრო; 27. ტირანა; 28. „აუდი“; 29. არა; 30. ანცი; 31. ნენე; 32. განგი; 33. ნაყინი; 34. ნალი; 35. იერიში; 36. ცისტერნა; 37. ნეცკე; 38. ვაჟი; 39. მასწე; 40. ონეტი; 41. ილია; 42. „ოტელი“; 43. ნინო; 44. ტრენტინიანი; 45. ნიმფა; 46. ძა; 47. თსუ; 48. ბგერა; 49. მრე; 50. ობელისკი; 51. სარე; 52. ზიანი; 53. ვერნე; 54. იამბი; 55. ვაზიანი; 56. ვაკელი; 57. როულინგი; 58. რიგა; 59. თამბაქო; 60. ქვა; 61. იდილია; 62. ბულიონი; 63. ლია; 64. ბაქო.

1. ოსკაროსნები; 2. „ოსკარი“ ჩვენც გვინდა; 3. ინტერნეტძილი; 4. თავაზიანი სტუმრები; 5. მომავლის ნიჭარა.

პასუხები მოცემულია სკანვორდში მითითებული ნომერაციის მიხედვით, ქვედა ხაზზე მოცემულია ფოტოების პასუხები

შეადგინა **რამაზ ბლანიამ**

13-დან 19-მდე

სოლო კონცერტი ჩემთვის გიჟური კროსის მსგავსი იყო...

16 მარტს ფილარმონიის დიდი საკონცერტო დარბაზის სცენაზე თითქმის საათ-ნახევრის განმავლობაში მღეროდა პატარა ***თიკა ჯამბურია****, რომელსაც მღელვარებას ძალიან დაკვირვებული თვალიც კი ვერ შეამჩნევდა. მიზეზი მარტივი იყო, ის არ ღელავდა, რადგან შიშმა თურმე პირველი სიმღერის დასრულებისთანავე გაუარა. როგორც თიკას კოლეგები და მუსიკათმცოდნეები ამბობენ, მან მშვენივრად გაართვა გამოცდას თავი და თითქმის არავითარი შანსი არ დაუტოვა ქართული შოუბიზნესის ზოგიერთ წარმომადგენელს, მაყურებლის წინაშე ფონოგრამით თავის მოსაწონებლად. „სიმღერა ცოცხლად, ორკესტრის თანხლებით სრული ნეტარებაა, ამ დროს სხეულს თითქმის ვერ გრძნობ. გესმის მხოლოდ მუსიკის ჰანგები და საკუთარი ხმა, ასე იქმნება ნამდვილი სიმღერა“ — ასეთი განცდა ჰქონდა თიკას კონცერტის შემდეგ, სადაც მან გივი გაჩეჩილაძის ორკესტრთან ერთად შეასრულა სხვადასხვა ჟანრის 17 სიმღერა.*

— თიკა, 13 წლის გოგონამ ფილარმონიის დიდ საკონცერტო დარბაზში სოლო კონცერტის გამართვა როგორ გადაწყვიტე, არ შეგეშინდა?

— ეს პირველ რიგში ჩემმა პროდიუსერმა და პედაგოგმა გადაწყვიტეს. როცა ამის შესახებ მითხრეს, ვინერვიულე. ვიჯექი და ვფიქრობდი, რამ გააბედვინათ ეს, ჯერ ხომ ისევ პატარა ვარ-მეთქი. მერე დავიწყეთ მზადება, რეპეტიციებმა და მუშაობის პროცესმა ისე გამიტაცა, რომ კონცერტის წინ ფაქტობრივად აღარ ვნერვიულობდი.

— ქართული შოუბიზნესის რეალობა ისეთია, რომ მომღერლებს რეპეტიციები არც კი სჭირდებათ, რადგან სცენაზე ფონოგრამის თანხლებით მღერიან და ორკესტრთან ბევრ მათგანს თითქმის შეხებაც არ აქვს, რითია მნიშვნელოვანი რეპეტიციები შენთვის?

— იცით, როგორ არის? სპორტსმენი რომ ოლიმპიადაზე ვარჯიშის გარეშე გავიდეს, ხომ წააგებს? თუ ცოტას ივარჯიშებს, წაგების შანსი უფრო მეტი ექნება, ვიდრე მოგების. რეპეტიციების შემდეგ მივხვდი, რომ ამის გარეშე მომღერალი ვერ განვითარდება. კონცერტზე კი შესაძლოა სერიოზული მარცხი განიცადოს. ჩემთვის ორკესტრთან ერთად სიმღერა უფრო ადვილია, ვიდრე ფონოგრამაზე. ფონოგრამის რიტმში უნდა ჩაჯდე, იმპროვიზაციის საშუალება არ გაქვს. ორკესტრი კი ისე დაჰყვება მომღერლის ხმას, როგორც ტალღა და იქმნება ჰარმონია. ისიც მიხარია, რომ სცენაზე ძალიან ცნობილი მუსიკოსების თანხლებით გამოვედი. ისეთ სიამოვნებას ვგრძნობდი, რომ ამის ახსნაც კი მიჭირს. ერთბაშად აღმოვაჩინე, რომ სცენა და დარბაზი ერთიანი იყო.

— ბავშვური ასაკიდან, ხასიათიდან გამომდინარე, არ გეზარებოდა რეპეტიციებზე დილაადრიან წასვლა?

— არა, პირიქით. ერთი სული მქონდა რეპეტიციაზე მივსულიყავი. ჯერ ერთი, ეს აუცილებელი იყო ჩემთვის, მერე კიდევ, სულ სხვა ადამიანი ვიყავი რეპეტიციების შემდეგ. წარმოიდგინეთ, დილას იწყებთ მუსიკალური ვარჯიშით... დიახ, ვარჯიშით, როგორც სპორტსმენის ყველა კუნთი მოდის ვარჯიშისას მწყობრში, ისე ემართება მომღერალსაც რეპეტიციის დროს. პირველ დღეებში საშინლად დაჭიმული მქონდა კუნთები, მერე ეს პრობლემა მომეხსნა. რეპეტიციის შემდეგ ფიზიკურად და სულიერად მხნედ ვგრძნობდი თავს და უფრო კეთილი ვიყავი, ვიდრე ჩვეულებრივ დღეებში, უფრო მიხაროდა. ვფიქრობ, ძალიან კარგი იქნება ორკესტრის თანხლებით სიმღერის ტრადიცია რომ აღდგეს და ფონოგრამა დაივიწყონ.

— სტუმრები როგორ შეარჩიე კონცერტისთვის, ვინ მოიწვიე განსაკუთრებულად. ვის აზრს აქვს შენთვის დიდი მნიშვნელობა?

— ყველას აზრს ვითვალისწინებ, მაგრამ ყველაზე მნიშვნელოვანი ჩემთვის ორკესტრის წევრთა აზრი იყო. ვფიქრობ, ისინი ყველაზე უკეთ გრძნობენ მომღერლის მინუსებს და პლუსებს. ეს კონცერტი იყო ჩემთვის სერიოზული გამოცდა. მით უფრო იმიტომ, რომ გადავწყვიტე, სხვადასხვა ჟანრის 17 სიმღერა შეუჩერებლად მემღერა. ამიტომ უარი ვთქვი წამყვანზე. კონცერტი ჩემთვის გიჟური კროსის მსგავსიც იყო, მუსიკალურ გადარბენაზე ვიყავი, რა თქმა უნდა, კარგი გაგებით.

— თიკა, ჯერ კიდევ კონცერტამდე, რეპეტიციებზე გამაოცა იმ ფაქტმა, რომ მელოდიურ სიმღერებს ასრულებდი. ეთერში შენი შესრულებით მხოლოდ გიჟური რიტმის როკსიმღერები ტრიალებს, ლირიკულ სიმღერებსაც თუ მღეროდი, ბევრმა მსმენელმა არ იცოდა.

— ამის გამო მუდამ მწყდება გული. ზოგჯერ დანანებით მითქვამს, ამას არ უნდა ვმღეროდე, ეს ჩემი სულიდან არ მოდის-მეთქი, მაგრამ მაინც ვმღერი. როგორც ხშირად ამბობენ, კომერციული ინტერესების უგულებელყოფა არ შეიძლება, მოდას ხარკი უნდა უხადო. კი ბატონო, მაგრამ ხომ შეიძლება ეთერში ტრიალებდეს მელოდიური სიმღერებიც, რომელიც ძალიან მიყვარს, ხომ შეიძლება სულ ერთსა და იმავეს არ უსმენდეს მსმენელი.

თიკასთან საუბრის შემდეგ შევხვდი მის პედაგოგს, **რუსიკო ბახტაძეს**, რომელიც კმაყოფილებას ვერ მალავდა საკუთარი მოწაფის გამო.

— რუსიკო, როგორც ვიცი, 17 სიმღერიდან 8 ორკესტრთან ერთად შესრულდა. დანარჩენებს თიკა ცოცხლად, მაგრამ ფონოგრამის თანხლებით ასრულებდა, რატომ მთლიანად არ მიენდეთ ორკესტრს?

— იმიტომ, რომ თბილისში არ არსებობს აპარატურა, რომელიც შესაძლებელს გახდიდა ყველა სიმღერაზე თიკას და ორკესტრის ერთობლივ მუშაობას.

— რამ გაფიქრებინათ პატარა გოგონას ასე დატვირთვა, მისი სოლო კონცერტით?

— ამას სულაც არ განაპირობებდა ამბიციურობა. წელიწად-ნახევარია, რაც დავამუშავეთ ქართული და რუსული კლასიკური სიმღერები. სამწუხაროდ, ეს ნამუშევარი თაროზე შემოვდეთ, რადგან ასეთი ჟანრის სიმღერები პრაქტიკულად რადიოში და ტელევიზიის ეთერში არ სჭირდებოდათ. ამიტომ გადავწყვიტეთ, კონცერტზე მოგვეხდინა თიკას შესაძლებლობების დემონსტრირება. მან ეს აჩვენა არა მარტო კლასიკური სიმღერებით, ან თანამედროვე ჟანრით, არამედ მრავალფეროვანი რეპერტუარით. გვინდოდა, მაყურებლისთვის გვეჩვენებინა, რომ თიკა არ არის მხოლოდ „იყო და არა იყოს“ ან „გათენდება, დაღამდებას“ შემსრულებელი, რაც ჩემთვის ცოტა შეურაცხმყოფელიც კი იყო.

ბევრი მსაყვედურობდა, როგორ შეიძლება 13 წლის ბავშვის სოლო კონცერტიო? ვფიქრობ, ეს არასწორი შეხედულებაა. თუკი შეიძლება 7-8 წლის ვირტუოზმა ბეთჰოვენის ან ბახის კონცერტი დაუკრას, შოპენის უვერტიურები შეასრულოს და როგორც პიანისტი სოლოკონცერტით წარდგეს მსმენელის წინაშე, რატომ არ შეიძლება 13 წლის ვოკალისტმაც შეძლოს ეს?

ეკა ლომიძე

ასე მგონია, დედას არ ვუყვარვარ...

მოგესალმებით ყველას, მთელ რედაქციას!

მეც ჩვეულებრივი მკითხველი გახლავართ და არაფრით განვსხვავდები ჩემი თანატოლებისაგან, ამიტომაც გადავწყვიტე თქვენს რუბრიკაში „13-დან 19-მდე“ წერილი გამომეგზავნა.

ეს ჩემი პირველი წერილია და ვიცი, გულნატკენს არ დამტოვებთ. სწორედ ამიტომ მოგწერეთ თქვენ და არა სხვას.

ადრე დავობლდი. 12 წლის ვიყავი, უბედური შემთხვევით მამა რომ გარდამეცვალა. ძალიან ძნელი გადასატანი იყო ჩვენთვის მისი სიკვდილი. დავრჩით მე და ჩემი უმცროსი, 10 წლის ძმა. დედა ავადმყოფობდა, მაგრამ მაინც, რაც შეეძლო, ყველაფერს აკეთებდა ჩვენთვის. ბაზარში ვაჭრობდა, დილით ადრე მიდიოდა, საღამოს კი გვიან ბრუნდებოდა. შესაბამისად, რაღაც ფუნქციები ჩემი შესასრულებელი იყო. ვერ გეტყვით, რომ დედა მაინცდამაინც კეთილი ქალი იყო. მე და ჩემს ძმას უბრალო რამეზე სულ გვეჩხუბებოდა. მეგობრებთან არ გვიშვებდა. მისი თქმით, სულ სახლში უნდა ვყოფილიყავით, უნდა გვეკითხა ან ოჯახის საქმეები გვეკეთებინა. როცა სახლში იყო, ეზოში მზის გულზე გვათოხნინებდა, ბალახს გვაპუტვინებდა, საღამოს კი ტელევიზორის ყურების საშუალებასაც არ გვაძლევდა. ასე ჩაკეტილი ცხოვრებით ძალიან გულჩათხრობილი და სიტყვაძუნწი გავხდი.

დედამ გადაწყვიტა სახლი გაეყიდა (სენაკში ვცხოვრობდით) და თბილისში ჩამოვსულიყავით საცხოვრებლად. ყველა ურჩევდა, ჩვენთვის ოჯახი არ გაეყიდა, მაგრამ გაიძახოდა, ამათ არაფერს ვაღირსებო. რას გვერჩოდა, არ ვიცოდით. ყველაფერს ვაკეთებდი, რომ მისთვის მესიამოვნებინა. მაგრამ... მოკლედ, რაღა ბევრი გავაგრძელო, დედამ თბილისში ბინა იყიდა, სულ რაღაც 4 თვეა, რაც დედაქალაქში ვცხოვრობთ. აქ ჩვენი უამრავი ნათესავია. ამჟამად ჩვენთან დეიდა და დეიდაშვილი ცხოვრობენ. როცა დაინახეს, დედა როგორ გვექცეოდა, უსაყვედურეს, ბავშვებს რატომ ტანჯავო. შემდეგ ფსიქიატრთან მიიყვანეს.

მკურნალობის შემდეგ თითქოს უკეთესად გახდა. ძველებურად აღარ გვეჩხუბება, მაგრამ იმის თქმაც არ შემიძლია, გვეფერება და გვეხუტება-თქო. ასე მგონია, ნათესავების ხათრით არაფერს ამბობს. მე კი მსაყვედურობენ ჩემი გულჩათხრობილობისა და სევდიანობის გამო, მეუბნებიან, ასე სევდიანი არ შეიძლება მთელი ცხოვრება იყოო. როგორ გავხალისდე? — დედაც არ მაძლევს ამის საშუალებას. ზოგჯერ ძალიან მტკენს გულს. არ მინდა ბოლმა და სევდა გულში ჩავიდო, მაგრამ არ შემიძლია. ზოგჯერ ასე მგონია, უბრალოდ, დედას არ ვუყვარვარ. თქვენც იმიტომ მოგმართავთ, რომ ვიცი, ჩემი თანატოლების წერილებს აქვეყნებთ და პასუხობთ კიდეც, ამიტომ გთხოვთ, გამომიქვეყნოთ და მირჩიოთ რამე. მე ხომ თქვენს მეტს ჩემს გულისნადებს ვერავის ვუმხელ.

ველი თქვენგან რჩევას.

დიდი სიყვარულით
და პატივისცემით,
ნანა, 16 წლის

ნანა, შენმა წერილმა გული მატკინა. გულჩათხრობილი გავხდიო, ამბობ და გამოსავალს ეძებ.

ჩანს, რომ არ გილხინს, მაგრამ იქნებ იმაზეც დაფიქრდე, რომ დედა გაცილებით ცუდად გრძნობს თავს: ადრე დაქვრივდა, მარტოს მოუხდა ოჯახის მოვლა და შვილების აღზრდა. ამასთან, არც ჯანმრთელობა უწყობდა თურმე ხელს. გასაგებია, რომ მოსიყვარულე, მოღიმარი დედის დანახვა უფრო გაგახარებს, მაგრამ ეცადე, მასაც გაუგო. ყველა ხომ ვერ იქნება ოპტიმისტი. ზოგს უჭირს ცხოვრებისეული სიძნელეების გადალახვა და ეს მათ ხასიათზეც ახდენს გავლენას. დარწმუნებული ვარ, თუ მის ტკივილს გაითავისებ და როგორც მეგობარი ისე დაელაპარაკები, მიხვდება, რომ მარტო არ არის. იცოდე, მშობელზე ახლობელი არავინ გყავს.

ძვირფასო რედაქცია, თქვენს გაზეთში, რუბრიკაში „13-დან 19-მდე“ ხშირად იბეჭდება ცნობილი ადამიანების შესახებ ინფორმაციები, სადაც მოკლედ არის მოთხრობილი მათი ცხოვრების შესახებ. მე დი კაპრიოს შესახებ ბევრი რამ ვიცი, მაგრამ ახლახან შევიტყვე, რომ ქალების გულთამპყრობელს თურმე ცოლი მოჰყავს. იქნებ მისი შეყვარებულის შესახებ დეტალურად მომითხროთ.

პატივისცემით, ლიკა მეტრეველი
18 წლის, თბილისი



ლეონარდო ვილჰელმ დი კაპრიო — უკვე 25 წლის სტაჟის მქონე მსახიობი, ქალების გულთამპყრობელი, „ტიტანიკის“ ვარსკვლავი, ყველაზე მაცდური რომეო.

ასაკი: 29 წელი.

ზოდიაქოს ნიშანი: კირჩხიბი.

თმის ფერი: ქერა.

თვალები: ცისფერი.

ტიტულები და ჯილდოები: შედის „პლანეტის 50 ულამაზეს ადამიანთა“ და „ყველა დროის 100 ყველაზე კაშკაშა კინოვარსკვლავის“ სიებში. V ადგილზეა „90-იანი წლების ყველაზე მნიშვნელოვან ვარსკვლავთა“ ათეულში.

ყოფილი მეგობარი გოგონები: გვინეტ პელტროუ, დემი მური, ალისია სილვერსტოუნი, ვირჯინია ლედუაიენი, ნიკოლ ეპლტონი.

ჟიზელ კაროლინ ბუნდჩენი — ბრაზილიელი სუპერმოდელი, „დიორის“, „ვერსაჩეს“, „დოლჩე და გაბანას“ სარეკლამო კამპანიების სახე. მისი სახე 14 წლიდან ამშვენებს პრესტიჟული ჟურნალების გარეკანს. გასულ წელს, მსახიობობა გადაწყვიტა და ხელი მოაწერა კონტრაქტს ცნობილ ფრანგულ კინოკომედიაში „ტაქსი“ — ბანკის მძარცველის როლზე.

ასაკი: 23 წლის.

ზოდიაქოს ნიშანი: კიბო.

თმის ფერი: ქერა.

თვალები: ლურჯი.

ტიტულები და ჯილდოები: „ყველაზე მიმზიდველი გოგონა“, „ყველაზე გავლენიანი ქალი“.

ყოფილი ბოიფრენდები: მოდელი სკოტ ბარნჰილი, მულტიმილიარდერი ხუან-პაულო-დანიცი, ჯოშ ჰარტნეტი, ჯუდ ლოუ.

ჯერ კიდევ სამი წლის წინ დი კაპრიოს ერთი ნახვით შეუყვარდა ლამაზმანი ბუნდჰენი, მაგრამ ამ უკანასკნელის გული მაშინ დაკავებული იყო. ლეო იცდიდა და პირველივე შესაძლებლობისას შეახსენა თავი ჟიზელს. ამჟამად ისინი განუყრელნი არიან...

ლეონარდომ და ჟიზელმა შეხვედრები ჯერ კიდევ ორი წლის წინ დაიწყეს, მაგრამ მთელი ამ ხნის მანძილზე ემალებოდნენ ჟურნალისტებს და როცა მათ მაინც ნახულობდნენ ერთად, ირწმუნებოდნენ, რომ ისინი უბრალოდ მეგობრები არიან. ლოს-ანჯელესის ქუჩებში მოალერსე წყვილს პაპარაცებმა რომ წაასწრეს და ფოტოც გადაუღეს, სულაც არ ჰგავდნენ მხოლოდ მეგობრებს. ერთი სიტყვით, დადგა დრო, ბუნდჰენს ეღიარებინა, რომ ის და ლეო დანიშნულები არიან. ამის შემდეგ დაირხა ხმები ქორწინებაზე. მით უმეტეს, რომ ჟიზელს უსახელო თითზე საქორწინო ბეჭედიც აღმოუჩინეს... ლეონარდო აღიარებს, რომ საცოლე უკვე გააცნო დედას. ჟიზელის დედა კი ამბობს: „არაფერი ვიცით. მე და ჩემს ქმარს მიგვაჩნია, რომ ჩვენი ქალიშვილი ჯერ ძალიან ახალგაზრდაა და მისთვის ადრეა დაქორწინება!“ ასეა თუ ისე, ვარსკვლავური წყვილი ბედნიერებით მეცხრე ცაზეა. ლეო ყველა ინტერვიუში აცხადებს: ჟიზელი — ესაა ქალი, რომელთან ერთადაც მინდა გავატარო მთელი ჩემი დარჩენილი სიცოცხლე!“ ასევე ფრთაშესხმულია ჟიზელიც. მისი ნაცნობები ერთხმად ირწმუნებიან, რომ იგი ძალზე ბედნიერია და „საქორწინო ცერემონიალს მოუთმენლად ელოდება“. სავარაუდოდ, ორი ვარსკვლავის ქორწინება მოხდება, ულამაზეს ქალაქ ვენეციაში ამ ზაფხულს. დი კაპრიო (რომელიც მეოთხედით იტალიელია) რაღაც დროით იტალიაში ცხოვრობდა, „ნიუ-იორკის ბანდებში“ გადაღებით იყო დაკავებული, მიაჩნია, რომ ვენეცია „იდეალურია ქორწინებისთვის“.

გვერდი მოამზადა ლია იაკობაშვილმა

ნამდვილი გრძნობა უკურნებელ სენს ჰგავს...

მე და ზურა კარის მეზობლები ვიყავით, — დაიწყო ქალბატონმა მზიამ, — დედისერთა იყო და გული ჩემკენ და ჩემი ძმისკენ მოუწევდა. სულ ერთად ვიყავით...

სტუდენტობაში ერთი გოგო შეუყვარდა, მარი. ან ეგ იქნება ჩემი ცოლი, ან არავინო, — გამოაცხადა. მშობლები ყოყმანობდნენ — ჯერ მესამე კურსზე ხარ, ჯარიც მოსავლელი გაქვსო. მას არაფრის გაგონება არ სურდა. ზურას დედამ მთხოვა, გამეცნო შვილის რჩეული. მარი მართლაც კარგი გოგო აღმოჩნდა. ელზა დეიდას, რა თქმა უნდა, ვუქე სარძლო. ისიც დამშვიდდა და შვილს იმასღა ეხვეწებოდა, მეხუთე კურსამდე მაინც მიდი და მერე მოიყვანე ცოლადო.

ზურა შინ ვერ ისვენებდა, დამიმარტოხელებდა და დაუსრულებლად მელაპარაკებოდა მარიზე. მერე ტელეფონს ჩამოეკიდებოდა და შუაღამემდე ელაპარაკებოდა. მახსოვს, ერთი კვირით დასასვენებლად წავიდა მარი ზღვაზე. ზურა ადგილს ვერ პოულობდა, ნერვიულობდა. რამდენჯერმე უგონოდ დათვრა, თუმცა სმა არ უყვარდა. მაშინ კი უთხრეს მშობლებმა: ასე გაგრძელება არ შეიძლება, მოიყვანე ცოლადო. მარიმ კი ზურას უარი უთხრა, — რა გვეჩქარება, ჯერ დავამთავროთ ინსტიტუტიო. ვატყობდი, კატათაგვობანას ეთამაშებოდა ზურას. ბიჭს ისე უყვარდა, რომ ვერც ამჩნევდა მის ჭირვეულობას, თვალის დაუხამხამებლად უსრულებდა ყველა სურვილს. ერთხელ აუტყდა, ყველა მაგარი ბიჭი მთაშია ნამყოფი, მთა სხვანაირად უყალიბებს კაცს სულსო. ზურაც წავიდა ხევსურეთში. მართალია, იქიდან დაბეგვილი და ხელნაღრძობი ჩამოვიდა (მთიდან მოწყდა და სასწაულად გადაურჩა სიკვდილს), სამაგიეროდ, სიამაყითა და სიხარულით თვალები უბრწყინავდა, რომ შეყვარებულს სურვილი აუსრულა.

ზურა მეხუთეზე რომ გადავიდა, მარის ოჯახში ხელის სათხოვნელად დააპირა მისვლა, მაგრამ მარიმ დაუშალა: — რამდენიმე თვეში ჯარში აპირებ წასვლას და მე ვის დავუჯდე შინო?

ეს საუბარი, როგორც ვიცი, ჩხუბით დასრულდა, მაგრამ დიდხანს ვერ გაძლო ზურამ და კვლავ შეურიგდა მარის.

ერთხანს მის მოტაცებასაც აპირებდა, მაგრამ შეეცოდა — ძალით ვერ წავიყვან, გულს ვერ ვატკენო. ახლა ვფიქრობ, რომ ალბათ სჯობდა, მაშინ არ შესცოდებოდა მარი და ცოლად მოეყვანა. რამდენ ტკივილს და ცრემლს ასცდებოდნენ. თუმცა ადამიანმა წინასწარ რომ იცოდეს რა ელოდება, ხომ სხვაგვარად მოიქცეოდა და აიცილებდა ათას დავიდარაბას!

ზურას ჯარში წასვლამდე ვიღაც თაყვანისმცემელმა მოიტაცა მარი. ვერ აგიწერთ, რა დღეში ჩავარდა ჩემი მეგობარი. მე და ჩემი ძმა გვერდიდან არ ვშორდებოდით, გვეშინოდა, თავისთვის რამე არ აეტეხა... მოულოდნელად ტელეფონის ხმა გაისმა. ყურმილი მე ავიღე. მარი იყო. მისთვის აღარ გამიბამს ლაპარაკი, ზურას მივვარდი, — არიქა, მარი რეკავს, მგონი რაღაც ხდება-მეთქი. კინაღამ გაგიჟდა, მარის ხმა რომ გაიგონა. ისეთ სიტყვებს ეუბნებოდა, ისე ეფერებოდა, ვუსმენდი და ცრემლი მდიოდა. თურმე გამოქცევია იმ კაცს და ახლა შინიდან ურეკავდა... ზურა იმ დღესვე მარისთან გაჩნდა



და უთხრა: არ მაინტერესებს, რა მოხდა თქვენ შორის, მიყვარხარ და მორჩაო. იმ ბიჭის მოკვლაც კი უნდოდა, რომელმაც გაბედა და მარის ხელი დააკარა, მაგრამ დედამისის და მეგობრების ხვეწნა-მუდარით, ეს განზრახვა ამოიგდო თავიდან, სამაგიეროდ, შეყვარებულისაგან მტკიცე ფიცი მიიღო, რომ ჯარში წასულს ერთგულად დაელოდებოდა.

ზურა ჯარში წავიდა.

ცოტა ხანში მაინც მოხდა ის, რისიც ზურას შეუცნობლად ეშინოდა. იმ „ვიღაცამ“ მარი კვლავ მოიტაცა.

შეყვარებულის წერილები რომ აღარ მიუვიდა, რაღაც იეჭვა და მომწერა, გამაგებინე, რა ხდებაო. სხვა გზა არ იყო — მივწერე, თან დავაფიცე, თავს არაფერი აუტეხო-მეთქი. კარგა ხანს დუმდა, არაფერს გვატყობინებდა. ძალიან შევშინდით. მამამისმა რუსეთში წასვლა და შვილის მონახულება გადაწყვიტა. მეც თან გავყევი. უსაზღვროდ გაუხარდა ჩვენი ნახვა. ვატყობდი, მარიზე ლაპარაკი უნდოდა, მაგრამ მამისა ერიდებოდა. ბოლოს, როგორც იქნა, მარტონიც დავრჩით. დავამშვიდე, ვანუგეშე... გამომშვიდობებისას მითხრა, — ჩამოვალ და მაინც გავაშორებ ქმარსო.

როცა ზურა დაბრუნდა ჯარიდან, მარის უკვე შვილი ჰყავდა. როგორც ვიცი, ერთხელ მოინახულა კიდეც, მაგრამ ამ შეხვედრის შესახებ დაწვრილებით არ მოუყოლია. მერე მე გავთხოვდი, ჩემმა ძმამაც მოიყვანა ცოლი. ზურა კი ოჯახის შექმნაზე არც ფიქრობდა. ჩემი უფროსი ბიჭი ზურას მოვანათვლინე. ნათელმირონით მინდოდა კიდევ უფრო გამემყარებინა ჩვენი მეგობრობა. კარგა ხნის ჩიჩინის მერე, როგორც იქნა, დავითანხმეთ ცოლის მოყვანაზე. ნათესავებმა ერთი სანდომიანი გოგონა გააცნეს. ორიოდე თვეში ზურამ და ნინომ ხელი მოაწერეს. ნინოს ჯვრის დაწერაც სურდა, მაგრამ ზურამ არ მოინდომა. მალე ბიჭი შეეძინათ, მერე გოგო. ვატყობდი, რომ მაინც დარდობდა წარსულს და ტვინს ვუბურღავდი ნინოს ქებით. კმაყოფილი მისმენდა, სიამოვნებდა ცოლზე თბილი სიტყვების გაგონება. ერთხელ ნინოს სასწრაფო ოპერაცია დასჭირდა. იმ ღამეს გვერდიდან არ მოვშორებივარ ზურას და ნინოს. სწორედ მაშინ მითხრა ზურამ: როცა ვიგრძენი, რომ შეიძლებოდა ნინო დამეკარგა, მივხვდი, ძალიან მყვარებიაო. მართლაც, ნინოს ავადმყოფობის მერე ზურა შეიცვალა. რას არ აკეთებდა ოჯახისთვის, ნინოს თვალებში შესციცინებდა, ყოველ შაბათ-კვირას ცოლ-შვილს ასეირნებდა ხან სად, ხან — სად. სამ ადგილას მუშაობდა, რომ მისი შემოსავალი ჰყოფნოდა ოჯახს. მეგონა, სამუდამოდ დაივიწყა მარი. თურმე ვცდებოდი.

ერთხელ, ნინომ მთხოვა, ჩვენთან მოდიო. ზურა შინ არ იყო. ნინომ რვეულები ამომილაგა. ვიცანი. ადრე ზურა დღიურებს წერდა ხოლმე. მარიზე იმდენი რამ ჰქონდა დაწერილი, იმდენი ლექსი — მიძღვნილი, ვინ მოთვლის! ნინომ მთხოვა, — მიამბე, ვინ იყო ეს მარი, ასე რომ უყვარდა ჩემს ქმარსო. აღარ დავუმალე. თუმცა ისიც დავუმატე, რომ ახლა მათ შორის ნამდვილად აღარაფერია და ზურას სიგიჟემდე უყვარხარ-მეთქი.

გავიდა დრო. ქვეყანა რომ აირია, სამსახურებიც ნელ-ნელა გაქრა და დარჩა ზურაც უმუშევარი. ბავშვებს აწი და აწი უფრო სჭირდებათ ფულიო და აიჩემა, ბელგიაში უნდა წავიდეო. თქმა და შესრულება ერთი იყო... ნინო კმაყოფილი ჩანდა, რადგან ზურამ იქ მალევე იშოვა სამსახური და ფულს ყოველთვიურად უგზავნიდა ოჯახს. მერე ჩემმა ძმამ გამიმხილა: ზურა ბელგიაში მარისთან ერთად არისო. სახტად დავრჩი. გამიკვირდა, რადგან ზურას ჩემთვის მართლაც არასოდეს დაუმალავს რაიმე. ალბათ იფიქრა, მაინც ქალია, ნინოსთან მეგობრობს და არაფერი წამოსცდესო. ჩავეძიე ჩემს ძმას და დავცინცლე ყველაფერი. თურმე, ზურას მაინც მოუძებნია მარი. იგი ქმარს გაშორებოდა და შვილებთან ერთად დედ-მამასთან ცხოვრობდა. ბელგიაში წასვლა ზურას შეუთავაზებია. წასვლის წინ ჩუმად დაუწერიათ ჯვარი, ჩემი ძმა ბრძანდებოდა მათი მეჯვარე...

დავურეკე ზურას და გავაგებინე, რომ ყველაფერი ვიცოდი. ცოტა ხანში წერილი მომწერა: მარი ბავშვს ელოდება. ხომ ხედავ, ვერ ამოვიგდე გულიდან, ვერ შევძელი მისი დავიწყება. ნამდვილი სიყვარული უკურნებელ სენს ჰგავს და უძლური აღმოვჩნდი ამ გრძნობასთან, არადა ნინოც თავისებურად მიყვარს, რა ვქნა, რა გზას დავადგე. ჯერჯერობით, ნურაფერს ეტყვი ჩემს ცოლს, ვნახოთ, მომავალი რას მომიტანსო...

ერთ საღამოს ჩემი ძმა გაფითრებული მოვიდა ჩემთან: წუხელ ზურამ დამირეკა — მარი მშობიარობას გადაჰყვა და ზეგ უნდა ჩამოასვენონ ბელგიიდანო. ტირილი წამსკდა. ყველა მეცოდებოდა: მარიც, ზურაც, ნინოც, მარის შვილებიც, მისი მშობლებიც და ის პატარა, უცოდველი ბავშვიც. რა უიღბლონი გამოდგნენ, არადა, თავიდანვე რომ ერთად ყოფილიყვნენ, ხომ არ მოხდებოდა ეს უბედურება?..

მარის გადმოსვენება ზურამ ითავა, თავად არ ჩამოსულა. წერილი მოსწერა ნინოს. იქ ეწერა ყველაფერი მათ ურთიერთობაზე, მარის სიკვდილის შემდეგ პატარა გიორგი მისახედი რომ გაუხდა...

დაძაბულები ვიყავით, არ ვიცოდით, რას იზამდა ნინო. იქ ზურაც შავ დღეში იყო, პაწაწა, თოთო ბავშვის ამარა. იგი ნინოსგან ელოდა პასუხს. აშკარა იყო, დაბრუნება უნდოდა. ნინო ყველაფერს მშვიდად შეხვდა, მერე ზურას დაურეკა და ორი სიტყვა უთხრა მხოლოდ: „ჩამოდი და ჩამოიყვანე“.

ერთი სულით ველოდებოდით ზურას დაბრუნებას. ეს დღეც დადგა. ნინოც წამოვიდა აეროპორტში. მათი შვილები, მე და ჩემი ძმა, ზურას მამა — თითქმის ყველანი იქ ვიყავით... შორიდანვე დავინახეთ ზურა. გაჭაღარავებულიყო. ხელში პაწაწა გიორგი ეჭირა. შემოვეხვიეთ, გადავკოცნეთ. მერე ყველანი დავდუმდით უნებურად, რადგან ზურა და ნინო ერთმანეთის პირისპირ აღმოჩნდნენ. ნინო ნელა მიუახლოვდა ქმარს, ბავშვს დახედა, დიდხანს უყურა, მერე გამოართვა, მოეფერა და ჩუმად გაემართა მანქანისკენ. შვებით ამოვისუნთქეთ. ზურას ცრემლებით ჰქონდა თვალები სავსე... შინ მობრუნებულები გავოცდით. ნინოს უკვე მოემზადებინა ბავშვისთვის საწოლი, სათამაშოები, სამზარეულოში საწოვარიანი ბოთლები გაემწკრივებინა...

ნინო ღვიძლ შვილებში არ არჩევს გიორგის. ზურამ ისევ ვერ იშოვა სამუშაო, ამიტომაც შარშან, ოქტომბერში, საბერძნეთში წავიდა სამუშაოდ.

გაგიკვირდებათ და, შინ მარის სურათი უკიდიათ. ნინო ამბობს: გიორგიმ უნდა იცოდეს, ვინ არის მისი ნამდვილი დედაო.

ჩვენ, ყველას, ზურას სანათესავოსა და მეგობრებს, ძალიან გვიყვარს ნინო, რადგან იგი სიკეთისა და თანაგრძნობისთვის არის დაბადებული...

მარინა ბაბუნაშვილი

იდეალური ქმარი

მეგონა, იდეალური ქმარი ბევრისთვის ის კაცი იქნებოდა, ვინც დილის 9 საათზე სამსახურში მიდის, მთელი დღის თავჩაქინდრული მუშაობის შემდეგ კი შინ ბრუნდება ხელში იების კონით. მეუღლეს ნაზად ეამბორება. შვილებს გაკვეთილების მომზადებაში დაეხმარება, მათთან ერთად სადმე გაისეირნებს და ა.შ. მაგრამ, ეტყობა, გამოუცდელობის გამო ვერ გავთვალე. გათხოვილი ქალები სხვაგვარად ფიქრობენ. მათი პასუხების შემდეგ ცოტა არ იყოს, გავბრაზდი. ვიფიქრე, რატომ ითხოვენ ქალები ასე ბევრს მამაკაცისაგან, ნუთუ თვითონ იდეალური ცოლები არიან-მეთქი.

მანანა (50 წლის): — გადასარევი ქმარი მყავს. აი, მას ჰქვია იდეალური. როგორ იქცევა? მშვენივრად, „ავტონომიას“ ვანიჭებთ ერთმანეთს. მას საკუთარი სამყარო აქვს, მე — ჩემი. ერთმანეთს არ ვავიწროვებთ. ამავე დროს ძალიან ახლობლები ვართ. არ არსებობს ისეთი რამ, რის გაკეთებასაც მეუღლე დამიშლის, ალბათ იმიტომ, რომ მეც გენიალური ვარ.

თქვენ თუ გგონიათ, იდეალურობა იმაში გამოიხატება, რომ დილით საწოლში მოგართვას ყავა — ცდებით. იდეალურობა ურთიერთგაგებაშია, თორემ მე ჩემთვის ვადუღებ ყავას დილით და ის — თავისთვის. რადგან მე როცა ვდგები და ვსაუზმობ, მას ისევ სძინავს. არ მიყვარს ჩემს ცხოვრებაში სხვისი ცხვირის ჩაყოფა. ამიტომაც რაც გითხარით, ისიც საკმარისია იმისთვის, ჩემი ქმრის იდეალურობაში რომ დარწმუნდეთ.

ქეთი (28 წლის): — იდეალური ქმარი უპირველესად მე უნდა აღმიქვამდეს დამოუკიდებელ ადამიანად და არა — მის დანამატად. მე არა ვარ ის ქალი, რომელსაც უნდა ქმრის ფრთებქვეშ იყოს შეყუჟული და მასზე დამოკიდებული. ჩემმა ყოფილმა ქმარმა ვერ იგუა ჩემნაირი ცოლი და დავცილდით. შეიძლება ის სხვისთვის იდეალური კი არა, ღვთაებრივი იყოს, მაგრამ ჩემთვის არაა. გიკვირთ, რატომ გავყევი? მერედა, ვინ გითხრათ, რომ ნებით წავყევი, მომიტაცა. კოჭებში ეტყობოდა, რაც იქნებოდა. ამიტომ ერთი წელი ტანჯვით გავძელი მის გვერდით, მერე კი ვუთხარი, წადი შენი გზით და მე ჩემი გზით წავალ-მეთქი. წავიდა...

ინგა (34 წლის): — იდეალური კაცები შეიძლება წინათ არსებობდნენ, მაგრამ გადაშენდნენ. ქმარი იდეალური თაფლობის თვეშიც არ არის. გული მიტირის. ოჰ, როგორ მომინდა იდეალური ქმარი, როგორი შეიძლება იყოს იგი? ლამაზი, მაღალი, ენადათაფლული, სიდედრს „დედას“ უნდა ეძახდეს, მისი დაბადების დღე არ ავიწყდებოდეს. თეატრში უნდა მპატიჟებდეს მეგობრებთან ერთად, შაბათობით — რესტორანში დავყავდე, დილით მისი კოცნა უნდა მაღვიძებდეს და არა ღრიალი — ადექი, ინგა, საუზმე გამიმზადეო. თვალი გოგოებისკენ არ უნდა გაურბოდეს და შუაღამეზე ფეხბურთს არ უნდა უყურებდეს, როცა სურს მითხრას, მიყვარხარო, უნდა თქვას და იმის შიშით არ უნდა დამიმალოს, რომ მე, მისი საყვარელი ცოლი, გავთამამდები (გარედან მანქანის სიგნალის ხმა გაისმა). აი, მოვიდა „იდეალური ქმარი“!.. იცი, რა უნდა ახლა მაგას? ბაზრიდან მოიტანდა პროდუქტებს და შინ ვერ შემოაქვს. თქვენ კიდევ მეკითხებით, როგორია იდეალური ქმარიო. არ არსებობს ასეთი...

ნატა (40 წლის): — იდეალური მხოლოდ ოცნებაა. თუმცა ჯერ არავის ახდენია ეგ ოცნება. ოცნებაში როგორია? კევინ კოსტნერის მონაწილეობით „პირადი მცველი“ ხომ გინახავთ? აი, ეგეთი უნდა იყოს. შეიძლება სხვას სხვანაირი კაცი მოსწონს, მე მინდა ეგეთი ქმარი მყავდეს — ლამაზი, ვაჟკაცი, გაწონასწორებული, სიტყვაძვირი, რომელიც დამოკიდებულებით გაგრძნობინებს, რომ მისთვის ძვირფასი ხარ. არ უნდა თვრებოდეს, კაცის სახეს არ უნდა კარგავდეს. თავი დამანებე, თორემ ავტირდები...

ნანა (38 წლის): — არც კი ვიცი, როგორი შეიძლება იყოს იდეალური ქმარი, რადგან იდეალური კაცი არასოდეს შემხვედრია. ჩვენ, ქალები, იდეალს წარმოსახვაში ვქმნით, მერე იმ წარმოსახულს ნიღაბივით მოვარგებთ რომელიმე კაცს, იდეალს ვეძებთ იმ კაცში, რომელსაც იგი არასოდეს ჰქონია. იდეალური ქმრის ძებნას სჯობს საკუთარ თავზე ვიმუშაოთ, რეალობის შეგრძნება გამოვიმუშაოთ.

ნინო (52 წლის): — იდეალური ჩემი ქმარია. უკვე 34 წელია ერთმანეთის გვერდით ვცხოვრობთ. რას ნიშნავს ეს შეფასება — იდეალური — არ მესმის, უნაკლო, ზღაპრული პრინციპით? არ მინდა. ჟოფრეი დე პეირაკი ან თუნდაც ჟან-პოლ ბელმონდო მირჩევნია მზეჭაბუკს. ყველას კი ჩემი ქმარი სჯობს. იცით, რა, მე დალაგებულ, პედანტურად დაწიკწიკებულ სახლსაც ვერ ვიტან და ჩემი ქმარი რომ წესრიგის განსახიერება იყოს, გული გამისკდება. ჩემს ვაჟებთან ფეხბურთის თამაშში გახვითქული მეუღლეც ისევე უზომოდ მიყვარს, როგორც აბაზანიდან 2 წუთის გამოსული. ვიმეორებ, არ მესმის, რას ნიშნავს სიტყვა „იდეალური“.

ეკა ლომიძე

როგორი ტუჩებია მოდაში



იტალიის კოსმეტიკური ცენტრის თანამშრომლებმა გადაწყვიტეს დაადგინონ, როგორი ფორმის ქალის ტუჩი მოსწონთ ყველაზე მეტად ძლიერი სქესის წარმომადგენლებს. გამოიკითხა მამაკაცები 15-დან 79 წლამდე. გაირკვა, რომ 70% უპირატესობას ანიჭებს სავსე ტუჩებს (მაგრამ არა სილიკონიანს), რომელიც ოდნავ შეღებილია პომადით ან მოხატულია ტუჩის კონტურული ფანქრით. 27% თვლის, რომ ქალს უნდა ჰქონდეს გულის ფორმის ტუჩები და უნდა ილებავდეს ნატურალური ფერის პომადით. მამაკაცთა მხოლოდ 3%-მა გამოთქვა აზრი, რომ კარგია ტუჩების გადიდება პლასტიკური ოპერაციის გზით (20-დან 40 წლამდე).

თავად მანდილოსნების აზრით, ტუჩები უნდა იყოს სავსე და კაშკაშა ფერის, ამიტომაც გულდასმით იდიდებენ ფანქრის საშუალებით და ისვამენ მკვეთრი ფერის პომადას.

როგორ ვიპოვოთ ჩვენი მეორე ნახევარი

თუ გაინტერესებთ, როგორ შეეწყობით შეყვარებულს, აიღეთ მისი ფოტო, ჩამოაჭერით სახის ნახევარი და მიადეთ ასევე შუაზე გაჭრილ თქვენს ფოტოსურათს. თუ სახის მოხაზულობა დაემთხვევა, ე.ი. თქვენ სწორი არჩევანი გაგიკეთებიათ.

ბრიტანელმა მხატვარმა-პორტრეტისტმა, სიუზი მალინმა შემთხვევით გააკეთა ეს სენსაციური აღმოჩენა. მოვლენას, როცა ადამიანს იზიდავს მეორე ადამიანი, ვინც გარეგნულად ჰგავს, კერძოდ, სახის პროპორციებით, მეცნიერებმა ეპოიზმი უწოდეს. ქვეშეუცნობლად ადამიანი თურმე საკუთარ თავს იმ სხვა ადამიანში შეიცნობს. განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონია ქუთუთოს ფორმას. ხშირია ქმრისა და ცოლის პორტრეტების დამთხვევა. ზოგჯერ სახის ნაკვთების მსგავსება უბრალოდ, წარმოუდგენელია. მაგალითად, ძალიან ემთხვევა ერთმანეთს ჯონ ლენონისა და იოკო ონოს სახის ნახევრები, დევიდ და ვიქტორია ბექჰემების სახის მოხაზულობა, ჰიუ გრანტისა და ლიზ ჰარლის, ჯენიფერ ენისტონისა და ბრედ პიტის საერთო იერი.

„მეც არ მომეწონა ეკლესიაზე მანქანის დაჯახება...“

ჩემი სამსახური ჩემი სიცოცხლე

თემურ მღებრიშვილს უჩემოდაც მშვენივრად იცნობთ. ამიტომ თავს აღარ შეგაწყენთ გრძელი შესავლით, ყველაზე ცნობილი „დუბინჯიანი“ ამჯერად ჩემი რესპონდენტია. ვინ იცის, ეს შესაძლოა მისი ბოლო ინტერვიუც იყოს პოლიციელის ამპლუაში. ***თემურ მღებრიშვილი*** *ამიერიდან ტელეეკრანებიდან გამოგეცხადებათ ახალი გადაცემის წამყვანად. მისი კოლეგები ამის გამო ხუმრობენ — ვაი იმას, ვისაც თემური არ უყვარს. ტელევიზიაში მისი გამოჩენა გამოცხადებად ექცევათო.*

— ბატონო თემურ, მოდიხართ პოლიციდან?

— ზოგიერთებს უნდა, რომ წამოვიდე, მაგრამ ჯერ არ ვიცი, რა მოხდება.

— ვის გულისხმობთ ზოგიერთებში, თქვენს კოლეგებს თუ საზოგადოების იმ ნაწილს, რომელიც ხმამაღლა სთხოვს ბარამიძეს თქვენს მოხსნას, რატომ არ უყვარხართ ამ ხალხს?

— რა ვიცი, აბა? ღმერთმა იცის, რომ კარგის მეტი არავისთვის არაფერი მინდა. თუმცა, ისიც ცხადია, ყველასთვის მოსაწონი ვერ ვიქნები. 1969 წლიდან ვმუშაობ პოლიციაში. სულ წყევლა-კრულვით მოვდივარ დღემდე. წინათ ნარკომანია-პროსტიტუციის ხაზით ვმუშაობდი. ჩამოვუვლიდი გზასაცდენილ ქალებს, ჩავსვამდი მანქანაში, მივიყვანდი ვენდისპანსერში, სადაც მათ მკურნალობდნენ და მიუხედავად ამისა, მაინც მწყევლიდნენ — მღებრიშვილს დავაყარე მიწაო. ქურდბაცაცებს და ნარკომანებს დავდევდი, წამალი არ გაიკეთოთ და კაიფში არ გაიპაროთ-მეთქი, მაგრამ ეგენიც მაგინებდნენ. ახლა კიდევ მომიტინგე ქალები მწყევლიან. რა ვქნა, აღარ ვიცი. როგორც ჩანს, ეგენი რომ მწყევლიან, მათი ძუძუები მლოცავენ, თორემ აქამდე ალბათ ვერ მოვატანდი. რაც შეეხება ჩემს წამოსვლას პოლიციიდან, საქმე ის არის, რომ 60 წლამდე მეკუთვნის ამ სტრუქტურაში სამსახური. 60-ის რამდენიმე თვეში გავხდები. თუ გამბედა მოუნდებათ, ამ მიზეზით, თორემ ისე, სხვა მიზეზს ვერ მომიძებნიან. ჩემს საქმეს ყოველთვის პირნათლად ვასრულებდი და ამიტომაც ჩემი პირადი საქმე მადლობებითაა სავსე. კანონს მუდამ ვიცავდი. თუ ვინმეს „დუბინკები“ არ მოსწონს, რა ვქნა? პარლამენტმა მიიღო კანონი მისი გამოყენების შესახებ, თუ არ უნდათ, გააუქმონ. ისე კი თუ საქართველოში მშვიდობას და გაერთიანებას მე ვუშლი ხელს, მითხრან, ავალ მთაწმინდაზე და საქვეყნოდ ვიყვირებ: — გადავდექი, გაიხარეთ, გაერთიანდით-მეთქი. შს მინისტრის გადასაწყვეტია, გადამაყენებს თუ არა.

— თქვენ გინდათ წასვლა ამ სამსახურიდან?

— მთელი ჩემი ცხოვრება ოჯახზე მეტად პოლიციაში მაქვს გატარებული. სხვებს საყვარლები რომ ჰყავთ, მე არ მყავს. ჩემი საყვარელი — სამსახური და ჩემი მანქანაა. როგორც წესით მეკუთვნის, ისე თუ წავალ, სხვა საქმეც, მაგრამ თუ უსამართლოდ გამიშვებენ, გული მეტკინება.

— თუმცა, უმუშევრად არ დარჩებით, უკვე ვიცით, რომ „ომეღის“ ეთერში გამოჩნდებით ახალი გადაცემის წამყვანად.

— ორი კვირის წინ დამიკავშირდნენ ტელეკომპანიიდან, მკითხეს შოუს „პოლიციის აკადემიის“ წამყვანობაზე თუ დაგეთანხმდებიო. ვუპასუხე, თუ ჩემი ხელმძღვანელობა წინააღმდეგი არ იქნება, თანახმა ვარ-მეთქი. გაიკვეთა, რომ უფროსებიც თანახმანი არიან. კვირაში ერთხელ ვიქნები ეთერში, მეყოლება ასისტენტი, მსახიობ გოგი გეგეჭკორის შვილიშვილი — ანუკა მირიანაშვილი. დანარჩენს კი თავად გასსჯით თქვენ და მაყურებელი.

— ბატონო თემურ, თქვენი რაზმისა და მომიტინგეთა დაპირისპირების შემდეგ, რას განცდიდით ხოლმე?

— საქმე ის არის, რომ შვილსაც არ მოსწონს, როცა მშობელი ტუქსავს. მე და ჩემი რაზმი რომ არ მოვწონდეთ იმ ხალხს, რომელსაც „ვტუქსავთ“, რა გასაკვირია. რა ვქნათ, ჩვენი დანიშნულება წესრიგის დაცვაა, განკარგულებების შემსრულებლები ვართ და ზოგჯერ ნამეტანი ურჩების მიმართ სიმკაცრესაც ვიჩენთ. რა ვქნა, განა მე მინდა ვინმეს გული ვატკინო, ან სხვა რამ? დღის ბოლოს ჩვენს საქციელს ისევე განვიცდი, როგორც მშობელი, რომელსაც ურჩი შვილის დასჯა ცოტა მეტი მოუვიდა.

ბოლო წლებში საინფორმაციო გადაცემებში პოზიორობით გართული პოლიტიკოსების შემხედვარეს ბევრჯერ მიფიქრია, საქართველოში მსახიობები არ თამაშობენ ისეთი ინტენსივობით, როგორც პოლიტიკოსები-მეთქი. თანაც, ბევრ მსახიობს გულწრფელად ურავჯერ ტაშს. პოთამაშე პოლიტიკოსები კი აპლოდისმენტებს დღემდე ვერ ელირსნენ. მათი შეცდომები საფიქრალს არ ულევს საზოგადოებას, მათ შორის მსახიობებს, რომელთაც განსაკუთრებით უჭირთ შემოქმედებითი მუშაობა, როცა ქვეყანაში დაძაბულობაა. ამ ფიქრებით ვესტუმრე ქალბატონ ***მარინა ახობაძეს*** *ინტერვიუსთვის. რეალობიდან გამომდინარე, საუბარი თითქმის სპონტანურად წარიმართა. ქალბატონი მარინა ახალ ტელესერიალში „მტვრის გემო“ გამომძიებლის როლში წარუდგა მაყურებელს. მალე ვიხილავთ მას სოსო ჯაჭვლიანის მოკლემეტრაჟიან ფილმშიც.*

— რატომ იწყება ომები. რას ვერ იყოფს კაცობრიობა მთელი თავისი არსებობის მანძილზე, ალბათ გიფიქრიათ ამ პრობლემაზე.

— რა თქმა უნდა, შემაძრწუნებელია, რომ თითქმის ყველა ომის საბაბი ერთეულების ამბიციებია, რასაც ათასობით და ზოგჯერ მილიონობით ადამიანიც ეწირება. წუხელ გვიანობამდე ვუყურებდი ჰოლივუდის ახალ ფილმს, „უკანასკნელი სამურაი“, სადაც ეს პრობლემა ნათლად ჩანს. ალბათ თქვენც ნახავდით, შესანიშნავი ფილმია, ულამაზესი კადრებით, ღრმა ფილოსოფიური დატვირთვით. მელ გიბსონის „მამაცი გულის“ შემდეგ ასეთი არათეატრალიზებული, შესანიშნავი ბატალური სცენები არც მახსენდება.

— ჩემზე განსაკუთრებული შთაბეჭდილება მოახდინა ფრაგმენტმა, სადაც იაპონიის იმპერატორი თავის ხალხს მოუწოდებს, ჩვენ გვაქვს რკინიგზა, ვიცვამთ ევროპულად, მაგრამ არასოდეს არ უნდა დაგავიწყდეს, ვინ ვართ და საიდან მოვდივართ. ალბათ დამეთანხმებით, რომ ეს პოლიტიკური განცხადებაა.

— ამიტომაც არ მისცეს ამერიკელებმა ამ ფილმს „ოსკარი“: ამერიკელი ჯარისკაცი, რომელიც თავის სახელმწიფოებრივ ვალს იხდიდა, ჟლეტდა ინდიელებს, ამის გამო ტრაგიკული პიროვნებაა, სიცოცხლე აღარ უნდა. იგი სულიერ კმაყოფილებას ამერიკისგან შორს, იაპონიაში პოულობს. პოლიტიკაზე მაღლა რომ დამდგარიყვნენ, ამერიკელებს ნამდვილად უნდა მიეცათ „ოსკარი“ „უკანასკნელი სამურაისთვის“. „ბეჭდების მბრძანებელი“, საუკეთესოდ აღიარებული ფილმი, არც კი მაინტერესებს და დარწმუნებული ვარ, იგი რიგითი კომპიუტერული ტექნიკის ნიმუშია.

— ბოლო დროს არა მარტო ამერიკაში, არამედ ევროპულ კინოფესტივალებზეც აშკარაა, რომ ავღილდრებენ არა ხელოვნების კრიტერიუმებით, არამედ სხვა ფაქტორების გათვალისწინებით, რაც კინოკრიტიკოსთა აღშფოთებას იწვევს. რა ხდება, როგორ ფიქრობთ, ყველგან უგემოვნო ფიურია?

— პოლიტური უმეტეს შემთხვევაში მდარე ხარისხის ფილმებს კი უშვებს, მაგრამ ამერიკაში უკვე გაჩნდა შესანიშნავი რეჟისორების და მსახიობების სკოლა, სადაც მშვენიერი პროდუქცია იქმნება. მაგრამ ყველაფერი პოლიტიზებულია, იქნებ იმიტომაც, რომ პოლიტიკა და რეალობა გადაჯაჭვულია. თუ ე.წ. ამერიკული ნაცია, ამერიკელი წინა პლანზე არ არის წამოწეული, „ოსკარის“ დაჯილდოებაზე სხვანაირ ფილმს თითქმის არ ცნობენ.

— ალბათ ურიგო არ იქნებოდა, ეს თვისება ნაწილობრივ მაინც გადმოგეცემოდეთ ქართველებს.. ჩვენ იმ დედას ვგავართ, რომელსაც საკუთარ შვილზე მანამ ვერ ათქმევინებ კარგს, სანამ სხვა არ შეაქებს. უცხოელის მონონებულს ვცემთ თაყვანს.

— მეც სულ მიკვირდა, რატომ არ ვაღიარებთ ჩვენსას მანამ, სანამ სხვაგან არ დააფასებენ. ახლა ვფიქრობ, რომ უცხო თვალი უკეთ აღიქვამს იმას, რაც მისი არ არის და ამიტომაც უცხოს შეფასებას პირუთვნელად ვთვლით. იქნებ ასე მართლაც უკეთ ჩანს ჩვენი სიმდიდრე, ნიჭი, იქნებ ასეთი მიდგომით მართლა იმას ვფასებთ, რაც დასაფასებელია. თუმცა, ისეც არ უნდა მოგვივიდეს, რომ უცხოს შეფასების მოლოდინში მარგალიტი არ შევნიშნოთ და დავკარგოთ.

— მიუხედავად იმისა, რომ კვლავაც მძვინვარებს ომები, თითქმის მთელი მსოფლიო ილაშქრებს ძალადობის წინააღმდეგ. აშშ-ში ყველაზე გამბედავები ამ მხრივ მსახიობები აღმოჩნდნენ. მოგეხსენებათ, ერაყის ომთან დაკავშირებით როგორ აუმხედრა პოლივუდელ ვარსკვლავთა უმრავლესობა საკუთარ ხელისუფლებას. წელსაც შონ პენის გამოჩენას შიშით ელოდნენ „ოსკარის“ ცერემონიალზე.

— ამ დღეებში ყველაზე მეტად აჭარის პრობლემა მანუხებდა. საბედნიეროდ, ჯერჯერობით მშვიდობა გვაქვს. მერე ძალიან მაწუხებს სამართლიანობის საკითხი. პასკალის ნათქვამია, სამართლიანობა მოდასავით იცვლებაო. არ მინდა მას დავეთანხმო. არსებობს ჭეშმარიტება და არ შეიძლება მის მიმართ დამოკიდებულება შეიცვალოს. სამართალი ყოველთვის სამართალი უნდა იყოს და სამართლის დადგენისას ძალიან დიდი სიფრთხილე და მოთმინებაა საჭირო. ხშირად მოსამართლეც შემცდარა. სამწუხაროდ, არაერთი ფაქტი არსებობს, როცა სიკვდილით დაუსჯიათ სრულიად უდანაშაულო ადამიანი. არ მინდა დღესაც განმეორდეს ასეთი რამ, არ მინდა დღესაც წინადებურად სასტიკი იყოს ჩვენი პოლიცია.

— ხშირად გვსმენია, რომ ზოგჯერ პოლიციელებთან შედარებით კრიმინალები უფრო კეთილშობილები ჩანან, პოლიციელები ხშირად გაბოროტებული ადამიანებივით იქცევიან.

— მართლაც აშკარაა, რომ ბევრ გაბოროტებულ ადამიანს აქვს პოლიციელის უფლებები და იმის ნაცვლად, რომ მათი მხრიდან დაცულად ვგრძნობდე თავს, სწორედ მისი აგრესიის მეშინია. არადა ჩემი პირველი მშველელი და მეგობარი პოლიციელი უნდა იყოს. ეს ტრაგედიაა, ძალიან მაინტერესებს ისიც, რომ დღეს საზოგადოება გულწრფელად კი არ განიცდის დაწესებულ შეცდომებს, პრობლემის მიზეზს და გამოსავალს კი არ ეძებს, არამედ ყველაფერს მაშინვე ხელისუფლებას აბრალებს, ივსება აგრესიით. ასე საქმე წინ ვერ წავა. ერთმანეთის მოსმენა უნდა ვისწავლოთ, ერთი საქმისთვის უნდა ვიფიქროთ და ერთმანეთის მარცხი არ უნდა გვიხაროდეს, როგორც ეს ხდებოდა და ხდება თუნდაც ხელისუფლებასა და ოპოზიციას შორის. თითოეულმა ადამიანმა თუ მენტალიტეტი არ შეიცვალა, ვერანაირ საქართველოს ვერ ავაშენებთ. როცა ერთმანეთის შეცდომას დავინახავთ, უნდა მივუთითოთ. ჩასაფრებულები არ უნდა ვიყოთ და შეცდომაზე არ უნდა ვიქილიკოთ და ვიხალისოთ. თუ პოლიტიკოსები ვერ გრძნობენ ამ პრობლემის საფრთხეს, თქვენ, ჟურნალისტებმა მიუთითეთ ფაქიზად. საზოგადოებას თქვენ მაინც შეაგნებინეთ, რომ ვარდების რევოლუციას არ უნდა მოჰყვეს მიხაკების, ენძილების და ა.შ. რევოლუცია და ბოლოს და ბოლოს, ძნელად აღსაზრდელის მდგომარეობიდან უნდა გამოვიდეთ.

— ქართველ ჟურნალისტებზე რას იტყვით?

— მე ვიტყვი, როგორი უნდა იყოს ჟურნალისტი — ძალიან განათლებული და განსაკუთრებული ადამიანი, ფსიქიკურად გაწონასწორებული, პატრიოტი, რომელიც ადამიანურ თვისებებზე მაღლა დადგება. სამწუხაროდ, ამის ურანი ძალიან ცოტას აქვს. არადა, ძალიან სჭირდება ნამდვილი, მაღალპროფესიული ჟურნალისტები საქართველოს. თუ ჩვენი ჭკუის, გენეტიკური ნიჭის მობილიზება ვერ შევძელით, გავნადგურდებით. პატარა ქვეყანა ვართ და ჩვენი გადარჩენა სხვანაირად შეუძლებელია. მავანთა ამბიციებს არ უნდა გადავყვეთ. ვისაც დღეს ეს ამბიციები არ ასვენებს და მზადაა მას ქვეყნის ინტერესები გადააყოლოს, წაიკიხოს ვაუფშაველას „მოკვეთილი“. იქნებ მიხვდნენ რამეს.

გვერდი მოამზადა ეკა ლომიძემ

ერთმანეთის მარცხი არ უნდა გვიხაროდეს

რაში არ ეთანხმება მარინა ახობაძე „ოსკარის“ ეიურის

ორშაბათი 22 მარტი

კვირის პალიტრა

07.30 ალიონი 16.30 პარლამენტის არჩევნები 17.45 დოკ. სერიალი „ჩემი საყვარელი ოჯახი" 18.00 ვესტნიკი 18.20 დოკ. სერიალი „ბუნების სამყაროში" 18.30 სერიალი „ნწრილვარსკალავთა ღამე" 19.00 მრავალჟამიერ 19.25 „იმღერე რამე" 20.00 მოამბე 21.05 ბასტი-ბუბუ 21.20 სერიალი „სოლედადი" 22.10

07.00 "Доброе утро!" 10.00, 13.00. 16.00, 19.00 Новости 10.20 Худ.фильм "СПАРТАК" 14.10 Док.фильм "Ворота в рай" 15.00 Город женщин 16.20 Сериал "БЕРЕГ МЕЧТЫ" 17.20 "Угадай мелодию" 17.50 "Большая стирка" 19.25 "Шутка за шуткой" 20.00 Сериал "КЛОН" 21.00 Жди меня 22.00 Время 22.30 Сериал "УЛИЦЫ РАЗБИТЫХ ФОНАРЕЙ" 23.30 Док.фильм "Скандалы на льду" 00.20 Док.фильм "Голливудские ножи" 01.10 "Фабрика звезд" 01.40 Неизвестная планета. "Страсти по-мексикански" 02.10 Комедия "ИГРОК" 04.05 Триллер "СТРАХ У ДВЕРИ" 05.30 Сериал "ДЕТЕКТИВНОЕ АГЕНТСТВО "ЛУННЫЙ СВЕТ"

РОССИЯ 06.00 Доброе утро, Россия! 09.45 Худ.фильм "ОТЧАЯННЫЕ" 11.35 В Городке 11.45, 14.45, 17.25, 01.15 Вести. Дежурная часть 12.00, 15.00, 18.00, 21.00 Вести 12.20, 15.10, 17.40, 21.30 Местное время. Вести-Москва 12.50 "Что хочет женщина" 13.50 Вести недели 15.30 "Частная жизнь" 16.30 Сериал "ВОЗВРАЩЕНИЕ МУХТАРА" 18.10 Сериал "ЛЮДИ И ТЕНИ-2. ОПТИЧЕСКИЙ ОБМАН" 19.00 Сериал "КОМИССАР РЕКС" 19.55 Сериал "ЗАКОН" 21.50 Спокойной ночи, малыши! 21.55 Сериал "НЕБО И ЗЕМЛЯ" 22.50 Сериал "ПАН ИЛИ ПРОПАЛ" 00.00 Вести+ 00.20 "Сталин. Детство, отрочество, юность" 01.30 Худ.фильм "ЖЕНИХ ИЗ МАЙАМИ" 02.45 Комедия "КАК В СТАРЫЕ ВРЕМЕНА" 04.25 Дорожный патруль

სამშაბათი 23 მარტი

07.30 ალიონი 09.45 მულტსერიალი „პაპირუსის თავგადასავალი" 10.10 მხ. ფილმი „ლეგენდა ბაგერა ვენსზე" 11.45 დოკ. სერიალი „მოფლეის ქალაქები" 12.00, 15.00, 20.00, 23.00 მოამბე 12.15 ტელესერიალი „სოლედადი" 13.00 ნაშუადღევს 14.00 მოამბე ინგლ. ენაზე 14.05 ლერწის შოუ 15.15

07.00 "Доброе утро!" 10.00, 13.00. 16.00, 19.00 Новости 10.20, 22.35 Сериал "УЛИЦЫ РАЗБИТЫХ ФОНАРЕЙ" 11.20, 20.00 Сериал "КЛОН" 12.40 Дисней-клуб: "Ким Пять-с-плюсом" 13.20 Худ.фильм "К РАССЛЕДОВАНИЮ ПРИСТУПИТЬ". Фильм 1-й, 1 с. 14.40 Док.фильм "Две души одного тела" 15.10 Город женщин 16.20 Сериал "БЕРЕГ МЕЧТЫ" 17.20 "Угадай мелодию" 17.50 "Большая стирка" 19.25 "Любовные истории". Ирина Лобачева и Илья Авербух 21.00 Сериал "ЛЮБИТЕЛЬНИЦА ЧАСТНОГО СЫСКА ДАША ВАСИЛЬЕВА" 22.00, 00.30 Время 23.40 Тайны века. "Пропавший сын Никиты Хрущева" 00.50 "Фабрика звезд" 01.10 "На футболе" 01.40 "Сканер" 02.10 "Русский экстрим" 02.40 Худ.фильм "БАГРОВЫЙ ШТОРМ" 04.40 Худ.фильм "ЗА ОТДЕЛЬНЫМИ СТОЛИКАМИ"

РОССИЯ 06.00 Доброе утро, Россия! 09.45 Сериал "НЕБО И ЗЕМЛЯ" 10.50 "Короткое замыкание". Ток-шоу 11.45, 14.45, 17.25, 01.15 Вести. Дежурная часть 12.00, 15.00, 18.00, 21.00 Вести 12.20, 15.10, 17.40, 21.30 Местное время. Вести-Москва 12.50 "Что хочет женщина" 13.50, 23.00 Сериал "ПАН ИЛИ ПРОПАЛ" 15.30 "Частная жизнь" 16.30 Сериал "ВОЗВРАЩЕНИЕ МУХТАРА" 18.10 Сериал "ЛЮДИ И ТЕНИ-2. Оптический обман" 19.00 Сериал "КОМИССАР РЕКС" 19.55 Сериал "ЗАКОН" 21.50 Спокойной ночи, малыши! 21.55 Сериал "НЕБО И ЗЕМЛЯ" 00.00 Вести+ 00.20 "Сталин. Личная жизнь в революции" 01.30 Худ.фильм "ОСТОРОЖНО! КРАСНАЯ РТУТЬ" 03.00 Фигурное катание. Чемпионат мира. Обязательный танец 04.00 Дорожный патруль 04.20 Агентство одиноких сердец 04.40 Сериал "НАВЕКИ ДЖУЛИЯ"

ოთხშაბათი 24 მარტი

07.30 ალიონი 09.45 მულტსერიალი „პაპირუსის თავგადასავალი" 10.10 მხ. ფილმი „ლამაზი მამაკაცი" 11.15 დოკ. ფილმი „ლისაბონი" 12.00, 15.00, 20.00, 23.00 მოამბე 12.15 ტელესერიალი „სოლედადი" 13.00 ნაშუადღევს 14.00 მოამბე ინგლ. ენაზე 14.05 ქართული ენის გაკვეთილი 14.30 დოკ. ფილმი „წყვილები და დუეტები" 15.15 პარლ-

07.00 "Доброе утро!" 10.00, 13.00. 16.00, 19.00 Новости 10.20, 22.35 Сериал "УЛИЦЫ РАЗБИТЫХ ФОНАРЕЙ" 11.20, 20.00 Сериал "КЛОН" 12.40 Дисней-клуб: "Чудеса на виражах" 13.20 Худ.фильм "К РАССЛЕДОВАНИЮ ПРИСТУПИТЬ". Фильм 1-й, 2 с. 14.40 Теория невероятности. "Пространство: живое и мертвое" 15.10 Город женщин 16.20 Сериал "БЕРЕГ МЕЧТЫ" 17.20 "Угадай мелодию" 17.50 "Большая стирка" 19.25 "Смехопанорама" 21.00 Сериал "ЛЮБИТЕЛЬНИЦА ЧАСТНОГО СЫСКА ДАША ВАСИЛЬЕВА" 22.00, 00.30 Время 23.40 Спецназ. "За секунду до взрыва" 00.50 "Фабрика звезд" 01.10 Искатели. "Сокровища тамплиеров" 01.40 Крылья 02.10 Максим Никулин в программе "Форганг" 02.40 Худ.фильм "ГОРОД ПРИЗРАКОВ" 04.40 Худ.фильм "ГРЯЗНАЯ ДЮЖИНА: СМЕРТЕЛЬНОЕ ЗАДАНИЕ"

РОССИЯ 06.00 Доброе утро, Россия! 09.45 Сериал "НЕБО И ЗЕМЛЯ" 10.50 "Короткое замыкание". Ток-шоу 11.45, 14.45, 17.30, 00.50 Вести. Дежурная часть 12.00, 15.00, 18.00, 21.00 Вести 12.20, 15.10, 17.40, 21.30 Местное время. Вести-Москва 12.50 "Что хочет женщина" 13.50, 23.00 Сериал "ПАН ИЛИ ПРОПАЛ" 15.30 "Частная жизнь" 16.30 Худ.фильм "ПУАРО АГАТЫ КРИСТИ" 18.10 Сериал "ЛЮДИ И ТЕНИ-2. Оптический обман" 19.00 Сериал "КОМИССАР РЕКС" 19.55 Сериал "ЗАКОН" 21.50 Спокойной ночи, малыши! 21.55 Сериал "НЕБО И ЗЕМЛЯ" 00.00 Вести+ 00.20 Авторитет с Дмитрием Киселевым 01.05 Худ.фильм "ОБЫЧНЫЕ ПОДОЗРЕВАЕМЫЕ" 03.15 Синемания 03.45 Дорожный патруль 04.00 Агентство одиноких сердец 04.25 Сериал "НАВЕКИ ДЖУЛИЯ"

ხუთშაბათი 25 მარტი

07.30 ალიონი 09.45 მხ. ფილმი „ქალი კამელიებით" 11.45 დოკ. სერიალი „ჩემი საყვარელი ოჯახი" 12.00, 15.00, 20.00, 23.00 მოამბე 12.15 ტელესერიალი „სოლედადი" 13.00 ნაშუადღევს 14.00 მოამბე ინგლ. ენაზე 14.05 ინგლისური ენის გაკვეთილი 14.25 დოკ. ფილმი „მუსიკის ქალაქი" 15.15 პარლამენტის არჩევნები 17.15 რამაა

07.00 "Доброе утро!" 10.00, 13.00. 16.00, 19.00 Новости 10.20, 22.35 Сериал "УЛИЦЫ РАЗБИТЫХ ФОНАРЕЙ" 11.20, 20.00 Сериал "КЛОН" 12.40 Дисней-клуб: "Ким Пять-с-плюсом" 13.20 Худ.фильм "К РАССЛЕДОВАНИЮ ПРИСТУПИТЬ". Фильм 2-й, 1 с. 14.40 Искатели. "Сокровища тамплиеров" 15.10 Город женщин 16.20 Сериал "БЕРЕГ МЕЧТЫ" 17.20 "Угадай мелодию" 17.50 "Большая стирка" 19.25 Просто смех! 21.00 Сериал "ЛЮБИТЕЛЬНИЦА ЧАСТНОГО СЫСКА ДАША ВАСИЛЬЕВА" 22.00, 00.30 Время 23.40 "Человек и закон" 00.50 "Фабрика звезд" 01.10 Новые чудеса света. "100 миллионов за колесо" 01.40 "Манеж. До и после пожара" 02.10 "Империя чужих". Ч. 4 02.40 Худ.фильм "РЕМО УИЛЬЯМС" 04.50 Худ.фильм "ГРЯЗНАЯ ДЮЖИНА: ПОСЛЕДНЕЕ ЗАДАНИЕ"

РОССИЯ 06.00 Доброе утро, Россия! 09.45, 21.55 Сериал "НЕБО И ЗЕМЛЯ" 10.50 "Короткое замыкание". Ток-шоу 11.45, 14.45, 17.30, 01.15 Вести. Дежурная часть 12.00, 15.00, 18.00, 21.00 Вести 12.20, 15.10, 17.40, 21.30 Местное время. Вести-Москва 12.50 "Что хочет женщина" 13.50, 23.00 Сериал "ПАН ИЛИ ПРОПАЛ" 15.30 "Частная жизнь" 16.30 Худ.фильм "ПУАРО АГАТЫ КРИСТИ" 18.10 Сериал "ЛЮДИ И ТЕНИ-2. Оптический обман" 19.00 Сериал "КОМИССАР РЕКС" 19.55 Сериал "ЗАКОН" 21.50 Спокойной ночи, малыши! 00.00 Вести+ 00.20 "Исторические хроники" 01.30 Худ.фильм "НЕТ ВЕСТЕЙ ОТ БОГА" 03.40 Фигурное катание. Чемпионат мира. Мужчины. Произв. программа 04.45 Дорожный патруль 05.00 Агентство одиноких сердец

პარასკევი 26 მარტი

07.30 ალიონი 09.45 მულტსერიალი „პაპირუსის თავგადასავალი" 10.10 მხ. ფილმი „ნაპოვნი დრო" 11.35 დოკ. სერიალი „მსოფლიოს ქალაქები" 12.00, 15.00, 20.00, 23.00 მოამბე 12.15 ტელესერიალი „სოლედადი" 13.00 ნაშუადღევს 14.00 მოამბე ინგლ. ენაზე 14.05 მსოფლიო კლასიკა 15.15 პარლამენტის არჩევნები 17.15 დოკ. სერიალი „ჩემი საყვარელი ოჯახი"

07.00 "Доброе утро!" 10.00, 13.00. 16.00, 19.00 Новости 10.20 Сериал "УЛИЦЫ РАЗБИТЫХ ФОНАРЕЙ" 11.20 Сериал "КЛОН" 12.30 Мультсериал "Принцесса Сиси" 13.20 Худ.фильм "К РАССЛЕДОВАНИЮ ПРИСТУПИТЬ" 14.40 "Звезды эфира". Александр Иванов 15.10 Город женщин 16.20 Сериал "БЕРЕГ МЕЧТЫ" 17.20 "Угадай мелодию" 17.50 "Большая стирка" 19.20 Док. детектив. "Полет бумеранга" 20.00 "Основной инстинкт" 20.50 "Поле чудес" 22.00 Время 22.30 "Фабрика звезд" 23.50 Что? Где? Когда? Финал весенних игр 01.10 Курт Расселл в боевике "ТУМСТОУН" 03.30 Триллер "КРИСТИНА" 05.30 Сериал "ДЕТЕКТИВНОЕ АГЕНТСТВО "ЛУННЫЙ СВЕТ"

РОССИЯ 06.00 Доброе утро, Россия! 09.45 Сериал "НЕБО И ЗЕМЛЯ" 10.50 "Короткое замыкание". Ток-шоу 11.45, 14.45, 17.30 Вести. Дежурная часть 12.00, 15.00, 18.00, 21.00 Вести 12.20, 15.10, 17.40, 21.30 Местное время. Вести-Москва 12.50 Мусульмане. 13.00 Вся Россия. 13.15 Москва-Минск. 13.30 Колоссальное хозяйство. 13.50 Сериал "ПАН ИЛИ ПРОПАЛ" 15.30 Сериал "СЛЕДСТВИЕ ВЕДУТ ЗНАТОКИ". "БУМЕРАНГ". 1 с. 18.10 Сериал "ЛЮДИ И ТЕНИ-2. Оптический обман" 19.00 Сериал "КОМИССАР РЕКС" 20.00 Комната смеха. 21.50 Спокойной ночи, малыши! 21.55 Максим Галкин, Николай Басков в бенефисе "Хор Турецкого. Десять голосов, которые потрясли мир" 00.25 Том Круз в фильме "НЕСКОЛЬКО ХОРОШИХ ПАРНЕЙ" 03.10 Фигурное катание. Чемпионат мира. Произвольный танец 04.10 Дорожный патруль 04.25 Горячая десятка 05.20 Агентство одиноких сердец 05.40 Сериал "НАВЕКИ ДЖУЛИЯ".

შაბათი 27 მარტი

08.00, 15.00, 20.00, 23.30 მოამბე 08.15 მხ. ფილმი „ნაპოვნი დრო" 09.30 დოკ. სერიალი „ჩემი საყვარელი ოჯახი" 10.00 დილის პაემანი 11.05 მხიარული კარუსელი 11.35 მოგზაურობა სასიტყვეთში 12.05 გლობუსი 12.35 პოზიცია 13.20 კვალი 13.50 დოკ. ფილმი „წყვილები და დუეტები" 14.25 საქართველო, დრო, მოვლენები 15.15 პარლამენტის არჩევნები

07.00, 11.00, 13.00, 19.00 Новости 07.10 Сериал "Все путешествия команды Кусто" 07.40 Петр Вельяминов в фильме "ХИЩНИКИ" 09.20 Играй, гармонь любимая! 10.00 Слово пастыря 10.10 Здоровье 11.10 "Смак" 11.30 "Возвращение домой. Вячеслав Бутусов. Красноярск" 12.10 Дог-шоу 13.10 История с географией. "Стервятники морей" 14.10 Программа передач на вчера 15.00 Дисней-клуб: "Тимон и Пумба" 15.30 Умницы и умники 16.10 "Интересное кино". "Позднее счастье Кузнецова Юрия" 17.00 Николай Рыбников в фильме "ВЫСОТА" 18.50 Классика Уолта Диснея. Золотые годы Микки Мауса 19.10 "Шутка за шуткой" 20.00 "Магия. Разоблачение" 21.00 "Кто хочет стать миллионером?" 22.00 Время 22.20 "Розыгрыш" 23.55 "Золотой Граммофон" 00.55 Кевин Спейси в фильме "КРАСОТА ПО-АМЕРИКАНСКИ" 04.10 Алек Болдуин в фильме "В ПОИСКАХ РИЧАРДА" 06.10 Цирковые династии. "Секреты Кио"

РОССИЯ 07.00 Юрий Никулин в фильме "КО МНЕ, МУХТАР!" 08.25 "Том и Джерри". Мультсериал 08.45 Золотой ключ 09.05 Русское лото 09.45 "Большая перемена" 10.10 Утренняя почта 10.45 Сам себе режиссер 11.40 Звезды России в игре "Форт Боярд" 13.15 В поисках приключений 14.15 Клуб сенаторов 15.00 Вести 15.20 Всеволод Санаев в детективе "ВЕРСИЯ ПОЛКОВНИКА ЗОРИНА" 17.00 Футбол. Чемпионат России. "Зенит" (Санкт-Петербург) - "Сатурн" (Моск. обл.) 19.00 "Бенефис Клары Новиковой". Часть 1-я. 21.00 Вести 21.25 Зеркало 21.50 "Честный детектив" 22.20 Аншлаг 23.20 Сильвестр Сталлоне в фильме "ТАКСИ-3" 00.00 Энтони Хопкинс в фильме "ГАННИБАЛ" 04.40 Комедия Рене Клера "ГАЛАНТНЫЕ ПРАЗДНЕСТВА"

კვირა 28 მარტი

08.00 მოამბე 08.30 ალიონი 09.00 მოამბე 09.30 ალიონი 10.00 მოამბე 10.30 ალიონი 11.20 ტელეტოპი 12.00, 13.00, 14.00 მოამბე 15.00, 16.00, 17.00 მოამბე 17.30 მოამბე ინგლისურ ენაზე 18.00 მოამბე 18.30 ვესტნიკი 19.00, 20.00 მოამბე 22.00 ცაიტბილდ 01.00 მხ. ფილმი „სასაკვილო კაცი"

07.00, 11.00, 13.00 Новости 07.10 Сериал "Все путешествия команды Кусто" 07.40 Комедия "ТРУДНЫЙ РЕБЕНОК" 09.20 Армейский магазин 09.50 Дисней-клуб: "Микки Маус и его друзья" 10.10 "В мире животных" 11.10 "Непутевые заметки" 11.30 Пока все дома 12.00 "Лошадиная энциклопедия" 12.30 "Угадай мелодию" 13.10 Джон Траволта в фильме "ПОСМОТРИ, КТО ЕЩЕ ГОВОРИТ" 15.00 Дисней-клуб: "Тимон и Пумба" 15.20 "Путешествие натуралиста" 15.50 "Дачники" 16.50 Спасатели. Экстренный вызов 17.20 Воскресный "Ералаш" 17.50 Живая природа. "Тайная жизнь выдр" 18.50 Времена 19.45 "КВН-2004". Высшая лига. Третья игра сезона 22.00 Время 22.45 Фигурное катание. Чемпионат мира. Показат. выступления. Передача из Германии 23.55 Аль Пачино в триллере "БЕССОННИЦА" 02.10 Бокс. Джо Кальзаге - Мгер Мкртычян 02.50 Комедия "УБРАТЬ ПЕРИСКОП" 04.40 Историческая мелодрама "ЛЕДИ И ГЕРЦОГ"

РОССИЯ 07.00 Фильм-сказка "МАЛЬЧИК-С-ПАЛЬЧИК" 08.25 "Том и Джерри" 08.45 Мир на грани. 09.10 "Военная программа" 09.30 Студия "Здоровье" 10.05 "ТВ Бинго шоу". 10.25 Местное время. Вести-Москва. Неделя в городе. 11.05 "Городок". Дайджест 11.40 "Сто к одному". Телеигра 12.30 Диалоги о животных 13.20 Вокруг света 14.15 Парламентский час 15.00 Вести. 15.20 Ирина Купченко в фильме "ОДИНОКАЯ ЖЕНЩИНА ЖЕЛАЕТ ПОЗНАКОМИТЬСЯ" 17.10 "Советская империя. Ледокол "Ленин". Фильм Алексея Кондулукова. 18.00 Комната смеха. 19.00 "Песни XX века" 20.50 В Городке. 21.00 Вести недели. 21.35 Специальный корреспондент. 22.25 Джекки Чан в комедии "ЧАС ПИК" 00.25 Жан-Клод Ван Дамм в фильме "СЕКТА" 02.10 Триллер "АРАХНИД" (Испания) 04.00 Сериал "СЕМЬ ДНЕЙ"

ინფორმაცია მოგვაწოდა შპს „ინფოზავრმა"

მედიცინა

შეკითხვა ექიმს

ძვირფასო მკითხველო! რედაქციაში უამრავი წერილი მოდის, რისთვისაც უღრმეს მადლობას მოგახსენებთ — ჩვენი რუბრიკის და მთლიანად გაზეთის მასულდგმულებელი ხომ თქვენი გამოხმაურება და თანადგომაა. რაც შეეხება თქვენს შეკითხვებს, გვერწმუნეთ, თითოეულ მათგანს დიდი გულისყურით ვეცნობით და მასზე პასუხს უსათუოდ მიიღებთ, მაგრამ რადგან შეკითხვების რიცხვი საკმაოდ დიდია, ნუ დაგვემდურებით, თუ პასუხის ლოდინი გიწევთ.

გთხოვთ მიპასუხოთ, რით ვუმკურნალო ყელის სიმშრალეს?

მაკა შაქარაშვილი

ყელის სიმშრალე ფარინგიტის (ხახის ანთების) ერთ-ერთი ნიშანია. თუ დიდი ხანია გაწუხებთ ეს სიმპტომი, სავარაუდოა, რომ გაქვთ ქრონიკული ფარინგიტი. ასეთ დროს სასურველია გაკეთდეს ხახის ნაცხის ანალიზი ანთების გამომწვევი ბაქტერიების გამოსავლენად, აგრეთვე ფლორის მგრძნობელობა ანტიბიოტიკებისადმი და ფაგებისადმი. ამ ანალიზების საფუძველზე ოტოლარინგოლოგი (ყელ-ყურის ექიმი) დაგინიშნავთ კვალიფიციურ მკურნალობას.

რას ნიშნავს მამაკაცის უშვილობა? რა არის მისი მიზეზი და როგორ ვლინდება? გთხოვთ, მიპასუხოთ — ეს ჩემთვის ძალიან მნიშვნელოვანია.

დათო შ.

როდესაც მომწიფებული მამაკაცის ორგანიზმს არ აქვს განაყოფიერების უნარი, თუმცა შესაძლოა, სქესობრივი აქტის ჩატარება შეეძლოს, ეს უშვილობაა. განასხვავებენ სეკრეტორულ და ექსკრეტორულ მამაკაცურ უშვილობას. პირველი — სპერმატოზოიდების გამომუშავების დარღვევის შედეგია, რასაც სათესლე ჯირკვლებისა და დანამატების დაავადებების, ნივთიერებათა ცვლის და ენდოკრინული დარღვევების დროს აქვს ადგილი. ექსკრეტორული უშვილობისას მოშლილია სპერმის გამოყოფის პროცესი, რასაც შეიძლება იწვევდეს გამომტანი სადინარების ანთება, ტრავმა ან განვითარების ანომალია, აგრეთვე ეაკულაციის პროცესის დარღვევა. განაყოფიერება დამოკიდებულია სპერმის თვისებებზე, პირველ რიგში კი სპერმატოზოიდების ძვრადობაზე. ამიტომ, მამაკაცის უშვილობის მიზეზების კვლევისას უპირველესად უნდა განისაზღვროს სპერმის განაყოფიერების უნარიანობა.

საშარდე გზების ინფექცია ყველაზე ხშირი მიზეზია იმ დაავადებებისა, რომლებიც აქვეითებს სპერმის განაყოფიერების უნარს. დაგვიანებული და არასწორი მკურნალობა ხშირად უშვილობას იწვევს. სპერმის პათოლოგიური ცვლილებები ვითარდება სხვადასხვა სახის მაიონიზებელი გამოსხივებისა და ტემპერატურული ზემოქმედების (სხეულის გადახურების) დროს. ტემპერატურულ ზემოქმედებას განიცდიან მაგალითად, მცხობელები, ფოლადის მდნობელები საამქროებში. მამაკაცთა უშვილობის ერთ-ერთი ხშირი მიზეზია ვარიკოცელე (სათესლე ბაგირაკის ვენების გაგანიერება), რომელიც უშვილო მამაკაცთა 40%-ს აღენიშნება.

ჩემი შვილიშვილი ღამითაც არ იხსნის ლინზებს და ვშიშობ, რამე არ დაიშავოს.

ანა სალაყაია, თბილისი

ლინზების მოუხსნელად დაძინება არ შეიძლება. რეკომენდებული არ არის აგრეთვე კონტაქტური ლინზების მთელი დღის განმავლობაში ტარება. ოპტიმალური ვარიანტია ლინზებისა და სათვალის მონაცვლეობა. თუ თქვენი შვილიშვილი ლინზებს მოუხსნელად ატარებს, მას შეიძლება განუვითარდეს თვალის კუნთების ან კანის საფარველის ატროფიული ცვლილებები.

თვალისთვის სასარგებლოა არათუ ლინზისგან, არამედ სათვალისგან დასვენებაც — ხანდახან შეგიძლიათ სათვალის გარეშე იკითხოთ, თვალის გასავარჯიშებლად.

რა დაავადებაა საშვილოსნოს მიომა, რა იწვევს მას და იკურნება თუ არა ოპერაციის გარეშე?

პატივისცემით ჟენია თამაზაშვილი, წნორი

მიომა საშვილოსნოს კეთილთვისებიანი სიმსივნეა. საშვილოსნოს კუნთოვან შრეში წარმოიქმნება კვანძები, რომლებიც არა მარტო კუნთოვან ბოჭკოებს, არამედ შემაერთებელ ქსოვილებსაც შეიცავს. კვანძის ირგვლივ კაფსულა ყალიბდება. მიომის მიზეზი ჰორმონული დისბალანსი გახლავთ — მას ესტროგენის სიჭარბეს უკავშირებენ. საშვილოსნოს მიომას ორ მენსტრუაციას შორის სისხლდენა ახასიათებს. თავად მენსტრუაცია ხანგრძლივი და ჭარბია, რაც ანემიას იწვევს. ქალს აწუხებს ტკივილი, ერღვევა საშვილოსნოს ირგვლივ მდებარე ორგანოების ფუნქცია — უჭირს შარდვა, უვითარდება შეკრულობა. ხშირად მიომა ფარულად მიმდინარეობს და მას სრულიად შემთხვევით მაშინ გამოავლენენ, როცა ქალი რომელიმე გინეკოლოგიური პრობლემის (უნაყოფობის, მენსტრუაციული დარღვევის, სუნიანი გამონადენის) გამო ექიმს მიმართავს. დიაგნოზისთვის იყენებენ ხელით გასინჯვას, ულტრაბგერით გამოკვლევას, იშვიათად — ჰისტეროსალპინგოგრაფიას. მკურნალობას იმისდა მიხედვით უნიშნავენ, თუ რამხელაა მიომური კვანძი. მცირე ზომის კვანძს მედიკამენტებით მკურნალობენ, დიდს — კვეთენ. თუ პათოლოგია უსიმპტომოდ მიმდინარეობს, გინეკოლოგთან 3 თვეში ერთხელ მაინც უნდა გაიაროთ კონსულტაცია.

კარაბადინი

ჩვენ მივეჩვიეთ რომ დაავადებას მხოლოდ მაშინ უნდა ვუმკურნალოთ, როცა მისი სიმპტომები ჩნდება. გთავაზობთ, გაიძლიეროთ იმუნიტეტი და მაშინ ვერანაირი დაავადება ვერ მოგერევათ. იმუნიტეტის გასაძლიერებელი წამალი ასე მოამზადეთ: 10 ცალი ლიმონი დაჭერით, ჩააწყვეთ სამლიტრიან ქილაში, მოასხით 0,5ლ თაფლი, 0,5 არაყი და 0,5ლ სამწლიანი ალოეს წვენი. არ აურიოთ. დადგით გრილ, ბნელ ადგილას 40 დღის განმავლობაში. 41-ე დღეს გაწურეთ მარლაში და სვით თითო სუფრის კოვზი 3-ჯერ დღეში ჭამამდე. სტრესის დროს შეიძლება დოზის გაზრდა. და კიდევ ერთი: როცა სურდო მაქვს, კალანხოეს წვენს ვიწვეთებ ცხვირში. მეწყება ძლიერი ცხვირცემინება. სამაგიეროდ, 2-3 ასეთი პროცედურის შედეგად სურდო უკვალოდ ქრება.

ლიდა ნადაშვილი

ექიმის კომენტარი: თაფლისა და ალოეს ნარევის შესახებ ჩვენი გაზეთის ერთ-ერთ წინა ნომერში გესაუბრეთ. მკითხველის ეს რეცეპტი კი კიდევ ორ დამატებით კომპონენტს (ლიმონსა და არაყს) შეიცავს. კომპონენტთა ფარმაკოლოგიურ თვისებებს თუ გავითვალისწინებთ, წამალს უნდა ჰქონდეს ძლიერი ანთებსაწინააღმდეგო, ბაქტერიციდული (ბაქტერიების დამხოცავი) და იმუნოსტიმულატორული თვისებები. ამდენად, მისი გამოყენება დაავადებათა პროფილაქტიკის და დასუსტებული ორგანიზმის მოძლიერების მიზნით, სასურველ შედეგს გამოიღებს.

მოამზადა თამარ მამაცაშვილმა

მკითხველი — მკითხველს

სამი წელია მაწუხებს თავის ტკივილი. თუ გამაყუჩებელს დავლევ, გამივლის, თუ არა და საშინლად ვიტანჯები. ექიმებთან ვიყავი, გამოკვლევებიც ჩავიტარე, მაგრამ მეუბნებიან ისეთი არაფერი გაქვსო. მაშ, რა უნდა იყოს ასეთი ტკივილის მიზეზი? იქნებ ვინმეს გამოუცდია მსგავსი რამ? იქნებ თქვენმა მკითხველებმა იციდნენ ჩემი ავადმყოფობის წამალი?

თქვენი ერთგული მკითხველი დიანა კალმახელიძე

ჭამისთანავე მეწყება მოვლითი ტკივილი მუცელში. მითხრეს ნაღვლის ბუშტის ბრალიაო. ვსვი ალოხოლი, მაგრამ უშედეგოდ. პერიოდულად კუჭიც მეშლება ხოლმე. გთხოვთ, „კარაბადინში" დაბეჭდოთ ჩემი შეკითხვა. თუ ვინმემ იცის ამ დაავადების სამკურნალო მცენარეული რეცეპტი, ნუ დაიზარებთ, მომწერეთ.

ერთგული მკითხველი ნოდარ ლ.

ძვირფასო მკითხველო! რედაქციაში უამრავი შეკითხვა მოდის. ყველა მათგანს ჩვენი რუბრიკა ვერ დაიტევს. ამიტომ გადავწყვიტეთ ზოგიერთზე პასუხი „კვირის პალიტრის" დამატებაში — სამედიცინო ჟურნალ „ოჯახის მკურნალში" მოგაწოდოთ. ჟურნალმა უკვე შეიძინა უამრავი მკითხველი და საკმაოდ ფართო გამოხმაურებაც პოვა საზოგადოებაში. გავითვალისწინეთ მკითხველის ინტერესები და უფრო მრავალფეროვანი ინფორმაციის მიწოდების მიზნით ჟურნალის მოცულობა გავზარდეთ — ახლა იგი 60-გვერდიანია.

სასწაულმოქმედი თეთრი თიხა

თეთრ თიხას ძალიან ბევრი კოსმეტიკური ფირმა იყენებს გამწმენდი ნილბების, შამპუნებისა და კბილის პასტების დასამზადებლად, სწორადაც იქცევიან. ჩვენმა წინაპრებმაც შესანიშნავად იცოდნენ, თუ რა სასარგებლოა კაოლინი და მას ფართოდ იყენებდნენ მედიცინასა და კოსმეტიკაში. თეთრ თიხას ანუ კაოლინს შეუძლია ორგანიზმში ტოქსინების, სუნისა და გაზების შთანთქმა, სპობს დაავადებების გამომწვევ ბაქტერიებს და ამასთანავე რჩება უვნებელ, ინერტულ ნივთიერებად.

ხალხურ მედიცინაში თეთრ თიხას იყენებენ გამელოტების, თმის ცვენისა და მტვრევის, ცხიმიანი სებორეის წინააღმდეგ. ის შეიცავს ბევრ სასარგებლო ნივთიერებასა და მიკროელემენტს (სილიციუმი, კალიუმი, მაგნიუმი, თუთია, ნატრიუმი და სხვა), შეუძლია არა მარტო გადასცეს ეს ნივთიერებები კანს, არამედ გაწმინდოს ის ჭუჭყისგან.

თეთრ თიხას ხმარობენ აპლიკაციისთვის, მალამოდ, თვალების ამოსარეცხად. მისგან ამზადებენ ყურისა და ცხვირის წვეთებს, იყენებენ ყელში გამოსავლებად და ოყნისთვის. თეთრი თიხა სახისა და სხეულის კანს არბილებს და ელასტიკურს ხდის, ის ანტისეპტიკურია, აქრობს ანთებით პროცესს, ხელს უწყობს სისხლის მიმოქცევას. და კიდევ, ის გამოიყენება, როგორც შინაგანი სამკურნალო საშუალება ჭიების დროს, რაქიტით დაავადებული ბავშვების ძვლების გასამაგრებლად, საჭმლის მომნელებელი ტრაქტის მუშაობის გასაუმჯობესებლად, ანემიის, ლიმფური კვანძების ანთებისას, ფაღარათის დროს.

ლიზა №12

ნათელმხილველ ვანგას რეცეპტები

ბულგარელი ვანგა დიმიტროვას სახელი მთელი მსოფლიოსათვის არის ცნობილი. მაგრამ, ცოტა ვინმემ თუ იცის, რომ ბრმა ნათელმხილველს აგრეთვე უტყუარი დიაგნოზის დასმა შეეძლო და შესანიშნავი რეცეპტები იცოდა ამა თუ იმ ავადმყოფობის წინააღმდეგ. გთავაზობთ ზოგ მათგანს:

ასთმა — 40 თავი ხახვი ჩადეთ ქვაბში და დაასხით მდუღარე წყალი, გააჩერეთ, ვიდრე არ დარბილდება. შემდეგ ჩააწყვეთ ისინი

0,5 ლ ზეითუნის ზეთში და ჩაჭყლიტეთ. ეს პიურე მიიღეთ დილა-საღამოს თითო სუფრის კოვზი ჭამამდე.

ფეხების ტკივილი — მომინანქრებულ დიდ ქვაბში მოხარშეთ ერთი კონა თეთრი სამყურა. ნახარში გააცივეთ, გაწურეთ და დაუმატეთ 1 სუფრის კოვზი ნავთი. ამ ცხელ ნარევში ჩააწყვეთ ფეხები ზედიზედ 3-4 საღამოს.

ბრონქიტი — 2-3 ფოთოლი ვირისტერფა მოხარშეთ ნახევარ ლიტრ რძეში, გადაწურეთ, დაამატეთ დანის პირით ახალი ღორის ქონი. ნაყენი მიიღეთ ყავის ჭიქით საღამოს, ძილის წინ.

ბრონქიტი ბავშვებში — ორი უმი კვერცხი შეწვით ღორის ქონში და მოაყარეთ მარილი. როცა გაცივდება, ღამით ბავშვს გულზე დაადეთ

სახის ნერვის ანთება — გააცხელეთ ნემსი და მსუბუქად დაიჩხვლიტეთ სახის კანი — ჯერ ჯანმრთელი მხარე, შემდეგ — მტკივნეული. კანის მსუბუქი დამწვრობა მალე გაივლის, ტკივილის კვალიც აღარ დარჩება.

სისხლის მაღალი წნევა — ერთი სუფრის კოვზი სიმინდის ფქვილი ჩაყარეთ ჭიქაში, აავსეთ მდუღარე წყლით და გააჩერეთ ერთი ღამით. დილით უზმოზე დალიეთ მხოლოდ ნაყენი.

სოკო ხელის ფრჩხილებზე — ხელები რამდენჯერმე ჩააწყვეთ მაგარი ყავის ნახარშში ისე, რომ ნალექი არ აამღვრიოთ. ეს ხსნარი კურნავს ფეხის ფრჩხილების სოკოს, ხსნის ტერფების და ფეხისგულების ტკივილს, აცილებს ტერფებზე გარქოვანებულ კანს. გაიმეორეთ პროცედურა რამდენჯერმე, სოკო მთლიანად ქრება. კანი ხდება სრიალა, ტკივილი კი ქრება.

სოკო ფეხის თითებზე — კარგად დაბანილი ფეხები ჩააწყვეთ მაგარ ღვინის ძმარში. ღამით ჩაიცვით ამავე ძმარში დასველებული სუფთა წინდები.

ტაინაია ვლასტ №5

ჭარხალი — „დედოფალი"

ეს ლამაზი, შინდისფერი ბოსტნეული სუფრის დედოფალია. ბოსტნეულთა შორის რკინისა და თუთიის შემცველობით მას ბადალი არ ჰყავს. ჭარხალი შეიცავს კობალტს, რომელიც აუცილებელია B_{12} ვიტამინის სინთეზისთვის. იოდის ოდენობითაც პირველობას არავის უთმობს, ეს კი ნიშნავს ჯანმრთელ ფარისებრ ჯირკვლებს, კარგ მეხსიერებას, სიმხნევესა და შრომისუნარიანობას...

გარდა ზემოთ ჩამოთვლილი მინერალებისა და ვიტამინებისა, ის შეიცავს ისეთ ნივთიერებებს, რითაც ასე განსხვავდება სხვა ბოსტნეულისაგან. ერთი მათგანია ბეტაინი, რომელიც აუმჯობესებს ცილის ათვისებას, ღვიძლის მუშაობას... ხოლო საპონინი ხელს უშლის ქოლესტერინის ბალთების წარმოქმნას.

ჭარხალი ძალიან სასარგებლოა ალერგიის, ჰიპერტონიის, თირკმლებისა და გულ-სისხლძარღვთა დაავადებათა დროს. ჭარხალი შეგიძლიათ ჭამოთ როგორც უმი, ისე მოხარშული.

გახსოვდეთ, სასარგებლოა არა მარტო ჭარხლის ძირხვენა, არამედ მისი ფოთლებიც, რომლებიც მდიდარია ქიმიური შემადგენლობით, ცილებით. ფოთლებში მინერალური ნივთიერებები 2-3-ჯერ მეტია, ვიდრე ბოლქვში.

ზდოროვიე №3

იძინეთ და... გახდით!

ხშირი უძილობა ადამიანს ქანცავს და უკანასკნელ ძალას აცლის, გარდა ამისა, ორგანიზმი იწყებს ცხიმოვანი უჯრედების შევსებას, ანუ უძილობა ხელს გვიშლის თავი დავიცვათ სიმსუქნისაგან!

რადგან ძირითადად უძილობის მიზეზი არის სტრესი, ამერიკელი ფსიქოლოგები გვირჩევენ:

— თუ შემაშფოთებელი და სევდიანი აზრების გამო არ გეძინებათ, ძილის წინ აიღეთ ქაღალდი და შეადგინეთ თქვენი პრობლემების სია — ეს დაგეხმარებათ დაივიწყოთ ისინი დილამდე;

— ტელევიზორის გამორთვისთანავე ნუ დაიძინებთ, ცოტა ხანს გაყუჩდით, მიიღეთ აბაზანა, ანდა სუფთა ჰაერი ისუნთქეთ აივანზე;

— ძილის წინ დალიეთ 1 ჩაის ჭიქა რძე.

ჟენსკიე სეკრეტი №7

რამდენიმე რჩევა ჰიპერტონიკებს...

— რეგულარულად, სამ დღეში ერთხელ მაინც, ერთსა და იმავე დროს გაიზომეთ წნევა!

— არ მოსწიოთ!

— არ დალიოთ ალკოჰოლიანი სასმელი (ცოტა შეგიძლიათ მიიღოთ დღესასწაულებზე)!

— რაციონიდან ამოიღეთ ცხიმიანი საკვები, რომელიც ბევრ ქოლესტერინს შეიცავს.

— მკაცრად ადევნეთ თვალი წონას. დაიხსომეთ, რაც მეტს მოიმატებთ წონაში, მით მეტია შანსი წნევის აწევისა.

— ფიზიკურად იაქტიურეთ. ცურვა, თხილამურებით სრიალი, ფეხით სეირნობა დაგეხმარებათ დაძაბულობისა და სტრესების მოხსნაში.

— შეეგრძოლეთ უძილობას. მაგრამ სანამ დამამშვიდებელ აბებს მიიღებდეთ, მოსინჯეთ შავბალახასა და კატაბალახას ფესვების ნაყენი (1ჩ/კ ნარევს დაასხით 1ჩ/ჭ მდუღარე წყალი და 40 წუთი გააჩერეთ).

ტრუდ-7 №40

ვმკურნალობთ

ქრონიკულ პრობლემებს

- ქსენონის ინფრაწითელი ლაზერით;
- ქსენონის ინფრაწითელი ლაზერით;
- ქიმიოლაზერული მკურნალობა დღეისათვის არსებული ყველაზე თანამედროვე მეთოდებით, მათ შორის, პრიმ. ვუსკოვის აპარატით „ინტრატონი“, რომელსაც ევროპული ანალოგი არ აქვს.

მეცნიერებათა აკადემიის სპეც. პოლიკლინიკა, კაბ. №7 (სპორტის სასახლის უკან, მარჯვენა). 10-14 სთ.

დამისვეს ოსტეოპოროზის დიაგნოზი. ამის ბრალი ხომ არ არის ბარძაყის ძვლის მოტეხილობა?

გ.ჯ. ქუთაისი

ხანდაზმულობაში ინვალიდობის მიზეზი ხშირად ოსტეოპოროზული ძვლის მოტეხილობაა. დაავადება ნელა ვითარდება, ამიტომ მას „ფარულ ეპიდემიას“ უწოდებენ. დღეისთვის ოსტეოპოროზის პროფილაქტიკა, დიაგნოსტიკა და მკურნალობა ძნელი არ არის.

ოსტეოპოროზი ჩონჩხის ძვლების დაავადებაა, რომელიც ძვლოვანი მასის შემცირებით, მისი სტრუქტურის შეცვლით, ძვლის სიმყიფის მატებითა და მოტეხილობების ადვილად განვითარებით ხასიათდება. ოსტეოპოროზით ქალები უფრო ხშირად ავადდებიან, ვიდრე მამაკაცები, დაავადების გამოვლენის რისკი კი კლიმაქსის პერიოდზე მოდის. მენოპაუზის შემდეგ ყოველ მესამე, ხოლო 75-80 წლის ასაკში — ყოველ მეორე ქალს ოსტეოპოროზი აღენიშნება.

ოსტეოპოროზის განვითარება: ძვლის ზრდისა და ფორმირების პროცესი ემბრიონიდან იწყება და საშუალოდ 30 წლის ასაკისთვის მთავრდება.

30-45 წლის ასაკში ძველი ძვლის დაშლისა და ახალი ძვლის წარმოქმნის პროცესებს შორის მკაცრი წონასწორობაა დაცული, რის გამოც ძვალი სიმკვრივეს ინარჩუნებს. მასზე ამ ასაკში მნიშვნელოვან გავლენას ახდენს სრულფასოვანი კვება, ფიზიკური აქტივობა და ცხოვრების ჯანსაღი წესი.

50-65 წლის ადამიანებში ძვლის დაშლის ტემპი ჭარბობს მის წარმოქმნას, შესაბამისად, ძვლის სიმკვრივე მცირდება. ამიტომ კლიმაქტერულ ასაკამდე საჭიროა ჰორმონული დარღვევების კორექცია და კალციუმის მიღება.

65-80 წლისათვის ძვლის სიმკვრივე მკვეთრად შემცირებულია და ნებისმიერი უმნიშვნელო ტრავმა მოტეხილობის მიზეზი ხდება.

რისკ-ფაქტორები: ოსტეოპოროზის განვითარებაში რისკი ძვლის დაბალ სიმკვრივესთანაა დაკავშირებული. ამის მიზეზებს კი ხშირად წარმოადგენს: მდედრობითი სქესი, ასაკი, ესტროგენების დეფიციტი, თეთრი რასა, სხეულის მცირე წონა, წინაპრების ოსტეოპოროზით დაავადება, არაჯანსაღი ცხოვრების წესი და სხვა.

სიმპტომები: ოსტეოპოროზი ფარულად ვითარდება და ხშირად მისი პირველი გამოვლენა ძვლების მოტეხილობებია, ასევე: ადამიანის სიმაღლეში შემცირება, ტანადობის დარღვევა, სიარულის შეცვლა, ხერხემლის გამრუდება, ტკივილი წელისა და კუდუსუნის არეში, კბილების კარიესი.

ყველაზე ხშირია ბარძაყის ყელის, ხერხემლის მალებისა და მაჯის ძვლების მოტეხილობა. ბარძაყის ყელის მოტეხილობის მქონე პაციენტთა მხოლოდ 1/3 უბრუნდება ჩვეული ცხოვრების რიტმს. თუმცა, ოსტეოპოროზით დაავადებულებში ძვლის შეხორცების პროცესი იმავე ხარისხით მიმდინარეობს, როგორც — ჯანმრთელებში.

ოსტეოპოროზი

დიაგნოსტიკა: მნიშვნელოვანია ძვლის ცვლის შედეგად წარმოქმნილი პროდუქტების განსაზღვრა სისხლსა და შარდში; ზოგჯერ დაავადებას სხვა დარღვევების ფონზე აღმოაჩენენ ხოლმე — ენდოკრინული, კუჭ-ნაწლავის, სისხლის, შემაერთებელი ქსოვილის დაავადებები, გულის უკმარისობა, თირკმლების უკმარისობა, ალკოჰოლიზმი, კვების დეფიციტი. მამაკაცებში ოსტეოპოროზის 30-60% სწორედ მეორადი მიზეზებითაა გამოწვეული.

ოსტეოპოროზის დადგენის საუკეთესო მეთოდია კომპიუტერული ტომოგრაფია. ასევე გამოიყენება ე.წ. აბსორბციული დენსიტომეტრია, ულტრაბგერითი დენსიტომეტრია. ეს მეთოდები ნაადრევი დიაგნოსტიკის საშუალებას იძლევა.

პროფილაქტიკა: ოსტეოპოროზის თავიდან აცილება შეიძლება, თუ პროფილაქტიკურ ღონისძიებებს დროულად დავიწყებთ. ერთ-ერთი მნიშვნელოვანი — ჯანსაღი ცხოვრების წესია. სწორი, სრულფასოვანი კვება — ძვლის ზრდისა და ფორმირების პროცესში ადამიანმა საკმარისი რაოდენობით კალციუმი უნდა მიიღოს, საკვებში კალციუმის დეფიციტის შემთხვევაში კი ხდება მისი გამოლექვა ძვლიდან. ეს ხელს უწყობს დაავადების განვითარებას. ამიტომ ადამიანმა მთელი ცხოვრების განმავლობაში უნდა მიიღოს რძე, მისი პროდუქტები, თევზი, მწვანე ბოსტნეული, ნიახური, ნუში და სხვა.

კალციუმის შეწოვისა და გადამუშავებისთვის აუცილებელია მივიღოთ ვიტამინი D, რომელსაც რძე შეიცავს. ორგანიზმი თვითონაც გამოიმუშავებს მას მზის ულტრაბგერითი სხივების ზემოქმედებით.

მკურნალობა: ოსტეოპოროზის ბაზისურ მკურნალობად ითვლება ჩანაცვლებითი ჰორმონული თერაპია, ასევე ანტირეზორბციული პრეპარატები (ბისფოსფონატები, კარციტონინები). მკურნალობის ნებისმიერ სქემაში აუცილებელია კალციუმისა და D ვიტამინის რეკომენდებული დოზების ჩართვა.

რეკომენდაციები:

— გამართულად იდექით და იარეთ;

— იმუშავეთ მაღალ მაგიდასთან;

— გამართულად დაჯექით;

— დაწექით მაგარ საწოლზე, მუხლებისა და თავის ქვეშ დაიდეთ ბრტყელი ბალიში;

— ზურგის ტკივილის შემთხვევაში დღეში 2-3-ჯერ 20 წუთით დაწექით;

— ატარეთ მორგებული ფეხსაცმელი;

— არ ასწიოთ მძიმე საგნები;

— ერიდეთ უხეშ მოძრაობებს, რომელმაც შესაძლოა ზურგის კუნთების დაჭიმვა გამოიწვიოს;

— არ დაიხაროთ საგნების აწევისას. უმჯობესია მუხლებში მოიხაროთ, ხოლო ზურგი გამართული გქონდეთ.

მაია მუხიგული

პირველად საქართველოში! მხოლოდ ჩვენს კლინიკაში!

მამაკაცთა სექსუალური პრობლემების უნიკალური კომპიუტერული დიაგნოსტიკა ულტრათანამედროვე აპარატურით და მკურნალობა:

სქესობრივი აქტის ჩატარების გაძნელება ან შეუძლებლობა, აქტის ნაადრევი დასრულება ან გახანგრძლივება, იმპოტენციის ქირურგიული მკურნალობა, ასოს ზომების მომატება, ასოს სიმრუდეების კორექცია, ფიმოზი.

ზუსტი დიაგნოზი და ჩვენი მრავალწლიანი გამოცდილება თქვენი მაქსიმალური გაჯანსაღების გარანტიაა!!!

კ. ჩაჩავას სახ. ჭერნატალური მედიცინის და შეანაბა-გინეკოლოგიის ს/კ ინსტიტუტი, საკონსულტაციო-სადიაგნოსტიკო ცენტრი, ქ. კოსტავას 38, სქესლოგიური საავადმყოფო, I სართული, კაბ. 2. ტელ: 99 64 99 მიღება 10-17 სთ-მდე, შაბათ-კვირის გარდა

ანონიმურობა დაცულია!

სამკურნალო გაერთიანება „ლიგა"

სექსოპათოლოგიის კლინიკა

ტელ.: 32 21 21

- ერექციის ხარისხის გაუმჯობესება;
- სქესობრივი აქტის გაუმჯობესება;
- წარუმატებლობის მოლოდინის შიშის მოხსნა;
- სექსუალური ცხოვრების აღდგენა შემდეგი დაავადებების ფონზე:

პროსტატიტი, მაქრიანი დიაბეტი, ტრავმები, ინვალიდობა, გულ-სისხლძარღვთა და ნევროლოგიური დაავადებები.

ვაქცინაციის ცენტრი

(წინასწარი ჩაწერით) ტელ.: 32 44 78

- ფართო სპექტრის მომსახურება უცხოური ვაქცინებით

თბილისი 0186, ვაჟა-ფშაველას გამზ. 83/11

ნამდვილი სიხარულის 4 რეცეპტი

ცხადზე ცხადია, რომ მხიარული და კარგი გუნება-განწყობილება ჯანმრთელობის ერთ-ერთი საფუძველია. საკმარისია ოდნავ მოვეშვათ, რომ ჩვენში ტკბობის შეწყვეტის სიხარულის ჰორმონების გამომუშავება... ასეთ დროს თავში მძიმე აზრები მოგვდის, გული გვიმძიმდება, სევდა და ნაღველი გვიბურუსდება... ყოველივე ეს კი მიგვანიშნებს იმაზე, რომ ძალიან მალე ეცემი და წამლები დაგვჭირდება. ეს რომ არ მოხდეს, გთავაზობთ სიხარულის 4 რეცეპტს:



რეცეპტი №1

დღეში 2-3-ჯერ მაინც გულიანად გადაიხარხარეთ ან გაიღიმეთ მაინც. 10-წუთიანი სიცილი სწრაფად მოგიხსნით დაღლილობასა და თავის ტკივილს, ტკვინს ამარაგებს ენანგბადით, ააქტიურებს გულის მუშაობას.

რეცეპტი №2

რაც შეიძლება იმოძრავეთ (მაგრამ არც იატაკი მოწმენდოთ და ნურც მძიმე ჩანთებს ათრევთ).

კიდევ ერთი მეთოდი — მედიტაცია: სასიამოვნო გუნება-განწყობის შექმნისთვის ჩართეთ თქვენი საყვარელი მუსიკა, დაწექით დივანზე, მსუბუქად ისუნთქეთ, ყურადღება მიაპყარით სხეულის შეგრძნებებს, გააკეთეთ ის, რასაც სხეული გიკარნახებთ: რა სურს თქვენს მარჯვენა ხელს — მშვიდად იდოს თუ მაღლა ასწიოთ? თითებს იქნებ მოხრა სურთ და აშ. და თუ ძალიან მალე მოგინდებათ წამოხტეთ ლოგინიდან და იცეკვეთ, ჩათვალეთ, რომ მედიტაციამ თავისი როლი შეასრულა: ორი დღე-ღამე მაინც იქნებით სიხარულით აღსავსე.

რეცეპტი №3

მაშინაც კი, როდესაც მთელი დღის განმავლობაში არავის გაუბარაზებიხართ, დაძაბული შრომისგან მაინც გროვდება უარყოფითი ემოციები და საღამოსთვის თავს იჩენს დაძაბულობა, ზოგჯერ უძილობაც კი. და, რაც მთავარია, ჯვარს ვიყრით ოჯახის წევრებზე, მერე ვიწყებთ ტირილს, გვჭირდება კატაბალახას წვეთები და აშ.

უარესია, თუ ჩუმად დავაღამებთ, არაფერში გამოვავლენთ წყენას, სტრესს. ამიტომ, შედით აბაზანაში და ხმამაღლა იყვირეთ, იმღერეთ, ილანძღეთ, ან ურტყით მუშტები ბალიშს, სანამ სიბრაზე არ გადაგივლით.

რეცეპტი №4

სასიამოვნო გუნება-განწყობილებისთვის (მით უმეტეს, ცივ, ულიმღამო ამინდში) ყოველდღე უნდა ჭამოთ ყველი, ძეხვი ან თევზი. სწორედ ეს პროდუქტებია მდიდარი სიხარულის მომნიჭებელი ჰორმონით — სეროტონინით.

ასე რომ, დათმეთ ყოველგვარი დიეტა...

მედიცინა

სიახლე!

რინიქოლდი

სწრაფად გაგივლით გაცივების და გripის ყველა სიმპტომი!

იპოვეთ აფთიაქებში!

SHREYA LIFE SCIENCES

შრეია

ინფორმაციისათვის დაგვიკავშირდი: 877-42-44-50

სერტიფიცირებულია

ტირანა

ბრძოლა „დიდი ალბანეთისთვის“

კოსოვოში დაიწყო სერბეთიდან ამ მხარის გამოყოფის ბოლო ეტაპი. მასობრივი შეტევა პროვინციის მცირერიცხოვან მოსახლეობაზე (დაახლოებით 70 ათასი ადამიანი) მიზნად ისახავს ეთნიკური სერბების განდევნას, რომლებიც ოდესღაც უმრავლესობას წარმოადგენდნენ. შეტაკებას 22 ადამიანი შეეწირა.

ყველაფერი დაიწყო ქალაქ პრიზრენის მართლმადიდებლური ტაძრის დაწვით. ალბანელებმა დედაქალაქ პრიშტინაშიც გადაბუგეს ეკლესია. ამ ქალაქს დიდი ხანია ალბანელები აკონტროლებენ. მხოლოდ ახლომახლო სოფლებში სახლობენ სერბები, რომელთაც შეიარაღებული ძალები იცავენ. ალბანელები ირწმუნებიან, სერბებმა ალბანელი ბავშვები სერბეთის საზღვარზე, მდინარე იბარში დაახრჩვესო. ეს ინფორმაცია უარყო გაეროს მისიის წარმომადგენელმა.

5 წლის წინ, ევროპას, რომელიც დათანხმდა ბელგრადის დაბომბვას, ეგონა, ექსტრემიზმს ებრძოდა, მაგრამ პირიქით კი მოხდა — ალბანელი ლტოლვილების მიერ დაპყრობილი კოსოვო ევროპაში ისლამური რადიკალიზმის ეპიცენტრად იქცა. ალბანელი სეპარატისტები თავიდანვე არ მალავდნენ, რომ სურდათ, კოსოვო სერბეთისთვის ჩამოეშორებინათ, ალბანეთისთვის მიეერთებინათ და გამოეცხადებინათ „დიდი ალბანეთი“. კონტინენტის ცენტრში ისლამისტური ზონის გაფართოება ევროპას ხელს არ აძლევს, მაგრამ ალბანელ „ბოევიკთა“ პოლიტიკურ ლიდერს, რომელიც თავს კოსოვოს პრეზიდენტს უწოდებს, ფაქტობრივად, ევროპაც აღიარებს და ამერიკის შეერთებული შტატებიც. გაეროს წარმომადგენლები, ვისი პროტექტორატის ქვეშაც იმყოფება დღეს ამბოხებული მხარე, ირწმუნებიან, რომ ინციდენტი მშვიდობიანად დასრულდება. თუმცა დაღუპულთა რიცხვმა უკვე 35-ს გადააჭარბა, 550-ზე მეტი ადამიანი დაჭრილია, დამწვარია სერბების 400-მდე სახლი, საერთო ზარალი ასობით მილიონ დოლარს შეადგენს.

ნიუზუიქი

ომის მოწინააღმდეგეთა მსვლელობები

ერაყის ომის წლისთავთან დაკავშირებით ათასობით დემონსტრანტმა მიიღო მონაწილეობა საპროტესტო მარშში. სიდნეიში, მიტინგზე გამომსვლელები, ავსტრალიის პრემიერ-მინისტრ ჯონ ჰაუერდს ერაყში ჯარის გაგზავნისათვის აკრიტიკებდნენ. მიუხედავად იმისა, რომ ქვეყნის მოსახლეობა წინააღმდეგი იყო, ავსტრალიიდან 2 ათასი სამხედრო მაინც გაიგზავნა. დემონსტრაციები ჩატარდა დიდ ბრიტანეთში, იტალიაში, ესპანეთში.

ამერიკის შეერთებულ შტატებში დემონსტრაციებისა და მიტინგების რიცხვმა 250-ს მიაღწია. აქციები გაიმართა ნიუ-იორკში, ჩიკაგოში, ლოს-ანჯელესში.

ერაყთან ომის დაწყების პირველ წლისთავთან დაკავშირებით თეთრ სახლში კონგრესის წევრების, პენტაგონის წარმომადგენლებისა და 84 ქვეყნის დიპლომატთა წინაშე გამოსულმა ჯორჯ ბუშმა განაცხადა, — მშვიდობიანი მოსახლეობა ამ ომის წინა ფლანგზე აღმოჩნდა და ყოველი ქვეყნის, მთავრობის მოვალეობაა ამ საფრთხის აღსაკვეთად ბრძოლაო.

ომის დაწყებიდან ერთი წლის განმავლობაში აშშ-მა 586 ჯარისკაცი დაკარგა. ომის დამთავრების შემდეგაც იღუპებიან სამხედროები, ყოველთვიურად დაახლოებით 30-40 ადამიანი. კოალიციის სხვა წევრებიც კარგავენ თვეში დაახლოებით 5 ადამიანს.

ბუშმა აღნიშნა, — ერაყელი დიქტატორის დამხობამ ახლო აღმოსავლეთში მოსპო ძალადობის, აგრესიის, არასტაბილურობის წყაროო.

ამ შეფასებას ბევრი არ ეთანხმება. გაზეთ „მონდში“ საფრანგეთის საგარეო საქმეთა მინისტრი აცხადებს: — სიმართლეს თვალებში უნდა შევხედოთ. ერაყში ადრე ტერორიზმი არ იყო, დღეს კი იგი მსოფლიო ტერორიზმის ერთ-ერთი უდიდესი კერააო.

ნიუს რუ

პუტინი ისევ პრეზიდენტია

ვლადიმირ პუტინმა მეორედ გაიმარჯვა საპრეზიდენტო არჩევნებში. ანალიტიკოსები ცდილობენ, გაერკვნენ — როგორ მოხდა, რომ ადამიანმა, რომელსაც არც დე გოლის გარეგნობა აქვს, არც ჩერჩილის გეში, არც მიტერანის ცბიერება და არც დენ სიაოპინის სიბრძნე, მოახერხა დიდი ნდობისა და სახალხო სიყვარულის დამსახურება.

სტალინს წლები დასჭირდა „ბოლშევიკურ გვარდიაში“ წმენდის ჩასატარებლად და საყოველთაო სიყვარულის მოსაპოვებლად. პუტინი, ხრუშჩოვის მსგავსად, „უბრალოებას“ არ თამაშობს, არც ბრეჟნევივით „მცირე მიწის“ გმირობას იჩემებს, არც გორბაჩოვივით დემოკრატიას იფარებს ფარად, ელცინივით არავის ჰპირდება, ხალხის ბედნიერებისათვის „ლიანდაგებზე დავწვებიო“, მაგრამ მისი პოპულარობა მაინც იზრდება...

ეს საკვირველია ერთობ უმნიშვნელო მიღწევების ფონზე. პუტინის წინამორბედის მიერ დატოვებული პრობლემები (სიღარიბე, კორუფცია, კრიმინალი, ჩინოსანთა უპასუხისმგებლობა) ახლაც არსებობს.

რუსეთის პრეზიდენტი, ცხადია, უნაკლო არ არის, მაგრამ საკვირველი ის არის, რომ ხალხი ამას თვალს არიდებს. კრიტიკოსები პუტინს საყვედურობენ, რადგან ელცინის ოჯახთან დიდხანს ვერ გაწყვიტა კავშირი, მეტისმეტად ჯენტლმენურად შეასრულა ელცინის ხელიდან ხელისუფლების მიღებისას დადებული კონტრაქტი. შესაძლოა ასეც იყოს, მაგრამ პრეზიდენტობის პირველ წელსვე რომ ოლიგარქებისათვის შეეტია, ვაითუ მაშინ ფინანსური და პოლიტიკური ძლიერების მწვერვალზე მყოფ ოლიგარქებს პუტჩი მოეწყოთ, რასაც მძიმე შედეგი მოჰყვებოდა.

პუტინს სრულებით არ უხდება ის ეპითეტები, რომლითაც ბელადის ტიპის ლიდერებს ამკობენ ხოლმე — ბრძენი, გამჭრიახი, უდიდესი და ა.შ. სოციოლოგთა დასკვნით, რუსეთის მოქალაქეები მის სავსებით პროზაულ თვისებებს აფასებენ — ახალგაზრდობას, აქტიურობას, პროფესიონალიზმს...

პუტინის პოპულარობა ნაწილობრივ იმასაც უკავშირდება, რომ ხალხი დაიღალა მისი წინამორბედების უსაქციელობით — ხრუშჩოვი ფეხსაცმელს უბრახუნებდა გაეროს ტრიბუნას, ბრეჟნევი ტუჩებში კოცნიდა უცხოელ ლიდერებს, ელცინი კი ხანდახან ორკესტრსაც დირიჟორობდა, როგორც ეს მოხდა გერმანიიდან რუსეთის ჯარის გამოყვანისას...

არგუმენტი ი ფაქტი №11

ესპანელები ერაყს ტოვებენ

ასნარი წავიდა... გაუმარჯოს საპატეროს

ასნარის მთავრობის რწმუნებით, თავდაჯერებულები იყვნენ — ქვეყანას ავი არაფერი ელის და ერაყის ომის მხარდაჭერა, პირიქით, პოლიტიკურ სარგებელს მოგვიტანსო. წინასაარჩევნო პერიოდში აგენტურა უფრო ბასკების ორგანიზაცია ETA-ს უფრთხოდა.

ესპანელებმა ხოსე მარია ასნარსა და მის მთავრობას ბრალდებად წაუყენეს ის, რომ ქვეყნის მოსახლეობის 90%-ის პროტესტის მიუხედავად, ერაყის ავანტიურაში ჩაება.

ესპანეთის ახალი პრემიერ-მინისტრი ხოსე ლუის როდრიგეს საპატერო სიტყვას ქარს არ ატანს. სოციალისტური მუშათა პარტიის (რომელსაც ის ხელმძღვანელობს) წინასაარჩევნო პროგრამის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი პუნქტი იყო ერაყიდან ესპანეთის ჯარის გაყვანა. არჩევნებში გამარჯვების შემდეგ, რადიოინტერვიუში ხოსე ლუის როდრიგეს საპატერომ დაადასტურა — ნათქვამს ვასრულებ, 1300 ესპანელი ჯარისკაცი 30 ივნისამდე ერაყიდან სამშობლოში დაბრუნდებაო.

ერაყის კოალიციის დაშლაში დიდი წვლილი მიუძღვის აშშ-ის ცენტრალურ სადაზვერვო სამმართველოს, რომელმაც ვერ ააცდინა მადრიდს ტერაქტები. როგორც წესი, სახელმწიფო დეპარტამენტი ამა თუ იმ ქვეყანას აფრთხილებს მათ ტერიტორიაზე შესაძლო ტერაქტების შესახებ. ამჯერად მადრიდი არავის გაუფრთხილებია. რაც შეეხება თავად ესპანეთის სპეცსამსახურებს, ისინი,

სახალხო პარტია, რომელიც 8 წელი იყო ხელისუფლების სათავეში, სწორედ საგარეო პოლიტიკური შეცდომის გამო დამარცხდა, თორემ საშინაო პოლიტიკა თითქმის ყველასთვის მისაღები იყო და გამარჯვებას ისევ ასნარს უწინასწარმეტყველებდნენ. ესპანეთის ეკონომიკაც ევროპის სხვა ქვეყნების ეკონომიკაზე უკეთესად ვითარდებოდა, შეიქმნა 4,2 მლნ დამატებითი სამუშაო ადგილი.

ამდენად, საპატეროს მთავრობა ეკონომიკაში რევოლუციას არ მოახდენს. მთავარ პრიორიტეტად მან ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლა დაასახელა, აგრეთვე ურთიერთობის აღდგენა გერმანიასა და საფრანგეთთან და ტრადიციული კავშირების გამტკიცება ლათინური ამერიკის ქვეყნებთან, სადაც სოციალისტები ბევრნი არიან.

იზვესტია №48

მოკლედ

აშშ-ის კონგრესის გადაწყვეტილებით, ის, ვინც №1 ტერორისტის ადგილსამყოფელზე ცნობას მიაწოდებს, 25 მლნ-ის ნაცვლად 50 მლნ დოლარს მიიღებს.

მოსკოვში ხანძარს შეეწირა მანეჟის ისტორიული შენობა. მხოლოდ კედლები გადარჩა. მანეჟი 1817 წლის ნოემბერში გაიხსნა — ნაპოლეონზე რუსეთის გამარჯვების 5 წლისთავის აღსანიშნავად. წლების მანძილზე მას იყენებდნენ სამხედრო აღლუმებისა და წვრთნის (თავისუფლად ეტეოდა 4 ათასი ჯარისკაცი) ჩასატარებლად. საბჭოთა პერიოდში აქ იმართებოდა კონცერტები, წარმოდგენები, გამოფენები. ხანძრის ჩაქრობისას დაიღუპა 2 მეხანძრე, ერთი ძლიერ დაშავდა.

ამერიკულმა მარსმავალმა სპირიტ-მა გადაიღო ამოუცნობი მფრინავი ობიექტი. მეცნიერები ვარაუდობენ, რომ ეს არის მეტეორი ან 30 წლის წინ მარსზე გაგზავნილი ერთ-ერთი ორბიტული სადგური.

პარიზში, პრეზიდენტ ჟაკ შირაკისა და გერმანიის კანცლერ გერჰარდ შრედერის შეხვედრის მთავარი თემა ტერორიზმთან ბრძოლაა. ლიდერებმა განაცხადეს, რომ მათი ქვეყნებიც შესაძლოა ტერორისტების სამიზნე გახდნენ და ამიტომ საჭიროა მოქმედების ერთიანი, ანტიტერორისტული გეგმის შემუშავება.

ჰოლანდიის პრემიერ-მინისტრმა იან პეტერ ბალკენდემ პრისტონის უნივერსიტეტში გამოსვლისას თქვა: — ყველაფერი უნდა ვიღონოთ, რათა ტერორისტულმა თავდასხმებმა ევროპის ქვეყნებსა და ამერიკას შორის კავშირი არ შეასუსტოს. ტერორისტებმა უნდა იგრძნონ, რომ ჩვენ მათი არ გვეშინიაო.

გაეროს გენერალურმა მდივანმა კოფი ანანმა მოითხოვა დამოუკიდებელი გამოძიების ჩატარება იმის გამოსარკვევად, ჰქონდა თუ არა ადგილი კორუფციას პროგრამა „ნავთობი — სურსათის სანაცვლოდ“ რეალიზაციის დროს. ამ მრავალმილიარდიანი პროგრამის ფარგლებში, რომელიც 1996-2003 წლებში მოქმედებდა, ერაყის ნავთობის გაყიდვით მიღებული თანხა გაეროს ანგარიშზე ხვდებოდა, გაერო კი ამ ფულით იძენდა ერაყში გასაგზავნ სურსათს.

პალესტინა

არაფატი შარს აცილებს ტერორისტების გაკონტროლებაზე

პალესტინის ავტონომიის პრეზიდენტმა უარი თქვა მინისტრთა კაბინეტის წინადადებაზე — გამოიყენოს პალესტინის უსაფრთხოების ძალები ტერორისტული ორგანიზაციის „ჰამასისა“ და „ფათჰის“ წინააღმდეგ. რამალაში, არაფატის რეზიდენცია „მუქათაში“ შეხვედრაზე, პალესტინის ავტონომიის შინაგან საქმეთა მინისტრმა ჰაქემ ბალავიმ და უშიშროების ეროვნულ ძალთა სარდალმა ჰაჯ ისმაილ ჯაბარმა პრეზიდენტს მოუწოდეს, — „ჰამასისა“ და „ალაქსის წამებულთა ბრიგადის“ წინააღმდეგ აქცია განვახორციელოთო. სწორედ ამ ორგანიზაციამ იკისრა ისრაელის ქალაქ აშდოდში ბოლო დროს განხორციელებულ ტერაქტებზე პასუხისმგებლობა.

ბალავისა და ჯაბარს პალესტინის მთავრობის სხვა წევრებიც მიემხრნენ. მათი თქმით, აშდოდში მომხდარი ტერაქტი ისრაელის მხრიდან საპასუხო რეაქციას გამოიწვევს. მინისტრებმა მოუწოდეს არაფატს — „ფათჰის“ აქტივისტები, რომლებიც ხელისუფლებისაგან დამოუკიდებლად მოქმედებენ, დავაპატიმროთო. ამასთანავე, შესთავაზეს, მივიღოთ გეგმა, რომელიც დასავლეთ სანაპიროსა და ღაზის სექტორში უსაფრთხოებაზე პალესტინის კონტროლის აღდგენას ითვალისწინებსო.

მინისტრებმა ისიც კი უთხრეს არაფატს — ხელისუფლება ზოგიერთ რეგიონში ვეღარც კი აკონტროლებს ამ ორგანიზაციებსო.

არაფატი შეეწინააღმდეგა მთავრობის წევრებს, უარი თქვა „ჰამასსა“ და „ფათჰიზე“ კონტროლის დაწესებასა და პალესტინელებისთვის უკანონო იარაღის ჩამორთმევაზე.

ვლასტი №12

გვერდი მოამზადა ნანა ანტონოვა-ილურიძემ



საქართველომ „ბეწვის ხიდზე“ გაიარა — „კვირის პალიტრის“ თვალით დანახული სინამდვილე

(დასაწყისი იხ. გვ. 11)

თუ ამ ჯგუფმა ქებით ცაში აიყვანა ასლან აბაშიძე, სამაგიეროდ, ახალგაზრდები სულ სხვა აზრისა იყვნენ აჭარის ხელისუფლებაზე. ერთმა ქედელმა ახალგაზრდამ მიამბო: — ასლანი და მისი გარემოცვა მთლიანად დასაჭერია. ისეთი დამნაშავეები არიან, სისხლის სამართლის კოდექსის თითქმის ყველა მუხლი მიუდგებათ. მაი რა არის იმასთან შედარებით, რაც დღეს ხდება აჭარაში, კერძოდ კი ბათუმში. ჩამოჰყავთ აჭარის უშიშროებისა და შინაგან საქმეთა მინისტრების ბრძანებით ხულოდან, ქედიდან, ხელვაჩაურიდან, ქობულეთიდან მოსახლეობა. ურიგებენ იარაღს და მოუწოდებენ ომის გაჩაღებისკენ. აჭარელი ხალხის სახელით ლაპარაკის უფლება ვინ მისცა მაგათ?! თავის დროზე არჩევნების გაყალბებით წამოგვასხდნენ თავზე და დღემდე ყვლეფენ აჭარას და მთელ საქართველოს.

— **ვინ ურიგებს იარაღს?**

— აჭარაში მჭიდრო ნათესაური კავშირები არსებობს. რაიონის პოლიციის უფროსი თავის სანათესავოს აძლევს იარაღს. ნებისმიერი პოლიციელის რეკომენდაციაა საკმარისი იარაღის მისაღებად. ქაღალდის ნაგლეჯზე იწერენ, იარაღის ნომერს და ვის მისცეს — სულ ეს არის.

— **ამბობენ, ფულსაც არიგებენო.**

— აბა, უფულოდ ვინ წამოვა სახლიდან და ვინ დაიკავებს იარაღს ხელში? ხალხს ფული არა აქვს და ერთი-ორი კაპიკის გასაკეთებლად მოდიან. ზოგი კი მიტინგებზე საყვირლად მოჰყავთ და ისინიც თავგამოდებით გაჰყვირიან „ბაბუ, ბაბუს!“...

ბულვარიდან ნავსადგურისკენ გადავინაცვლეთ. აქ რამდენიმე საცეცხლე წერტილი მოეწყოთ. როდესაც აპარატი მოვიმარჯვე და ადგილის შერჩევა დავიწყე ფოტოს გადასაღებად, ჩემკენ სირბილით გამოემართა შეიარაღებული პირი. ავტომატი ისე ეჭირა, მივხვდი, გლეხი იქნებოდა. მკაცრად ამიკრძალა გადაღება. უხმოდ დავემორჩილე მის ბრძანებას და ნავსადგურს გავეცალე, თუმცა ფოტო მაინც გადავიღე. კარგა ხნის შემდეგ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს შენობასთან დავბრუნდი. მოლაპარაკება ჯერ კიდევ მიმდინარეობდა. შებინდებული იყო, როდესაც შენობიდან ნინო ბურჯანაძე და ასლან აბაშიძე გამოვიდნენ. ჟურნალისტებთან ხანმოკლე საუბარში ორივე მხარემ დაადასტურა, რომ ყველაფერი მშვიდობიანად და მხოლოდ მოლაპარაკების გზით უნდა გადაიჭრას და რომ ხვალისთვის აბაშიძეს პრეზიდენტი შეხვდება. „კვირის პალიტრის“ კითხვაზე, „მოლაპარაკება ხომ კომპრომისს ითვალისწინებს, რა კომპრომისებზე მიდიხართ?“ პასუხის გაცემას თავი აარიდეს... ის ღამე ჟურნალისტებმა იმაზე მსჯელობაში გაათენეს, რა დათმობებზე წავიდოდნენ საქართველოს ხელისუფლება და ასლან აბაშიძე. ბევრი ვერსია გამოითქვა. ზოგიერთმა ისიც თქვა, აბაშიძე პრეზიდენტისაგან ხელშეუხებლობის გარანტიას მიიღებს და მერე გადადგებაო.

საღამოს, სასტუმროს რესტორანში რომ შევედით სავახშმოდ, რესტორნის გამგე საუბარი გაგვიბა: „ძან მეშინია, ძამა. ორი ყაზილარი მყავს სახლში. ყოველ საათს ვურეკავ და ვაფრთხილებ, ქალაქში არ გახვიდეთ და ვინცხამ არ მოგატყუოთ და იარაღი არ შემოგაჩეჩოთ-თქვა. ვიცი, ჩემი ბაღნები არ გესვრიან, მარა ხო იცი, ეშმაკს არ ძინავს. კიდო ეს უბედურება გვინდა? ჩამოდით, ჩავეხუტოთ ერთმანეთს, ვიქეიფოთ და მერე წაით თქვენს სახლში. მერე ჩვენ ჩამოვალთ თბილისში და იქაც ვიქეიფოთ. ტყვიების სროლა გვინდა ჩვენ ახლა? სა უნდა გამოვყოთ თავი, ხომ შევრცხვით მსოფლიო დონეზე კიდევ ერთხელ — ქართველები ერთმანეთს დაერივნენო“.

როგორც გითხარით, სარფის საბაჟოზე მოხვედრის საშუალება რომ არ მომეცა, ბათუმში დავბრუნდი. ქალაქის ცენტრალური ნაწილის ორ მოედანზე მომიტინგეები შეგროვილიყვნენ. ერთ მოედანზე, სადაც ბათუმის თეატრი მდებარეობს, ასლან აბაშიძის მხარდამჭერები გროვდებოდნენ, ხოლო მეორეზე აჭარის გაერთიანებული ოპოზიციის მხარდამჭერები იყრიდნენ თავს. იგივე ხდებოდა აჭარის უზენაესი საბჭოს შენობასთან, მაგრამ მისი მიმდებარე ტერიტორია მხოლოდ აბაშიძისა და „აღორძინების“ მხარდამჭერებს ჰქონდათ „დაპყრობილი“. უზენაესი საბჭოს შენობასთან პრეზიდენტის ესკორტის გამოჩენამდე კარგა ხნით ადრე, „აღორძინების“ მომხრეებმა რეპეტიცია დაიწყეს. „ბაბუ, ბაბუ“, ისმოდა შეძახილები, მაგრამ ყველაზე მეტად ყური მომჭრა შეძახილმა — „გაუმარჯოს დამოუკიდებელ აჭარას!“. იქაურობას გავეცალე და „ჩვენი აჭარის“ ოფისს მივაშურე.

თამაზ დიასამიძე ტელეფონით ფოთში მყოფ „ჩვენი აჭარის“ მეორე ლიდერს, კობა ხაბაზს ესაუბრებოდა: „ახლა მოედანზე 2.000 კაცი იქნება, მაგრამ სანამ პრეზიდენტი ჩამოვა, ალბათ სამ-ოთხჯერ გაიზრდება ჩვენი მხარდამჭერთა რიცხვი. როგორც მითხრეს, პოლიციას ჩაუკეტავს სოფლების გზები, ხეობები და ჩვენს ხალხს არ ატარებენ. ისინი საცალფეხო ბილიკებით მოდიან ბათუმში. ქობულეთში, პრეზიდენტმა რომ არ დაინახოს, შეიარაღებული რაზმები ფიჭვნარში ღრმად შეიყვანეს და იქ გადამალეს. მონობარათები ამოიღეს გაყიდვიდან. რა ვქნა, ამჟამად მეტი ხალხი არ არის, მაგრამ ნუ გეშინია, გამოაღწევენ კორდონებს და შემოგვიერთდებიან. მოკლედ, არაფრის არ გვეშინია და არაფერს არ დავუთმობთ...“. ბატონმა თამაზმა სატელეფონო საუბარი დაასრულა და დრო ჩვენ დაგვითმო:

— **საქართველო კიდევ ერთ ძმათამკვლელ ომს ვერ გადაიტანს.**

— ომი არ იქნება. ამას არც პრეზიდენტი დაუშვებს და არც ჩვენ. „აღორძინება“ არსებობის უკანასკნელ წუთებს ითვლის. მალე დასრულდება აბაშიძის კლანის პარპაში. აბაშიძე და მისი გარემოცვა უნდა წავიდნენ ხელისუფლებიდან, წინააღმდეგ შემთხვევაში, არჩევნების შემდეგ სრული კრახი გარანტირებული აქვთ. ვერ გაიმარჯვებენ, ეს თვითონაც ძალიან კარგად იციან და ამიტომაც მიიყვანა აბაშიძემ რეგიონი ამ არეულობამდე. ალბათ, პრეზიდენტისა და აჭარის მეთაურის მოლაპარაკების შემდეგ, არჩევნებამდე დროებითი ზავი ჩამოვარდება...

— **მერე რაღა იქნება?**

— მერე აბაშიძის პარტია დამარცხდება არჩევნებში და თუ მოახერხეს და მაინც გააყალბეს შედეგები, ხალხი უნდობლობის რეფერენდუმის ჩატარებას მოსთხოვს. ან მანამდე საქართველოს გენერალური პროკურატურა აღძრავს აბაშიძის წინააღმდეგ სისხლის სამართლის საქმეს. საქმის აღსაძვრელად ყველა საფუძველი აქვს პროკურატურას, მაგრამ არ შეიძლება დიპლომატიური მოლაპარაკებების გამართვა კაცთან, რომელზეც საქმეა აღძრული. ადრე თუ გვიან, ასლან აბაშიძე გასამართლდება ხელისუფლების წინააღმდეგ შეიარაღებული ამბოხის ორგანიზების, მასობრივი არეულობისკენ მოწოდების, უკანონო შეიარაღებული ფორმირებების შექმნისა და სხვა ბრალდებებით.

ახლა მისი დამქაშები ხალხს ფულს უხდიან, რომ ჩოლოქზე და ბათუმში მიტინგებზე დადგნენ და „ბაბუ, ბაბუ“ იყვირონ. გუშინ ჩოლოქზე დადგომის „სტავკა“ 100 დოლარამდე გაიზარდა...

„ჩვენი აჭარის“ ოფისიდან გზად მიმავალს ისევ ჩვენი აგენტი გამომეცხადა(!). იგი დიასამიძესთან ოფისში არ შემომყოლია. მიხვდა, იქ გაშიფრავდნენ და საფრთხეს თავი აარიდა. ისევ უზენაესი საბჭოს შენობასთან მივედი. უამრავ ხალხს მოეყარა თავი. ჟურნალისტებს, მათ შორის, სხვადასხვა ქვეყნის საინფორმაციო საშუალებების წარმომადგენლებს და უამრავ შეიარაღებულ პირს მთელი ქუჩა გაევსოთ. მათ აბაშიძის მხარდამჭერებიც ემატებოდნენ. დრო ვიხელთე და უზენაესი საბჭოს შენობის წინ მდებარე აჭარის იუსტიციის საბჭოში შევედი და საბჭოს მდივანს, **როსტომ გუნთაიშვილს** კომენტარი ვთხოვე: „სახელმწიფოს მართვა პოლიტიკური ხელოვნებაა. მთავრობის მეთაურობა დიდ ინტელექტს, შინაგან კულტურას, ემოციების კონტროლის უნარს, გამოცდილებას, ფსიქოლოგიურ მომზადებასა და კიდევ სხვა თვისებების სინთეზს მოითხოვს. დღევანდელი საქართველოს პრეზიდენტის ამბიცია იმასთან დაკავშირებით, მე გავაგდე შევარდნაძე, ჩემთვის არ არსებობს წინაღობა და ჩემთვის ყველაფერი დასაშვებიაო, მიუღებელია. იგი ახალგაზრდაა, ბევრ რამეს ახლა სწავლობს, მაგრამ იმ ფორსმაჟორულ სიტუაციაში, რომელიც აჭარაში შეიქმნა, კარგად უნდა გარკვეულიყო. მან ვერ შეაფასა მოწინააღმდეგის ძალები. ვფიქრობ, ადრე თუ გვიან, მისი გარემოცვა ეტყვის პრეზიდენტს, რომ აჭარის მიმართ მან სერიოზული შეცდომა დაუშვა — ვიმეორებ, მისი აჭარაში 14 მარტს დილით შემოჭრის მცდელობა შეცდომა იყო.

— **იგი პრეზიდენტია და სადაც უნდა და რა დროსაც უნდა, მაშინ ჩავა ქვეყნის ნებისმიერ რეგიონში, თუნდაც გაუფრთხილებლად.**

— ფორმალურად ასეა, მაგრამ ნორმალურად, ლოგიკურად, კაცურად რეგიონში მოულოდნელად სტუმრობა, ისიც უთენია, არ უნდა იკადრო... თუ სხვა მიზანი არ გაქვს. დარწმუნებული ვარ, იგი შეცდომაში შეიყვანეს.

— **თქვენ დარწმუნებული ხართ ალბათ იმაშიც, რომ მიხეილ სააკაშვილი და ასლან აბაშიძე ერთად ვერ „მოძოვენ“. ამ შემთხვევაში, ხომ არ ჯობია, საქართველოსთვის და თვითონ ასლან აბაშიძისთვისაც თავისი ნებით წავიდეს თანამდებობიდან? ბოლოს და ბოლოს, შევარდნაძე გადადგა...**

— ასლან აბაშიძემ ჯოჯოხეთური შრომა გასწია აჭარის ასაყვავებლად. თქვენ მცდარი შეხედულება გაქვთ მასზე. რა მიზეზით უნდა გადადგეს? თითიდან გამოწოვილი და შეთითხნილი დეზინფორმაციების გამო? სოფლის გამგებელი ცოლს რომ გაეყაროს, განა ეს ნიშნავს იმას, რომ სოფელში ყველა მამაკაცმა ოჯახი დაანგრიოს?

— **გინდათ თქვათ, რომ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ხელისუფლებაში კორუფცია არ არსებობდა?**

— კორუფცია არსებობდა ჩვენთან და ძალიან დიდი დოზებით საქართველოს ხელისუფლებაშიც — ცენტრში. იგი არსებობდა საქართველოს ნებისმიერ რეგიონში. როდესაც მთელი სხეული დაავადებულია, არ შეიძლება მისი რომელიმე ნაწილი იყოს ჯანსაღი. თევზი ყოველთვის თავიდან ყარს.

— **თევზი კი ყარს თავიდან, მაგრამ მის გასუფთავებას ყოველთვის კუდიდან იწყებენ... როგორ ფიქრობთ, რა შედეგით დამთავრდება დღევანდელი მოლაპარაკება?**

— ვფიქრობ, ყველაფერი მოწესრიგდება. ამაში დიდი ღვაწლი მიუძღვის ნინო ბურჯანაძეს. სწორედ მან შეუწყო ხელი სიტუაციის განმუხტვას. იგი ჭკვიანი პოლიტიკოსია და არასოდეს ცრუობს. რასაც დაგპირდება, იმას აკეთებს. თუმცა მას მაინც არ ენდო საქართველოს ხელისუფლება და აბაშიძესთან შესახვედრად ზურაბ ადეიშვილი გამოაყოლა. შვიდი საათი ჩუმად იჯდა ადეიშვილი მოლაპარაკების მაგიდასთან და ისმენდა, თუ რას იტყოდა ბურჯანაძე. კონფიდენციალური საუბრის საშუალება არ მისცეს ბურჯანაძეს აბაშიძესთან. თუნდაც ეს ფაქტი მრავლისმეტყველია...

ჩვენ გავესაუბრეთ ბათუმის ვიცე-მერს, **ჯამბულ ნინიძეს**. მისი თქმით: — საქართველოსა და აჭარის ბიუჯეტმა ეკონომიკური შეზღუდვის გამო, რომელიც თითქმის 4 დღეს გაგრძელდა, დაკარგა მინიმუმ 14 მლნ დოლარი. ამას დაუმატეთ იმ კერძო კომპანიების ზარალი, რომლებიც ტვირთების გადაზიდვას ეწევიან და მაშინ ეს თანხა გაორმაგდება...

ჩემთვის გადავიანგარიშე — თუ ყოველ ოთხ დღეში აჭარის ბიუჯეტი 14 მილიონს კარგავს, მაშინ ეს ციფრი წელიწადში დაახლოებით 1 მლრდ 260 მლნ დოლარს შეადგენს. თუ ამ ციფრს ლარებში გადავიყვანთ, აჭარის შემოსავალი (მხოლოდ ნავთობის ტრანზიტით) 2 მილიარდ-ნახევარი გამოდის, ანუ მთელი საქართველოს ბიუჯეტზე მეტი. აქედან გამომდინარე, გასაგებია, რატომ არ თმობენ ასლან აბაშიძე და მისი გარემოცვა ამ მსუყე ლუკმას.

დაბინდებული იყო, როცა პრეზიდენტი და ასლან აბაშიძე აჭარის უზენაესი საბჭოს შენობიდან გამოვიდნენ. როგორც იცით, ყველაფერი მშვიდობიანად (გვინდა გვჯეროდეს, რომ სამუდამოდ) დამთავრდა და შეზღუდვებიც მოიხსნა. ბათუმის ნავსადგურსა და სარფის საბაჟოს ბათუმის ხელისუფლებასთან ერთად პრეზიდენტის რწმუნებულები გააკონტროლებენ. დაცული იქნება საარჩევნო ნორმები და სიტყვის თავისუფლება, ამოღებული და ჩაბარებული იქნება გაუფორმებელი ავტომატური იარაღი, საქართველოსა და აჭარის პროკურატურის გამომძიებლები ერთობლივად გადახედავენ დაკავებულ პირთა საქმეებს.

შეხვედრის შემდეგ პრეზიდენტი ოდნავ შეცბუნებული იყო, მაგრამ უკეთეს დღეში არც ასლან აბაშიძე ბრძანდებოდა. ორივე მხარეს ეტყობოდა მიღწეულით დაუკმაყოფილებლობა. მიუხედავად იმისა, რომ გვიანი იყო, ქობულეთში ჩასულმა ფიჭვნარში მაინც გავიარე. იქ ჯერ კიდევ დააბიჯებდნენ შეიარაღებული ნასვამი პირები. ბევრს ქობულეთის „ინტურისტის“ წინ მოეყარა თავი. რამდენიმემ ექვიანი მზერაც გამომაყოლა.

ჩოლოქისკენ გავწიე. გახარებული ვიყავი — მე მომსწრე ვარ იმისა, თუ როგორ დაიწყო აფხაზეთში ომი. იქაც სწორედ ისევე დაიძაბა სიტუაცია, როგორც ამ რამდენიმე დღის წინ აჭარაში და ახლა ბედნიერი ვიყავი, რომ საქართველოს ხელისუფლებას (ასევე აჭარის ხელმძღვანელობასაც) ეყო გონიერება და სიტუაცია განმუხტა. არადა, მერწმუნეთ, ძმათამკვლელ ომამდე რამდენიმე საათი იყო დარჩენილი. ერთი გაუფრთხილებელი გასროლა, ერთი უდანაშაულო ადამიანის დაღვრილი სისხლი და საქართველოს უკიდურესი სამხრეთ-დასავლეთი ომის ღმერთის ასპარეზად იქცეოდა. სამწუხაროდ, ყველაზე კარგად ქართველებს, ჯერ-ჯეროობით, ერთმანეთის მტრობა შეგვიძლია. საბედნიეროდ, დღეს ღმერთმა ინება და საქართველო არ გაწირა.

ზვიად ჩაკვეტაძე

ნავსადგურის ტერიტორიაზე საცეცხლე წერტილებთან შეიარაღებული სამოქალაქო პირები დასეირნობდნენ

ამერიკა-ისრაელის ერთობლივი წარმოება
უნივერსალური სასათბურე ფირები
გარანტირებული დაცვა
- მზის მავნე გამოსხივებისაგან
- ვირუსებისა და მწერებისაგან
- ცვარისაგან
- ტემპ. ცვალებადობისაგან
- მოყინვისა და ჩახურებისაგან
- გარანტია = 2 წ; 3 წ
სიახლე
მრავალწლიანი პრაქტიკული გამოცდილებით საქართველოში
შპს შალი, თბილისი, მარჯანიშვილის 5
ტელ: 267888; 969164; ტელ/ფაქსი: 969195;
მობ: 8.99. 569195; 899 931110
ამერიკა-ისრაელის ერთობლივი წარმოება
იაფი მაღალი ხარისხი

საქართველოს ეროვნულმა ბანკმა 20 მარტიდან დაადგინა ლარის მიმართ უცხოური ვალუტის შემდეგი კურსი:

აშშ დოლარი	2,0000
ევრო	2,4757
ინგლ. გირვანქა სტერლინგი	3,6630
რუსული რუბლი	0,0702
თურქული ლირა (1.000.000)	1,5175

„ალუმინის“ ფირმის
მეტალოპლასტმასის კარ-ფანჯრები
ძალიან იაფად
ფერები: თეთრი, ნაბლის ტექსტურით, მუხა, მუქი მუხა, მაკაგონი, წითელი ხე და ა.შ.
ჩვენი პროფილი — 3-კამერიანია
მის: წერეთლის 141 მ. „დიდუბის“ გვერდით
☎26-30-50; 34-49-40; 61-32-37; 899-51-51-09; 899-902-091; ტ/ფაქსი: 966-779

შპს „გეოკორი“ აწარმოებს ბურღვით სამუშაოებს სასმელი და ტექნიკური წყლის მისაღებად
მის: აკურის ქ. №8 (საორბის სასახლის უკან), ოთ. 118
ტ: 33-26-75; 38-24-02

კემბრიჯის საერთაშორისო ინგლისური და ინტერნეტის კლუბი
ინგლისური ენის სწავლება და ინტერნეტი უფასოდ:
- სტუდენტთა გაწევრიანება კემბრიჯის ინგლისურ კლუბებში ინტერნეტის საშუალებით. მონაწილეობის მიღება მათ პროგრამებში - ენის შესწავლა ეტაპობრივად, კონკურსები და სხვ.
- ინფორმაციების მოპოვება კომპიუტერული ენციკლოპედიების საშუალებით (Britannica, Encarta, Webster).
- დოკუმენტური და საინფორმაციო ვიდეოფილმები.
- შეხვედრები და საუბრები უცხოელ სტუმრებთან.
- კლუბის უცხოელ წევრებთან დაკონტაქტება, მათთან საუბარი და მიმოწერა კომპიუტერის საშუალებით.
- კომპიუტერის და ინტერნეტის მომსახურება.
მის: შარაშიძის ქ. 5 (ნიკოლაძის შესახვევი), ☎/ფაქსი: 92-34-54; 22-04-70

ცხოვრებისეული კურიოზები

1. „შპიონი"

ანდროპოვის რეჟიმი დგას. ერთი ამბავია დალევაზე, სამსახურში დაგეგიანებაზე. დიდ წარმოებაში ვმუშაობ ქუთაისში. ერთი რუსი მყავს სამსახურში, ევგენი, უბედური ჩამშვები. გვიჩივის ყველას დაგეგიანებაზე ან ნასვამს თუ ნახავს ვინმეს... 5 კაცი მაინც მოახსენვინა უფროსს. ერთი სიტყვა ისწავლა მარტო ქართულად — „უპროსო", მეტი ბაიბურში არაა. იცოცხლე, იმას დღე ვაყარე.

ძმაკაცი მყავდა ერთი, კოქოია. მოვილაპარაკეთ, როგორც კი დაადემინებდა, დედიშენის-მეთქი — ვუუბნებოდი და მხარზე ხელს დავკრავდი. ბევრჯერ მოხდა ასე, გრიპი იყო მოდებული. მერე ევგენის რომ დაადემინა, ორივე ზრდილობიანად მივედით, მხარზე ხელი დავკარით და „დედიშენის!" — ვუთხარით. „სპასიბა!" გვითხრა და თან გვკითხა, რას ნიშნავსო. ჩვენც ავუხსენით, რომ დედას ეყოლე კარგად, ამას ნიშნავსთქო. — ა, დედა, დედა!.. რაღაც გაახსენდა ვითომ.

...ჰოდა, ერთხელ შუა თათბირზე „უპროსოს" დაადემინა. ახტა ევგენი, დაუტყაპუნა მხარზე ხელი და დედიშენისა, უთხრა... იქ ამბავი დატრიალდა, კი მიხვდებით. მეორე დღეს „მობოლტეს" ჩამშვები ევგენი სამსახურიდან.

ჯანო ონიანი, ქუთაისი

2. როგორ შეაშინეს მილიციელებმა გივი

გასული საუკუნის სამოცდაათიან წლებში ფარმაკოქიმიის ინსტიტუტში ვმუშაობდი. მცენარეთა დამამზადებელი გვყავდა, ხანში შესული კაცი, ლევან არეშიძე. მცენარეებს მე ვაჩვენებდი ხოლმე ბუნებაში და ამიტომ, ხშირად გვიხდებოდა ერთად ყოფნა. ერთხელაც, გაგანია სეზონის დროს, აღარ გამოჩნდა ლევანი და შინ მივაკითხე. დაღონებულმა გამიღო კარი.

— რა გჭირს, ძია ლევან-მეთქი, რომ კკითხე, გული ამოუჯდა, მაგრამ თავი შეიკავა და ამოღერღა.

— რაღა რა მჭირს, შვილო, შენთვისაც ბევრჯელა მაქ ნათქვამი, ჩემი უფროსი შვილი, გივია, უსაქმურად დაყიალობს და ლოთობს, დღედაღამ მთვრალია. მივედი მილიციაში და უფროსსა ვთხოვე — ცოტა შემიშინეთ-მეთქი და კარგიო. მისამართი მივე, მეორე დღეს, შუაღამისას ნაიყვანეს და შააგდეს კამერაში — ახლაც იქ არი. ერთი კვირაა, ვეხვეწები — გამოუშვით, ეყოფა-მეთქი, მაგრამ საქმეში ხარ? — 5 ათას მანეთსა მთხოვენ. ნათესავებში დავრბიავარ და ვაგროვებ 100-100 მანეთს. ხვალ გამოვაშვებინებ და ზეგ მოვალ სამუშაოზეო.

აი, ასე შეაშინეს მილიციელებმა გივი, რომელსაც იმის შემდეგ ერთი წვეთი ღვინო აღარ დაულევია — არაფზე გადავიდა...

ნიკოლოზ იოსებიძე, თბილისი

3. ხადამდე მივიდა ცხოვრება...

უმუშური ფიქრებისგან თავის დასაღწევად ცოტა ხნით მონასტრული ცხოვრება გადავწყვიტე. საქართველოში არსებული თითქმის ყველა ეკლესია-მონასტერი მოვინახულე. ქვათახევის მონასტერში ყოფნისას ასეთი კურიოზი შეგვემთხვა მე და ჩემს სულიერ ძმას კ-ს (ის მოგვიანებით მღვდლად აკურთხეს, ამიტომ მისი ვინაობის დასახელებისგან თავს შევიკავებ):



შუა ზამთარია, თოვს, ყინავს. ჩვენ მრევლის მიერ შემოწირულ სამხედრო „ბუშლატებში" ვართ გამოწყობილნი. ერთხელაც, ექსკურსანტები ამოვიდნენ მონასტერში. იქვე, თვალწარმტაც ბუნებაში ახლედახელო სუფრა გაშალეს და ერთმანეთს გაეჯიბრნენ ტრაფარეტული სადღეგრძელოების თქმაში. ბოლოს „ნამეტნავად" რომ გადათვრნენ, აშკარად შარის ხასიათზე დადგნენ, მეტადრე ერთი ახმახი აქტიურობდა. სხვა რომ ვერაფერი მოიფიქრა, ჩვენს „სამხედრო აღჭურვილობაზე" მიგვითითა და კატეგორიულად მოითხოვა ახსნა-განმარტება.

კ-მაც არც აცია, არც აცხელა და: — არ გაგიგიათ? ყველა მონასტერში სამხედრო რეჟიმია შემოღებული. თავიდან ფორმებით დაიწყეს, სულ მალე კი „პულიმიოტებსაც" დაგვირიგებენო!

ახმახმა, როგორც ჩანს, დაიჯერა და დანანებით გადააქნია თავი, — ხედავ, სადამდე მივიდა ცხოვრებაო.

ემზარ ფრუიძე, წყალტუბო

4. ჯერიომი ჰოხპიტალში

ეს ამბავი მოხდა 1946 წელს, პოსპიტალში, სადაც მამაჩემი იყო ერთ-ერთი განყოფილების გამგე. მასთან იწვა უფროსი ლეიტენანტი იგორ პეტროვიჩი (გვარი არ მახსოვს), 35-36 წლის. — ახალგაზრდა, ზრდილი, ლამაზი, ჭკვიანი და სერიოზული. ყველა პატივს სცემდა. ამავე განყოფილებაში უფროს ექთანად მუშაობდა საგარეჯოს რაიონიდან ახალი ჩამოსული ეშხიანი, მოხდენილი გოგონა, 20-22 წლის თალიკო, რომელმაც რუსული არ იცოდა, მაგრამ დაჭრილებს მართლაც რომ მალამოდ ედებოდა.

ერთ დღეს შემოვლაზე გაირკვა, რომ იგორს ჰქონდა მაღალი სიცხე. თალიკოს დაევალა, იგორისთვის მეორე დღეს ოყნა გაეკეთებინა (თუ იგი კუჭში მანამდე ვერ გავიდოდა).

მეორე დილას თალიკომ მომზადა ყველაფერი ამ პროცედურისთვის, მაგრამ არ იცის, როგორ ჰკითხოს. ვერც სხვას ჰკითხა რჩევა, მოერიდა... ბოლოს, როგორც იქნა, გაბედა. მივიდა სიცხიან ოფიცერთან და შშვიდი ხმით ჰკითხა: იგორ პეტროვიჩ, გ...ო ხოჩუშ? ოფიცერი გაგიჟებული წამოვარდა, მაგრამ რომ ნახა, პალატაში ყველა სიცილით იხოცებოდა და გაიგო, რამიც იყო საქმე, თვითონაც აუვარდა სიცილი. თალიკო კი ტირილით გამოვარდა გარეთ.

ამ ამბიდან ოთხი თვის შემდეგ ისინი შეუღლდნენ და ბედნიერები გაემგზავრნენ უკრაინაში.

ლელა, თბილისი

5. ძალად მექორწილენი



ხონის ფეხბურთელთა გუნდს თელავში ჰქონდა თამაში. თელავიდან გვიან გამოვედით. ზესტაფონს რომ მოვუახლოვდით, მანქანებმა სიგნალები ჩართეს და ჩვენი მანქანის წინ ჩამწკრივდნენ. მივხვდით, რომ მექორწილეთა კოლონა იყო. ჩვენმა თანაგუნდელმა ჩაილაპარაკა, ამხელა გზიდან მოვდივართ, ახლოს თუ არის ქორწილი, გავყვეთ მექორწილეებს, ვინ გაიგებს, ვინ ვართო. ასე აღმოვჩნდით ქორწილში ზესტაფონის ერთ-ერთ ულამაზეს სოფელში. თამადის არჩევის შემდეგ მოადგილე ჩვენი სუფრიდანაც მოითხოვეს, ჩვენც დუდარი საწოც წარვუდგინეთ. ქორწილი მართლაც მხიარულად წარიმართა. შუა სმაში რომ ვიყავით, ოჯახის უფროსი მოვიდა და დუდარს ხელი გადახვია. — ბიჭებო, თქვენ გენაცვალეთ, — დაიწყო მასპინძელმა, — ჩემი შვილების ქორწილი რომ გაამხიარულეთ, მერე რა, რომ დაუპატიჟებლები ხართო. თან დუდარს უთხრა, აბა, შენ იცი, თამადა უნდა წააქციო! დუდარმა დავალება პირნათლად შეასრულა. წამოსვლისას პურმარილიც ბლომად გამოგვატანეს. მოკლედ, ქეიფ-ქეიფით ჩამოვედით ხონში.

ამბერკი ტაბიძე, ხონი

მკითხველის საყვარელი ანეკდოტი

6. სვანები ბრაზილიელებს ეკითხებიან:

— როგორ თამაშობთ ასე ლამაზად ფეხბურთს?

— მანეკენებს ვიყენებთ ვარჯიშის დროს!

— იყო პასუხი.

ერთი თვის შემდეგ სვანები ბრაზილიელებს ურეკავენ:

— გვიშველეთ რამე, მანეკენები გვამარცხებენ!..

კობა ხატისაშვილი, თბილისი

7. სეროჟას უთხრეს:

— შენზე ამბობენ, სალიტერატურო ენით არ ლაპარაკობსო!..

— ვიზე, მეზე?

კოტე ჩოკორაია, თბილისი

8. რუსი, ფრანგი და მიხო ძაღლებს აჯობრებენ ლაპარაკში.

— პრივეტ! — თქვა რუსმა ძაღლმა.

— ბონჟურ! — თქვა ფრანგმა ძაღლმა.

— შე შობელძაღლო, მიყიდე კალბასი! — დაიღრიალა მიხოს ძაღლმა.

ზურაბ მესხი, ფოთი

9. გურულმა ტელევიზორი მიიტანა ხელოსანთან შესაკეთებლად. ორი კვირის შემდეგ მიაკითხა, მაგრამ მზად არ დაუხვდა.

— რეიზა არ გააკეთე აი ტელევიზორი? — ეკითხება ხელოსანს.

— რა ვიცი, რომ არ შემოიარე...

— შემოიარე, რავა, „პრიმერკა" უნდოდა თუ?! — გაცხარდა გურული.

აზა მყავანაძე, თბილისი

ყურადღება!

კურიოზების კონკურსი

„კვირის პალიტრამ" მკითხველის პრემია კურიოზების გვერდისთვისაც დააწესა. კონკურსში მონაწილეობის მისაღებად ავტორებმა უნდა გამოგზავნონ რედაქციაში კურიოზები, ახალი სასაცილო ამბები, ანეკდოტები. საუკეთესოები გამოქვეყნდება.

მიანიჭეთ პრემია საუკეთესო კურიოზის ან ანეკდოტის ავტორს.

თუ რომელიმე კურიოზმა ან ანეკდოტმა თქვენი მოწონება დაიმსახურა (ყველაზე მეტად), აღნიშნეთ მისი ნომერი ქვითარში და გამოგვიგზავნეთ.

თქვენი ხმა არ დაიკარგება და თვის ბოლოს გადაწყვეტს გამარჯვებულის ვინაობას.

ხმები დაითვლება და თვის განმავლობაში ყველაზე მეტი ხმის მფლობელი კურიოზის/ანეკდოტის ავტორი მიიღებს პრემიალურ — 50 ლარს, მომდევნო — 30-ს, III ადგილზე გასული ავტორი კი — 20 ლარს.

კურიოზების კონკურსი

საუკეთესო კურიოზის ან ანეკდოტის ნომერი ___

კვირის პალიტრა №12

ეს ქვითარი „კვირის პალიტრის" („სიტყვა და საქმის") საფოსტო ყუთში უნდა მოათავსოთ რაიონებში ოთხშაბათის, 24 მარტის 10 საათამდე, თბილისში — ხუთშაბათის, 25 მარტის 13 საათამდე.

5 აპრილის ნომერში თქვენ შეიტყობთ მარტის თვის გამარჯვებულთა ვინაობას. წარმატებებს გისურვებთ!

გთავაზობთ სამუშაოს

კადრების დასაკომპლექტებლად, გვესაჭიროება ზოგადი პროფილის ექიმები, ექიმ-თერაპევტის თანამდებობაზე, რომლებიც 3 თვეში ერთხელ, კვალიფიკაციის ასამაღლებლად გაემგზავრებიან ქ. მოსკოვში. მიღება წარმოებს კონკურსის სახით. სამუშაო საოფისეა. ტელ: 92-17-62. თეა დევდარიანი

ყურადღება! უცხოურ ორგანიზაციაში მიმდინარეობს ახალ თანამშრომელთა შერჩევა. გვესაჭიროება კადრები საორგანიზაციო სამუშაოს შესასრულებლად. ანაზღაურება მაღალია. აუცილებელი პირობებია: უ/გ და ასაკი 25-55 წელი. ტელ. 30-09-49; 893 37-33-00

იჩქარეთ! ენერგიულ და შესაბამისი ინტელექტის მქონე პიროვნებებს დავასაქმებთ ნაწილობრივ ან სრულად. საქმიანობა პერსპექტიული და მაღალანაზღაურებადია. ასაკი – 20-დან 55 წლამდე. ტელ: 893 96-73-24. თათია; e-mail: dbagrationi@mail.ru

სოლიდურ ფირმას ესაჭიროება გამოცდილი დისტრიბუტორი. სასურველია მოქმედი დისტრიბუტორი. ტელ: 877 76-56-46

კომპანია აცხადებს ვაკანსიას! საოფისე სამუშაო, უ/გ, რუსული ენის ცოდნა, 30-45 წლამდე. ჩაწერა გასაუბრებით. ტელ: 64-63-40; 893 999-089

ფირმას ესაჭიროება კვალიფიციური თანამშრომლები უმაღლესი განათლებით. უპირატესობა ენიჭება სამედიცინო განათლების მქონე პირებს 35-45 წლამდე. ტელ: 77-63-37

ახალ უცხოურ კომპანიას ესაჭიროება თანამშრომლები საოფისე სამსახურისთვის. აუცილებელია უმაღლესი განათლება. ტელ: 38-89-39

გვაქვს 4 ვაკანსია. სათანამშრომლოდ მივიღებდით განათლებულ, რუსულის მცოდნე ადამიანებს. ვმუშაობთ მსოფლიოში. საუკეთესო თანამშრომლებს ეძლევათ შანსი საზღვარგარეთ მუშაობისა (კომპანიის ხარჯებით). გამომუშავება 200-400$ აშშ სტანდარტებით. მიმდინარეობს შერჩევა. იჩქარეთ! მისამართი. მ. „დიღუბე", „სამთო ქიმიის ინსტიტუტი", I სართ. ოთახი 6. ტელ: 34-02-38; 899 90-54-78; მენეჯერი: ბ-ნი დიმიტრი

საზღვარგარეთული კომპანია გახსნასთან დაკავშირებით აწარმოებს თანამშრომლების – უმაღლესი განათლების მქონე პირების მიღებას, მაღალი ანაზღაურებით. უპირატესობა ენიჭება ექიმებს, ეკონომისტებს, მასწავლებლებს. სასურველია რუსული ენის ცოდნა. ტელ: 61-00-53

მომსახურება

ჭარბთმიანობის სამუდამოდ განკურნება უმოკლეს დროში და უკვალოდ. დაიმახსოვრეთ: არ არსებობს მოურჩენელი თმა და ნებისმიერ შემთხვევაში, პირველივე სეანსზე ემორჩილება მკურნალობას! მოითხოვეთ გარანტია (თანხის დაბრუნებით). გააკეთეთ სწორი არჩევანი და სილამაზე გარანტირებულია! ტელ: 57-50-49; 899 91-46-36. მარიკა

ეპილაცია ვოლფრამის ერთჯერადი ნემსით, ანესთეზიით (ყოველგვარი გაღიზიანების გარეშე), 1 სთ – 6 ლარი; თმის მოცილება სხეულზე მცენარეული ნაყენით (გარანტიით), სახის გაწმენდა (კოსმეტიკური მასალები იაფად). წარბების კორექცია. საერთაშორისო სერტიფიკატის მქონე კოსმეტოლოგი ნ. ყიფშიძე. მის: მ. „300 არაგველი", არამიანცის საავადმყოფოს ზედა კართან, ახმეტის ქ. №15. მიღება წინასწარი ჩაწერით. ტელ: 77-86-27

ვაკეთებ ეპილაციას ვოლფრამის ნემსით და ანესთეზიით, მორჩენის გარანტიით. მიღება ყოველდღე, ჩაწერით. სეანსების რაოდენობა ინდივიდუალურია – 1 სთ – 10 ლარი. მომსახურებით კმაყოფილი დარჩებით. მაქვს საკუთარი დენის წყარო. მის: ვარკეთილი-3, II მ/რ, მე-9 კორპ, VI სად, III სართ, ბინა 3. ტელ: 79-50-12; 899 90-44-93. ლიკა გიორგობიანი

ეპილაცია ვოლფრამის ერთჯერადი ნემსით და ანესთეზიით. უკიდურესად გაუხეშებული თმიანობის შემთხვევაშიც კი, განიკურნებით უმოკლეს ვადაში, ყოველგვარი შეშუპების და გაღიზიანების გარეშე. არ დაგეტყობათ არც ერთი ნანემსარი. შედეგი – პირველსავე სეანსზე; სახის გაწმენდა; მასაჟი საუკეთესო მალამოებით. თუ ისარგებლებთ, დარწმუნდებით. მის: იოსებიძის 66. II სად. მე-8 სართ. ბინა 46. ტელ: 37-74-22. მანანა

ვამზადებთ ლამინირებული „დეესპესაგან" სამზარეულოებს, კომპიუტერის მაგიდებს, კარადებს და ნებისმიერ საოფისე ავეჯს. ტელ: 69-45-18. დათო

კომპიუტერული მომსახურების ფირმა „კომლაინი" ადგილზე მისვლით გთავაზობთ: კომპიუტერების ტექნიკურ და პროგრამულ გამართვას სტაბილური მუშაობის გარანტიით, პროფილაქტიკური სამუშაოების ჩატარებას, პროგრამულ უზრუნველყოფას, ვირუსებისგან გაწმენდას, ინფორმაციის აღდგენას, ქსელის ადმინისტრირებას, სპეციალისტის კონსულტაციას. მის: ზაქარიაძის ქ. №4. ტელ: 899 54-40-84

მკურნალობა

თმის დაავადებები: ქერტლი, ქავილი, გამონაყარი, ბუდობრივი ცვენა (ამოდის თმა), ტილები, წილები, ფრჩხილის სოკო; ფეხის ქუსლებზე ნახეთქები; ოსტეოქონდროზი, სკოლიოზი; კოსმეტიკა, ოფლის ლოსიონი. მის: ჭავჭავაძის გამზ. №2/2 (ჩაის სახლთან). სტომატოლოგიური პოლიკლინიკა. 11-18 სთ. ტელ: 30-94-73; 35-32-62; 22-27-95. ციცო მჭედლიძე

გაჯანსაღება უახლესი მცენარეული საშუალებებით: თამბაქოსა და ალკოჰოლიზმისაგან გათავისუფლება, ნევროზები, უძილობა, კუჭის წყლული, ვარიკოზი, ბუასილი, კოლიტი, თმის ცვენა, ალერგია, ასთმა, შარდის შეუკავებლობა, ართრიტი, ართროზი, წონის კორექცია, ფსორიაზი, კატარაქტა, სოკო, დიფუზიური ჩიყვი. ტელ: 32-39-46; 99-75-90. ნათია

ალერგენების კომპიუტერული დიაგნოსტიკა და ალერგიის მკურნალობა, მეტყველების დარღვევების (ლოგონევროზი-ენაბლუობა) მკურნალობა გერმანული უახლესი აპარატურით, ლიცენზირებულ სამედიცინო ცენტრში, მაღალი შედეგებით. მის: ვაჟა-ფშაველას №16, მე-13 სართ. (ყოფ. მშენებლობის სამინისტროს შენობა), რეზონანსული თერაპიის ცენტრი. ექიმი ზურაბ ხაჩიაშვილი. 10-15 სთ. ტელ: 899 97-58-77; 39-58-77 (ბინა)

ისრაელში შემუშავებული მეთოდიკით, გარანტიით იკურნება სკოლიოზი, ოსტეოქონდროზი, ნევროზი, პოსტინსულტური დამბლა, კიფოზი, შაკიკი, დიარეა (კუჭის ქრონიკული აშლილობა), სუბფებრილიტეტი (t = 37,2°C), შიშები, რადიკულიტი, სუიციდის (თვითმკვლელობის) მცდელობები. კონსულტაცია და დიაგნოსტიკა უფასოა. მის: მეტრო „გურამიშვილი", ძმები გარიშვილების ქ. №18. ანატოლი შავიძე. ტელ: 61-65-03; 893 20-68-21

პირველად საქართველოში! აკადემიკოს ლიხარიოვის მეთოდით პროდუქცია, რომელიც კურნავს: ნევროზს, უძილობას, შიშებს, დეპრესიას, თავის ტკივილებს, ჰიპერტონიას, ინსულტის შემდგომ პერიოდს, ვარიკოზს, ბუასილს, კოლიტს, თვალის დაავადებებს, ფსორიაზს, კუჭის წყლულს, სახსრების მარილოვან დაავადებებს, კლიმაქსს; ანტითამბაქო, ანტიალკოჰოლი. ტელ: 99-75-90; 899 21-13-66. ლალი

გაჯანსაღება უახლესი მეთოდით – მაქსიმალურად სწრაფი შედეგებით: ანტითამბაქო, ანტიალკოჰოლი, ნევროზი, უძილობა, დეპრესია, თავის ტკივილები, ჰიპერტონია, ინსულტის შემდგომი პერიოდი, შარდის შეუკავებლობა, ცისტიტი, ასთმა, ალერგია, სახსრები, რევმატიზმი, ბუასილი, კოლიტი, კუჭის წყლული, კატარაქტა, სოკო, ფსორიაზი. ტელ: 893 96-50-32. მაია

ალერგია! გთავაზობთ ევროპაში მიღებული გერმანული და ფრანგული ალერგენებით შემდეგი დაავადებების მკურნალობას: ბრონქული ასთმა, პოლინოზი, რინიტი, ალერგიული დერმატიტი – საუკეთესო შედეგებით. ექიმი ჯულიეტა პეტაშვილი. რკინიგზის საავადმყოფო (ვაგზალთან), V სართ. ალერგოლოგიური განყოფილება (11-14 სთ). ტელ: 899 22-26-37

გთავაზობთ მცენარეულ გამაჯანსაღებელ საშუალებებს, რომლებიც ეფექტურად მოქმედებს შემდეგ ნოზოლოგიებზე: ნევროზი, შიშები, დეპრესია, აკვიატება, თავის ტკივილები, თმის ბუდობრივი ცვენა, ქრ. ბრონქიტი, კოლიტი, ბუასილი, პროსტატიტი, ალერგია, ასთმა, სოკო, ქოლეცისტიტი, ჰეპატიტი, რევმატიზმი. ტელ: 899 96-38-92. მზია

მაქსიმალური გაჯანსაღება: ბუასილი, ვარიკოზი, სისხლძარღვოვანი პრობლემები, კუჭ-ნაწლავის პრობლემები; ინფარქტისა და ინსულტის შემდგომი პერიოდი; ჰიპერტონია, სისხლში შაქრის კორექცია; პრობლემური კლიმაქსი; ნევროზები, შიში, უძილობა, დეპრესია; კანის სხვადასხვა დაავადება – სერტიფიცირებული პრეპარატებით, რომლებსაც უკუჩვენება და ანალოგი მსოფლიოში არ გააჩნია. ტელ: 53-08-02

პენსიონერებს, საზოგადოება „მემორიალის" წევრებს უფასოდ მომსახურება კავშირ „თანადგომის" თერაპიული კაბინეტი ორშაბათსა და პარასკევს, 14-17 სთ-მდე. მის. ნინოშვილის №30. ტელ: 95-58-24

სიახლე! გთავაზობთ თამბაქოსა და ალკოჰოლისგან გათავისუფლებას სპეციალური პროგრამით და სურვილისამებრ ჟულიომეთოდიკითაც, მაქსიმალური შედეგებით. აგრეთვე ორგანიზმის გაჯანსაღებას ამ დაავადებებით გამოწვეული გართულებებისგან. კურსი ინდივიდუალურად 1-2-3 თვე, კვალიფიციური კონსულტაციით. ტელ: 893 36-87-62; 99-75-90 (12-18 სთ). ავთანდილი

გთავაზობთ მცენარეულ გამაჯანსაღებელ პრეპარატებს რომელიც შველის: პროსტატიტს, იმპოტენციას – სპერმის უხარისხობას; კუჭისა და 12-გოჯა ნაწლავის წყლულს, ართრიტს, ართროზს, სოკოს, ბუასილს, კოლიტს, პარადონტოზს, შარდის შეუკავებლობას, ასთმას, ალერგიას, ქრ. ბრონქიტს. ახდენს წონის კორექციას. ტელ: 899 72-39-20. ნოდარი

ტრადიციული მეთოდებით მედიცინის მუშაკი მცველი ცინცაძე ამზადებს თეთრ მუმიოზე მალამოებს, ხსნარებს და საფენებს. მკურნალობს: ოსტეოქონდროზს (მარილებს), სახსრებს, პოლიართრიტს, საშწვერა ნერვის ანთებას, დისკოზს, კისრის, მენჯ-ბარძაყის, მუხლსახსრის ართროზს. მხოლოდ ჰაიმორიტი იკურნება 8-10 დღეში. მკურნალობა გარანტირებულია. ტელ: 34-62-51; 899 20-19-66

ალკოჰოლიზმისაგან სწრაფი გათავისუფლება, ალკოჰოლიზმისა და ნარკომანიისგან გამოწვეული გართულებებისაგან გაჯანსაღება, ჰეპატიტები, თამბაქოსგან გათავისუფლება, კრემლის ყოფილ ლაბორატორიაში შექმნილი ექსკლუზიური, სერტიფიცირებული პრეპარატებით. პრეპარატებს უკუჩვენება არ გააჩნია. შედეგები მაქსიმალურია. მიღება წინასწარი ჩაწერით. ტელ: 899 22-63-90

სამკურნალო განცხადებები ლიცენზიის გარეშე არ გამოქვეყნდება

ვასწავლი

კომპიუტერული სტუდია „დაჯი" კომპიუტერი გიწვევთ კომპიუტერზე მუშაობის, კომპიუტერული ბუღალტერიის, პროგრამირების ენების, უცხო ენების სწრაფშემსწავლელ კურსებზე, შესწავლის გარანტიით, სწავლის დამთავრების შემდეგ უფასო კონსულტაციებით. სწავლების მეთოდი ინდივიდუალურია. გაიცემა სერტიფიკატი. მის: ბარნოვის ქ. №1 („მაკდონალდსის" უკან). ტელ: 98-44-20; 899 14-03-31

ფირმა „ქართი" აცხადებს მიღებას პროფესიული მომზადების კურსებზე: 1. მასაჟისტი (სამკურნალო, ჰიგიენური, ჩვილ ბავშვთა მასაჟი); 2. კოსმეტიკა (ეპილაცია, მასაჟი, მალამოები), პარიკმახერი (ქალთა და მამაკაცთა ხელოსანი). კურსების დამთავრების შემდეგ გაიცემა ლიცენზირებული სერტიფიკატი. მის. აღმაშენებლის №115, კაბ. №20. ტ: 94-01-82; 95-83-18 (სამსახ.); 96-22-89 (ბინა)

განათლების სამინისტროს კომპიუტერული ცენტრი „მზიური". კომპიუტერის შემსწავლელი კურსები, თანამედროვე ტექნიკა, საუკეთესო მეთოდიკა, ქართულენოვანი ლიტერატურა, სათანადო სერტიფიკატი. მის: უზნაძის ქ. №70. ტელ: 29-48-61

შევასწავლი კომპიუტერზე მუშაობას. საოფისე: Windows, Word, Excel, Internet, E-mail, საგამომცემლო და გრაფიკა: Page Maker, PhotoShop., CorelDraw; Quarkxpress, AutoCAD, Arcicad, 3d-MAX; veb-დიზაინი: Flash, Dreamweaver და პროგრამირების ენები. მის. მ. „რუსთაველთან", რესტორან „სამოთხის" უკან. გაბაშვილის ქ. 7. ტელ. 98-80-23

უცხო ენების ფირმა „ელიტა-სკ" იწვევს 15-დან 18 წლამდე ასაკის სკოლის მოსწავლეებს, ამერიკის, გერმანიისა და საფრანგეთის სკოლებში სასწავლებლად, აკადემიური წლის (10-თვიანი) პროგრამით. მის: ქავთარაძის ქ. №12. ტელ: 30-39-20

იყიდება

იყიდება ფოტოლაბორატორია ფუჯი 541 გასამჟღავნებლით pp 230 მინილაბი. ტელ: 899 57-85-85

იყიდება ა/მ Mercedes-Benz ML-320, ჯიპი, 1998 წლის, ახალი ჩამოყვანილი, ტყავის სალონით, სრული ელექტროპაკეტით, გარბენი – 91000 კმ. ფასი $25000. ტელ: 899 56-79-23

სასწრაფოდ იყიდება ა/მ „ვაზ-21099", 2000 წლის გამოშვება, კარგ მდგომარეობაში, თეთრი ფერის, სპრისკით. საწყისი ფასი $2.800. ტელ: 899 93-93-76

ხეხილის ნამყენი ნერგები, უწამლო ვაზები, ვარდები, როზმარინი, იასამნი, იუკა, ტირიფი, ცაცხვი, ნუში, კაკალი, კვიპაროსი, მოცხარი, ჟოლო, ჟასმინი, ტუია, კედარი, ფიჭვი, ნეკერჩხალი, ლიგუსტრუმი. გვყავს პროფესიონალი მებაღე-დეკორატორი. მის: სანერგე მეურნეობის დასახლება (თბილისის ზღვასთან). ტელ: 69-97-05. გივი; 899 16-93-15. ამირანი

„პენტიუმ-1"-ის ვიდეოკარტა. ტელ: 34-32-79; 899 91-86-81

სმენის აპარატები შეღავათიან ფასად, სპეციალური ინდივიდუალური ყურის ჩასართით. აგრეთვე, ელექტრონული და მექანიკური წნევის აპარატები, გარანტიით. ტელ: 95-95-22 (10-12 სთ); 93-46-74 (20 სთ-ის შემდეგ); 899 27-38-99

შევიძენ

– 35 სმ-ზე გრძელ თმას. ტელ. 58-78-88

სხვადასხვა

ცხადდება კონკურსი შემდეგ ვაკანსიებზე: ფარმაცევტული კომპანია GPG-ის დირექტორის მოადგილე, სტუდია „სამთას" ტოპმენეჯერი, ბალნეოლოგიურ კურორტ „ნუნისის" სერვისის დირექტორი და უფროსი მზარეული. ტელ: 32-99-32; 39-58-46

საქართველოს აიკიდოს ფედერაცია იწვევს მსურველებს საქართველოს რეგიონებიდან საინსტრუქტორო ვარჯიშებზე. მომავალში დაგეხმარებით რეგიონალური კლუბების გახსნაში. მის: აღმაშენებლის გამზ. №95 (ორშაბათი-ოთხშაბათი-პარასკევი, 20 სთ-დან). ტელ: 64-28-64; 899-51-85-24

AXIS

აქსისი ახალი მშენებარე კომპლექსი ყაზბეგის გამზირზე

(მეტრო „დელისთან")



არაყიშვილის ქ. №14 ტელ: 25 34 34; 91 25 34

ია ნაცვლიშვილის ხსოვნას!

ისევ მოვიდა 21 მარტი, ისევ უშენოდ. შენ გვერდით ყოველთვის იმედითა და ხალისით ვივსებოდით, ამიტომ დაგვაკლდი ალბათ ასე ძალიან. ამასწინათ კათედრაზე შენი ნაჩუქარი ლექსიკონი დაგვჭირდა და ყველას ერთად გაგვახსენდა ჩვენი ექსკურსია ლენინგრადში. მაშინ მეორე კურსზე ვიყავით. როგორც ყველას, იასაც გამოატანეს მშობლებმა ცოტაოდენი თანხა რაღაც-რაღაცების შესაძენად. თუმცა მან ამ ფულით 1800 წელს გამოშვებული ლექსიკონი იყიდა 17 ტომად. თითოეული ტომი 4-5 კილოგრამს იწონიდა. თბილისში ჩამოსულებმა, ბარგი სახლამდე მივატანინეთ. კარებში დედის გაკვირვებული თვალები შემოგვეგება, მამამ ჩვეულებისამებრ დაუყვავა ქალიშვილს: — ეს რა სიმდიდრე ჩამოგიტანია შვილოო — უთხრა. რამდენიმე წლის შემდეგ, იამ ეს ლექსიკონები კათედრას უსახსოვრა — ჩემზე მეტად სტუდენტებს გამოადგებათო. ეჰ, სევდიან მოგონებებად დაგვრჩა ერთად გატარებული სტუდენტობის ხალისიანი წლები. იქედან მოყოლებული ჩვენ ხომ დღესაც ვგრძნობთ და გვახსოვს იას სითბო, მისი ღიმილი, სიმღერები, თვალები... და სანამ შეგვიძლია ყვავილების შეხება, ლექსის მოსმენა და ერთმანეთის სიყვარული, ია ალბათ ჩვენთან იქნება.

მეგობრები

საყვარელი ბიძაშვილის **თალიკო ჩაჩავას ხსოვნას!**

ქსნის გზაზე

წითელფოთლება ბუჩქები
აბრიალებენ გარემოს,
ასეთი სილამაზისთვის
ნელა იარეთ წამებო.
ეფინება ჩვენს მაღალ მთებს
თეთრი ღრუბლის მანდილი,
სიცოცხლეს გამიხანგრძლივებს,
იქნებ ამიხდეს წადილი...
ძოვენ და ბალახს მისდევენ
სახლისკენ მინდვრად ძროხები.
მე კი ვეჭვობ, რომ ქსნის გზაზე
ვეღარასოდეს მოვხვდები.

მზია

ვასიკო ხარებავას გახსენება



ჩემო საყვარელო, წყნარო და დინჯო შვილო ვასიკო, როგორიც იყავი, სიკვდილიც ისეთი გარგუნა განგებამ. ხუთშაბათს, 5 თებერვალს მოულოდნელად შეწყდა შენი გულისცემა 36 წლის ასაკში. უკვე 40 დღე გავიდა, რაც შენ აღარ მყავხარ, ჩემო ვაჟკაცო შვილო. მიჭირს უშენობა, ძალიან მიჭირს. ჩვენ მარტო დედა-შვილი კი არა, ერთმანეთის მესაიდუმლენიც ვიყავით. შენ სულ მეუბნებოდი, — დედა, ნურაფერზე დარდობ, სადაც წავალ თან წაგიყვან, არსად და არავისთან არ დაგტოვებო... ჩვენ ხომ უერთმანეთოდ ვერ ვძლებდით, სიგიჟემდე გიყვარდა დედა. მძიმეა დედამიწა, რომელზეც მე დავაბიჯებ, შენ კი ცივ სამარეში მყავხარ. აღარ შემიძლია, ტირილში ვაღამებ და ვათენებ, გამიმწარე სიბერე, შენ უნდა გეგლოვა დედა. ბუნებაში არსებობდა თურმე დაუწერელი კანონი და ამ დაუწერელ კანონში შენც მოხვდი. სადაური კანონია, დედა დარჩეს ცოცხალი, შვილი კი ადრე წავიდეს ამ ქვეყნიდან?! ჩემო უტკბილესო შვილო, ვუყურებ შენს სურათს, ტანსაცმელს და ასე მგონია, სადღაც ხარ წასული, სადაც არის, კარს შემოაღებ, შემოხვალ შენებური სიდინჯით და მოღიმარი სახით.

ჩემო ვაჟკაცო ბიჭო, ისღა დამრჩენია იმედად, რომ შენ იყავი სიტყვის კაცი, შეასრულებ შენს პირობას და წამიყვან ამ გაუსაძლისი ცხოვრებიდან.

შენი სევდამწარებული დედა

გრიშა ასლამაზიშვილის მონატრება

გავიდა ერთი გაუსაძლისი წელიწადი. წელს პირველად ვხვდებით შენს დაბადების დღეს — 24 მარტს უშენოდ. წახვედი და დაგვიტოვე მოუშუშებელი ტკივილი, სევდა და მონატრება.

ყველას გვაკლიხარ და გვენატრები. ღმერთმა ზეციური სასუფეველი დაუმკვიდროს შენს სპეტაკ სულს.

გ*-ვინდა ამ ლექსით მოგეფეროთ,*
რ*-ოგორ გიყვარდა, ძმაო, სიცოცხლე,*
ი*-ა-ვარდებით შევიმკობთ საფლავს,*
შ*-ენი სულისთვის მუდამ ვილოცებთ.*
ა*-რ გავიწყდები, კარგო, იცოდე.*

შენი ძმის ოჯახი

სოსო თარგამაძის მონატრება



19 მარტი...

2003 წლის 19 მარტის ღამის 4 საათზე შეწყდა, მამიკო, შენი მაჯისცემა, უკანასკნელად გაიტოკა შენმა მრავალჯერ ნაინფარქტალმა ძლიერმა გულმა (შენი ბოლო სიტყვები: „მარი... სოსიკო ბაბულია... მგონი ვილუპები...“ შენ ყველაფერს გრძნობდი).

მართლაც სულით ძლიერი იყავი, მამიკო. 34 წლის დაქვრივდი. შენ 33 წლის ულამაზესი მეუღლე, ჩვენ კი — დედა, მედეა ჩაჩუა წაგვართვა უკურნებელმა სენმა, მას შემდეგ ჩვენს გამზრდელ ბებიასთან ერთად ეწეოდი ჭაპანს 68 წლამდე. შენი ობლად დარჩენილი სამი შვილის უბრალოდ ფრჩხილის წამოტკენასაც კი უზომოდ განიცდიდი, უზომოდ იყავი შეყვარებული შენს ოჯახზე, შვილებსა და შვილიშვილებზე. ამიტომ, მამიკო, შენ ჩვენს გულებში დარჩები, როგორც გმირი მამა.

ახლა გიხაროდა სიცოცხლე, ერთმანეთზე მეტად გიყვარდა შენი შვილიშვილები: სოსიკო და მედიკო, გიგა და ლაშა, გიორგი და ნათია, რომლებისთვისაც მოსიყვარულე ბაბუა იყავი, მათი მფარველი და დამცველი.

მამა, ერთი წელი ძალიან ცოტა დრო აღმოჩნდა იმ იარის მოსაშუშებლად, რასაც შენი მოულოდნელი გარდაცვალება ჰქვია და ძალიან დიდი დროა შენი უსაზღვრო მონატრებისთვის.

მართალია, მამიკო, განგებამ წაგვართვა შენი თავი, მაგრამ ვერ წაგვართვა უმთავრესი, რაც თითოეული ჩვენგანის გულებში გაანაწილე — სითბო და დიდი სიყვარული.

პირველი გაზაფხული მოვიდა უშენოდ, მარტის თვე, ტკივილიანი, დარდიანი, ცრემლიანი...

დრო არ გვინელებს ტკივილებს და მონატრების დიდ გრძნობას, რასაც შენი ოჯახის, ახლობლების, შვილებისა და შვილიშვილებისთვის დაუვიწყარი სოსო თარგამაძის მონატრება ჰქვია.

მამა...

დაე, ყველა ჩვენგანის სიყვარულმა, მონატრებამ, შენს სახელზე დანთებულმა ყველა სანთელმა, შენს სახელზე აღვლენილმა წირვა-ლოცვამ უფლის შეწევნით გაგინათოს გზა, დაგიმკვიდროს ნათელი სამუდამო სასუფეველში. შენი შვილები კი... მუხლმოდრეკილნი შევვედრებით უფალს, ნათელი მოჰფინოს შენს სპეტაკ, ლამაზ, კეთილ სულს.

უზომოდ მონატრებული შენი შვილები:
ალიკო, მარინე, მადონა; რძალი ირმა,
სიძეები, შვილიშვილები

ეძღვნება შოთიკო უღრელიძეს!



სიცოცხლევ, როგორ დამცირებულხარ
როცა ჰქოდებენ ოცი წლის ყმაწვილს.
უბედურებას მოვარდნილს წარღვნად
დაუფხრეწია გული მოყვასის.
სიზმრად ქცეულა მთელი საწუთრო,
გონება გარბის, უფსკრულს ვვლება.
ღმერთო, დაგვინდევ, ნუ შეგვაგონებ,
რომ მართლა მოხდა ეს საოცრება.
დაუნდობელო, მსახვრალო ბედო,
აუწონავო ტანჯვა-ვაებავ,
სიკეთეს როგორ დაეპატრონე,
გეყოს, შეჩერდი, შენ, ბოროტებავ.
ვიცი, აქ სიტყვას არა აქვს ფასი,
აქ სალბუნია ცრემლი დედისა.
ერთს შემოგკადრებ, ტანჯულო ქალო,
ირწმუნე ძალა შემოქმედისა.
ჭეშმარიტებით, ლოცვით, ვედრებით,
აღსდგება სული მარადიული
გვირგვინს დაადგამს მზეჭაბუკს უკვდავს
უფალი მნათი და დიდებული.
ჩვენ დამაშვრალნი, უძლურნი სევდით
ვილოცებთ შენთვის აწ და მარადის,
ღმერთს შევავედრებთ დიდებას შენსას
და სხივშემოსავს ღვთისმშობლის მადლით.

მუხლმოდრეკითა და თაყვანისცემით

ინეზა დეიდა

ფრიდონ ბახტაძის გახსენება

უკვე ორმოცი დღე გავიდა, რაც ამ ქვეყანას აღარ ამშვენებს ღირსეული თბილისელი მოქალაქე ფრიდონ ბახტაძე.

იგი უდიდესი პატრიოტი და ქომაგი იყო თავისი ქვეყნის, ჭეშმარიტი ქართველი, დახვეწილი ინტელიგენტი, უაღრესად განათლებული, სიკეთითა და სიყვარულით სავსე, ყურადღებიანი, როგორც ახლობლების, ასევე სრულიად უცხო ადამიანების მიმართ, მაღალი დონის პროფესიონალი... მას მნიშვნელოვანი წვლილი აქვს შეტანილი საქართველოს წიაღისეული სიმდიდრეების გამოკვლევასა და ათვისებაში.

რაც ღმერთს ადამიანებისთვის საუკეთესო უბოძებია, მშვენიერ გარეგნობასთან ერთად, ყველაფერი ერთ ადამიანში იყო თავმოყრილი. სიტყვები არ გვყოფნის მისი პიროვნების დასახასიათებლად. ვერც ერთი ჩვენგანი მის ამაგს, ერთგულებასა და სიყვარულს ვერასოდეს დავივიწყებთ. ჩვენზე ზრუნვაში გაბმულს, დრომ ისე გაურბინა, რომ საკუთარი თავი და ოჯახის შექმნა გადაავიწყა. ამიტომ უფრო გულსაკლავი და მტკივნეულია ასეთი ადამიანის წასვლა ამ ქვეყნიდან შვილების გარეშე, იგი ხომ ღირსეულ, ჯანსაღ შთამომავლობას დაუტოვებდა ქვეყანას. მადლობა იმ დიდი სიკეთისთვის, სიყვარულისა და თავდადებისთვის, რომელიც თქვენი ცხოვრების განმავლობაში მოგვანიჭეთ; მადლობა იმ გულწრფელი ცრემლებისთვის, რომლებიც ჩვენ დაგვიტოვეთ.

გვჯერა, თქვენი მიწიერი სპეტაკი ცხოვრება იქ სამოთხის კარს გაგიღებთ. ღმერთს ვევედრებით, მუდამ ნათელში ამყოფოს თქვენი ნათელი სული.

დაე, თქვენს სახელზე აღვლენილმა წირვა-ლოცვამ უფლის შეწევნით გაგინათოთ გზა, დაგიმკვიდროთ ნათელი სამუდამო სასუფეველში.

ამქვეყნად დარჩენილი თქვენი ხსოვნა თითოეული ჩვენგანისთვის ყველაფერზე ძვირფასია და მას დავიწყება არ უწერია.

და, ძმა ოჯახებით

ანდრო (ანდრიკო) გიორგაძის გახსენება

მეთორმეტე გაზაფხული შემოვიდა იმერეთში უშენოდ, ანდრო! სამუდამოდ დაგვიტოვე დიდი ტკივილი, მონატრება და გაოგნება. გვგონია, შორეულ მოგზაურობაში წასული, ერთ დღეს ისევ ისე შემოაღებ შენი ეზოს ჭიშკარს, როგორც სტუდენტობაში.

17 მარტს 35 წლის სრულდები, ყველასთვის საყვარელო, სიცოცხლით სავსე ღიმილის ბიჭო! იმ დღეს სულ გაშლილია შენთვის სუფრა. შენს სახლში ტკივილიანი დღესასწაულია და გვჯერა, შენი სულიც ჩვენთანაა. ყვავილებს და ცრემლებს მოვფენთ შენს ძვირფას საფლავს. სანამ ვიცოცხლებთ, ყოველთვის ცოცხალი იქნები ჩვენს გულებში, ჩვენო ანდრიკო!

დედა, მამა, დაიკო ოჯახებით

ნაილი ქლიბაძის გახსენება

ჩემს ბავშვურ მეხსიერებას ბუნდოვნად შემორჩი, ჩემო დედა! წლინახევრის დამტოვე. ახლა უკვე სტუდენტი ვარ. დიდი მადლობა ყველას, ვინც ჩემზე ზრუნავს და თავზე მევლება. არაფერი მაკლია, ყველაფერი მაქვს, მაგრამ იმ დიდ სითბოსა და სიყვარულს, რასაც დედა-შვილური ალერსი და მოფერება ჰქვია, ვერავინ ვერ ცვლის ჩემში. ვერავინ და ვერანაირი სიტყვა ვერ შეცვლის იმ სანუკვარ სიტყვას — „დედას“, რისი დაძახებაც მე არ მარგუნა ღმერთმა.

დედაშვილური ტკბილი ალერსი,
ვერ მოვასწარით, არ მოხდა ჩვენში,
მაგრამ ის სითბო, ის სიყვარული,
რაც შენში იყო, ის დარჩა ჩემში!

ნათელში მიმყოფოს შენი თავი ღმერთმა, ჩემო დედა. გაზაფხულს; დედობას და ქალთა დღეს ერთად გილოცავ. ნატვრითა და სიყვარულით ჩემგან ანთებულმა სანთლის შუქმა გაგინათოს გზა და გაგრძნობინოს მანდ ის დედაშვილური სიყვარულის ძალა, რასაც აქ სიცოცხლეში ვერ ელირსე!

შენი შვილი ავთანდილ კიკნაველიძე

ბუთხუზი (მალხაზ) მიმინოშვილის გახსენება

21 მარტს წელიწადი სრულდება, რაც უკურნებელმა სენმა უცბად მოგწყვიტა ოჯახს, ახლობლებს, მეგობრებს, ჩვენო უღალატო, თავმდაბალო. ვაი, რომ ვერ გიხსენით, ჩვენთვის მუდამ დაუვიწყარო ბუთხუ. სიკეთით და სიყვარულით გამორჩეული კაცი იყავი. მაშინ შეწყდა შენი გულისცემა, როცა ყველაზე მეტად გწყუროდა სიცოცხლე. შენს საყვარელ მშობლებთან არჩიე წასვლა.

დახმარება არაფრით შეგვიძლია, ბუთხუ, გარდა იმისა, რომ შენს საფლავს არ მოვაკლებთ ცრემლს, სანთელსა და ყვავილებს.

მხედარი, ზაირა, ნანა და ნინო კუციები

ბაბუს (ნუგზარ სხულუხიას) ხსოვნას!

საყვარელო ბაბუა ნუგზარ! პირველად ვხვდებით უშენოდ შენს დაბადების დღეს. ჩამოვალთ შენთან შვილიშვილები სალხინოში და შენს ეზოში მოკრეფილი იებით შევამკობთ შენს საფლავს. გჯეროდეს, ბაბუ, რომ ჩვენ გავუადვილებთ გამწარებულ სიცოცხლეს ციური ბებიას და გავაგრძელებთ შენს კაცური კაცის სახელს.

მშვიდად იძინე, ბაბუ. იცოდე, რომ შენი შვილებისა და შვილიშვილების გულებში მუდამ იქნები.

ბექა, გიორგი, აკაკი სხულუხიები

გიგა ბენდელიანის მონატრება



ჩემო საყვარელო მამა! 27 მარტი შენი დაბადების დღეა. პირველად ვხვდებით უშენოდ ამ დღეს. წახვედი და დაგვიტოვე მოუშუშებელი ტკივილი. ძალიან გვაკლიხარ და გვენატრები. ნუგეშად ისღა დაგვრჩენია, შენს საფლავს არ მოვაკლოთ ცრემლი, სანთელი და ყვავილი. ნათელში ამყოფოს ღმერთმა შენი სპეტაკი სული. მსუბუქის იყოს შენთვის გულზე დაყრილი მიწა.

ლატავრა ბენდელიანი ოჯახით

გიგა ქოიავას ხსოვნას!



24 მარტს შენი დაბადების დღეა, ჩვენო კეთილო გიგა! ორი წელი თავდება, რაც აღარა ხარ ჩვენთან. ძალიან გვატკინე გული შენი წასვლით. ახლაც ჩაგვესმის შენი თბილი, ალერსიანი ხმა.

ნათელში ყოფილიყოს შენი ნათელი სული.

შენი მამიდა ოჯახით

ლევან კაჭახიძის და გიგი კაციტაძის გახსენება

ერთი წელი გავიდა უშენოდ, ლევან. შვიდ თვეში ორი ახალგაზრდა გამოგვაცალეს ხელიდან: 33 წლის ლევანი და 22 წლის გიგი.

ვინ გაგიმეტათ ასეთი მზაკვრული სიკვდილისათვის, ჩვენო შვილებო? მონატრების, მოფერების სურვილია გამეფებული თქვენს ოჯახებში, ნათესავებში, მეგობრებში.

ლევან, დედისერთა შვილო, შენ ხომ სიკეთის განსახიერება იყავი. ყოველი შენი გადადგმული ნაბიჯი სხვისი დახმარებისათვის იყო გამიზნული. დიდი სიყვარული გქონდა შენი სამსახურის. უანგაროდ და თავდაუზოგავად შრომობდი. შენი ერთგული შრომით დაიმსახურეს ის დიდი ჯილდო, დახმარება ცოტნემ და სანდრომ.

გიგი, სიცოცხლით სავსემ 22 წლისამ დაასრულე შენი ცხოვრება. მიატოვე უსაზღვრო სიყვარული — თეა და მომავალი პატარა, რომლის ხელში აყვანა ოცნებად გქონდა ქცეული. ახლა მამა გახდი გიგი. შენს ოცნებას ზღაპარივით მოუყვებიან პატარა ირინას.

გაიზრდება, მოვა მამის საფლავზე და ნახავს ორ ლამაზ კაცს, ქვაზე დახატულს, ორ გივის, ორ გრიგოლის ძეს კაციტაძეს, მაგრამ პატარა ვერ აღიქვამს იმ ნამდვილ ფიზიკურ და სულიერ სილამაზეს, რაც თქვენში იყო. მხოლოდ გადასცემენ დიდი ბაბუის ოჯახის სითბოს, სიყვარულის ტრადიციას.

წახვედით ჩვენგან, ჩვენო შვილებო. დიდი სიყვარული და გულისტკივილი დაგვიტოვეთ იმ ნათელ ხსოვნასთან ერთად, რომელიც მუდამ დაუვიწყარი იქნება ჩვენთვის.

გურამ კაციტაძის ოჯახი

გურამ ანთიძის მონატრება

23 მარტს 5 წელი გახდება, რაც შეწყდა შენი სიცოცხლე, ჩემო ძვირფასო მამავ, ბაბუავ. ყველას ძალიან გვენატრები. შენ ჩემზე ბედნიერი ყოფილხარ, შვილის სიკვდილს რომ ვერ მოესწარი. დამტოვა ჩემმა მერაბმა და შენთან ყოფნა ამჯობინა. შვილმკვდარი დედისთვის ყველაზე დიდი სასჯელი სიცოცხლე ყოფილა.

მსუბუქი იყოს თქვენთვის იმქვეყნიური ცხოვრება.

ვენერა

მალხაზ ჟღენტის გახსენება



ორმოცი დღე გავიდა გარდაცვალებიდან და სევდა და ღრმა გულისტკივილი სდევს თან ამ ორმოც დღეს. წახვედი ჩვენგან გულმხურვალე, მოსიყვარულე, აუხდენელი ოცნებებით... რამდენი წელიც არ უნდა გავიდეს, ყოველთვის ჩვენ გვერდით იქნები, ჩვენო მალხაზ.

ღმერთმა ნათელში ამყოფოს შენი ლამაზი სული.

ოჯახი, უახლოესი ნათესავები

მინდია კობახიძეს!

წელიწად-ნახევარი გავიდა იმ ავბედითი დღიდან — 2002 წლის 28 აგვისტოდან. პანკისიდან მობრუნებული, შენი საყვარელი დედის სანახავად მიიჩქაროდი სახლში. არ დაგცალდა, ტრაგიკულმა შემთხვევამ იმსხვერპლა შენი ლამაზი სიცოცხლე.

უკვე მეორედ ვხვდებით შენი ახლობლები 24 მარტს, შენს დაბადების დღეს. გილოცავთ. იცოდე, რომ უშენოდ ჩვენთვის არც ერთი დღე არ თენდება და არ ღამდება, ჩვენო მინდია.

ფატი

გურამ ასლამაზაშვილის მონატრება

... ჩვენი ჩანაწერი სევდის ბარათია... ჩვენში ჩამდგარი სიცარიელე ყინულივით ცივია და გაუსაძლისი. თითქმის ორი წელია უკვე, ჩვენ გვერდით აღარ ხარ... ცისიერი შენი სული მიწისთვის მეტად მსუბუქი აღმოჩნდა და 24 ივლისის დილას აჰყვა შორეულ ლანდად... და უეცრად აღმოვაჩინეთ, რომ ერთით ნაკლებნი ვიყავით და ეს აღმოჩენა ჩვენი რთული ცხოვრების საწყისი იყო.

თურმე რა ბედნიერები ვიყავით, 23 მარტს ყველანი ერთად რომ აღვნიშნავდით შენს დაბადების დღეს. ახლა კი... ახლა როგორღა მოგილოცოთ, როგორ გადმოგცეთ საჩუქრები, როცა ჩვენგან ასე შორს ხარ? ნუთუ უშენოდ უნდა დადგეს ეს დღე? რატომ იყავი, გურამ, ასე სწრაფი? ქროლისა და სიშორის ჟინი იყო თითქოს შენში ჩაბუდებული.

ძალიან გვენატრები. ერთი დღეც არ გადის უშენოდ. სულ გელოდებით, თითქოს გვჯერა, რომ აუცილებლად უნდა დაბრუნდე ისევ...

შორიდან გილოცავთ დაბადების დღეს, გეფერებით და ზეცას ბარათებს ვატანთ, შენთვის დაწერილ სევდის ბარათებს.

ერემია კუჭავას მონატრება

26 მარტს 20 წელი სრულდება შენი წასვლიდან ზეციურ საქართველოში. დედის და შენი მოსწავლეები დღესაც ტკბილად და დიდი სითბოთი გიხსენებენ, რადგან ბევრი გზააბნეული ბავშვი დააყენე სიკეთის გზაზე.

მამა! გვიყვარხარ, გვენატრები, გიგონებთ. ღმერთმა ნათელში გამყოფოს.

ნანა, ბიჭიკო, ზოია კუჭავები

მაიზერ ჟორას ძე ჩანქსელიანის ხსოვნას!

ამბობენ, დრო ყველაფრის მკურნალიაო, მაგრამ შენი მოლოდინის და მონატრების გრძნობას ვერაფერი განკურნავს. ამ ქვეყნიდან შენი მოულოდნელი წასვლით გაუბედურებულნი და ფრთამოტეხილნი დაგვტოვე ყველა. ოცდაერთ სექტემბრამდე შენში ხომ სიცოცხლე ჩქეფდა. ჩვენ ყველანი უბედნიერესი ადამიანები ვიყავით, მაგრამ დღეს კი ნუგეში არსადაა.

შვილო მაიზერ, ექვსი თვე გავიდა მას შემდეგ, რაც ნიავივით გაფრინდა შენი ლამაზი სული და სამუდამო სასუფეველში დაიმკვიდრა ბინა. ჩვენ კი მოუშუშებელი ტკივილი დაგვიტოვე.

შენ არა მარტო შენს მშობლებს, არამედ მთელ გვარს დააკლდი; დააკლდი იმათ, ვინც ამ გაჭირვებულ ქვეყანაში შენი დახმარების იმედით ცხოვრობდა. ჩვენ იმედად იმას ვიტოვებთ, რომ შენ შენი სიკეთითა და მოყვასის სიყვარულით უკვე დაიმკვიდრე მარადიული სასუფეველი. მსუბუქი ყოფილიყოს შენს გულზე დაყრილი ქართული მიწა, ჩვენო მარად მონატრებულო და საყვარელო შვილო.

შენი მშობლები

გოჩა სეხნიაშვილის მონატრება

ჩემო საყვარელო მამიკო! გავიდა დარდითა და ტკივილით სავსე ერთი წელიწადი. მკაცრი და შეუვალია უფლის განაჩენი. ზუსტად 40 წლის ასაკში, 26 მარტს ბოროტმა ხელმა შეაჩერა შენი სიცოცხლე. მამიკო, ძალიან გვენატრები. დაუვიწყარია ჩვენი ბოლო შეხვედრა — რა უზომოდ თბილი და ტკბილი იყავი. ალბათ გრძნობდი, რომ უკანასკნელი იყო ჩვენი ერთად ყოფნა. შენს ლამაზ სიცოცხლესთან ერთად ჩაიფერფლა მრავალი აუხდენელი ნატვრა და ოცნება. ის ყველაფერი, რაც შენ ვერ მოასწარი და დიდ ტკივილად გაგყვა, ვეცდები ისე გავაკეთო, როგორც შენ გინდოდა.

იძინე ტკბილად. შენ ხომ ყოველთვის ძილი გენატრებოდა, შრომასა და სიყვარულში დაღლილო მამიკო.

ღმერთმა ნათელში ამყოფოს შენი სული. ფაფუკი ყოფილიყოს შენთვის კვირაცხოვლის მიწა.

შენი გულმოკლული გიორგი და დედიკო

შვილები: ვარლამ (ლალი) ნიკოლაძე, მაია ჟღენტი, შვილიშვილები: გია, დათო, ტატა, სანდრო, კოკა ნიკოლაძეები, ქეთი თოფაძე ოჯახებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა



ქეთევან ვარლამის ასული ბურჯანაძე.

პანაშვიდი: 21, 22 მარტს 17 საათზე;

დაკრძალვა: 23 მარტს, 14 საათზე.

მისამართი: შანიძის (ყოფ. კალანდაძის) ქ. №32

ლალი გუნთაიშვილი, თინა მარგველაშვილი, ნუცა დუმბაძე, ნანა ანტონოვა-ილურიძე, მანანა ჯანელიძე, ციცო ნიკოლაიშვილი, მერი ტარნავა, ნათელა კეშელავა გულისტკივილს გამოთქვამენ, რომ გარდაიცვალა ცნობილი მეცნიერი, მთარგმნელი, თბილისის ივ. ჯავახიშვილის სახ. სახელმწიფო უნივერსიტეტის დოცენტი, ბრწყინვალე პედაგოგი და პიროვნება, ქალბატონი

ქეთევან ბურჯანაძე.

ღმერთმა აცხონოს განსვენებულის სული.



დედა ელენე სუხიშვილი; მეუღლე თენგიზი, შვილი ზაზა თოდრიები; რძალი ნათია ფირცხალავა; შვილიშვილები თამარი, ანი; მამიდაშვილები, დეიდაშვილები იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

თინა კონსტანტინეს ასული აგლაძე.

პანაშვიდი: 22 მარტს, 17 საათზე;

დაკრძალვა: 23 მარტს 14 საათზე.

მისამართი: ბუხაიძის ქ. №16

ჩვენ გვწერენ

მეხის „დამძახებლები“

ვიცი, ზოგ მკითხველს ჰგონია, რომ ათას მონაჭორსა და ტყუილს წერენ წერილებში მკითხველები... ეს ასე არ არის. ბავშვობაში მსმენია, მეხი ორჯერ ერთსა და იმავე ადგილას არ ეცემაო. ესეც ტყუილია. ბაბუაჩემის მამა მეხს მოუკლავს თავისი სოფლიდან მოშორებით, საძოვარზე. ოცდაათი წლის შემდეგ მის შვილს, ბაბუაჩემს, იმავე ადგილას დაეცა მეხი...



იმ დღის შემდეგ ბებიას სიკვდილივით ეშინოდა მეხის, იმდენი უქნია, დედამთილიც დაუყოლიებია, სოფლიდან აყრილან და ბავშვებთან ერთად თბილისში წამოსულან საცხოვრებლად.

მამაჩემი აქ გაიზარდა, დაოჯახდა და გავჩნდით მე და ჩემი ძმები. რამდენიმე წლის წინ, თუ გახსოვთ, ქალაქელებს საშუალება მიეცათ, სოფლად მიწის ნაკვეთები აეღოთ. რაკი ჩვენ სოფელი არ გვქონდა (ბებიამ იქ ყველაფერი გაყიდა და გაასხვისა), მამამ გულმოდგინე ცდა არ მოაკლო, რომ თავის სოფელში ან სოფელთან ახლოს აეღო პატარა ნაკვეთი. მაშინ ბებია ღრმად მოხუცებული იყო. რომ ვუთხარით, მამამ სოფელში მიწა შეიძინაო, ხელები გაასავსავა და თავი უილაჯოდ გადააგდო უკან...

მოკლედ, მამაჩემმა დარგო ხეხილი ნაკვეთში და ნასიამოვნები ხან ვის ეპატიჟებოდა თავისი ნაამაგარი ბაღის დასათვალიერებლად, ხან — ვის. ერთხელ, გაზაფხულზე, წავიდა მიწის დასამუშავებლად. მერე იხსენებდა, სამანქანო გზაზე მეწყერი იყო ჩამოწოლილი და შორიდან მოვუარეო... წვიმდა თურმე... ბოლოს, ისეთი თავსხმა წამოსულა, იძულებული გამხდარა, გაჩერებულიყო და საბურავებთან ქვებიც კი დაეწყო, რომ მანქანა ნიაღვარს არ დაეცურებინა. მეხიც გავარდა და მამას დაეცა... ოღონდ, დამიჯერეთ, იოლად გადარჩა. თმა და ულვაში შეეტრუსა, მსუბუქი დამწვრობა და ძლიერი სტრესი მიიღო. თბილისში დაგვირეკეს — ჩამოდით, ავად არისო. გავცვივდით. მამა მართლაც შეშინებული და მოტეხილი დაგვხვდა... წამოვიყვანეთ თბილისში. არ ვიცი, ბედისწერაა თუ რა, სოფლად სიარული ვერ მოვაშლევინეთ. ისევ იქით მიიწევდა, სადაც საშიშროება ელოდა. მე და ჩემი ძმები კი ისე შევძრწუნდით მომხდარით, რომ თბილისიდან დასასვენებლად გასვლაც კი აღარ გვინდოდა... ერთხელაც შეგვატყობინეს — მამა გარდაიცვალაო. ჩავედით. სოფლელებმა გვითხრეს, — მსგავსი არაფერი გვინახავს, დღისით, მზისით რაღაც ხმა გაისმა, განათდა ყველაფერი. მოვიხედეთ და მამაშენი მიწაზე უსულოდ ეგდოო...

ას წელს მიტანებულმა კალისტრატე ბაბუამ კი გვითხრა, — თქვენო, მეხის დაძახება შეგიძლიათ, სხეულით ეძახითო... ჰოდა, მამაშენს ისეთი ძალა მიეცა, მეხი მზიან დღესაც კი მიიზიდაო. ნამდვილად არ მესიამოვნა ეს ახსნა, მაგრამ რა მექნა...

დავასაფლავეთ მამა საგვარეულო სასაფლაოზე. იმ ღამეს დიდი წვიმა მოვიდა. დილით კი შიშით ენაჩავარდნილმა მესაფლავემ ამბავი მოგვიტანა — მამაშენის და ბაბუაშენის საფლავებს მეხი დაეცაო. ვნახეთ, გადაბუგული იყო იქაურობა...

თბილისში რომ ჩამოვედი, ბიბლიოთეკები მოვირბინე, მინდოდა ყველაფერი გამეგო მეხისა და მეხის მიმზიდავი ადამიანების შესახებ. ერთი ასეთი ამბავიც წავიკითხე უცხოურ ლიტერატურაში. თურმე, 1753 წელს, დიავი იზისის მარკეტსკვერში სამი მეგობარი წავიდა ერთი ტომარა ფქვილის საყიდლად. ფული თანაბრად უნდა დაედოთ, მაგრამ ერთ-ერთმა თავისი წილი გადამალა, თუმცა იფიცებოდა, — მთლიანად დავდეო. მეტი დამაჯერებლობისათვის კი ფიცით უთქვამს: — თუ ვტყუოდე, აქვე მეხი დამეცესო. ამის თქმა იყო, მიწაზე დაეცა და გარდაიცვალა. ნათებამ, რომელიც ყველაფრით მეხს ჰგავდა, სიცოცხლეს გამოასალმაო.

ისიც წავიკითხე, — უძველესი მისნები მეხის გამოწვევის ხელოვნებას ფლობდნენო. რა გითხრათ... ახლა რაღას გავიგებ, რა იყო ეს — წყევლა ჩვენი ოჯახის მამაკაცებზე თუ უცნაური ნიჭი, რომლითაც ჩემი წინაპრები მეხს იზიდავდნენ.

აკაკი რაზმაძე, თბილისი

„საზალოო–სალაღო“ გვერდის პასუხები

I. რადიო.

II. მე-4 ყვავილი.

III. **აბა, გამოიცანი:**

1) — გ); 2) — ბ); 3) — ა); 4) — გ); 5) — დ); 6) — ა); 7) — ბ); 8) — დ).

მკურნალი მინერალები

ძვირფას ქვებს ჩვენი წინაპარი პატიოსან თვალს, სპეკალს უწოდებდა. მას სამკაულადაც იყენებდნენ და სამკურნალოდაც. ამის უამრავი მაგალითია სამკურნალო წიგნებში: „იადიგარ დაუდი“, „კარაბადინი“, „უსწორო კარაბადინი“ და ა.შ. სპეკალს ფხვნიდნენ, ურჩევდნენ სამკურნალო ბალახებს და ამზადებდნენ ხსნარებს, მალამოებს, ტლეს...

ქვებით მკურნალობის ზოგ მეთოდს გამოიყენებს თანამედროვე მედიცინაც. ფართოდ არის გავრცელებული სთოუნთერაპია — ქვებით მასაჟი — სტრესის, კუნთების დაძაბულობის მოსახსნელად, ზურგის ტკივილის დასაცხრობად.

სპეკალის არჩევამდე დაფიქრდით, სამკაულად გინდათ, ჯანმრთელობის დასაცავად, ერთგულების, მეგობრობის თუ სიმდიდრის დარაჯად. თუ აპირებთ გამოიყენოთ ის, როგორც თილისმა (მოგიტანოთ ბედნიერება და წარმატება) ან დაგიცვათ უარყოფითი ენერგიისგან, აარჩიეთ არა მარტო ზოდიაქოს ნიშნის მიხედვით, არამედ თქვენი ტემპერამენტის გათვალისწინებითაც. მაგალითად, წითელი ფერის თვლები არ უნდა ატარონ ფიცხმა ადამიანებმა, სამაგიეროდ, მორცხვებს წარმატებას მოუტანს.

ზურმუხტი და **ფირუზი** ყველას უხდება, ვინაიდან ეს თვლები ადამიანს უღვიძებს საუკეთესო თვისებებს. თანაც ეს ორივე ქვა ავალდებულებს პატრონს, იყოს პატიოსანი, სამართლიანი, ლმობიერი. წინააღმდეგ შემთხვევაში, ქვის მაგიური ძალა სუსტდება.

არ იფიქროთ, რომ ქვის შეძენისთანავე იგრძნობთ მის ჯადოსნურ ძალას. მოთმინება გმართებთ, რამდენიმე თვეა საჭირო, ვიდრე მინერალი შეგეთვისებათ, მოერგება თქვენს ბიორიტმს და დაიწყებს თქვენს სასარგებლოდ „მუშაობას“. ქვას მოვლა სჭირდება. ყოველდღე უნდა გაწმინდოთ ნეგატიური ენერგიისაგან: გააჩერეთ მზეზე, გარეცხეთ გამდინარე წყალში, ღამით ჩადეთ მშრალ ზღვის მარილში. არასოდეს არავის ათხოვოთ და არ აჩუქოთ თქვენი თვალი. თუ რამდენიმე ხნით აღარ გსურთ მისი ტარება, შეახვიეთ ალუმინის ფოლგაში და შორს შეინახეთ. ყველაზე მთავარი: ქვას მოეპყარით ნაზად და ყურადღებით და ისიც აუცილებლად ასევე გიპასუხებთ. თუ გსურთ მიაღწიოთ დასახულ მიზანს, გჯეროდეთ თქვენი ქვის ძალისა.

ამეთვისტო — ამ ქვას შეუძლია სიყვარულის გრძნობა გაუღვიძოს მას, ვისაც აჩუქებთ. გარდა ამისა, წმენდს კანს. ამეთვისტოს უყვარს ვერცხლი. მისი ძალა მაშინ გამოჩნდება, თუ მას ატარებთ დროდადრო და არა მუდმივად. სჯობს 3, 7 და 11 რიცხვებში გაიკეთოთ უსახელო თითზე.

ვარდისფერი კვარცი — აღმოსავლეთში მას უწოდებენ „გულის ქვას“. ის პატრონს სიცოცხლის ძალას მატებს და უმაღლებს ათვისების უნარს, მის ქცევას უფრო ბუნებრივს ხდის.

აკვამარინი — ცნობილია, რომ აკვამარინი ფერს იცვლის ატმოსფეროსა და პატრონის გუნების მიხედვით. ის კამკამა ცისფერია მხოლოდ ნათელ ამინდში ან როცა პატრონი მშვიდადაა. სჯობს, ეს თვალი ატაროთ ნეკზე, საჩვენებელ თითზე, კისერზე, მკერდზე.

მთის ბროლი — სასარგებლოა ყველასათვის, მაგრამ განსაკუთრებით შემოქმედ ადამიანებს წყალობს — აუმჯობესებს მეხსიერებას, ხელს უწყობს ყურადღების კონცენტრაციას, სჯობს ეს მინერალი კრისტალის ან ბურთის სახით ჯიბეში გედოთ: მამაკაცებს — მარჯვენა მხარეს, მანდილოსნებს — მარცხენა.

ტურმალინი — წითელი ტურმალინი ითვლება მხატვრების თილისმად, მწვანე — შემოქმედი ხალხის დამცველია და გამაახალგაზრდავებელი თვისება აქვს. მწვანე ტურმალინი სასარგებლოა ზოდიაქოს ნებისმიერი ნიშნისთვის, განსაკუთრებით ძლიერი ნერვული სტრესისა და ფიზიკური დატვირთვის, ხანგრძლივი ავადმყოფობის შემდეგ.

ძოწი — ეხმარება პატრონს ახალი ნაცნობების გაჩენაში, უძლიერებს სურვილს საწინააღმდეგო სქესის მიმართ. ოდითგანვე ცნობილია, რომ ძოწის მატარებელს ყოველთვის ბევრი ფული ექნება. ეს ქვა უნდა ატაროთ საჩვენებელ თითზე ან ყელზე.

ონიქსი — აუმჯობესებს მეხსიერებას. მისი პატრონი ადვილად აღწევს დასახულ მიზანს. ეს ქვა უნდა ატაროთ მკერდზე.

მალაქიტი — შთანთქავს და შლის ნეგატიურ ენერგიას, ქმნის ფიზიკურ და ემოციურ ჰარმონიას. ხშირად ის უკეთიათ კისერზე, უსახელო თითზე.

ლიზა №10

ოსტეოართროზი?

„მუვ ფრი“ — ეს მეტია, ვიდრე ტკივილგამაყუჩებელი
თქვენი სახსრების ჯანმრთელობის საფუძველი

„მუვ ფრი“
• აღადგენს ხრტილის დეფექტებს სახსარში
• დაუბრუნებს სახსარს ელასტიკურობასა და ამორტიზაციის უნარს
• უზრუნველყოფს თავისუფალ მოძრაობას ტკივილის გარეშე
ARTHRITIS FOUNDATION რეკომენდებულია ართრიტის ფონდის მიერ
GMP ხარისხის გარანტია — CMP-ის საერთაშორისო სერტიფიკატი

„მუვ ფრი“
თქვენ დარწმუნებული უნდა იყოთ მათში, ვისაც ყველაზე მთავარს — საკუთარ ჯანმრთელობას ანდობთ!
GV ჯეოვიტი GEOVIT
ამერიკული კომპანია „შიფ“-ის ოფიციალური დისტრიბუტორი საქართველოში კომპანია „ჯეოვიტი“
მის: ილია ჭავჭავაძის 41 (ვაკის პარკის პირდაპირ),
☎29-20-91; 899 10-99-20; 899 14-35-56 ყოველდღე, შაბათ-კვირის ჩათვლით
www.schiffvitamins.com
Schiff 60

თოჯინას ციხე ემუქრება

საუდის არაბეთის სათამაშოების მაღაზიების თაროებიდან ისმის ბავშვის ტიკტიკი, სიცილი, ტირილი. ჩინური წარმომავლობის ცისფერთვალება თოჯინა ანაბელი მართლაც ცოცხალივითაა: საწოვარასაც წოვს, ბოთლით რძეს სვამს, ამთქნარებს, ტკბილად სძინავს, გაღვიძებისას კი პატარა ბავშვივით ტირის. ტირიან საუდის არაბი ბავშვებიც. კანონი მათ უკრძალავთ იმ თოჯინებით თამაშს, რომელთა გახდაც შეიძლება, რადგანაც ეს საზოგადოების წესიერების ნორმებს ეწინააღმდეგება.

თოჯინა ანაბელი ალბათ ბარბის ბედს გაიზიარებს — იგი 10 წლის წინ საუდის არაბეთში „პერსონა ნონ გრანტად" გამოცხადდა. რელიგიური პოლიცია ყოველდღე ამოწმებს მაღაზიებს და ვაი მას, ვისაც ამ თოჯინას აღმოუჩენენ.

ქალთა აზრით, ეს აკრძალვა მათი უფლებების მორიგი დარღვევაა, თითქოს საკმარისი არ იყოს, რომ საჭესთან ჯდომა, მობილურის ხმარება ეკრძალებათ, ახლა ბავშვს სათამაშოსაც ვერ უყიდი! მაგრამ ამ აკრძალვებს ბევრი ქალი არ ეპუება. მათი აზრით, დროა, რელიგიური ფანატიკოსების ბატონობას წერტილი დაესვას.

ეხო პლანეტი №9

დედა ყოველთვის მართალია!

ლიზ ტეილორისა და რიჩარდ ბარტონის ქალიშვილი მარია დედის დაჟინებული მოთხოვნით, ქმარს გაეყარა.

„ელიზაბეტმა ოჯახი დაგვინგრია, — ჩივის ტეილორის სიძე, უოლ-სტრიტის წამყვანი მენეჯერი ტომ მაკკუინი, — ყველაფერში ცხვირს ყოფს და მარიას ჩემს წინააღმდეგ ამხედრებს".

ახლა მარია თავის მზრუნველ დედიკოსთან ცხოვრობს ლოს-ანჯელესში. ლიზ ტეილორი, რომელიც 8-ჯერ არის გაყრილი ქმრებთან, თავის მდიდარ გამოცდილებას საყვარელ ქალიშვილს უზიარებს. პირველ ქმართან, კინოაგენტ სტივ კარსინთან ხელის ერთი დაკვრით გაყარა. სტივის თქმით, ლიზი გაუთავებლად ერეოდა წყვილის ურთიერთობაში და ბოლოს დაარწმუნა მარია გაყრის აუცილებლობაში. ლიზს დღესაც მიაჩნია, რომ სტივი „ცუდად ეპყრობოდა მის გოგოს". მეორე სიძესთანაც დაახლოებით იგივე პრეტენზია აქვს. როგორც ამბობს, ქვეყნად ჯერ არ შობილა მამაკაცი, რომელიც მისი საყვარელი ქალიშვილის ღირსია.

ნიუ ზუიქი

„ვყიდულობ ორივეს!"

მილიარდერი ონასისის შვილიშვილი ათინა ონასისი ახლახან მზიურ ბრაზილიას ესტუმრა. ბრაზილია მისი მეგობრის ალვარო დე მირანდა ნეტოს, ანუ დოდოს სამშობლოა. დოდო ცოლს ეყრებოდა, ათინა კი მზეზე ირუჯებოდა და სილამაზის სალონებში დადიოდა. შიგადაშიგ პლასტიკურ ოპერაციებს იკეთებდა აღნაგობის დასახვეწად. რა თქმა უნდა, საკუთარ გარეგნობაზე ასე მზრუნველი ქალი ბავშვის გაჩენაზე არც იფიქრებს. საბედნიეროდ, დოდოს უკვე ჰყავს გოგონა — 4 წლის ვივიანი. დოდოც დაჟინებით ითხოვს მშობლის უფლებების მისთვის გადაცემას, ვივიანიც თან წაიყვანა ბრიუსელში, სადაც ამჟამად მისი უმდიდრესი სატრფო ცხოვრობს. დოდოს ცოლყოფილი ბავშვს მხოლოდ ტელეფონით უკავშირდება. შვილის დაბრუნებაზე ხელი აქვს ჩაქნეული, რადგან ათინას თავისი მოკრძალებული სახსრებით ვერ გაუტოლდება. ათინას თურმე ძალიან უყვარს ვივიანი და ცდილობს ნამდვილი დედა შეუცვალოს. ბრაზილიური თემიდა დილემის წინაშე დგას: ერთ მხარეზე — ნამდვილი დედა და მისი სიყვარული, მეორეზე — მამა, ათინა და მილიარდებით დატენილი ტომრები დგას. ვინ გაიმარჯვებს, მომავალი გვიჩვენებს.

მონდი

„ურცხვი" იუბილარი

ქალების საყვარელ ბიკინის 50 წელი შეუსრულდა. პოდიუმებზე იგი 1946 წელს „გამოგოგმანდა", ფრანგმა მოდელიერმა ლუი რირდმა მოდის ჩვენებაზე ახალი საცურაო კოსტიუმი გამოამზეურა. შოკის მომგვრელი კომპლექტი იმდენად „ურცხვი" იყო, რომ მოდელებმა უარი თქვეს მის დემონსტრირებაზე. იძულებული გახდნენ სტრიპტიზიორი მოეწვიათ... სამაგიეროდ, თავხედური და ეგზოტიკური საცვალი ელვის უსწრაფესად გაიყიდა. ამასთან, მყიდველები ძირითადად მამაკაცები იყვნენ — ყველას უნდოდა თავისი საყვარელი არსება მომხიბვლელი და სექსუალური ყოფილიყო.

ქალებმა ბიკინი ჯეროვნად 60-იან წლებში დააფასეს, როცა მოდაში მინიკაბები შემოვიდა. ცხადი შეიქნა, რომ ეს მაცდუნებელი საცვალი ლამაზ ტანზე მეტად აღაგზნებს მამაკაცს...

ბილდი

პატარძალი აიძულეს, გაექცა

წარმოუდგენელია, მაგრამ XXI საუკუნეში ევროპაში ძალით ათხოვებენ გოგონებს. ახლახან ერთ-ერთ არისტოკრატიულ ბოშურ ოჯახში დიდი სკანდალი მოხდა. ტრანსილვანიის ქალაქ სიბიუში, ლეგენდარული გრაფ დრაკულას ციხესიმაგრის მახლობლად, ბოშათა მეფის, ფლორინ ჩოაბას ასულის, ანა-მარიას ქორწილი გადაიხადეს.

ანა-მარია ჯერ კიდევ 7 წლის იყო, როცა მამამ თავისი მეგობრის 10 წლის ვაჟზე დაწინდა. 5 წლის შემდეგ სამამამთილომ, ბარონმა მიხაი ბირიტამ სარძლოს 10.000 ევროს ღირებულების საპატარძლო კაბა უყიდა, ხოლო სადედამთილომ — ბრილიანტის თვლებით მოოჭვილი დიადემა დაადგა თავზე. ტრადიციისამებრ, ანა-მარიას ათი მდადე ამზადებდა ქორწილისთვის. გოგონა ცრემლად იღვრებოდა, მაგრამ მამა დაემუქრა — ვაი, შენი ტყავის ბრალი, თუ არ გაუღიმებ მოძღვარს ჯვრისწერის დროსო. გოგონა უსიტყვოდ ასრულებდა ყველაფერს, რასაც უბრძანებდნენ, მაგრამ როცა მომავალი ცოლ-ქმარი ეკლესიაში შევიდა, პატარძალმა ხელი ჰკრა საქმროს, მამას ფეხებში ჩაუვარდა და შეევედრა, — გემუდარები, მამიკო, არ გამათხოვო. ჩვენ ხომ ჯერ კიდევ ბავშვები ვართ, მე-12-ის, ის კი 15 წლისაო.

გაოგნებულმა ფლორინმა შვილს შეუტია, მას 700-მა სტუმარმაც დაუჭირა მხარი — ბოშათა არისტოკრატიის წარმომადგენლებმა, რომლებიც ევროპის ქვეყნებიდან ჩავიდნენ რუმინეთში, პატარძალი გაკოჭეს და ისე დასწერეს ჯვარი.

საცოდავი ანა-მარიას გათხოვება საიდუმლოდ დარჩებოდა, რომ არა ქორწილში დაპატიჟებული პროფესიონალი კინოოპერატორი, რომელმაც მთელი ცერემონია ფირზე გადაიღო. კინოოპერატორმა ფირი პოლიციაში მიიტანა და სამართალდამცველებს ყველაფერი ჩაუკაკლა, რაც საკუთარი თვალით ნახა. ამ ამბავმა ბუქარესტამდე მიაღწია და სკანდალიც ატყდა: რუმინული კანონი კრძალავს 16 წლამდე ქორწინებას. მაგრამ ადგილობრივმა ხელისუფლებამ მაინც ვერ უშველა ანა-მარიას, ვინაიდან ფლორინ ჩოაბა ნათესავებთან ერთად სიბიუდან გაიქცა.

ჯენტე

შეცდომების გასწორება

ამერიკელმა და რუსმა მეცნიერებმა კამასუტრას გადაწერა გადაწყვიტეს. მათი აზრით, სხვადასხვა უცხო ენაზე თარგმნილ ვარიანტში დედანი უხეშად არის დამახინჯებული — ეროგენული ზონების განსაზღვრის მეთოდი შეცდომითაა გადატანილი.

კამასუტრას ავტორობას ინდოელ ექიმსა და ფილოსოფოს ვატიასანას მიაწერენ. ევროპაში წიგნი შუა საუკუნეებში მოხვდა, მაგრამ ტექსტს ევროპელები 1883 წელს გაეცნენ, როცა სანსკრიტიდან ინგლისურად თარგმნა რიჩარდ ბარტონმა, ორიგინალში კი მე-19 საუკუნის შემდეგ არავის ჩაუხედავს. კამასუტრამ ევროპაში ფურორი მოახდინა. უამრავჯერ გამოსცეს, ინგლისურიდან მსოფლიოს თითქმის ყველა ენაზე ითარგმნა. მხოლოდ ახლა მიუბრუნდნენ ისტორიკოსები პირველწყაროს. მეცნიერებმა ბარტონის თარგმანი კამასუტრას ტექსტს შეადარეს და უამრავი შეცდომა აღმოაჩინეს. რუსმა მეცნიერებმა გადაწყვიტეს, ორიგინალში მოცემული რჩევები „პრაქტიკულად" შეამოწმონ. თუ ცდამ გაამართლა, გაზაფხულზე კამასუტრას ახალ თარგმანს იხილავს მკითხველი.

ვოკრუგ სვეტა

იპოდრომის დედოფალი და ექსპრეზიდენტი



ბილ კლინტონი ახლახან საზოგადოებაში ახალი ლამაზმანით გამოჩნდა. ქალბატონი ვიღაც უტვინო და ღარიბ-ღატაკი თეთრის სახლის პრაქტიკანტი არ გეგონოთ. იგი კანადელი საქმიანი ქალია.

57 წლის ექსპრეზიდენტი 37 წლის ბელინდა შტრონახმა „შეაბა". ამასთან, შანტაჟის მცდელობა გამორიცხულია. ბელინდა მდიდარი ქალია: მამამისი კანადაში ყველაზე მაღალანაზღაურებადი სპორტული მენეჯერია. მხოლოდ გასულ წელს მისი ჰონორარი 44 მლნ დოლარს შეადგენდა. ბელინდა კი ფირმა MEC-ს ხელმძღვანელობს — აქ სადოღე ცხენებს ამრავლებენ და მსოფლიოში ცხენსაშენ უდიდეს მეურნეობად ითვლება.

ბილის ცხოვრებაში საქმიანი ბელინდა არაბულ ცხენზე ამხედრებული (მეტსახელად „ბილი") „შემოჯირითდა". ცხენის გახედვნაში დაოსტატებულმა ქალბატონმა ექსპრეზიდენტის მოთვინიერება სწრაფად მოახერხა. კლინტონი უკვე ჰილარისთან გაყრაზე ოცნებობს, მაგრამ ამერიკის ყოფილი პირველი ლედი სხვა ქალისთვის ქმრის დათმობას არ აპირებს. ერთ-ერთ რაუტზე, როცა ბილი იპოდრომების დედოფალთან ერთად დაინახა, ორგულ ქმარს გაანჩხლებულმა უთხრა: გირჩევნია, დაივიწყო ეგ ქალბატონი, გაყრაზე არასოდეს დაგთანხმდებიო.

ტაიმსი

მსოფლიოში ყველაზე გრძელი — 1478-ასოიანი...

ყველაზე გრძელი სახელი მსოფლიოში ინდოელ ბრაჰმატრას აქვს. სახელი 1478 ასოსაგან შედგება. მის წასაკითხად ათი წუთი მაინც არის საჭირო. მასში ერთდროულად შედის ისტორიული ადგილების დასახელება, ცნობილი დიპლომატების, თეოლოგებისა და მეცნიერების სახელები. ბრაჰმატრას სახელის წაკითხვა ჯერ არავის უცდია.

ბრაჰმატრას ბევრად ჩამორჩება ს. ელენ ჯორჯიანე სერლეკენი, მისი სახელი მხოლოდ და მხოლოდ 598 ასოსაგან შედგება.

ჰავაიზე, ქალაქ ჰონოლულუში კი ერთი გოგონას გვარ-სახელი 102 ასოს შეიცავს. მასწავლებლები შეშფოთებულნი არიან — გოგონას გვარ-სახელი ვერაფრით ვერ შეიტანეს სასკოლო ჟურნალში.

ოკნა №9

ჟურნალ „კარუსელის" საფირმო კროსვორდი „კვირის პალიტრისთვის"



შევსების წესი: უპასუხეთ კროსვორდში დასმულ შეკითხვებს და პასუხები შესაბამის უჯრებში ჩაწერეთ. კროსვორდის სწორად ამოხსნის შემთხვევაში გამუქებულ უჯრებში აკაკი წერეთლის სიტყვებს ამოიკითხავთ.

კ	ვ	ი	რ	ი	ს	პ	ა	ლ	ი	ტ	რ	ა	შ	ე	ნ	ი	გ	ა	ზ	ე	თ	ი	ა
ე	რ		პ	დ	ე	ნ	ზ	ტ	ი	ა	ნ	რ	ი	რ	ი	რ		ნ	ა	ჯ	ზ	ნ	ი

კ. მსოფლიოში ყველაზე გავრცელებული დაავადება; **ვ.** მამაკაცური პოტენციის გასაძლიერებელი პრეპარატი; **ი.** ციხესიმაგრე, სადაც ედმონ დანტესმა 14 წელი გაატარა პატიმრობაში; **რ.** რისიმე დამზადების წესი; **ი.** ქართული ხალხური შეჯიბრი ცხენოსნობასა და შუბის სროლაში; **ს.** საქართველოს ერთ-ერთი კუთხე; **პ.** სათვალე, რომელსაც საყურე რკალების ნაცვლად ზამბარაკი აქვს ცხვირზე დასამაგრებლად; **ა.** ნაპირის ნგრევა-ჩარეცხვა ტალღების ზემოქმედებით; **ლ.** ისტორიკოსი ... მროველი; **ი.** დაცინვითი შინაარსის ლექსი; **ტ.** ხის ჯიში, რომელზეც გამოთქმის მიხედვით ის კაცი ზის, რომელიც არაფრის აზრზე არ არის; **რ.** იტალიელი კომპოზიტორი, „სევილიელი დალაქის" ავტორი; **ა.** თვითმფრინავის სადგომი; **შ.** ხუთი კაპიკი; **ე.** ერთგვარი კრემიანი ნამცხვარი; **ნ.** სპორტული ტანსაცმლისა და ინვენტარის მწარმოებელი ფირმა; **ი.** უწყინარი ხასიათის დამცინავი დამოკიდებულება რაიმესადმი; **გ.** არკადი გაიდარის მოთხრობა „ჩუკი და ..."; **ა.** ბავშვის სარწეველა საწოლი; **ზ.** ცის სფეროს წარმოსახვითი სარტყელი — მზის წლიური მოძრაობის გზა; **ე.** მეგრული კერძი; **თ.** ხელსაწყო, რომლითაც რაიმე ზედაპირის ჰორიზონტალურობას ამოწმებენ; **ი.** ქალაქ ტროას მეორენაირი სახელწოდება; **ა.** სამხედრო ნადავლი.

წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდის პასუხები:

ჩ. ჩობანი; **ვ.** ვერონა; **ე.** ეტალონი; **ნ.** ნეზვი; **თ.** თხილი; **ა.** აუდი; **ნ.** ნიაგარა; **ე.** ებრაელი; **რ.** რეისი; **თ.** თასმა; **ა.** ანხელი; **დ.** დავითი; **ა.** ანანასი; **რ.** რიყე; **ა.** აკვანი; **ს.** სმეტანა; **ო.** ოსლო; **დ.** დოგი; **ე.** ეპარქია; **ს.** სანტოსი; **მ.** მაუგლი; **ო.** ონასისი; **ი.** იადონი; **წ.** წიგნი; **ყ.** ყვირილა; **ე.** ეკლერი; **ნ.** ნიორი; **თ.** თიანეთი.

გამუქებულ უჯრებში იკითხება: ბრაზი და რისხვა ყველგან უადგილოა.

კვირის «მინიკალენდარი»

„კვირის პალიტრა“ დაბადების დღეს ულოცავს ამ კვირაში დაბადებულ მკითხველებს და კალენდარს გთავაზობთ სახელგანთქმული ადამიანების „მინიკალენდრის“:

22 მარტი:

ილიკო სუხიშვილი (უფროსი), ქართული ხალხური ცეკვების დიდოსტატი; **ამირან შალიკაშვილი** მსახიობი; **ანტონის ვან დეიკი**, მხატვარი; **ვალერი სიუტკინი**, მომღერალი.

23 მარტი:

არჩილ გომელაური, მსახიობი; **აკირა კუროსავა**, რეჟისორი; **ერიხ ფრომი**, ფილოსოფოსი, ფსიქოლოგი.

24 მარტი:

ოლღა გურამიშვილი-ჭავჭავაძე, ილია ჭავჭავაძის მეუღლე; **ლარა ფლინ ბოილი**, მსახიობი; **სერგეი ვავილოვი**, ფიზიკოსი; **სტივ მაკქუინი**, მსახიობი.

25 მარტი:

მიხეილ ხერგიანი, მთამსვლელი; **ელტონ ჯონი**, მომღერალი; **დევიდ ლინი**, რეჟისორი; **არტურო ტოსკანინი**, დირიჟორი.

26 მარტი:

ვახტანგ V ქართლის მეფე; **გურამ დოჩანაშვილი**, მწერალი; **ჰენრი როისი**, ფირმა „როლს-როისის“ ერთ-ერთი დამაარსებელი; **სტივენ ტაილერი**, ჯგუფ „აეროსმიტის“ ვოკალისტი; **ემილიო ფერნანდესი**, რეჟისორი; **რობერტ ფროსტი**, მწერალი.

27 მარტი:

მერაია ქერი, მომღერალი; **ვილჰელმ რენტგენი**, ფიზიკოსი, ნობელის პრემიის ლაურეატი; **მსტისლავ როსტროპოვიჩი**, ვიოლონჩელისტი, დირიჟორი; **კვენტინ ტარანტინო**, რეჟისორი.

28 მარტი:

გრიგოლ წერეთელი მეცნიერი, ფილოლოგი, პაპიროლოგიის ფუძემდებელი; **მაქსიმ გორკი**, მწერალი; **მაიკლ ნიუელი**, რეჟისორი; **ინოკენტი სმოკტუნოვსკი**, მსახიობი.

სიტყვათა კონა

თოხლი — ცხვარი ექვსი თვის ასაკიდან ერთ წლამდე.

თოხუმი (სპ.) (ძვ.) — შთამომავლობა, ჯიში, ჯილაგი.

თრაშვა (სპ.) — ხეხვით წახნაგების გაკეთება (ძვირფასი ქვებისათვის).

თრია — მოზრდილი მღრღნელი ცხოველი ციყვების ოჯახისა.

თრიაქი (სპ.) — იგივეა, რაც ოპიუმი.

თრიმლი — ხე ან ბუჩქი; იკეთებს პატარა მოყვითალო-მომწვანო ყვავილებს; ფოთლებს და ქერქს ცხოველები გამოსაყენებლად ხმარობენ, მერქანს — საღებავად.

თუთა — წყალში არეული ნაცარი, რომელსაც აყრიან თონის ნაკვერჩხალს გასანელებლად.

თული (ძვ.) — იგივეა, რაც ყაჩაღი.

თულუხი (თურქ.) (ძვ.) — წყლის საზიდავი რუმბი ან კასრი. 2. დიდი თუნგი (იციან მთაში).

თულუხჩი — იგივეა, რაც მეთულუხე.

თულფი — იგივეა, რაც კოზირი.

თუნი — ჭურჭლის გამოსაწვავი ქურა.

თურინჯი — ციტრუსოვანი მცენარე ერთგვარი.

თურთუმელა — ძალიან მსუქანი ხორცი; ლურთი.

თულუნი — ცხენის ჯიში ერთგვარი.

თუშეფალანგი — ჯამივით ჩაღრმავებული ნახვრეტებიანი მოზრდილი ჭურჭელი ბრინჯის და წყალში მოხარშული ზოგი სხვა რამის გასაწურად. ფლავის საწურავი.

თფუჩი! თფუჩი! — ხბოს მოსახმობი ძახილი.

თქორი — წვრილი წვიმა.

თხმელა — იგივეა, რაც მურყანი (ხის ჯიში).

თხისური — თხის მატყლი.

თხლე — ღვინის დანალექი (ქვევრში).

მარიკა ვერულაშვილი პარლამენტარობას აპირებს

— ვინ არის ის ლამაზი ქალბატონი, რომელიც პრეზიდენტს მუდამ თან დაჰყვება? იქნებ მოგვითხროთ ცოტა რამ მის შესახებ.

ნიკოლოზ მურჯიკნელი

ᲙᲘᲗᲮᲕᲐᲖᲔ ᲞᲐᲡᲣᲮᲝᲑᲡ **ᲛᲐᲠᲘᲙᲐ ᲕᲔᲠᲣᲚᲐᲨᲕᲘᲚᲘ**.

— მე, მარიკა ვერულაშვილი, ამჟამად პრეზიდენტის პრესსამსახურის უფროსი გახლავართ. ვარ 32 წლის. მყავს 11 წლის ქალიშვილი. დავამთავრე თბილისის ივ. ჯავახიშვილის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული და ჟურნალისტიკის ფაკულტეტები. მიხელ სააკაშვილს ვიცნობ თითქმის ექვსი წელი. ჩვენი სამსახურებრივი დაახლოება საკმაოდ უცნაურად მოხდა. 1993-97 წლებში ვმუშაობდი საინფორმაციო მაცნე — „მოამბეში“ კორესპონდენტად და ვაშუქებდი კრიმინალს. რაღაც დროის მანძილზე ბატონი მიხეილი პარლამენტის იურიდიული კომიტეტის თავმჯდომარე იყო, სწორედ აქედან ვიცნობთ ერთმანეთს. იმისდა მიუხედავად, რომ ხშირად ვხვდებოდით სამსახურებრივი მოვალეობების შესრულებისას, ერთმანეთს კარგად არ ვიცნობდით. 1997 წლიდან „ვულკანში“ ჟურნალისტობას და მუშაობა დავიწყე საქართველოს პროკურატურაში სტაჟიორად. საკვალიფიკაციო გამოცდების ჩაბარების შემდეგ კი — განყოფილების პროკურორად. 2000 წელს მონაწილეობა მივიღე მოსამართლეთა ატესტაციაში და დავაგროვე ყველაზე მაღალი გამსვლელი ქულა. ვინაიდან კონკურსში მონაწილე მოსამართლეთა შორის გახლდით ყველაზე პატარა (26 წლის), ჩემ შესახებ ტელევიზიით სიუჟეტიც კი გადაიცა. სწორედ იმ დღეს დაინიშნა ბატონი მიხეილი იუსტიციის მინისტრად და საინფორმაციო საშუალებებით პირველ რიგში დღის თემა გაშუქდა, შემდეგ კი ჩემი წარმატების შესახებ გავიდა ინფორმაცია. ბატონ მიხეილს ამ გარემოებისთვის მიუქცევია, მეორე დღესვე მომიწვია და სამსახური შემომთავაზა. ასე შემთხვევით მოვხვდი ბატონ მიხეილთან. მას შემდეგ ერთად ვმუშაობთ. მე გახლდით ნაციონალური მოძრაობის პრესსამსახურის უფროსი, საკრებულოს თავმჯდომარის პრესსამსახურის უფროსი, ხოლო ამჟამად ვარ პრეზიდენტის პრესსამსახურის უფროსი. ამბიციური არ გახლავართ, თუმცა ამჟამად გადაწყვეტილი მაქვს საპარლამენტო არჩევნებში მივიღო მონაწილეობა. სიაში 21-ე ვარ. ვთქვი, რომ სადღეისოდ, პრეზიდენტის პრესსამსახური ნამდვილად მაღალ დონეზე დგას და მეც გულდამშვიდებული წავალ. ვფიქრობ, პრეზიდენტს ერთგულება პარლამენტშიც დასჭირდება...

ნუ დაიბნევით!.. მიაკითხეთ «თბილგაზს»...

— რატომ შეუქმნა პრობლემები „თბილგაზმა“ თავის აბონენტებს? განა პრობლემები გვაკლდა? ჯერ ხომ ვერ მიეჩვია ბანკი, სადაც უნდა გადაეხადათ მოხმარებული ბუნებრივი აირის საფასური. თანაც გავიგე, რომ „თბილგაზი“ არ ახდევინებს მიმდინარე დავალიანებას მანამ, სანამ არ წარუდგენ წინა წელს გადახდილი მოხმარებული აირის საფასურის ქვითრების ასლს. იქნებ დამეხმაროთ და მითხრათ, რატომ და რის საფუძველზე შეაჩერეს ასევე დედაქალაქის მერიის მიერ დაწესებული შეღავათები. მაგალითად, პედაგოგებისათვის და სხვ.

თინა ნაყოფია

ᲙᲘᲗᲮᲕᲐᲖᲔ ᲞᲐᲡᲣᲮᲝᲑᲡ „ᲗᲑᲘᲚᲒᲐᲖᲘᲡ“ ᲡᲐᲖᲝᲒᲐᲓᲝᲔᲑᲐᲡᲗᲐᲜ ᲣᲠᲗᲘᲔᲠᲗᲝᲑᲘᲡ ᲡᲐᲛᲡᲐᲮᲣᲠᲘ.

— აღნიშნული კითხვებით მოქალაქე ჩვენთან რომ მოსულიყო, უმჯობესი იქნებოდა, თუმცა პასუხის გაცემა არც ახლაა დაგვიანებული.

წერილში აღნიშნული წუხილი ჩვენთვის სასვებით გასაგებია და „თბილგაზის“ აბონენტებს კიდევ ერთხელ ვუხდით ბოდიშს. ეს რადიკალური ზომები აუცილებლად უნდა მიგველო, რათა საბოლოოდ გაგვესწორებინა იმ მონაცემთა კომპიუტერული ბაზა, რომელიც ფაქტობრივად „თბილგაზში“ არ არსებობდა. აღნიშნულის შედეგად საბოლოოდ დადგინდა, რომ მოსახლეობა გადასახადს კი იხდიდა, მაგრამ „თბილგაზში“ იგი რეგისტრირებული არ არის. ამიტომ ვთხოვთ მოსახლეობას, რომ წარმოგვიდგინონ გასული წლის ყველა ქვითრის ასლი, რათა მათ სახელზე ძველი მონაცემებით გადარიცხული დავალიანება კომპიუტერულ ბაზაში შესწორდეს და კეთილსინდისიერ გადამხდელებს ჩამოეწეროთ არასწორად დარიცხული დავალიანება.

მაისის ბოლომდე ეს პროცედურა საბოლოოდ უნდა დასრულდეს. პირველივე პრეტენზიის გაჩენის შემთხვევაში მოსახლეობას ვთხოვთ მოგვმართონ ცენტრალურ ოფისში. ერთი თვის გამოცდილებამ გვიჩვენა, რომ მოსახლეობას 3-ჯერ მეტი მომხმარებული კუბატურა დარიცხა ოფიციალურად, ვიდრე აქამდე ერიცხებოდა. ინკასატორის ე. წ. ინსტიტუტის გაუქმების შემდეგ, სალაროში 3-ჯერ მეტი გადასახადი შემოდის.

ამ პროცესში უკვე 40 ბანკია ჩართული და მათი რიცხვი დღითი დღე იზრდება, რათა არ გართულდეს აბონენტებისთვის მომსახურება.

რაც შეეხება ბოლო კითხვას, საშეღავათო ვაუჩერები, რომლებიც პედაგოგებზე გაიცა, თუ მიმდინარე წლისაა, მკითხველს კვლავაც შეუძლია მიიტანოს იგი „თბილგაზის“ რაიონულ განყოფილებაში საცხოვრებელი ადგილის მიხედვით, ხოლო თუ იგი ადრეა გაცემული, საკითხის გასარკვევად „თბილგაზის“ ცენტრალურ ოფისს უნდა მოაკითხონ. რაც შეეხება სხვა შეღავათებს, მანამ სანამ დედაქალაქის მერია არ დაამტკიცებს 2004 წლის ბიუჯეტს და არ გადმოგვცემს იმ კატეგორიის ნუსხას, რომელზედაც გავრცელდება შეღავათი, ჩვენს აბონენტებს მოუწევთ მოხმარებული ბუნებრივი აირის სრულად გადახდა. სოციალური შეღავათების კატეგორიების გადმოცემის შემდეგ კი დადგენილი შეღავათით გათვალისწინებული თანხა მოსახლეობას ავტომატურად გამოექვითება და პრობლემაც გადაწყდება.

რატომ დატოვა გიორგი გომიაშვილმა «იმედის» ეთერი

— ხმები დაირხა, რომ გიორგი გომიაშვილი ტელეკომპანია „იმედიდან“ წამოვიდა. რამდენად მართალია ეს ინფორმაცია და თუ ასეა, მისი წამოსვლა ხომ არ უკავშირდება ბოლო გადაცემას, რომელშიც გიორგი მწვავედ აკრიტიკებდა შს სამინისტროს ბოლოდროინდელ საქმიანობას. მოქარა ხომ არ ყოფილა მისი ან ტელეკომპანიის მისამართით სამინისტროდან?

მამუკა ჯაფარიძე

ᲙᲘᲗᲮᲕᲐᲖᲔ ᲞᲐᲡᲣᲮᲝᲑᲡ **ᲒᲘᲝᲠᲒᲘ ᲒᲝᲛᲘᲐᲨᲕᲘᲚᲘ**.



— ბოლო გადაცემა არაფერ შუაშია და არც მისი სტუმრები დამშუქრებიან. თუმცა, უკვე ვრწმუნდები, რომ არც ეს არის გამორიცხული... ჩემი წამოსვლა უკავშირდება ჩემსავე პრინციპებს. ტელეკომპანიაში არსებობდა კონფლიქტი, რომელზედაც ამჟამად ხმამაღლა არ ვლაპარაკობ, მაგრამ დრო მოვა და ვიტყვი. პარასკევს სტუდიაც კი იყო გამზადებული, მაგრამ მე აღარ მოვინდომე გადაცემის წაყვანა და საერთოდ, ამ ტელეკომპანიაში დარჩენა. კონფლიქტი არ ეხებოდა ჩემი გადაცემის წაყვანის სტილსა თუ მის სიმწვავეს. შენიშვნა ამ კუთხით არავისგან მიმიღია, პირიქით, ბოლო გადაცემებმა დიდი მონონებაც დაიმსახურა. მე სულ სხვა გარემოებათა გამო წამოვედი. ვთქვი, რომ ადამიანმა საკუთარ პრინციპებს არავითარ შემთხვევაში და არაფრის ფასად არ უნდა უღალატოს. ამდენად, ტელეკომპანია „იმედი“ საბოლოოდ დავტოვე და გადაწყვეტილებას არ შევიცვლი. უახლოეს დღეებში გადაწყდება, რომელ ტელეკომპანიაში გავაგრძელებ მუშაობას. არ გამორიცხავ საზღვარგარეთის ტელეკომპანიებთან თანამშრომლობასაც.

«ვისი გორისა ხარ»...

— გთხოვთ გვიპასუხოთ, სად შეიძლება მოვიპოვოთ ინფორმაცია გვარების წარმომავლობის შესახებ.

ნიკოლოზ ხუციშვილი

ᲙᲘᲗᲮᲕᲐᲖᲔ ᲞᲐᲡᲣᲮᲝᲑᲡ ᲘᲐᲙᲝᲑ ᲐᲮᲔᲨᲕᲘᲚᲘ, ᲐᲙᲐᲓᲔᲛᲘᲙᲝᲡᲘ, ᲡᲠᲣᲚᲘᲐᲓ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲛᲐᲛᲣᲚᲘᲨᲕᲘᲚᲗᲐ ᲡᲐᲖᲒᲐᲕᲠᲝ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘᲡ „ᲒᲕᲐᲠᲘᲨᲕᲘᲚᲝᲜᲘᲡ“ ᲞᲠᲔᲖᲘᲓᲔᲜᲢᲘ.

— სამამულო ომის დამთავრების შემდეგ თბილისში განათლების მისაღებად ჩამოვედი. აუცილებლად მესაჭიროებოდა დაბადების მოწმობა და პასპორტი, რის გამოც მივმართე თეთრიწყაროს სააპპორტო განყოფილებას. თან მახლდა ვინმე ნიკოლოზ ღარიბაშვილი. მასაც თავისი ქალიშვილისთვის სურდა დაბადების მოწმობის აღება. აღმოჩნდა, რომ ღარიბაშვილი სომხად იყო ჩაწერილი და ძლივს მოვახერხეთ მისთვის ქართველობის „აღდგენა“. ეს შესაავალი იმისთვის გავაკეთე, რომ ქვემო ქართლში, კახეთის მთელ რიგ რაიონებსა და თერჯოლაში გასულ საუკუნეებში სომეხი მღვდლების (ტერტერების) მიერ მაშინდელი პოლიტიკის წყალობით შეგნებულად დაუწყიათ ქართველების გასომხება. ამ საკითხით დავინტერესდი და სწორედ ამან განაპირობა მომავალში ჩემი პროფესიის არჩევა თუ მეცნიერული კვლევები (სხვათა შორის, რედაქციაში ბევრი შეკითხვა მოდის, რომელთა ავტორები გვთხოვენ მოვუთხროთ თავიანთი გვარების წარმომავლობის შესახებ. — რ.ჯ.).

რაც შეეხება გვარ-სახელების შესახებ ინფორმაციის მოპოვებას, იგი შესაძლებელია, როგორც ჩემს საავტორო კვლევებსა და გამოცემებში, ასევე სრულიად საქართველოს მამულიშვილთა საგვარეულო კავშირის — „გვარიშვილობის“ დახმარებით სრულიად უსასყიდლოდ.

პარამილიტარული სპეცრაზმი

— რას ნიშნავს სიტყვა „პარამილიტარული“. ამ სიტყვის განმარტებას ვერსად მივაკვლიე. იქნებ თქვენ დამეხმაროთ.

ზაზა ბაკურაძე

— პარამილიტარული შედგენილი სიტყვაა. მისი ფუძე ლათინური წარმოშობისაა და მნიშვნელობით სამხედროს უკავშირდება. როგორც მიუღერის ლექსიკონი განმარტავს, ეს სიტყვა გასამხედროებულს, ნახევრად სამხედროს ნიშნავს. ანუ პარამილიტარული სპეცრაზმი გახლავთ პოლიციის დაქვემდებარებაში მყოფი სპეციალური გასამხედროებული ჯგუფი, რომელიც ყოველთვის მზადყოფნაშია.

რუბრიკა მოამზადა რუსუდან ჟორჟოლიანმა

ქვირველი მკითხველო, „ანიდან ჯოვედე“ ელდება თქვენი შეკითხვები უპასუხოდ არ დატოვოს, და ყველა მათგანზე კომპეტენტური პასუხი გასცეს...

ირაკლი ლაბაძემ მსოფლიო გააოცა

ინდიან ველსის საჩოგბურთო ტურნირზე, რომელიც ტრადიციულად ამერიკის შეერთებულ შტატებში იმართება, წარმატებით იასპარეზა ირაკლი ლაბაძემ, ჩვენებური ამ ასპარეზობას ახალტრავმამოშუშებული შეხვდა. მიუხედავად ამისა, ლაბაძის თამაშმა საყოველთაო აღიარება მოიპოვა.

აღნიშნული ტურნირი საკმაო პრესტიჟულობით გამოირჩევა, რისი დასტურიცაა ის სოლიდური საპრიზო ფონდი, რომელიც 2,8 მილიონ დოლარს შეადგენს.

კენჭისყრისას ლაბაძეს გაუმართლა და ძირითად ბადეში მოხვდა. პირველ წრეში ჩვენებური ფრანგ ტიერი ასიონეს დაუპირისპირდა. უშეღავათო ბრძოლისას ქართველმა სპორტსმენმა იმარჯვა 7:6, 6:4 და მეორე წრეში გავიდა, სადაც მისი მოწინააღმდეგე მსოფლიოს ერთ-ერთი უძლიერესი ჩოგბურთელი, ესპანელი კარლოს მოია გახლდათ. პირველი სეტი მოიას აშკარა უპირატესობით წარიმართა და მისი გამარჯვებითვე დასრულდა 6:2, თუმცა, შემდეგ ირაკლიმ ხელთ იგდო უპირატესობა და დამაჯერებლად სძლია მეტოქეს.

ეს უკვე სენსაცია გახლდათ, მით უფრო, რომ ირაკლიმ მესამე წრეში მოიას მაროკოელი ჰიშამ არაზიც მიაყოლა და მეოთხე წრეში არგენტინელ ჩოგბურთელს აუგუსტინ კალერს შეხვდა.

ირაკლიმ კალერთან შეხვედრაც სუსტად დაიწყო. მან თითქმის უბრძოლველად დათმო პირველი სეტი — 1:6, თუმცა მეორე და მესამე სეტში დამაჯერებლად ითამაშა და საბოლოო წარმატებასაც მიაღწია — 6:3, 6:4.

მეოთხედფინალში ლაბაძის მეტოქე ამერიკელი ჯეიმს ბლეკი გახლდათ. უნდა ითქვას, რომ ამერიკელთან ბრძოლა ირაკლიმ, განსხვავებით წინა მატჩებისა, პირველივე სეტიდან დაიწყო და ამერიკელმა მხოლოდ ტაი ბრეიკით შეძლო სეტის მოგება. მეორე სეტში ბლეკი მოტყდა და ჩვენებურმა იოლად გაათანაბრა ანგარიში. მესამე გადამწყვეტი სეტისას კი კორტზე მხოლოდ ქართველი სპორტსმენი დომინირებდა — 6:1. ასე მოიგო ირაკლი ლაბაძემ მესამე სეტი და ნახევარფინალში გავიდა.

ქართველი სპორტსმენი გულშემატკივრებმა და ტურნირის ორგანიზატორებმა მიღწეული შედეგების გამო ინდიანა ველსის აღმოჩენად მიიჩნიეს, ამიტომაც მრავლად უხდებოდა ლაბაძეს კომენტარების ჩამორიგება. აი, რას ამბობს იგი:

„ტურნირის დაწყებამდე მხოლოდ ოთხი დღე ვივარჯიშე სრული დატვირთვით. ფეხი საშინლად მტკიოდა, ამიტომაც სკამზე ვიჯექი და ისე ვვარჯიშობდი დარტყმებში. მართალი გითხრათ, ასეთ წარმატებას არ მოველოდი, ფეხი ისევ შესივებული მაქვს, მაგრამ საბედნიეროდ ვუძლებ დატვირთვებს. რატომღაც მოხდა ისე, რომ ტურნირის მეორე დღეს გაუპარსავი გამოვედი კორტზე. მეგობრები მეხუმრებიან — თუ არ გაიპარსე წვერი, ტურნირის დასრულებამდე მაგრად გაგეზრდებაო. მე კი ერთ რამეს ვფიქრობ — თუ ინდიან ველსი მოვიგე, ორი წელი წვერს არ გავიპარსავ“.

„სამწუხაროდ“ ჩვენებურს წვერის მოშვება აღარ მოუწევს. ნახევარფინალში ლაბაძე ინგლისელ ტიმ ჰენდმანს შეხვდა. საინტერესო დუელი ბრიტანელმა ორ სეტში მოიგო - 6:3, 6:2.

მეორე ნახევარფინალში შვეიცარიელმა როჯერ ფედერერმა დრამატულ და უშეღავათო ბრძოლაში აჯობა ამერიკელ ანდრე აგასის— 4:6, 6:4, 6:4.

ფედერერისა და ჰენდმანის ფინალური შეხვედრა ორშაბათს, ჩვენი დროით გამთენიისას უნდა გამართულიყო.

ზაზა ფაჩულია გულშემატკივართა პირისპირ

NBA-ს ნებისმიერი მოთამაშე ამერიკაში საკმაოდ დიდი პოპულარობით სარგებლობს. ამ პოპულარობას თავის მხრივ ნაყოფიერად იყენებს დიდი ფირმების წარმომადგენლობაც... ერთი სიტყვით, ის რეალობა, რომელიც NBA-ს ნებისმიერ მოთამაშეს ხვდება ოკეანისგაღმა, მეტად მომხიბვლელია გულშემატკივართა თვალში. ამიტომაც არ იყო გასაკვირი, რომ „ორლანდო მეჯიქის“ გუნდის ხელმძღვანელობის სურვილმა — ქართველი ლეგიონერი **ზაზა ფაჩულია** *გასაუბრებოდა გულშემატკივარს, ამ უკანასკნელთა დაინტერესება გამოიწვია.*

რა თქმა უნდა, ქომაგთა ამგვარ ინტერესს თავისი საფუძველი აქვს. ფაჩულიამ ოცი წლის ასაკში მიაღწია იმას, რაც ბევრი სახელოვანი სპორტსმენისთვის კარიერის დასრულების დროსაც კი მიუღწეველია.

ზაზა ფაჩულია საკუთარ თავს ასე წარადგენს: „ნაციონალურ საკალათბურთო ასოციაციაში პირველ სეზონს ვატარებ, ახლა ოცი წლის ვარ და ვგრძნობ, რომ კიდევ შემიძლია გავაუმჯობესო თამაში. ამისთვის ტიტანური შრომაა საჭირო. ეს გაცნობიერებული მაქვს“.

ფაჩულიას „ორლანდო მეჯიქის“ საიტზე მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნიდან გამოუგზავნეს კითხვები. ზაზა გულშემატკივართა კითხვებს ამომწურავად პასუხობს:

— რა ასაკში დაიწყეთ კალათბურთის თამაში?

— ცხრა წლიდან კალათბურთს ვთამაშობ, დედაჩემიც კალათბურთელი იყო და სწორედ მას სურდა, რომ სპორტის ამ სახეობაში მევარჯიშა, აღმოჩნდა, რომ არცთუ უნიჭო ვყოფილვარ...

— „ორლანდოში“ თამაშობს NBA-ს ერთ-ერთი გამორჩეული კალათბურთელი ტრეისი მაკგრეიტი. თუ გეხმარებათ იგი იოლად დაძლიოთ ადაპტირების პროცესი?

— მაკგრეიტი არა მარტო დიდი კალათბურთელი, არამედ კარგი პიროვნებაცაა. მას უდიდესი გამოცდილება აქვს და არაფერს იშურებს იმისთვის, რომ მხარში ამომიდგეს და საჭირო მომენტში სასარგებლო რჩევა მომცეს. ამ მხრივ „ორლანდოში“ მართლაც გამიმართლა, რადგანაც ტრეისი მაკგრეიტთან ერთად, თითქმის მთელი გუნდი მხარში მიდგას. ანალოგიური შემიძლია ვთქვა ჯუვენ ჰოვარდზეც.

— თუ განსხვავდება დანარჩენი მსოფლიოს კალათბურთი NBA-საგან?

— განსხვავება მართლაც უზარმაზარია. მიზეზი მარტივია — NBA-ში მსოფლიოს საუკეთესო კალათბურთელები თამაშობენ, ეს თავისებურ სილამაზესა და დაძაბულობას მატებს ნაციონალურ საკალათბურთო ასოციაციას. ბუნებრივია, ასეთი რეალობა გულშემატკივარს უფრო იზიდავს და სხვა ქვეყნებისგან განსხვავებით, NBA-ს გულშემატკივართა უზარმაზარი არმია ჰყავს. ამიტომაც არის, რომ აქ უფრო მეტს გიხდიან, რაც თავის მხრივ, მოთამაშეთათვის კიდევ ერთი მოტივაციაა იმისთვის, რომ მაქსიმუმი გააკეთონ და ბოლომდე დაიხარჯონ.

— თქვენ უკვე მოგიწიათ შაკილ ო'ნილთან დაპირისპირება. არ შეგეშინდათ ასეთი მონსტრის წინააღმდეგ თამაშის?

— შაკილ ო'ნილი NBA-ს ერთ-ერთი საუკეთესო კალათბურთელია. ამიტომ მის წინააღმდეგ თამაში ჩემთვის ერთგვარი გამოცდაც იყო. ამ გამოცდას კი საკმაოდ სერიოზულად მივუდექი. რაც შეეხება შიშს, ეს ცნება ჩემთვის არ არსებობს. ვიცი რომ, თუკი შიშით გავალ მოედანზე, ჩემს შესაძლებლობებს ვერ გამოვავლენ და ამით კიდევ უფრო დავითრგუნები. ამიტომაც შაკილთან თამაშისას ვცდილობდი, რომ კონსტრუქციულად მეთამაშა, მეტოქეს კორექტულად დავპირისპირებოდი. პირველ ჯერზე მგონი, ურიგოდ არ გამომსვლია.

— „მეჯიქის“ რიგებში ახალი კალათბურთელები გამოჩნდნენ — შონ რუკსი და დეშონ სტივენსონი. რამდენად გააძლიერებენ ისინი გუნდს?

— ფაქტია, რომ ამ მოთამაშეებით „ორლანდომ“ უკვე იხეირა. გუნდი მათი ხელშეწყობით უფრო შემართებით თამაშობს.

— ვინ გაგიხსნათ გზა NBA-საკენ?

— სანამ „ორლანდოში“ გადმოვიდოდი, თურქეთის „ულქერში“ ვთამაშობდი. ეს გუნდი ევროლიგაზე გამოდის. ევროლიგა კი NBA-ს შემდეგ ყველაზე ძლიერია გუნდების შემადგენლობით. ამიტომ არ არის გასაკვირი, რომ ეს ასპარეზობა NBA-ს სკაუტების ყურადღებას იქცევს. აქ მიმდინარე მატჩებს ყოველთვის ესწრებიან NBA-ს სხვადასხვა გუნდის სკაუტები. ბუნებრივია, თავიდან აქცენტი ჩემზე არ ჰქონდათ აღებული, თუმცა, რამდენიმე მატჩის შემდეგ, ჩემი თამაშის სანახავად და შესაფასებლად ჩამოდიოდნენ. არაერთი გუნდიდან იყო დაინტერესება, ასე რომ, სწორედ ევროლიგაში შემამჩნიეს და ასე აღმოვჩნდი NBA-ს დრაფტზე, სადაც 42-ე ნომრად ამირჩიეს.

— როგორ ატარებ თავისუფალ დროს?

— ვცდილობ, რომ მოედანს მიღმა ის ვაკეთო, რაც კალათბურთს არ უკავშირდება. მეგობრებთან ერთად მიყვარს ყოფნა და გართობა.

— ამერიკაში გადმოსვლის შემდეგ თქვენ განსხვავებულ გარემოში აღმოჩნდით. ამ თვალსაზრისით, რა რჩება თქვენთვის პრობლემატურად დღემდე?

— მიუხედავად იმისა, რომ რთულია სხვადასხვა კულტურის წარმომადგენლებთან ურთიერთობა, ამას მაინც თავისებური ხიბლი აქვს. ამერიკაში ჩამოსვლისას არავის ვიცნობდი, მეგობრებიც არ მყავდა. მართალია, ბევრს ვხვდები და საკმაოდ ბევრი კეთილგანწყობილი პიროვნებაა მათ შორის, მაგრამ კარგი მეგობრის შეძენა მაინც რთულია. ამას დრო სჭირდება...

— რას ურჩევთ ევროპელ კალათბურთელებს, ვისაც NBA-ში თამაში სურთ?

— ამისთვის უმთავრესია ფიზიკური გამძლეობა. NBA-ში არნახული დატვირთვაა და პირველ რიგში, ამას უნდა გაუძლოს ნებისმიერმა კალათბურთელმა. ამის მიღწევა ადვილი არაა, საჭიროა, გახვიდე მოედანზე და ითამაშო მთელი ძალით.

— ხომ არ მოგენატრათ თურქეთი?

— თურქეთში მე ჩამოვყალიბდი კალათბურთელად. ეს ქვეყანა ჩემთვის ახლობელია. თურქეთში ბევრი მეგობარი მყავს და არასდროს დამავიწყდება იქაური ფანების დამოკიდებულება ჩემდამი. სტამბოლი ულამაზესი ქალაქია და როგორც კი საშუალება მექნება, იქ აუცილებლად ჩავალ, თურქეთი ხომ ჩემი სამშობლოს, საქართველოს მეზობლადაა...

საქართველო — ჩეხეთი 23:7

გაიმართა ევროპის ერთა თასის წლევანდელი გათამაშების ბოლოსწინა მატჩი. საქართველოს ნაკრებმა ჩეხეთის ნაკრებს უმასპინძლა.

ბორჯღალოსნები ამ მატჩში განახლებული შემადგენლობით გამოვიდნენ, რამდენიმე მოთამაშეს პირველად ეცვა ნაკრების მაისური. მიუხედავად ამისა, ჩვენმა გუნდმა კარგი თამაში აჩვენა და პირველივე ტაიმში მიაღწია საგრძნობ უპირატესობას. პირველი ნახევარი ჩვენმა ბიჭებმა 16:0 მოიგეს.

მეორე ტაიმიც ჩვენების შეტევებით დაიწყო და ანგარიში კიდევ უფრო გაიზარდა — 23:0. უნდა ითქვას, რომ შეხვედრაში ორი ლელო დადეს ბორჯღალოსნებმა — თავი ილია ზედგინიძემ და მამუკა გორგოძემ გამოიჩინეს. არც ისაა ნაკლებმნიშვნელოვანი, რომ ორი გარდასახვის გარდა, ბობა კვინიხიძემ ყველა ჯარიმა ზუსტად შეასრულა.

მატჩის ბოლო წუთებზე ჩეხებმა შეძლეს ლელოს გატანა და გარდასახვის ზუსტად შესრულება.

შეხვედრის საბოლოო ანგარიშია 23:7.

ერთა თასის წლევანდელი გათამაშების დასკვნით მატჩს საქართველოს ნაკრები ბუქარესტში, 27 მარტს რუმინეთის ნაკრებთან გამართავს.

საქართველო 94-ე პოზიციაზეა

ფიფამ გამოაქვეყნა ეროვნული ნაკრებების ახალი რეიტინგი, სადაც შესაბამისად აისახა კვიპროსის ტურნირზე საქართველოს ნაკრების სამარცხვინო გამოსვლა. პირველი ოცეული ასე გამოიყურება:

1. ბრაზილია 842 სარეიტინგო ქულა
2. საფრანგეთი — 826
3. ესპანეთი — 791
4. ჰოლანდია — 747
5. მექსიკა — 740
6—8 ჩეხეთი — 735
6—8 არგენტინა — 735
6—8 ინგლისი — 735
9. თურქეთი — 733
10. გერმანია — 729
11. იტალია — 726
12. აშშ — 725
13. კამერუნი 718
14. დანია — 711
15. ირლანდია — 705
16. ბელგია — 688
17. პორტუგალია — 676
18. კოსტა რიკა — 674
19. ნიგერია — 672
20. შვედეთი — 669

იმ შესარჩევი ჯგუფის გუნდები, სადაც საქართველოს ნაკრებმა უნდა იასპარეზოს ფიფას რეიტინგით ასეა განაწილებული:

33. საბერძნეთი — 643
63. უკრაინა — 539
88. ალბანეთი — 482
98. საქართველო — 463
136 ყაზახეთი — 333

სავიოლას ოცნება ანრისთან თამაშია

კატალონიური „ბარსელონას“ არგენტინელი ფორვარდი ხავიერ სავიოლა აცხადებს, რომ დიდი სურვილი აქვს „ბარსელონას“ რიგებში ტიერი ანრისთან ერთად ითამაშოს. უნდა აღინიშნოს, რომ ამგვარი სურვილი აქვს „ბარსელონას“ ხელმძღვანელობასაც, რომელიც ყველანაირად ცდილობს „არსენალის“ ფრანგი თავდამსხმელი საკუთარ გუნდში გადმოიყვანოს. თუმცა რამდენადაა ეს თავად ანრის სურვილი, მეორე საკითხია.

ფრანგი ფეხბურთელი აცხადებს, რომ ინგლისის დედაქალაქში თავს მყუდროდ გრძნობს და „არსენალის“ დატოვებას არ ფიქრობს. თავად ინგლისელ „მეთოფეთა“ ხელმძღვანელობას არა აქვს კატეგორიული უარყოფითი პოზიცია გუნდიდან ანრის შესაძლო წასვლასთან დაკავშირებით.

„ანრი ფანტასტიკური ფეხბურთელია — ამბობს სავიოლა, — მის თამაშს ტელევიზიით ვადევნებ თვალს და ვფიქრობ, რომ ამ ეტაპზე ანრი ერთ-ერთი საუკეთესო თავდამსხმელია მსოფლიოში. ჩვენ ერთმანეთს კარგად შევეწყობით, მიუხედავად იმისა, რომ განსხვავებული ხასიათის მოთამაშეები ვართ. ანრი სწრაფია და ფიზიკურადაც ძლიერი, ამიტომ ვფიქრობ, რომ მე უკანდახეული თავდამსხმელის, ანდა ფლეიმეიქერის რანგში ადვილად ავაწყობდი მასთან თამაშს. მართალია, „ბარსელონამ“ სეზონი ცუდად დაიწყო, მაგრამ ახლა უკეთესად ვთამაშობთ და მდგომარეობაც გამოვასწორეთ. თუკი ასე გავაგრძელებთ, უეფას თასსა და ჩემპიონთა ლიგის საგზურსაც მოვიპოვებთ. ასე რომ, თუკი ანრი „ბარსელონაში“ გადმოვა, მას ჩვენთან ერთად ამბიციური მიზნებისთვის მოუწევს ბრძოლა“.

რობერტო ბაჯო ორასიანია

იტალიის სერია „A“-ს მატჩში „პარმას“ წინააღმდეგ თავისი მეორასე ბურთი გაიტანა „ბრეშას“ ფეხბურთელმა, იტალიური ფეხბურთის გამორჩეულმა ვარსკვლავმა, 37 წლის რობერტო ბაჯომ. მან თავისი 17-წლიანი საფეხბურთო კარიერის მანძილზე „ფიორენტინას“, „იუვენტუსის“, „მილანის“, „ბოლონიას“, „ინტერისა“ და „ბრეშას“ მაისურით იასპარეზა. ამ 200 გოლში 26 დუბლი, 7 ჰეთ-თრიკი და ერთი პოკერია.

ერთი სიტყვით, ბაჯო თავის კარიერას ღირსეულად ამთავრებს.

იტალიური „სკუადრა აძურას“ თავკაცმა ჯოვანი ტრაპატონიმ გადაწყვიტა ნაკრების შემადგენლობაში მიიწვიოს 90-იანი წლების ფეხბურთის ვარსკვლავი, რათა ბაჯო ღირსეულად გამოეთხოვოს სანაკრებო კარიერას.

„მე გავიგე, რომ ბაჯოს გადაწყვეტილი აქვს თავისი კარიერა ამ სეზონის ბოლოს დაასრულოს, — ამბობს ტრაპატონი, — ვფიქრობ, მას უნდა მივცე საშუალება გამოსათხოვარი მატჩი ითამაშოს ნაკრების შემადგენლობაში. ამის შესახებ პირადად დაველაპარაკები. ვფიქრობ, ამ იდეის რეალიზება 28 აპრილს ესპანეთის ნაკრებთან მატჩისას იქნება შესაძლებელი.“

გვერდი მოამზადა გიგა ხირსელმა

№11 (389) საპრიზო გამოკითხვა-რეიტინგის შედეგები

რეიტინგს 586 მკითხველი გამოეხმაურა. 9 ბარათი არასწორად იყო შევსებული. 231-მა ქალმა და 346-მა მამაკაცმა უპასუხა კითხვას: **„ვინ არის ყველაზე ინტელექტუალური ჩინოვნიკი?“**

მკითხველთა უმრავლესობამ — 53%-მა ინტელექტუალი ჩინოვნიკის ტიტული პრემიერ-მინისტრ ზურაბ ჟვანიას მიაკუთვნა. როგორც ვხედავთ, №1 მინისტრი „ინტელექტშიც“ პირველია. **7,75** საშუალო ქულით ჟვანია პირველ ადგილზეა.

მკითხველებმა ეს ტიტული ჯერ კიდევ სამი წლის წინ მიანიჭეს ზურაბ ჟვანიას — ინტელექტუალურ პოლიტიკოსთა შორის სწორედ ის ლიდერობდა.

შემდეგ ადგილზეა გიგი წერეთელი, საშუალო ქულაა 6,94. უნდა აღინიშნოს, რომ ყველაზე მცირე რაოდენობის მინიმალური ქულა სწორედ მან დაიმსახურა. მხოლოდ 5-მა რესპონდენტმა (0,9%) შეაფასა მისი ინტელექტი 1 ქულით. მაქსიმალური — 9 ქულა კი 19%-მა მიაკუთვნა.

კულტურისა და სპორტის ახალგაზრდა მინისტრი ინტელექტუალთა რეიტინგში მესამე ადგილზეა, საშუალო ქულაა 5,94.

მკითხველი ასევე დამაკმაყოფილებლად აფასებს შს მინისტრის ინტელექტსაც.

კახა ლომაია, განათლებისა და მეცნიერების მინისტრი ინტელექტუალურ ჩინოვნიკთა შორის მეხუთე ადგილზეა.

რა თქმა უნდა, რეიტინგის სპეციფიკიდან გამომდინარე, აქ ჩამოთვლილ ჩინოვნიკებს ერთნაირი შეფასებები ვერ ექნებათ, თანაც, ზოგიერთი მათგანი — კახა ლომაია, გელა ბეჟუაშვილი — საზოგადოებისათვის შედარებით ნაკლებად ცნობილი სახეები არიან და მათი ინტელექტის შეფასება ცოტა არ იყოს, ძნელია.

დაახლოებით სამი წლის წინ მკითხველებს საშუალება მივეცით, მინისტრები ხუთბალიან სკალაზე შეეფასებინათ ინტელექტის, პროფესიონალიზმის, პატრიოტიზმისა და სხვა მახასიათებლების მიხედვით. მართალია, მაშინდელი მინისტრთა კაბინეტი სხვა შემადგენლობით იყო წარმოდგენილი, მაგრამ შედეგების შედარებისას, საინტერესო სურათი მივიღეთ — მკითხველმა ყველაზე ინტელექტუალურ მინისტრებად აღიარა: მიხეილ სააკაშვილი (იუსტიციის მინისტრი), მიხეილ მაჭავარიანი (საგადასახადო შემოსავლების მინისტრი) და ალექსანდრე კარტოზია (განათლების მინისტრი). სულ ბოლო ადგილზე კახა თარგამაძე იყო და მას მცირე სხვაობით უსწრებდა წინ ზურაბ ნოღაიდელი (ფინანსთა მინისტრი).

თავისუფლად შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ შს სამინისტროს უეჭველი გაინტელექტუალურება ელოდება, ფინანსთა სამინისტრო, ამ თვალსაზრისით, დარჩება ისეთივე, როგორიც იყო. აი, რაც შეეხება განათლების სამინისტროს, ფაქტია, რომ მკითხველმა ძველი მინისტრის ინტელექტს გაცილებით მაღალი შეფასება მისცა, ვიდრე დღევანდელი ხელმძღვანელის ინტელექტუალურ შესაძლებლობებს.



საპრიზოს ზუსტად ორი ბარათი-რეიტინგი დაემთხვა. ჩვენი გამარჯვებულები არიან 50 წლის თბილისელი **ნანული მოდებაძე** და რეიტინგის აქტიური რესპონდენტი და მრავალგზის პრიზიორი, 56 წლის ქუთაისელი **გიორგი ლოლომაძე**.

საპრიზო ფონდი — 100 ლარი მათ შორის თანაბრად განაწილდება.

გამარჯვებულებს ვულოცავთ და პრიზის მისაღებად ველით რედაქციაში ოთხშაბათს, 24 მარტს, 17 საათზე.

№12 (390) საპრიზო გამოკითხვა-რეიტინგი

„კვირის პალიტრა“ თავისი მკითხველებისთვის აწყობს გამოკითხვებს სხვადასხვა საინტერესო საკითხზე, რაც საშუალებას მოგვცემს (ჩვენ და თქვენ), გავიგოთ საზოგადოების აზრი ამა თუ იმ მოვლენაზე, ფაქტზე და ა. შ.

გარდა ამისა, გამოკითხვა-რეიტინგები საპრიზოა, საპრიზო ფონდით —

100 ლარი

თქვენ მიერ შედგენილი რეიტინგებით დგება ერთი საერთო რეიტინგი, რომელიც გამოქვეყნდება „კვირის პალიტრის“ მომდევნო ნომერში გამარჯვებულის ვინაობასთან ერთად.

პრიზს მიიღებს გამოკითხვის ის მონაწილე, რომლის მიერ შედგენილი (და, რა თქმა უნდა, რედაქციაში გამოგზავნილი) რეიტინგიც დაემთხვევა საშუალოს.

საპრიზო გამოკითხვაში შემოთავაზებული თემების თითოეული გრაფისათვის მკითხველთა მიერ დაწერილი ქულები ჯამდება და შემდეგ იყოფა რეიტინგის მონაწილეთა რაოდენობაზე, რაც გვაძლევს ამ გრაფის საშუალო ქულას.

რამდენიმე გამარჯვებულის შემთხვევაში, საპრიზო ფონდი მათ შორის განაწილდება, ხოლო თუ არც ერთი მკითხველის რეიტინგი არ დაემთხვა საშუალოს, პრიზს მიიღებს მასთან ყველაზე მიახლოებული ვარიანტის ავტორი.

იმ შემთხვევაში, თუკი მიახლოებული ვარიანტიც არ იქნება, თანხა ემატება შემდეგი რეიტინგის საპრიზო ფონდს.

* საპრიზო გამოკითხვა-რეიტინგის ბარათის შევსებისას ნუ დაგავიწყდებათ, მონაწილეობა მიიღოთ მკითხველის რეიტინგსა და «მკითხველის პრემიაში».

№12 (390) საპრიზო გამოკითხვა-რეიტინგის ბარათი რაიონებში განთავსებულ „კვირის პალიტრის“ საფოსტო ყუთებში მოათავსეთ ოთხშაბათის, 24 მარტის 10 საათამდე, თბილისში — ხუთშაბათის, 25 მარტის 13 საათამდე.

© თბილისი

რეიტინგის ბარათები პარალელურად იბეჭდება ჟურნალ „რეიტინგშიც“. თქვენ შეგიძლიათ ამოჭრათ ისინი, შეავსოთ და მითითებულ ვადებში გამოგვიგზავნოთ „კვირის პალიტრის“ საფოსტო ყუთების საშუალებით. აღნიშნული ბარათებით ისევე მიიღებთ მონაწილეობას კონკურსში, როგორც „კვირის პალიტრიდან“ ამოჭრილი ბარათებით.

თემა №12(390) — სანდო პოლიტიკოსი

თქვენი აზრით, ვინ არის ყველაზე სანდო ქართველი პოლიტიკოსი (ჩამოთვლილთაგან)? დაუწერეთ მას 9 ქულა, მომდევნოს — 8 და ა.შ. 1-მდე.

№12(390) საპრიზო გამოკითხვა-რეიტინგი

№	პოლიტიკოსი	ქულა
1	კონსტანტინე გამსახურდია	
2	ზურაბ ჟვანია	
3	ნინო ბურჯანაძე	
4	შალვა ნათელაშვილი	
5	მიხეილ სააკაშვილი	
6	აკაკი ასათიანი	
7	გოგი თოფაძე	
8	ჯუმბერ პატიაშვილი	
9	დავით გამყრელიძე	

მკითხველის რეიტინგი

რომელი პიროვნების როლს აფასებთ ყველაზე დადებითად აჭარის კრიზისის დროს?

(დაასახელეთ მაქსიმუმ სამი)

____

____

____

მკითხველის პრემია

დაასახელეთ ნომრის საუკეთესო ჟურნალისტური ნამუშევარი

✓ ____________________

თქვენი სახელი, გვარი

ქალაქი (რაიონი)

ასაკი ტელეფონი

თუ საპრიზო გამოკითხვა-რეიტინგში მონაწილეობის მისაღებად რამდენიმე ბარათს ავსებთ, გთხოვთ, „მკითხველის რეიტინგსა“ და „მკითხველის პრემიაში“ მხოლოდ ერთხელ (ერთ ბარათში) დააფიქსიროთ თქვენი აზრი.

ყურადღება! „კვირის პალიტრის“ საფოსტო ყუთებში მითითებულ დროზე გვიან მოთავსებული ბარათები კონკურსში არ მონაწილეობს!

მკითხველის რეიტინგის შედეგები

ოპოზიციური პარტიებიდან (ბლოკებიდან) რომლის მიმართ ხართ კეთილგანწყობილი ყველაზე მეტად?



როგორც ვხედავთ, ლეიბორისტული პარტია და მემარჯვენე ოპოზიცია საკმაო კეთილგანწყობით სარგებლობენ და ალბათ ნაციონალებს გარკვეულწილად მეტოქეობასაც გაუწევენ.

მკითხველის რეიტინგში 417 რესპონდენტი მონაწილეობდა

·ფოტოპალიტრა· © ფოტოანტიკვარი

გთავაზობთ თქვენთვის ნაცნობი პიროვნებების ფოტოებს. გთხოვთ, პასუხები გამოგვიგზავნოთ „კვირის პალიტრის“ საფოსტო ყუთების საშუალებით. ყველაზე ორიგინალური პასუხები გამოქვეყნდება გაზეთის შემდეგ ნომერში.

რას დაარქმევდით?

____

____

____

____

თქვენი სახელი, გვარი __________

ქალაქი (რაიონი) __________


ასლან აბაშიძე, ედუარდ შევარდნაძე

„ფოტოანტიკვარის“ მინიშნებამ, როგორც ჩანს, მკითხველებში აზრთა სხვადასხვაობა გამოიწვია.

„მე და ჩემი მეგობრები ყველაზე პოპულარული ბიჭები ვართ...“ — მკითხველთა 12%-ის აზრით, ეს ფრაზა ყველაზე მეტად შს მინისტრის დღევანდელ მდგომარეობას გამოხატავს, 9%-მა კი ეს სიტყვები ზურაბ ჟვანიას მიუსადაგა. დასახელდნენ ასევე, ჯემალ გოგიტიძე, მიხეილ სააკაშვილი.

რესპონდენტთა 9%-მა ამ პატარა ბიჭუნაში დათო ხუჯაძე შეიცნო.

უმრავლესობა კი — დაახლოებით 61% სწორ კვალს დაადგა და და მასში ყველაზე პოპულარული ბიჭების — „ქუჩის ბიჭების“ წევრი ზურა ხაჩიძე ამოიცნო.

ზურა ნიკოლაიშვილის მეგობრული შარჟი

ზურა ხაჩიძე, ერთი წლის

ფოტო განწყობისთვის

— მარცხ ერთი კოცნა კმარა?

შეყვარებულები საუბრობენ:

— ძვირფასო, თუ უარს გეტყვი ცოლობაზე, მართლა მოიკლავ თავს?

— აუცილებლად! მსგავს სიტუაციაში ყოველთვის ასე ვიქცევი...

29/III

პირველი მეოთხედი

მაგნიტური დღეა

24/III 15-დან 17 საათამდე

წინა ნომრის სკანვორდის პასუხები

1. არტისტი; 2. ორბი; 3. მელუა; 4. ლინოლეუმი; 5. სენატი; 6. ცა; 7. ოტია; 8. რკინა; 9. ტოკაი; 10. ტაბუ; 11. ერთი; 12. უნია; 13. ვაიო; 14. ვიკუნია; 15. ახალციხე; 16. რაკოში; 17. ფირი; 18. კვიცი; 19. სიმი; 20. რაი; 21. ნივეა; 22. პანო; 23. ვეა; 24. ქაფშია; 25. პო; 26. ციხე; 27. უკრაინა; 28. ბრილიანტი; 29. შვეიკი; 30. რა; 31. პინო; 32. ხე; 33. რაიანი; 34. ვარია; 35. ძაბვა; 36. პორშე; 37. ბია; 38. სონი; 39. ბეკინა; 40. კლაქსონი; 41. რტო; 42. ბრა; 43. ვირჯინია; 44. რაინი; 45. უცნობი; 46. ტური; 47. ზებრა.

1. მესაათის ქალიშვილი; 2. ნექტრის ძიებაში.

პასუხები მოცემულია სკანვორდში მითითებული ნუმერაციის მიხედვით. ქვედა ხაზზე მოცემულია ფოტოების პასუხები.



თარაზულად: 1. გუსტავ ფლობერის ისტორიული რომანი; 4. XVIII ს-ის ინგლისელი მეწარმე, რომლის სახელი შერჩა ხაზვისა და ხატვისთვის განკუთვნილ საუკეთესო ქაღალდს; 6. პოლონელი მწერალი, რომლის კალამს ეკუთვნის რომანები — „თოჯინა“ და „ფარაონი“; 7. ფულის ერთეული ინდოეთში, პაკისტანსა და ნეპალში; 8. ჟენევის მახლობლად 12 ევროპული ქვეყნის მიერ შექმნილი ბირთვულ გამოკვლევათა ცენტრი; 9. ის, რაც ყველაზე მეტად ესაჭიროება ბრალდებულს; 10. აზერბაიჯანში მცხოვრები მაჰმადიანი ქართველი; 13. საშინაო ბანკი; 16. საფრანგეთის ყველაზე გრძელი მდინარე; 18. ქვეყანა, რომლის მეორეეროვნული ჰიმნი იყო ტანგო; 19. დიზაინერი, რომელიც ამტკიცებს, რომ კოლექციის შექმნისას ყოველთვის ფიქრობს ქალზე, თუ ვინ არის იგი, როგორია, სად ცხოვრობდა და ვის ხვდებოდა; 20. მხალეული მცენარე; 22. „ჯეოსელის“ საკრედიტო ბარათი; 23. ქართველი მსახიობი, რომელიც თავის თავს სკარლეტს ადარებს; 25. პოეტური ნაწარმოები; 27. მაღალი და მსხვილი ბალახი; 28. ბულგარული არაყი; 29. უნგრელი კომპოზიტორი; 30. ძილისპირული სიმღერა; 31. დამხმარე ოთახი ბინაში.

შვეულად: 1. ბიუჯეტის შეკვეცა; 2. საომარ მოქმედებათა ერთობლიობა, რომლებიც ერთი მიზნით, ერთი ამოცანით არიან გაერთიანებულნი; 3. საქვეყნოდ ცნობილი ტანგო; 4. სიცოცხლისთვის აუცილებელი ნივთიერებანი, რომელთა სახელწოდება ლათინურიდან ითარგმნება, როგორც „სიცოცხლე“; 5. დაწესებულების მოქმედების სისწორის შემოწმება; 11. განთქმული ესპანელი არქიტექტორი, რომლის სახელთანაა დაკავშირებული ბარსელონის იერსახე; 12. მამათა დიდი მონასტერი; 14. ინგლისელი მწერალი-ფანტასტი; 15. ფრანგულ ბალეტში რომანტიკული მიმართულების დამფუძნებელი, ბალეტები: „ჟიზელი“, „კორსარი“; 16. ჟიულ ვერნის ერთ-ერთი რომანის სახელწოდება — „20 ათასი ... წყლის ქვეშ“; 17. 25 სმ სიგრძის გომბეშო, რომელსაც ამრავლებენ შაქრის ლერწმის მავნებლებთან საბრძოლველად; 21. პაულო კოელიოს რომანი; 22. დედალოსის ცნობილი არქიტექტურული ნაგებობა; 24. პერსონაჟი ჰიუგოს რომანისა „პარიზის ღვთისმშობლის ტაძარი“; 25. გრიგოლ აბაშიძის ისტორიული რომანი; 26. ჭრილობის სამკურნალო ხსნარებით მორწყვა-მობანა.

ბედნიერი ქორწინების საიდუმლო

ჯენიფერ ენისტონი და ბრედ პიტი უკვე ოთხი წელია ცოლ-ქმარია, მაგრამ მათ სიყვარულს არა აკლდება რა, პირიქით, თანდათან უფრო ძლიერდება. ვცდილობთ, ერთმანეთი გავაოცოთ, ვასიამოვნოთ და გავახაროთო, — ამბობენ.

მალტაზე გადაღებების დროს ბრედს ისე შეჰყვარებია თავისი გმირის ცხენი, რომ საათობით უყვებოდა ცოლს ამ მშვენიერ ცხოველზე — მარჯვეა, ჭკვიანი და გონიერი. გადაღების დამთავრების შემდეგ რა მეშველება, მასთან დამშვიდობება რომ მომიწევსო.

ჯენიფერს იმდენი უქნია, ის ცხენი ქმრის ჩუმად კარგა ძვირად უყიდია, აშშ-ში მისი გადაყვანა კი 15.000 დოლარი დასჯდომია. მაგრამ ღირდა ქისის შეთხელება მეუღლის გასახარებლად — ეს ძვირფასი საჩუქარი ჯენიფერმა ქმარს დაბადების დღეზე მიართვა. პიტმა კინაღამ იტირა თურმე ბედნიერებისგან.

სიურპრიზებით არც ბრედი ჩამორჩება ცოლს. ჯენს ძალიან მოსწონს ინგლისელი მზარეულის ჯეიმს ოლივერის კულინარიული შოუ და ჯეიმსი ლოს-ანჯელესში მიიწვია საზეიმო ვახშამზე, რომელიც საყვარელი ცოლის პატივსაცემად გამართა.

ჯენიფერი აღაფრთოვანა და მოხიბლა ქმრის საქციელმა.

ყურადღება: „კვირის პალიტრის“ (გაზეთის) საფოსტო (საკორესპონდენტო) ყუთებზე საავტორო უფლება დაცულია კანონით.©

(12) **უფასო განცხადების ქვითარი**

განცხადების ტექსტი______________________________

____

____

____

____

____

____

სიტყვა და საქმე

გთხოვთ, ტექსტი გარკვევით დაწეროთ: სიტყვათა მაქსიმალური რაოდენობა — 30 (მისამართის და ტელეფონის ნომრის ჩათვლით) გაურკვევლად ნაწერი განცხადება არ გამოქვეყნდება

№12 თბილისში ქვითარი „კვირის პალიტრის“ ყუთებში ჩააგდეთ 25 მარტის (ხუთშაბათი) 13.00 სთ-მდე.

„კვირის პალიტრის“ და „სიტყვა და საქმის“ საფოსტო ყუთები განლაგებულია: თბილისში – *მეტროს სადგურებთან და ხალხმრავალ ადგილებში, აგრეთვე, ქალაქებსა და რაიონებში:* მცხეთა, კასპი, გორი, ქარელი, ხაშური, სურამი, ზესტაფონი, ქუთაისი, სამტრედია, აბაშა, სენაკი, ხობი, ზუგდიდი, ფოთი, ქობულეთი, ბათუმი, ოზურგეთი, ლანჩხუთი, ვანი, წყალტუბო, ბაღდათი, ხონი, ბანძა, თერჯოლა, ტყიბული, ამბროლაური, ონი, ბორჯომი, ახალციხე, რუსთავი, საგარეჯო, გურჯაანი, წნორი, სიღნაღი, ყვარელი, ლაგოდეხი, თელავი, ახმეტა, დედოფლისწყარო.

„კვირის პალიტრისა“ და „სიტყვა და საქმის“ საფოსტო ყუთები იცლება თბილისში — სამშაბათს, ხუთშაბათს, კვირას 13 საათიდან; რაიონებში — ოთხშაბათობით, 10 საათიდან.

გაზეთი დამოუკიდებელია და ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპებით. რედაქციის აზრი შესაძლოა არ ემთხვეოდეს მასალის ავტორის მოსაზრებებს.

რედაქცია პასუხს არ აგებს უცხოური პრესიდან გადმოთარგმნილი მასალების, ფაქტების, ინფორმაციის სიზუსტეზე, აგრეთვე, სარეკლამო განცხადებების შინაარსსა და სტილზე.

R ნიშნით აღნიშნული სტატიები იბეჭდება რეკლამის უფლებით.

რედაქციაში შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდებათ.

მთავარი რედაქტორი ლალი გუნთაიშვილი

მთ. რედაქტორის მოადგილეები: ნუცა დუმბაძე, გიორგი თევდორაშვილი

სარედაქციო კოლეგია

მის.: აკურის ქ. №8 (სპორტის სასახლის უკან)

ტელ: **რედაქცია:** 33-39-54

რეკლამა, ფაქსი: 33-50-32; 98-74-44

news@kvirispalitra.com

www.opentext.ge/kvirispalitra

სარეგისტრაციო ნომერი © 1518

„კვირის პალიტრა“ გამოდის ორშაბათობით

გაზეთი დაიბეჭდა გამომცემლობა „კოლორში“.